


ମୁଦ୍ରଣ



ଶ୍ରୀକୃତୀବିଜୁନାଥଙ୍କୁଳ ପାଠ୍ୟକାଳୀ
ମାଧ୍ୟମିକାମାଧ୍ୟମିକାମାଧ୍ୟମିକାମାଧ୍ୟମିକା
ନଂ 5 (58) 2022



ଶ୍ରୀକୃତୀ
ମାଧ୍ୟମିକାମାଧ୍ୟମିକାମାଧ୍ୟମିକାମାଧ୍ୟମିକା

ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა
The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საპა
ოლე – ახოში საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედევრი

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნურუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი
სოფიო ჭელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლეს“ წინა წომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge — ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო



შემოქმედებითი
საქართველო
CREATIVE GEORGIA

შურდალის ეს წომარი გამოდის
საქართველოს კულტურის,
საორგანიზაციონის
სამინისტროსა და
„ვეოპმადაგითი საქართველოს“
ხელშეყობით



№5,(58), 2022

ნეტო გენერაცია



გამოსახულის სამთხვევლი



„ლიტერატურული კახეთის 58 გენერაცია“



შიდაარსი

თელავი – ქალაქი მდიდარი ისტორიით

2. მელი ზურგვილი. ხალხური საუნჯის
სამსახურში

მხატვრული ლიტერატურა

8. ვალი ჩეივაძე. გვირაბი. რომანი
35. ელგუჯა ციგროვილი. დარდების
გამყიდველი. ლექსი
36. ქათევან ათუაშვილი. ლექსები
39. ელგუჯა თავპერიძე. ძვირანა. ნოველა
43. მარიამ ძამუკაშვილი. ორი მოთხოვბა
46. თამარ კოლელიშვილი. ლექსები
48. ლანა მანვალი. სად არის ბეჭნიერება.
რომანი

53. თიბეთინ სიყმაშვილი. ციხელა.
მოთხოვბა

57. გიორგი შარვაშიძე. წითელი გუბე.
მოთხოვბა

სახალხო მთავარი

61. ფირუზ კოჭლაშვანაშვილი. ლექსები

გავვეგისტრის საკითხავი

63. გივი ჩილვინაძე. ახალი წელი ტყეში.
პიესა

თარგმანი

67. ჯავომო ლეონარდი. გარეული მამლის
სიმღერა. მოთხოვბა. თარგმნა მანა
ტურაბელიძე

კრიტიკა-კუპლიცისტიკა

70. ნინო დარბაისელი-სტრონი. ტაბიძეები:
ვაზა და თავისქალა

ახალი წიგნები

74. რეზო ადამია. უმთავრეს, ყოველთა
გადამრჩენელი
79. ზალ გოგოვილი. აუცილებლად
ალაპარაკდება

გარეკანის პირველ გეერდზე

მხატვარი ვანო გოგოვილი.

ზარა არსენიშვილის პორტრეტი

დაიბჭებდა გამომცემლობა „მერიდიანი“

1



ოქტომბერი, №5, 2022



თელავი - ქარაჯი მღიერაში ისტორიით

ნები ზუროგვილი

2



თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფ. მახათელაშვილის ხალხურ სიმღერას განსაკუთრებული კახური კოლორიტი შესძინა. ბევრი მისი სიმღერა, ჩატარებულ დადგმული, პატარა სახალისო სენტრი იყო, სწორად შერჩეული მომღერალ-პერსონაჟებით. მახათელაშვილი პატოლუმარული იყო მისი სიმღერა „ოცნებზე“, რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა ალექსანდრე (შურა) მაყაშვილი. მავშვობაში ხევადასხვა სოფელში რომ ჩავდიოთ ნათესავების მოსანახულებლიად, იქაური ახალგვაზრდები დიდი მონაცემებით, ხისავარულით, ყელის სიმერის ლამის დაწყვეტით, ფანდურის თანხლებით, მღერონდენ ამ სიმღერას. ხევათა შორის, თავისი სიმღერების ტექსტების უმრავლესობა ფ. მახათელაშვილს ეცნობოდა.

6. ზუროგვილი

ხალხური საუნაის სამსახური

თუ გსურს პატიოსნად იცხოვრო, უნდა ისწრაფვო, იწვალო, შეცდე, დაიწყო და მიატოვო, მუდმივად იბრძოლო და გარდაისახო, ხოლო სიმშვიდე – სულიერი საძაგლობაა.

ეს სიტყვები გამოჩენილი ქართველი მხატვრის – ავთო ვარაზის ფიქრთა ჩანაწერია. მისი ფიქრები ხელოვნებაზე განუმეორებელია და გამოირჩევა უმაღლესი სულიერებით.

ასეთი მიზანსწრაფულობით, ბრძოლით, წვალებით, შრომისმოყვარლებით (რა თქმა უნდა, პატარა შეცდომებით, რომლებისგან არც ერთი ადამიანი არ არის დაზღვეული), პატიოსნებით გამოირჩეოდა ქართული ხალხ-

ური მუსიკის დაუღალავი მსახური – ფირუზ მახათელაშვილი.

ქართული კულტურის ისტორიასთან დაკავშირებით ნამოიჭრება ხოლმე მთელი რიგი ძველი თუ ახალი საინტერესო, პრობლემატური საკითხები

სამწუხაროდ, ეროვნული კულტურისა და ხელოვნების გულშემატკივარს, მეთვალყურეს ყოველთვის არა აქვს იმისი შესაძლებლობა, თუნდაც დრო, რომ მაშინვე ჩაებლაუქოს ამ საკითხს თუ მოვლენას, რომელიც ხშირად თავში უტრიალებს და არ ასვენებს. უნდა გითხრათ, მათდამი ინტერესი არ ქრება, ის შენელებულ განზომილებაში გადადის. ისე კი, ბევრ კითხვაზე პასუხს ახალ ნაკვალევზე უფრო ადვილად მივაგნებთ ხოლმე...

ახლა, ვისზედაც და რაზედაც უნდა დავწერო. დიდი ხნის წინათ, 90-იან წლებში, დავწერე წერილი, როდესაც თელავში გამოჩნდა ახალი გაზეთი „ფანოსი“. ის იბეჭდებოდა თბილისში.

ჩემი გამზადებული წერილი წაიღეს დასაბეჭდად, მაგრამ დაიკარგა, გაქრა... სამწუხაროდ, დედანი არ დამრჩა, მეც ხელი ჩავიქნიე. მერე მივხვდი, რომ რაც მინდოდა გამეკეთებინა (და ეს პიროვნება ამას იმსახურებდა და მეტიც), თუნდაც მოგვიანებით მაინც უნდა მეთქვა ის, რაც მაწუხებდა და ვალდებულადაც ვთვლიდი ჩემს თავს, – ამ დიდი პიროვნების შესახებ, თავიდან დამეწერა წერილი. მოვიკრიბე გონება, გამახსენდა ჩემი ბავშვობის დროს სცენაზე თუ ღია ცის ქვეშ (განსაკუთრებით ძველი ფეხბურთის მოედანზე – ახლანდელ კორტებზე) გამართული კონცერტები, რომლებშიაც ფირუზ მახათელაშვილის მომღერალთა გუნდი აუცილებლად იღებდა მონაწილეობას; მახსოვს, როგორი ოვაციებით, გულწრფელი სიყვარუ-



ფირუზ მახათელაშვილი



ლით აჯილდოვებდნენ სახელოვან ლოტბარსაც და მისი გუნდის შესანიშნავ წევრებს.

არის სახელები, რომლებსაც ვერ წაშლის ჟამთა მსვლელობა. ეს თითქოს მოძველებული ფრაზაა, მაგრამ ისე მიესადაგება ამ ადამიანს.

უკვდავი სახელი არგუნა წილად ქართული ხალხური სიმღერის მოტრფიალეს და ღვაწლმოსილ ქართველ ლოტბარს, კომპოზიტორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, შესანიშნავ პედაგოგს ოსტატ-შემოქმედს, ამაგდარ ადამიანს – ფირუზ მახატელაშვილს (1914-1970).

ქართულ ხალხურ სამუსიკო საშემსრულებლო ხელოვნებაში მან დიდი წვლილი შეიტანა, როგორც ნოვატორმა ხელოვანმა. უამრავი ოლიმპიადიდან გამარჯვებული დაბრუნებია თავის საყვარელ თელავს, გულგატეხილიც ყოფილა, რადგან ცხოვრების მცირე სიტყბოებას თან ახლავს ხოლმე სიმწარე, იმედგაცრუება.

ალბათ, ადამიანი, რომლის ნათელ ოცნებებს შავი დარიც დასდგომია, უფრო ქმნის რაიმე დიადს, რაც შთამომავლობას რჩება. ასეთი შედევრი ფირუზ მახატელაშვილმა შექმნა არა მხოლოდ თავისი ოჯახისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.

მგზებარე პროპაგანდისტს, მხედველობაში მაქვს ქართული საკრავიერი მუსიკის გამორჩეული თვალმარგალიტი – ახალი სახის საკრავი, რომელსაც უწოდა „ჩანგური“.

ნაღვლიანი ისტორიაა – ამაზე მოგვიანებით მოგიყვებით... რამდენი რამ შეიძლება დაინწეროს ამ ამაგდარ კაცზე: კარგი ოჯახის შეილი და ოჯახის უფროსი, გულისხმიერი მეუღლე, პატიოსანი მოქალაქე, თავისი ქვეყნის პატრიოტი.

ფირუზ დავითის ძე მახატელაშვილი დაიბადა 1914 წლის 20 ნოემბერს კახეთში, სოფ. კურდღელაურში, გლეხის ოჯახში. ბავშობიდანვე ისმენდა კახური სიმღერების ოსტატების „დედას ლევანას“ (ლევან ასაბაშვილი), მიხა ავგაროზიშვილის, „ოსტატ ლევანას“ (ლევან მრელაშვილი), ვანო მჭედლიშვილის, ილიკო სინჯიაშვილის და სხვა რჩეულ მომღერალთა მიერ შესრულებულ სიმღერებს. თელავის პირველი საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ, მიემგზავრება თბილისში.

1936 წ. დაამთავრა თბილისის საშუალო



3

თელავის ეთნოგრაფიული ანსამბლი

სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირი-ჟორო განყოფილება, შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში.

21 წლისამ ჩამოაყალიბა ნავთლულის რკინიგზელთა კლუბში მუშა-მოსამსახურეთაგან მომღერალთა გუნდი; 1938 წ. ხელმძღვანელობდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი.

1939 წ. მიიჩვიეს თელავში ეთნოგრაფიული გუნდის აღსადგენად, ამიტომ ის ტოვებს საყვარელ კონსერვატორიას. სასიხარულო იყო ის, რომ თელავის გუნდმა მალევე სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი მოიპოვა. 1949 წ. ლოტბარმა თელავის მოსწავლეთა სახლში ჩამოაყალიბა თვითმოქმედი გუნდი; მალევე ის მიიჩვია თელავის კულტურის სახლმა. სოფლებმა: შილდამ და მუკუზანმა მიმართეს თხოვნით ეხელმძღვანელა საკოლმეურნეო გუნდისთვის. არავის ეუბნებოდა უარს, დიდ სიყვარულსა და პატივისცემასაც იმკიდა, გორშიაც მოამზადა შესანიშნავი გუნდი და იქ ერთი წელი იღვანა.

თელავში დაბრუნებულმა კვლავ ალადგინა თელავის კულტურის სახლისა და მახლობელ სოფელთა გუნდები.

თელავის ძაფსახვევე ფაბრიკაში, სადაც ქალები მუშაობდნენ დილის 6 საათიდან უმძიმეს პირობებში, ჩამოაყალიბა მომღერალ ქალთა გუნდი. ხშირად გადაჰყავდათ ქალაქიდან ქალაქში (როგორც თავის დროზე ნიკო სულხანიშვილი), რათა შეედგინა ძლიერი გუნდი.



ფირუზ მახათელაშვილი ოჯახთან ერთად

1951 წ. ფ. მახათელაშვილს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს დაუღალავი მუშაობისათვის, ასევე VII რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებითი მოღვაწეობისათვის (თელავის მასწავლებლის სახლთან არსებული გუნდი).

ლოტბარს მუშაობაში ხშირად ენაცვლებოდა ხოლმე ასევე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი პაპალაშვილი – ხან თელავში, ხან ახმეტაში.

წლების განმავლობაში ფ. მახათელაშვილმა უამრავი ძველი ხალხური სიმღერა ჩაიწერა და აღადგინა; სიმღერას სიმღერა ემატებოდა, ამით თელავის ეთნოგრაფიული გუნდი გაამდიდრა ახალი რეპერტუარით. ის არამარტო ცალკეულ სიმღერებს იწერდა, არამედ მათ სხვადასხვა ვარიანტებს, ხშირად მიღიოდა სხვადასხვა სოფლებში – ეძებდა ნიჭიერ მომღერლებს.

ფ. მახათელაშვილი იყო ასევე ახალი ფორმაციის სიმღერების შემქმნელი. ვერ უარვყოფთ იმას, რომ სოფლად საკოლმეურნეო ცხოვრებამ განაპირობა ეს ცვლილებები ხალხურ სამუსიკო ხელოვნებაში. მაშინ რომ ძალზე პოპულარული იყო „ნუ გიყვარს, ქალაუ“, „გოგოვ, შეჩერდი“, „სიმღერა კახეთში“, „მთისა და ბარის მეგობრობა“, „ქალაუ, შენმა მანდილმა“ და სხვა.

ფ. მახათელაშვილმა ხალხურ სიმღერას განსაკუთრებული კახური კოლორიტი შესძინა. ბევრი მისი სიმღერა, ცეკვითურთ დადგმული, პატარა სახალისო სცენები იყო, სწორად შერჩეული მომღერალ-პერსონაჟებ-

ით. მახსოვს, როგორი პაპოულარული იყო მისი სიმღერა „თელავზე“, რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა ალექსანდრე (შურა) მაყაშვილი. ბავშვობაში სხვადასხვა სოფელში რომ ჩავდიოდით ნათესავების მოსანახულებლად, იქაური ახალგაზრდები დიდი მონდომებით, სიყვარულით, ყელის სიმების ლამის დაწყვეტით, ფანდურის თანხლებით, მღეროდნენ ამ სიმღერას. სხვათა შორის, თავისი სიმღერების ტექსტების უმრავლესობა ფ. მახათელაშვილს ეკუთვნოდა.

1967 წ. ფ. მახათელაშვილის გუნდი გახდა საქაგშირო ფესტივალის ლაურეატი. მან თელავის პირველ, მეორე და მეოთხე საშუალო სკოლებშიც ჩამოაყალიბა მოსწავლეთა გუნდი. დღესაც მისი ყოფილი მოსწავლები სიამოვნებით იხსენებენ თავის მასწავლებელს, რომელიც დიდ სიყვარულს უწერგავდა ეროვნული მუსიკის მიმართ.

ლოტბარმა ბევრ ქალაქსა და სოფელში იღვანა, მისი ენთუზიაზმი გადამდები იყო გუნდის წევრებისათვის. ის უსაყვარლესი სტუმარი იყო კახეთში სახელგანთქმული მომღერლების ოჯახებისა. ამაგდარმა ხელოვანმა ზედმინევნით იცოდა, რომელ ოჯახში საუკეთესოდ მღეროდნენ „ურმულს“, რომელ ოჯახში „გუთნურსა“ და „ჩაკრულოს“. ამიტომ მისი ლოტბარობით ჩატარებული კონცერტები, რომლებიც იმართებოდა თეატრის, კულტურის სახლის სცენაზე თუ ღია ცის ქვეშ, გადაჭედილი იყო ხალხით.

ართანელი, სანიორელი, ნაფარეულელი, კურდღელაურელი და სხვა სოფლელი გლეხების გარდა მის გუნდებში მღეროდნენ თელაველი შემსრულებლები, ინტელიგენციის წარმომადგენლები; მასწავლებლები, სხვადასხვა ორგანიზაციების მოსამსახურები. მის გუნდში მღეროდნენ შ. მარკოზაშვილი, შ. ბიძინაშვილი, თ. და ფ. რაზმაძეები, ა. ფირუმოვი და სხვ. აკომიპანიატორებიდან გვახსოვს ძმები სერგო და თამაზ ბაჩიაშვილები.

ქართული ხალხური სიმღერების გარდა ფ. მახათელაშვილის გუნდი ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების ბ. სულხანიშვილის, შ. მშველიძის, მ. ჩირინაშვილის და სხვათა საგუნდო ნაწარმოებებს.

ვიზუალურადაც ღამაზი სანახავი იყვნენ ისინი, ღამაზ შავ ჩოხა-ახალუხებიანი ვაჟკაცები და საოცარ ქართულ კაბებში გამოწყობილი უმშვენიერესი ქალბატონები (ეს ქალბატონები შესანიშნავად უკრავდნენ ფანდურზე,





ჩონგურზე პატარა გარმონზე (წიკო-წიკოზე მელო და დარიკო ყარალაშვილები), შემდეგ – ზემოხსენებულ „ჩანგურზე“.

ახლა მინდა შევეხო ფ. მახათელაშვილის, როგორც შემოქმედის ერთ განსაკუთრებულ მხარეს.

ქართულ ხალხურ საკრავიერ (საშემსრულებლო) ხელოვნებაში მან დიდი წვლილი შეიტანა, როგორც ადრე აღვნიშნე, ნოვატორმა დიზაინერმა მუსიკოს-ოსტატმა.

1958 წ. მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მზადებასთან დაკავშირებით ფ. მახათელაშვილმა შექმნა ახალი საკრავი და მას მოფერებით და კარგად გააზრებულად „ჩანგური“ უწოდა. ეს გახსახურის ფანდურისა და ჩანგის ტკბილებმოვანი შერწყმა.

საოცარი სილამაზის, იშვიათი ტემბრის საკრავი აღმოჩნდა ადვილად მოსარგები შემსრულებლისათვის და ძალზე პრაქტიკული ხმარებისათვის (შორეულ ქალაქებში გასტროლებზე, ოლიმპიადებზე გამგზავრებისას ადვილი იყო რამოდენიმე ასეთი საკრავის ტრანსპორტირება, ვიდრე ბევრი საკრავის წალება).

ოსტატმა ეს საკრავი გამოთალა როგორც „სამება“, ერთარსება (ჩონგური, ჩანგი, ფანდური), შეკრულ-შედუღაბებული, დიდებული, მუღერი, გულში ჩამწვდომი, მსუბუქი, დამაჯერებლად მოარაკე. მის სახელწოდებაში ზემოჩამოთვლილი საკრავების ფუქების გაერთიანება ჭკვიანურადაა გააზრებული, გარეგნულადაც – ქართველთა სიმტკიცისა და ერთიანობის ხატებას ემსგავსება.

ქართველების ერთობა ხომ ყოველთვის გვესაჭიროებოდა მტრის ამოცნობაში, მტრის მხილებასა და მის დამარცხებაში. ეს ახლაც გვჭირდება ჩვენ, გზააბნეულ, დაბნეულ, მუცელში ენაჩავარდნილ, უსუსურ უმრავლესობას ქართველებისას, – სულიერი ერთიანობა და მწყობრად შეხმატებილება ხმებისა. კიდევ კარგი, ამაყი, სამშობლოში გულწრფელად შეყვარებული, მისი მომავლისათვის მებრძოლი, ღირსეული ახალგაზრდობა გვყავს! ქართული პოლიტიკისა, რომლითაც ასე მოგვაქვს თავი, ხომ ერთმანეთის ხმების მოსმენით, შეხმატებილებით, შეამხანაგებით იშვა.

„ჩანგურს“ გააჩნია გაერთიანების სიმბოლური მნიშვნელობა და, ალბათ, თავის დროზეც ეს იდეა იყო გააზრებული დიდოსტატის მიერ. ფანდურსა და ჩონგურს შორის მოქცეული ჩანგი იქნებ წმინდა მანდილია ორ მტრად მოკიდებულ ქართველს შორის? მრავალი „იქნებ“ წამოიჭრება, თუ ღრმად ჩავუკვირდებით...

საოცარია, საკრავს შენარჩუნებული აქვს თითოეული მასში შემავალი ინსტრუმენტის გარეგანი სახე, ტემბრი; ასევე მასზე შესაძლებელია როგორც ხალხური, ისე კლასიკური ნაწარმოების შესრულება.

„ჩანგურის“ შექმნიდან მრავალი წლის შემდეგ ფ. მახათელაშვილის მეუღლემ, ქალბატონმა ნათელა ფარცხალაძემ მითხვა, რომ ფირუზმა დაიწყო მუშაობა სამხმიანი ჩასაბერი საკრავის შესაქმნელად და არ დასცალდათ.

საქართველოში ხალხური ვოკალური მუსიკა უფრო გავრცელებული და განვითარებული იყო ყოველთვის, ვიდრე საკრავიერი და, ჩემი აზრით, დიდოსტატს ეს სფეროც სურდა აეყვანა იმ დონეზე, მოწოდება კი არა, საკრავზე შემსრულებლის პროფესიონალიზმი კი არა მხოლოდ, სულ სხვა რამ, – არნახული გაოცება რომ გამოეწვია მსმენელში.

ქართული ხალხური საკრავების მასალებში, რომლებიც მნირია, არსად არ არის მინიშნებულიც კი ასეთი საკრავების არსებობაზე.

ახლა დავუბრუნდეთ „ჩანგურს“. ფანდურსა და ჩონგურს შორის მოთავსებული ჩანგი – სვანების (ქალების) საკრავად მიჩნევა, ფანდური – ქართლ-კახეთისა, ჩონგური – დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული (სამეგრელოში მასზე მეტნილად ქალები უკრავენ). რა მყარი ერთიანობაა, რა უხილავი ძალაა ამ ულამაზეს საკრავთა კონად შეკრუ-





ლის, – ერთ ღვთაებრივ საკრავში! რამდენი შრომა, რამდენი უძილო ღამეა გათენებული იმის ფიქრში, რათა მის გამკეთებელს განეხორციელებინა ასეთი ღრმაზროვანი ჩანაფიქრი.

ფ. მახათელაშვილი თვითონ იყო ვირტუოზი შემსრულებელი ხალხურ საკრავებზე. მან შეძლო დაეძლია ის ჩამორჩენილობა, რაც აღინიშნებოდა ქართულ საკრავირ მუსიკაში ძნელბედობის გამო. ქართველს სულ თოფ-იარალი ესხა სამშობლოს გადასარჩენად და თავის საყვარელ საკრავებს ვერ წაიღებდა ბრძოლაში. გარდა ამისა, მოგვიანებით რამდენი დევნა, ათვალისწილება, რამდენი შევიწროება აიტანეს ხალხურმა საკრავებმა და... ჩონგური, ფანდური, სალამური, ჩანგი, გუდასტვირი და მრავალი სხვა – მწყემსების, ღარიბთა სახლებსა და კოშკებში პოულობდა თავშესაფარს. ისინიც სიკეთით ემსახურებოდნენ თავის პატრონს, ჭირ-ვარამს უნელებდნენ, სამკურნალო თვისებებიც გააჩნდათ ბავშვთა ინფექციური დაავადებების დროს და რომელი ერთი კეთილი თვისება ჩამოვთვალო მათ კეთილხმოვანებისა და კეთილმსახურებისა.

ევროპული მუსიკის ისტორიიდან ვიცით, თუ როგორ აფასებდნენ საკრავების ოსტატებს, რა ძვირად ფასობდა მათ მიერ გაკეთებული საკრავები. იტალიელი ოსტატები: ამატი, გვარნერი, სტრადივარიუსი ერთი საკრავის (ვიოლინოს, ჩელოს ან გიტარის) გაკეთებასა და დახვეწაზე თვეების მანძილზე მუშაობდნენ და დიდ საფასურსაც იღებდნენ ამ შრომაში.

ფ. მახათელაშვილმა „ერთარსებად“ აქცია სამი საკრავი. აქ ურთულესი ამოცანა იდგა მის წინაშე: ჩონგური უნდა გამოირჩეოდეს უნაზესი ხმით, მყარი ნაკეთობით. რამდენი შრომა სჭირდება ძალების (სიმების) გაკეთებას. მისთვის თუთა შეარჩია, ბჟოლის თხელი, სიფრიფანა ტკერები და კიდევ სხვა მასალა.

ჩანგის დანიშნულება საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა. შოთა რუსთაველს მრავალჯერ აქვს მოხსენიებული ჩანგი თავის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“. ეს საკრავი ტემბრის სირბილით, სითბოთი, სევდიანი ხმოვნებით ადამიანის (განსაკუთრებით ქალის) ხმას შეესაბამება, საქართველოში ჩანგი იყო ორნაირი: ხელში დასაჭერი და დასადგამი, რომელიც შებანებას აძლიერებდა.

ფანდურზე ფიქრშიც ოსტატმა მრავალი ღამე გაათია: როგორი მოყვანილობისა,



ნინო ზუროშვილი

უსათუთეს ნაკეთობასაც ფანტაზია სჭირდებოდა; ვერხვისა-აგან მოეჭრა მასალა, ფიჭვისა-გან, კაკლისაგან, თუთის ხისგან, ციცვისა თუ უთხოვარისაგან? საკრავების გული როგორ ჩა-ედგა, ტანი როგორ აესხლიტა, ტარი, ჩხირები, ღარები, ჯორ-აკები...

სად იზრდება უკეთესი ჯიშები. მასალის ძებნაში მრავალი ტყე და სოფელი შემოიარა; ლეჩიურში მიაგნო უთხოვარს, ყვითელი და წითელი ფერები მშვენივრად შეერწყნენ ერთ-მანეთს. იფანი, დიდი ძიების შემდეგ, იმ დროს მილიციის უფროსმა ალექსი ორკოდაშვილმა უპოვა და ჩამოუტანა. ამით გათავდა? არა.

ხები, წვიმა გამოვლილი, ქარით შებრუნებული, მზისგან უხვად დასხივებული უნდა ამოეცნო ოსტატს. შესაღებად ინა არ გამოუყენებია, იმდენად ძვირფასი იყო მისი ნაპოვნი უთხოვარი. ახლა მუშაობას არ იტყვით? ცულით, წალდით, დანით, შუშით, საჭრეტით, ჩაქუჩით! ჩვენ სახელებიც არ ვიცით იმ იარაღებისა, რაც ესაჭიროებოდა ოსტატს. ორი წელი ჭრილების გაკეთებას მოუნდომებია მარტო.

გადიოდა დრო... მრავალ ჭირ-ვარამ, დღე-ლამე ნაფიქრ-ნათევმა საკრავმა ხმა ამოილო და როგორ ხმაზე აჟღერდა!

ლმერთო დიდებული! იქნებ ამ საკრავის გამკეთებელსა და სულისჩამდგმელს სიხარულის ცრემლთა დვივარება ჩამოსდიოდა.

მთელი ამ ტანჯვა-სიხარულის გამზიარებელი იყო მისი მეუღლე, ნათელა ფარცხალაძე, წარმოშობით იმერელი თბილისელი ქალბატონი, ბოლომდე ერთგული რომ დარჩა ძვირფასი მეუღლის საქმიანობისა. ისიც, შესანიშნავი პედაგოგი, ოჯახის დედა, სიცოცხლის ბოლო წლებში გაჭირვებაში ჩავარდნილი პენსიონერი, (როგორც მრავალი სხვა), ქმრის ხათრით მის ანსამბლში მღეროდა თავის დროზე, ამ საკრავზეც უკრავდა.

50-იანი წლების ბოლოს ფ. მახათელაშვილის გუნდი მოსკოვში გაემგზავრა ოლიმპიადაზე. ნიმუშად ერთი ეს „ჩანგური“ წაიღეს, ააუღერეს და მოწონებამ მოლოდინს გადაჭარბა.

ოლიმპიადიდან გამარჯვებულები ჩამოვიდნენ, მალევე საქართველოს კულტურის სამინისტროდან შეკვეთაც მისცეს: ლოტბარს დამზადებინა ათი ასეთი საკრავი. ისიც შეუდგა მუშაობას – ყოველდღიური რეპეტიციები და გაათმაგებული შრომა ათ საკრავზე. გავი-





ფირუზ მახათელაშვილის შვილიშვილი, მაკა მახათელაშვილი

და ხანი, ათივე საკრავი მზად იყო. თელავიდან სიხარულით აცნობეს კულტურის სამინისტროს, იქიდან კი... ციფი უარი შემოუთვალეს: სახსრები არ არის მათი შეძენისთვისო.

ეს ხომ მეხის დაცემა იქნებოდა ოსტატისთვის, ეს ხომ გულის განგმირვა იყო, მისი განირვა!

ბრაზმორეულმა რამდენიმე საკრავი მოისროლა და... საქართველოს მხოლოდ ოთხიოდე „ჩანგური“ შემორჩა (ერთიც ინახება მოსკოვის ხალხურ საკრავთა მუზეუმში). „ჩანგურზე“ თავის დროზე შესანიშნავად უკრავდნენ ქალბატონები ელიკო მამუკელაშვილი, მარგო ბერძნიშვილი. მახსოვს მათთან საუბრისას, რა სიყვარულით იხსენიებდნენ ძველ დროს, კონცერტებს, გამარჯვებებს და სხვ.

საკრავს ძალზე კარგად ფლობდა ფ. მახათელაშვილის ვაჟი, უდროოდ გარდაცვლილი მუსიკოსი, სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო სადირიქორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ანსამბლ „ნინანდლის“ წევრი – ნუგზარ მახათელაშვილი, თელავის მკვიდრი, უპატიონენესი პიროვნება. მან დაამთავრა ასევე ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ნუგზარიც ყველა ხალხურ საკრავზე შესანიშნავად უკრავდა (ასევე ფორტეპიანოზე). მან ჩამოაყალიბა ლაგოდების 120 კაციანი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც მალევე გაითქვა სახელი. ის იყო ასევე მუსიკალური აღზრდის მეთოდისტი, შესანიშნავი პედაგოგი. ნუგზარის მეუღლე, უმაღლესი განათლებით (ქართული სასმელების პროფესიონალი ტექნოლოგი), ასევე სამუსიკო ათწლედის კურსდამთავრებული, დღესაც დიდი გატაცებით უკრავს ფორტეპიანოზე, როგორც პოპულარულ მელოდიებს, ასევე კლასიკას. მის საყვარელ საკრავზე ყოველთვისაა დახვავებული ძველი, ასევე ახლად გადაბეჭდილი ნოტები.

ფ. მახათელაშვილის ქალიშვილი, ხანი,

დაოჯახებული, ცხოვრობს მესტიაში (იქ იყო სკოლის დირექტორი, ხან სასწავლო ნაწილი, ასწავლიდა რუსულ ენას და ლიტერატურას).

ახლა მოგიყვებით ამბავს, რომელიც მიამბო ჩემმა უნიჭიერესმა კოლეგამ, პიანისტმა ციცინი მარკოზაშვილმა: „ორი წლის წინ, მიცვალებულების დღეს, ჩემი გარდაცვლილი ოჯახის წევრების საფლავს ვაწესრიგებდი და, უცბად, მამაკაცის რაღაც მოგუდული ხმა მომესმა. ცოტა არ იყოს, შემეშინდა. მივაყურადე, მივიხედ-მოვიხედე და დავინახე – ფირუზ მახათელაშვილის საფლავზე ჩემი ბექა ბიძინაშვილი დაბალ ხმაზე ქართულ საგალობელს გალობდაო.“

გამოჩენილ ქართველ ლოტბარს მიაგებდა პატივს, აი, როგორ ცოცხლობს ხალხის გულში კეთილი და ნიჭიერი ადამიანების ხსოვნა. მათი მამულიშვილური საქმეები დავიწყებას არ ეძლევა.

ბექას (ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად ანსამბლ „პატარა კახის“ ხელმძღვანელი, ლევან აბაშიძის, „ანდრო პაპას“ გამოზრდილი), ალბათ, მხოლოდ ჩანაწერები თუ მოუსმენია ფ. მახათელაშვილის გუნდისა (ფ. მახათელაშვილი გარდაცვლა 1970 წელს. ბექა ამ დროს დაბადებულიც არ იყო). მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ზემდინევნით იცის ამ დიდი ხელოვანის გუნდის რეპერტუარი, მოკლედ, ყველაფერი მის შესახებ. XXI საუკუნე ამის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა.

ბიძინაშვილებიც, ვასიკო კორნიენკოც, სხვა შესანიშნავი შემსრულებლები ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების, მჯერა აფასებენ ფ. მახათელაშვილის წვლილს ქართული ხალხური სიმღერის განვითარებასა და პოპულარიზაციაში და ქედს იხრიან მისი ხსოვნის წინაშე. თელაველების ყველა თაობა ყველთვის დაფასებს თავის სამაყო ლოტბარის მოღვაწეობას.

დაბოლოს, მინდა მივმართო თხოვნით ქალაქის მესვეურებს – იმ სახლზე, ერეკლეს გამზირზე, სადაც ცხოვრობდა ჩვენი სახელგანთქმული ლოტბარი, აღდგეს მემორიალური დაფა (ქუჩის რეკონსტრუქციის დროს რომ ჩამოიხსნა) ფ. მახათელაშვილის დაბადების და გარდაცვალების თარიღების მითითებით.

ასევე დაიკიდოს მემორიალური დაფა თელავის მეფე ერეკლე II-ის სახელობის I საჯარო სკოლის ფასადზე, რადგან ფირუზ მახათელაშვილი ამ სკოლის აღზრდილი და შემდგომში კი შესანიშნავი პედაგოგი და გუნდის ხელმძღვანელი იყო.





3160 ჩეიკვაძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლქ“ №2, 3,4, 2022 წ.

უკურნებელი სენიო ფარვალებულმა ჩვენში საერთო
მძიებება გარდაცვლებამდე მეუღლეს დაუძრავა, თემურისა
ამჟენი და, ამჟენი მმართებს, თვითონ ან გეტსვით და
გადაუხადეთ, მაგ ჭავლის საფლავში ნუ ჩამაყოლებთო.
ორმოწეს მერე, ოჭახში შინაარენი რომ დავიჩით,
თემურის გადასწეს მიწვალებულის დანარჩენი და დაპირეს
კონვერტით ვალი დაერწონებინათ.
ამან შეიქმნა, რა ვალი, რის ვალი!.. ხომ გახსოვთ, —
მოგვიმოუნდა ჩვენ, — მთელი სიწოდელე, სკოლის მეობ-
იდან მოყოლებული, სულ ჩემს „შაყირში“ იყო... გზამარ-
თალის დაადგა და იქიდანავ ან მასვენებსო!
ამოიხუნთქმა იჭახმა, უხმორით.

ვ. ჩხილაძე

გვირაპი

(რომანი)

* * *

„შუბი და თოხი ერთმანეთთან ვერ მოდი-
ან, თომა, ან ერთი უნდა გეჭიროს, ან – მეორე:
აკი წმინდა წიგნიც გვმოძღვრავს, ორი ბატონის
მსახურება არავის შეუძლიაოა“.

„მერე, თუ არ შეგიძლია, მშიერ-მწყურვალ-
მა უნდა იარო?.. როგორც თქვენ შემახსენეთ, იქ
ისიც არის ნათქვამი, ოფლითა შენითაო“.

„განა შუბმა ოფლი არ იცის?.. რაც მე ოფლი
მიღვრია!“

„ეგ ის ოფლი არ არის, ჯეჯილს რომ ამოიყ-
ვანს... შუბის დანგრეული მინახავს, აშენებულის
– რა მოგახსენოთ!“

„აბა, ჰამურაბის, ქსერქსეს, მაკედონელის,
კეისრის და, ბოლოს, თქვენი მონა-მორჩილის,
შუბებს ალარაფერი უკეთებიათ?!“

„თოხს რომ არ კეთებინა, არც ეგენი, ვინც
ჩამოთვალე და არც მაგათი სახსენებელი არ
იქნებოდა... ფენჯაბში, დიდმა ჰაჯიმ ალექსან-
დრეს სწორედ ჩემნაირ მინის კაცზე მიუთითა,
ეს შენზე საშიში დამპყრობელია, რადგან თოხით
მოდისო“.

„როგორ, ლაშქრობაში თოხი ეჭირა?!“

„არა, ბატონი, ნაჯაფარ ხელებზე დახედა
თუ არა, იცნო... ასეა, ალექსანდრე, დაგვიპყრობ,
მაგრამ, ადრე თუ გვიან, ნახვალ! ეს კი, თუ ფეს-
ვი გაიდგა, მოედო, გაიბარჯდა, ველარავინ ამო-
ძირკვავსო“.

„მერე, ალექსანდრემ რაო?“

„მაშ, რაზე ვწვალობდი, ამხელა ჯარი რომ
გავწვრთენი, შევაიარალე, ნამომეყვანა თოხ-
იანების ლეგიონებით, – ინანა ალექსანდრემ, მა-
გრამ რალა დროს... ბოლოს ბრძენს ესლა მიუგო,

მაკედონელი რომ არ ვყოფილიყავი, თქვენს ადგ-
ილას ყოფნას ვინატრებდიო“.

„ეგ იმას უთხრა, გაგანია შუადღითაც კი,
ლამპარით რომ დადიოდა, კაცს ვეძებო!“

„სანყალი!.. ადამიანი შეუძლებელს არ უნდა
შეეჭიდო... მეც შემხვედრიან ისეთები, თავიდან
სხვათა სამსახურში რომ ათენ-ალამებდნენ!“

„ასეა, დამწყები კვერცხისმდებელი დედლე-
ბი წვრილით იწყებენ და მერე მოუმსხვილებენ!“

„ადამიანები პირიქით, მერე და მერე შეი-
ძლება დაუწვრილონ კიდევაც... ჩვენ კი, ვითომც
არაფერი, წვრილსაც და მსხვილსაც განურჩევ-
ლად ერთნაირად ვფუთავთ“.

„აირებსა და სხვა ათას უბედურებაში
დედამიწაც კარგად შევფუთეთ“.

„გვინდა უფალს თვალი ავუხვიოთ!“

„მეც არ მიკვირს, ჩემნები გზას რატომ ველ-
არ იგნებს-მეთქი!“

„ჰოდა, მაგრადაც გავუტიეთ, ცოდვას ჩა-
ვდივართ და თითს უდანაშაულოსეენ ვიშვერთ!“

„შენი ნათქვამი იმ დედაკაცებს მაგონებს,
სხვისი ჩასახული ნაყოფი სხვას რომ უნდათ
შეასალონ!“

„ეგეთი ცოდვით მოსილი ხომ თქვენს უკან
დგას!“

„შენა, თომა?“

„არა, ბატონი, ჩემს სახედარზე მოგახსენ-
ებთ, დანამდევილებით ვიცი, რასაც ჩემი ორი
თვალით შევსწრებივარ, ჭალაში, პასტორის ვირი
მენისქვილის სახედარს ღუნავდა, რის შედგო-
მაც, ეს ჩემს ხელში სვეგამნარებული დაიბადა,
მამობას კი დალაქის დიდყურას ულოცავდნენ!..
ჩვენს სასომიხდილ ბესტაეთშიც ასეა – იმდე-
ნი გაუკვეველი სისხლისა და ნარმომავლობის



ნაბიჭვარი დაგროვდა, უჯიშო და კეთილშობილი ველარ გაარჩიეს; თაღლითები ერკემლად გაიძლოლიეს და აკი ქვეყანაც გადაჩეხებეს... სხვათა შორის, ბატონო, ზემოთ დალაქზე რომ მოგახსენეთ, ეგრე ვყავდით განეპივრებული, ოჯახ-ოჯახ დადიოდა, იცოდა, ვის როდის აგვეჯაგრებოდა ყბები და სხვა ადგილებიც... ყბებზე სამართებლით, „სხვა ადგილებში“ ეკი დუქარდით მუშაობდა, მოთიბულს ტუკებად კონავდა და „მოსავალი“ ჩრდილო აფრიკელ ვაჭრებს მიჰქონდათ“.

„იმათ რად უნდოდათ?“

„ვაჭრების თანამემამულები ყიდულობდნენ, გამძლეობისთვის საალიზე თიხას ურევდნენ... ჰოდა, იმას ვამბობდი, თქვენი სათაყვანო ბესტაეთის დაქცევის ამბავი რომ გსმენოდათ, ამ არსათკენ მომავალ გზას არ დავადგებოდით“.

„საარქივო საცავებში ქექვით, მართალია, ძვლები არ გამომია, მაგრამ ყური მაინც ხომ უნდა მომეკრა“.

„სად გეცალათ, ბატონო, ხან ქარის წისქვილებს ებრძოდით, ხან მეჯოგებს და მეფუნდუკებს გვერდებს აუეუკინებდით, ან სარაინდო რომანების აბდაუბდაში გაბმული, თვალებს იწყალებდით, ვიდრე ერთ, არცთუ სახელოვან რომანში, თქვენც არ ჩაგააგვირისტეს და ჩაგაბეტონეს, ჩემთან ერთად, რა თქმა უნდა!.. იმის მერე მოდიან, გოდების კედელივით, თავს გიხათქუნებენ, რათა გაარკვიონ, მტკნარი გიუი ხართ თუ ჭკვიანისაც რამე გცხიათ... მოისვენებდნენ, ორი სიტყვა მაინც რომ ამოშაქროთ“.


„ჩემი ამოშაქრა რა, გულგვამს დაუტკბობთ?“

„არა, ცნობისმოყვარეობას!.. არ იცით, ადამიანთა მოდგმა, რომელსაც, მაქვს პატივი, ვეკუთვნოდე, იმთავითვე ისეთი გამოუსწორებელი ცნობისმოყვარეა, პატარა, შეუმჩნეველი, ცერა თითის სამყოფი ნახვრეტიც რომ ნახოს, მისდგება და აგანიერებს და აგანიერებს“.

„როგორც შენი სახედარი“. უხერხულია, ბატონო, მიდი-მოდიან, ზოგი რამ უნდა შეფარვით ითქვას... აგე, იღვიძებენ ჩენი მტერ-მოყვარენი!“

„არ გაუკვირდებათ, ეგენიც ხომ თავისი კეთილდღეობის სოროს აგანიერებენ და აგანიერებენ! თანაც, ჩემს გარეშემო ისეთიც არავინ მეგულება, ზრდილობის გამო მაინც რომ მოვუბოდიშო, რა თქმა უნდა, იმ ჩემი საოცნებოს გარდა, ამ ურცხვთა ჯოჯოხეთში უცხო ყვავილივით რომ ღალანებს“.

„ეგეთი, პატიება რომ ვთხოვო და იმისი



3ანო ჩეიკვაპი

თანაგრძნობის იმედი მქონდეს, არც მე მეგულება ვინმე, ჩემი პატიოსანი სახედრის გარდა, აქამდე ერთგულად რომ დამაჩაქჩაქებს, უსაყვედუროდ იტანს წკეპლას და შიმშილს... ხანდახან ესეც სამშობლო მგონია, ხმის ამოულებლად, თავდახრით რომ მიგვაჩინდრიებს, გვიტანს და გვითმენს... განა ერთხელ მაინც ჩაგვიხედავს მის ცრემლიან, მოსაყვედურე თვალებში?“

„კარგი, არ ამატირო, თომა!.. თუ რამე უჭირს, ამოიყროყინოს და მორჩის!“

„სამშობლომ, ბატონო?“

„არა, სახედარმა!“

„თქვენც ამოიყროყინეთ, შვილებმა გალოვილი თითივით მშრალზე რომ დაგსვეს, მაგრამ ყური ვინ გიგდოთ!“

„მხოლოდ შენ, ჩემო კენტებრიელო, ერთგულო ლორდო... ყური რომ არ დაგიგდე, სმენა რამ დამიხშო! ერთი ტოტი იყავი, რომელზეც ვეკიდე და ისიც მოვტეხე... აკი, დედამინის გულიც კი შეათრთოლა და შეძრა ჩემი დახეთქების ექიმ... ხომ მომეზლო სამაგიერო, ხომ ვინატრე მამის თესლი უნაყოფობის ლპობით დასხეულებულიყო, რათა თანამეცხედრეს ეს ძუკნები არ დაეყარა!.. ჩემს ყმანვილკაცობაში, სამეფო კარზე ჯადოსანი მკურნალი გვყავდა – შხამით დაგესლილს ისევ გველის შხამით შველოდა... ესენი, არა, ფრჩხილიც რომ გაგრან, მითუმეტეს, კბილითა და ენისწვერითაც თუ მოგწვდნენ, ჯოჯოხეთს მოგანატრებენ!.. შენ იცოდი, მისიზმრე კიდევაც, რაც მელოდებოდა, მაგრამ ვინ დაგიკერა! ჭეუა ხომ მაშინ გვეძლევა, როდესაც უკვე აღარ გვჭირდება და ნარმოიდგინე, ზედმეტი ბარგიც კია – მივაფურთხე შენს ერთგულებას, დავუყარე ძუკნებს თვალ-მარგალიტი, დავივინყე ღორის ბუნება“.

„თქვენი ერთგული, დიახაც ვარ, მაგრამ კენტებრიელი, თანაც ლორდი? მისი მსგავსი, ჩემი ნეხვიანი კარ-მიდამოს ახლო-მახლოც კი არავინ მეგულება – მე ერთი გამოუსწორებელი გლეხუჭა ვარ, გუბერნატორის კვერთხმა და მოსასხამმაც ვერ მიშველა – იმ ძვირფას შესამოსელში, როგორი ტილიანიც შევძერი, ისეთივე მკედნარდახვეული გამოვძერი... ძნელია ტანზე დღედაღაბ მათი აბეზარი, ციცქა ფეხების ცაცუნის ატანა, მაგრამ სიფხიზლისთვის ბადალი არ მოეძებნებათ... საამაყოც კია, მათი ძეჯითობის წყალობით, გლეხის მყრალ და ჯიუტ ბუნებას აზიზობის ჭუჭყს რომ არ აკარებ“.

„მაგდენს რომ ითმენ, ალბათ, გულმონებლებით მოგდის!“





„აბა რას ბრძანებთ – მოდგმას, მე რომ ვე-
კუთვნი და, რომელიც ერთ მუჭა მებენარსაც კი
სასესხებლად ვერ გაიმეტებს, დიდი უნამუსო-
ბა იქნება, გულმოწყალება მოსთხოვო! ეგეთე-
ბი ვართ, ჩემი ვირუკასავით ფეხი თუ მივადგ-
ით... თავისნათქვამა ხასიათის დუღაბი რომ
მოაკლდა, იმიტომ ნაიქცა ბესტაეთი... მოკლედ,
ჩვენ ძილგატებილი, გამუდმებით მოფუსფუსე
ტილების მწყემსი ვართ – მსურველები საყიდ-
ლად იმას მიაკითხავენ, ვისაც მოჭარბებული
„ფარა“ დაუდის“.

„იმათ შორის ისეთი მწყემსებიც ხომ გამო-
ერევიან, რომლებიც არა ჰყიდიან, უფასოდ გას-
ცემენ და თავისთვის, მხოლოდ ძირგახვრეტილ
ჩემიას და პატივახდილ გვირგვინს იტოვებენ?“

„თითო-ოროლა გამოერევა ასეთებიც, აქა-
იქა, ხამუშ-ხამუშ“.

„უბედურ მონარქებს თავიანთი უბედურება
არ ეყოფათ, შენც რომ არ დასცინო, ტილების ბა-
ზიერო?“

„რა ვქნა, ბატონო, სიტყვა „ცნობისმოყ-
ვარე“ ნემსის წვერივითაა – სად არ შეძრება...
დასცინითო, რომ ბრძანებთ – როცა ხედავ, გა-
რეშემო ყველა მატყუარაა; ამ ტყუილს შენც მა-
დიანად კი ნუ შეეცევი, იმათ აჭამე, ხელუულმა,
ვინც სიცრუით თვალები დაგილიბრა, მეორედ
რომ აღარ გაგიბედონ“.

„ეჰ, ვერც მიბედავდნენ, მაშინ მთელ ცენ-
ტურიას შევებმეოდი, ახლა კი“.

„პატარა ხომ აღარ ბრძანდებით, ჭკუა-გონე-
ბა მოგემატათ და უკანდახევა ისწავლეთ!“

„ჭკუა-გონება რა შუაშია, მე ახალგაზრ-
დულ შემართებასა და გამბედაობაზე გავაკეთ
აქცენტი“.

„ასკაციან ლეგიონს მარტოდმარტო შერკი-
ნებას რომ გაუბედავს, იმას ჭკუა-გონების რამე
მოეკითხება?!“

„შენსას მაინც არ იშლი. შეუშვი ანდალუსი-
ოს მზით გამოხრუულ თავში, რომ რაღაცა თუ
გეძლევა, რაღაც გერთმევა კიდევაც! იღლიებში,
სადაც საჯიშე მკბენარსა ზრდი, ამაოდ დაუწყებ
ძებნას თავრიზულ შაქარყინულს!“

„რახათლუხუმი სჯობია!“

„არც მე დავიწუნებდი!.. სად შევჩერდით?“

„შევჩერდით კი არა, გაქაფულები მივჭენაობთ“. „სიტყვა, თომა, რომელ სიტყვასთან დავს-
ვით პაუზა... საშველად იმისკენ კი არ გარბიან,
ვინც სიღატაკის კუპრში იხრჩიბა,

— ვინც სიმდიდრის აუზში ნებივრობს და
ყურყუმელაობს... ეგებ რამე მოგვეხახვოსო“.

„სწორედაც იქცევიან, აბა, სილატაკის მიხ-
ახვება რაში სჭირდებათ, თავისიც ყოფნით!..
გუდამშიერ იდალგოსკენ რომ გამოვიქეცი, რა
ვიხეირე, ჩემს გაჭირვებას, თქვენი გაჭირვება
დავაკერე“.

„სახელი რომ იშოვე, ეგ არაფერი?!“

„სახელი თორემ, მას მერე, ჩემი ვირის
სანეხველადან, სულ ბაჯალლო თვალ-მარგალი-
ტი ცეივა!.. ამდენი ხანია, დამატარებთ და ჩემს
დედაკაც-საფრთხობელას რომ გამომარიდეთ,
ამაზე მეტი სიკეთე არ მინახავს“.

„მერე ეგ ცოტაა?“

„არც იმდენი, ცარიელი სტომაქი რომ და-
მისაბალნოს... უფალს არ დაუბარებია, მთლად
უპუროდ ცხონდითო... საჭირო რომ ყოფილიყო,
მეთერთმეტე მცნებად ვერ დაგვიტოვებდა?!
თვლა არ იცოდა თუ ინტეგრალები“.

„ვგონებ, ინტეგრალები მთლად მოხერხებ-
ულად ვერ გაიადვოკატე... ერთ ხელმოჭერილ
გაესპანელებულ სიცოლიელ ვაჭარს ვიცნობდი...
რამდენი სრა-სასახლე დადგა, დაამშვენა, იმის
ნალკოგში ხელჩანგიანი სირინოზებიც კი და-
გოგმანობდნენ და ნახე, თომა, ბედის სიმუხთლე
– ფეხი ფეხზე რომ უნდა გადაედო, დამტკბარი-
ყო, რაც თავისი გამჭრიახობით, სიძუნნით, თაღ-
ლითობით, მოტყუებით მოითავხელა, სწორედ
მაშინ გაჭიმა ის ფეხები, ზემოთ რომ ვახსენე“.

„აფსუს!.. ამხელა ქონებას უყაირათო სულე-
ლი ვერ დააგროვებდა და რატომ არ დაფიქრდა,
სადაც სიცოცხლეა, სიკვდილიც იქვე, შერიახ-
ლო რომ დასუნსულებს მშერი აფთარივით და
თავის დროს ელოდება?!“

„შენი არ გამკვირვებია?! – ვინც ჯოჯოხე-
თის ესკუდოს ბრჭყვიალებით ტომრების ავსე-
ბას შეუდგება, წუთისოფლის ნარმავლობაზე
დასაფიქრებლად სადა სცალია!.. უკეთურთა
ფეხის ხმას არ უნდა აჲყვე! სამოცდამეთორმეტე
ფსალმუნიც გვაფრთხილებს, კინაღამ გადაუხ-
ვის ჩემმა ფეხებმა, კინაღამ ნაბიჯი მომიცურ-
და, კინაღამ შემშურდა მედროვეთა კეთილდღე-
ობის, რადგან სიკვდილამდე არაფერი ანუხებთ
და ჯანმრთელები არიანო!“

„მოიცათ, მოიცათ, ეგ სამოცდამეთორმეტე-
ტეა, თუ... აბა ერთი, ჩავხედო ჩემი ტვინის
ხვეულებს“.

„მაოცებ, თომა, განა შენი ტვინი იმხელაა,
რომ ხვეულებიც აქვს?! იქნებ, ლაბირინთები
და დაუსრულებელი, მიხეულ-მოხვეული გზა-
ნვრილებიც?“

„დაცინვას, კაცი კი არა, სპილოც მოუკლავ-
სო, თქვენგან მსმენია!“

„მაპატიუ... მზად ვარ ჩამოვქვეითდე და
მუხლი მოვიყარო... რაც შეეხება იმ ვაჭარს, ბუ-
ლასავით გამძლე და ჯანმრთელი იყო, მაგრამ
გამდიდრების ჭიამ გულ-გვამი დაუფუტუროვა“.

„ჩვენ მაგ მხრივ მაინც გაგვიმართლა –
ლატაკებს და უქონელთ, არა თუ სიცოცხლეში,
მგონი, ჭია სამარეშიც კი არ ანუხებთ... მაშ, ვინა
ვართ? ვიდრე ჩამოგვკიდებენ, რომ შეგვეკითხ-
ონ, რა ვუპასუხოთ?“





„რა და, ყოველ ნაბიჯზე სარეველასავით მოღალანე, უბრალო სულელები კი არა, მიგელ მეორეს დოკუმენტურად დასაბუთებული, ბეჭედასმული გიჟები ვართ-თქო!“

„მით უმეტეს.“

„მით უმეტეს კი არა, მით უარესი!.. ამიტომაც, სადაც მივდგებ-მოვდგებით, ყველგან ჩვენი მამა-პაპის აფრაკობის დამადასტურებელ ცნობას ნუღარ მოგვთხოვენ!“

„განა არ იციან, იმ დროს უმცირესობაში რომ ვიყავით და შეურაცხადობის ცნობებს არ გასცემდნენ?“

„იციან, მაგრამ ცუდლუტური ხრიკია. გასაგებად რომ ვთქვა, შიშობენ გამოთაყანებული საზოგადოება გიჟად არ გადაკვალიფიცირდეს.“

„აუჰ, ძლივს ამოვისუნთქე, რამსიგრძე სიტყვაა!“

„ჰო, ლამის მეც დამახრჩო, ბებერი, გამოუღეჭავი ოხრახუშივით“.

„ახლა მიპრძანეთ, გიჟი რატომ არის უკეთესი?! მასენდება, გადაღრძუებულმა მოწყალების დამოყნა, შემთხვევით, მდუღარეთი რომ აავსო, წამჟუზა, უკანალში მთუთქა და მუშტი უკბილო ნუნებში ვცეცხლე!.. მეცნენ დანარჩენები საცემრად, მაგრამ ისევ სანიტარმა დამიცვა, თავი დაანებეთ, ვერ ხედავთ, მტკნარი გიჟიაო?!!“

„ეგრე მეც შევუმეივართ, მაგრამ მტკნარი არ დაუყოლებიათ... მაში, გიჟებს სულელები რატომ ურჩევნიათო, მკითხე, იმიტომ რომ, გიჟების მორიდება და მოკრძალება აქვთ, რადგან სიბრძნესთან ჩვენზე შორს და ჩვენზე ახლოს არავინ დგას. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ორი ბატონის მსახურება“.

„აბა, მე რათა მყავს ერთი ბატონი?! არც ისე გიჟი ვარ, როგორც „მეკლიზმე“ თუ მეოყნე დედაკაცს ჰგონია?“

„დაწყნარდი, მე ხომ სამსახოვანი, ანუ სამგზის გიჟი ვარ, სვეგამნარებული მეფისა და ბელადის ჩათვლით!“

„მერე, ერთი პირი რომ გაქვთ?“

„ცხვირიც ერთი მაქვს და არამარტო ცხვირი... რა საჭიროა სამი პირსაბანი, როდესაც შეიძლება ერთიც იკმარო!.. ო, სამშობლო კი ერთი უნდა გქონდეს, ერთს უნდა ემსახურო!“

„თუ ასეა, ლამანჩელი ბესტაეთელობასაც რატომ ჩემულობთ?“

„როგორც პური გადავტეხოთ, ორივე ერთ-მანეთის ჩამონაჭერია... ბედნიერი სამშობლოს პატრონები ვერ გაიგებენ, სინამდვილეში რა არის ტანჯული და დაქუცმაცებული ქვეყნის შვილობა!“

„ღმერთო, ნუ გადამრევ! ტირით, ბატონო? ეგეთი რამ მაშინაც კი არ შემინიშნავს, საყასბოში მუშტით ხარების მხოცავი გოლიათი შუაზე

ახევას რომ გიპირებდათ. ნამდვილად ტირით-მეთქი თუ მეჩვენება?“

„რაინდებსაც სტუმრობს ზოგჯერ გულჩვილობა!“

„ეგეთი რა არის სამშობლო, თანაც შუაზე გადატეხილი, თანაც გარყვნილი, წარყვნილი, ნამხდარი, ამ ველივით გადამხმარი და უნაყოფო, თქვენი ქვა-გულიც რომ დაადნო?!!“

„შენ ის იკითხე, რა აღარ არის, თორემ... სისხლი, ცრემლი, ჯავრი, ნაღველი, ცოტა სიხარული, ბევრი სადარდელი, გულყრა, ასთმა, ტყვეობის საწამლავი, ჯანდაბა და დოზანა, ხორასნის მარილი – გულგვამის დეზინფექცია, ჭიების დასაყრელად რომ გვასმევდნენ, ბავშვობაში“.

„თუ ეგრეა საქმე, საყვარელი და გულდა-საწყვეტი რაღა აქვს? აგე, აიშალნენ ბუზანჯლები; რაც ჩამოთვალე, ეგენი ამათ, მგონი, არ უნდა ანუხებდეთ... ჭიების რა გითხრათ და, ეტყობა, მაგ მარილმა ყველა გრძნობა გამოურეცხათ... იქნება, ჩვენც გვეცადა – ჩვენით ვიძურნალოთ და მოვისვენოთ?“

„რანაირად, რამე უკეთესი იცი?“

„ვენებში თითო ოყიანი კანაფის წვენი ვიტაკოთ ანუ შევუშვათ და მერნმუნეთ, ეს ჩვენი გადახრუული, უნაყოფო მშობლიური ველი სამოთხედ მოგვეჩვენება!“

„ეტყობა, სიცხემ შენი ტვინის ხვეულებშიც ჩამოიხედა!“

„არ გინდათ და იტანჯეთ!.. ბესტაეთს სული ამოხადეს, გაბდლვნეს, გაპუტეს და თავს მაინც მშვენივრად გრძნობენ!“

„უფალი გადაუხდით, მაგათთვის სოდომ-გომორი მოგონება იქნება... ღალატი, თომა, ღალატი, ეს შავბელი კაკადუ ყველას დაუფლებია, მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა... მხოლოდ ის ერთი, ტობოს ასული, ჩემსავით ცრემლს აღვრის უბედურ სამშობლოს და მელოდება – ამ ჯოვანეთიდან როდის გამოვიხსნი... მერე გავმართავთ ქორნილს და გვექნება ჭამადი და სმადი უხვადა“.

„გისმინოთ გამჩენმა, აბა, იქ მაინც ჩავარაკრაკებ კასტილიურ „ალბასეტეს“, ოღონდ, ჩვენი მუცლების ამოსაყორთან ერთად, ესენიც არ დავივინყოთ, ბატონო, მივართვათ ქერი და შვრია, ლამაზ თოფრაკებში შეფუთული“.

„ჩვენი ოთხფეხა მეგობრები ჩვენსავით თავმდაბლები არიან და შეფუთვაზე თვალი არ ნაუგათ, შეიძლება მადაც კი დაკარგონ... აუ, ახალმოდლევებულია და უკვე როგორ დაცხა!.. ტობოს ასულს ჩაგრილებული სასმელი უხვად ექნება!“

„თუ მივაღწიეთ იქამდე!“

„ხელს რა შეგვიშლის... ბუზანჯალების ნაყარში არ გაერეოდა ჩემი მომლოდინე, კლდეზე ამონვერილი შროშანი“.

„რაღა უსუნო ყვავილს შეადარე?“





„სუნიანები ადრე ჭკნებიან!.. წარუდგაცხვრის ქურქში გახვეული ვეფხევი ტურების სამსჯავროს... ცხვარიო, ერთბაშად იღმუვლეს და მიაწვნენ და მიაწვნენ, საიდანაც შეეძლოთ, რანაირადაც შეეძლოთ და როგორც შეეძლოთ... უსმინა ბრალდებულმა, უსმინა, უსმინა და ბოლოს, უასაკო სპილოს გაუპატიურებაც რომ უნდა შეეტენათ, გადაიძრო ცხვრის ტყავი“.

„მაგ ზღაპარს თუ იგავს, რატომ მიყვებით?“

„ეს წვრილფეხობა რომ მისევია ტრიბუნაზე მიკროფონჩაბლუჯულ, ახლა თავჩაბლუნულ, ბატკანივით ვითომ მორჩილ, უცოდველ და მოშიშ არამზადას, როგორც კი წინამძღოლად აირჩევენ, მერე უნდა ნახო, როგორ მადას და კლანჭებს გამოაჩენს... იქით რა აურზაურია, მინას ვინ დაეძნებულა?“

„თანამდებობიდან გადმოვარდა, ბატონო, და იძახის, ბრძოლაში დამჭრეს!“

„ბრძოლაშიო? სად არის ბრძოლა? ჩემ შუბსაც კი ურუანტელმა დაუარა და ხელებში აღარ მიჩერდება!.. მაგრამ, ჩახაჩუხის და მომაკვდაგთა კბილთა ხრწიალი რომ არ მესმის?! არც სისხლის კვალი ეტყობა ვინმეს!“

„როცა ხედავ, კიდევ რა უშავს, რომ არ ჩანს და გებრძების, იმასთან გამკლავება ძნელი“. აგრესი, კიდევ დაეცა, ერთი, მეორე, მესამეც, მაგრამ სისხლი, სად არის, სისხლი, მრისხანები-

სა და შურისძიების გამლვიძებელი?!“

„სისხლის დაღვრას ნუ ელოდებით, აქ შეიძლება შიშისგან ვერშეავებული შარდი დაიკცეს... ესენი ენით დაჭრილები არიან, გესლიანი ენით.“

„ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ეხვენა და ევედრა, ნუ ინებებთ, ბატონო მსაჯულებო! მე არ ვარ ის, თქვენ რომ გინდათ ვიყო; მომეშვით, გამიშვით, ჩემი გზით წავიდეო! მაგრამ ვერაფერი შეასმინა ენანკლაბუნებულ „კანონმდებლებს“. რა ექნა? გადააგდო ქურქი, ზოგი სასამართლოს მაგიდას შემოაწყვიტა, ზოგსაც ხახაში გადაუძახა... მოკლედ, მოხდა ის, რაც ადამიანებში ხდება“. მაშ, შენ რალას გერჩიან, ჩრდილოეთის ბელადო! განა არ ეხვენე და ევედრე, მატარებლები ნუ აგვიანებენ, რკინიგზაზე წესრიგი ქვეყანაში უმთავრესიაო?! არ შეისმინეს თავგასულმა რკინიგზელებმა, მხოლოდ სადგურის გალოთებული, მექრთამე უფროსები კედელთან როცა მიაყენეთ, მაშინ მიხვდნენ, რომ თქვენთან ხუმრობა არ შეიძლებოდა და წამების სიზუსტით დაიწყეს მატარებლებმა განრიგით მოძრაობა... ცეცხლის ფასი იმას მოეხსენება, ვინც ალმურის შუაგულში ტრიალებს... ამათაც, ერთს შენებურად რომ შემოქროლებდე და ნახევარს მაინც ჭრეხივით მინაზე დააფენდე, მეორე ნახევარი ისევ მზემდე აზიდავდა ძველი ბესტაეთის დიდებას... მაგრამ

ახლა ისევ ლამანჩელი იდალგო ხარ და მაგ შუბის ძეგრება შეიძლება, იღლიაში შეღიტინებად ჩაგითვალონ“.

„არც ეგრეა საქმე, შენს მტკიცებულებას სამი კაცის დასტური მაინც სჭირდება... აბა, რას იტყვით, ბატონებო, ჯერი თქვენზეა!.. რაო, რასაც გადავწყვეტ, იმას დაეთანხმებით? არ გინდათ გამოტყდეთ, გულში რას ფიქრობთ, რას უარყოფთ ან რაზე ხართ თანახმა? ხომ ხედავ, თომა, როგორ მენდობიან მოწმეები? სჯერათ, სამართლიანობას რომ არ ვუდალატებ!“

„ეჭ, ქალბატონო თემიდა, ახლა ვხვდებით ვალაბევეული რატომ დაიარები, ამ მუცლით-მეზღაპრე, შენივე ნარჩევი სამართალმჩხიბავების თავადვე გრცხვენია!.. ასეა, კაცთა მოდგმას, სამართლის მათრახი გვინდა, ზურგებს აჭრელებდეს, ოღონდ, სხვას თუ გადააწნავენ, საკუთარი სალუქი ზურგი კი ამისთვის არ გვემეტება!“

„საწყენია, მაგრამ უფალმა თუ არ ინება, კაცობრიობა თავიდან ხომ ვერ იშობა!.. ისე, ძველი სემინარიელი ვარ და ვიცი: მინამ და სხეულმა, ადრე თუ გვიან, ერთმანეთი თუ ვერ იპოვეს, ორივე იტანჯება!.. იქით რა ხდება, საფიხვნოს სხდომაზე რა ხორხოცი აქვთ?“

„ჭამენ ერთმანეთს: მიცვალებულების საპატიო მოქალაქეებად არჩევის საკითხს კენჭს უყრიან“.

„განა ცოცხლები აღარ ჰყავთ?“

„ცოცხლებს მკვდრები არა სჯობია? გასამრჯელოს არ ითხოვენ და პატივს და დიდებას“. მეტავრების რომ ეს ნამდვილად ის აღთქმული ქვეყანაა, რისთვისაც ამხელა გზა გამოვიარეთ?“

„არის და არც არის!“

„მაგ ქარაგმას ენისწვერიდან შუბის წვერით ამოგნინები!“

„კი, ეგ გახლავთ, დუღცინეა, მაგრამ სხვები უცინიან!“

„ჰორი, ბედდამწვარო ჩემო თავო!“

„დამშვიდდით, სახემჭმუნვარევ, დედამინას ჯერ ისეთი დედაკაცი არ უშვია, თქვენი გულის-დაწყვეტად რომ ლირდეს“. მოგონიანი მოგელმა ნერტილი დასვა?“

„მთამომავლობა, თომა, გვარს გაგრძელება ხომ უნდა! ნუთუ იქ უნდა დასრულდეს ჩემი უიღბლო რომანი, სადაც ბატისთამოლერებულმა დონ მიგელმა ნერტილი დასვა?“

„რად გინდათ, ბატონო, არ გებრალებათ თქვენი მომავალი მემკვიდრენი, თითს რომ მიაშვერენ, იმის თესლის ნაყოფია, ვინც უკიდეგანო ჭკუს შემლილობას ძეგლი დაუდგაო?“

„ნეტავი, ამ ბოლდარა ბრბოს სიჭკვიანე ჩემს სიგიურე უკეთესია?“

„რა თქმა უნდა, უკეთესია, რამდენიმე მიზეზის გამო“. ამათაც, ერთს შენებურად რომ შემოქროლებდე და ნახევარს მაინც ჭრეხივით მინაზე დააფენდე, მეორე ნახევარი ისევ მზემდე აზიდავდა ძველი ბესტაეთის დიდებას... მაგრამ





„აბა, ერთი მაინც ამოშაქრე!.. ჩქარა, თორემ შუბის წვერს ველარ ვაკავებ!“

„მაგათი სიჭკვიანე თქვენ სიგიურეზე უარესია!“

„გულით ასე ფიქრობ თუ თვალთმაქცობ, როგორც, ხშირად არა, მაგრამ უამიდანუამ გჩვევია ხოლმე?“

„ჩემი სახედრის ჩონჩორიკს გეფიცებით!“

„ფიცი დამაჯერებელია, თუმცა, სიცხეში ზედმეტად აქოთდა და ამაზრზენი სუნი ასდის“. „მე უსუნო სიმართლე არ ვიცი და არცა მსმენია; მისი პირუთვნელობის ეშხი და ლაზათი სწორედ სუნის სიმძაფრეშია!“

„კარგად უბნობ, მაგრამ აյი გითხარი, მაგ სახედარივით თუ დაგჭირდა, ტყუილები შენც მაგრად გაგდის“. „შეიძლება, ხამუშ-ხამუშ, მაგრამ ახლა ტყუილის თქმა რა ხეირს შემყრის? თანაც, განა თქვენ მიმართ, ოდესმე, ისეთი უპატივებელი ცოდვა ჩამიდენია, მონანიება რომ არ შეიძლებოდეს?!“

„დავფიქრდი და დამიმძიმდა გული – ახლა მივხვდი, შენს მიმართ ამოუხსნელი სევდა რატომ მტანჯავდა“. „მადლობა, ბატონო!.. ჩემი მადლობაც ისეთი გულწრფელია, როგორც არასდროს!.. გვისმენდნენ მაინც ჩემი ულირსი ძმები!“

„რატომულირსი, განა ეგეთი რა შესცოდეს?“ „მეტი რა უნდა შეეცოდათ, მიმტკიცებენ, გინდა თუ არა, ჩენება ცოლებმა გვშობესო!“

„ეგ რა თქვი? მართალია, როგორც დედები, ისინიც ქალები არიან, მაგრამ, როგორ თომა: ჯერ გვშობეს და მერე შეგვირთეს, თუ ჯერ შეგვირთეს და მერე გვშობესო?“

„უფრო თქვენი დასკვნის მეორე ქვეთავს აწვებიან – ჯერ რომ არ შევერთეთ, ხომ არც ჩავესახებოდითო! ქალებიც კვერს უკრავენ, რაც ჩენ ამათზე სამშობიარო ტკივილებმა გვტანჯესო“. „შენს დედაკაცს ეგეთი რამ ხომ არ უკადრებია?“

„იკადრებდა და..“. „აგე, გაიგონა და გამოაშეუილა საარაყე ქვაბის ზარფუში!“

„ჩამოვქვეითდეთ, თორემ ბესტაეთელებს სახრჩობელები ოხრად დარჩებათ“. „მგონი, გადავრჩით!.. ისე, რომ ვუფიქრდები, შენი ძმები მართლები უნდა იყვნენ, თითქმის ანდა ულაპარაკოდ... ნამდვილი დედის მუცლიდან რაც დაჰყვათ, თუკი აღარაფერი აღარ ახსოვთ, მონიფულობაში ძუძუ ვინც მიაწოდათ, ისინი იმშობლეს“. „ბატონო, მეგონა, ჩემი ნათქვამი გაგიკვირდებოდათ“. „ეჱ, ჩემო თომა, კაცობრიობამ თვალი რომ

გაახილა, იქიდან მოყოლებული, რაც უნდა მოხდეს, ადამიანს არაფერი უკვირს. შეიძლება ცოტა გაიოცოს, მაგრამ მცირე ხნით... ამიტომ ყველაფერი, ვითომ ხდება, ვითომ გვწყინს, ვითომ გვტკივა, ვითომ გვტანჯავს, ის ტკივილიც კი, რომელიც ჩვენ არ განგვიცდია... ნინანი უკანას გამოღეჭილ კურკებს ისვრიან... ყველა გაკვეთილი მოსმენილია! თუ დაგვაცინებენ, რაც შემორჩა ჩვენს გონებას, თორემ, ახალს, გაუგონარსა და განუცდელს, რაღას გვასწავლიან?!“

„ესე იგი ჩვენი გარყვნა მეტად აღარ შეიძლება?“

„მეტად შეიძლება, ნაკლებად – არა... აი, ის, ლიცენციატი დონ ალფონსო ხომ გახსოვს?“

„გეტყოდით არა-მეთქი, მაგრამ არ დამოკერებთ“. „როგორც გინდა, ისე მითხარი, ვერც უარსა და ვერც თანხმობაში დიდ სარგებელს მინც ვერ ნახავ... იმ ალფონსოს ძმებს ცოლებმა სქესი შეუცვალეს..“

„დაკოდეს?“

„დიახ!.. რატომაო, იკითხავ მიზეზს – სხვებთან რომ არ ედალატათ, იმიტომ!“

„ალბათ, ბესტაეთელებმაც სამშობლო იმიტომ გაათახსირეს, მტრებს თვალი რომ არ გამოეცეთ!“

„მტრებს თვალი გამოექცევათ თუ არა, ვერ გეტყვი, მაგრამ მშობლიური მინა-წყლიდან თვითონ კი უკანმოუხედავად გარბიან“. „აგე, აგე, ტრიბუნაზე ამხედრებული, იმ დორბლისმფრქვეველი გომბეშოს გამო!“

„მიკვირს, გვალვებით გადახრუკულ ბესტაეთში, გომბეშომ საიდან ამოყვინთა!“

„ეტყობა, ბესტაეთზე თვალისდამდგმელებმა აუზით ჩამოაბრძანეს, რომ ეს ციცქნა ქვეყანა კიდევ უფრო აამტუტოს და შემოანაკუნოს“. „ეგეთი სიტყვათნარმოება პირველად მესმის! შემოკრეჭა კიდევ ჰო...“

„ახლა ბესტაეთში ისეთი ცოდვის კითხვა ტრიალებს...“

„ეს ამ გომბეშო ენა?“

„არ იზამდა, არამზადა?!“

„მაშ, რაღას ველოდებით, ერთი გომბეშოს გამოფაშვა რა პრობლემაა, თუ მთელ ბესტაეთს ეშველება!“

„ეჱ, და კიდევ, ეჱ, ჩემო ბატონო, ეგ გომბეშო იმდენსახოვანია, ვერ დავითვლით... მაგნაირებმა გადააბნელეს აღმოსავლეთ-დასავლეთის ცის კაბადონი... ეგენი, კომბლების ველზე, იანგვერელი მეჯოგები არ გეგონოთ, ამათთან მხოლოდ გვერდების დაზელით ვერ გადავრჩით!.. გავერიდოთ, გევედრებით!“

„რას მოვესნარი! როდის მიჩვენებია უმსგავსთათვის ზურგი!“

„დაზოგეთ თქვენი შემართება, ბატონო,





ერთმანეთზე უარესები ბრტყვნიან ბესტაეთს, რაღა თქმა უნდა, თუ კიდევ შერჩა, ღინდლო მაინც, გამოსაპუტი“.

„აფსუს, ერთ დროს სამყაროს ცერზე შემომჯდარო, ლალო ფრინველო!“

„თქვენ ბესტაეთის სამუზეუმე ფიტულზე ბრძანებთ? ყველაფერი ძველებურზე უფრო ცუდად გახლავთ! რა შეიცვალა? ვითარცა ძველი სალაყბო, ახალიც ისე აღაპობს... გაცლა სჯობს-მეთქი!“

„მას შემდეგ, რაც დედის მუცლის ტყვეობიდან თავი დავიხსენით, იმის დარდით, უკან რომ არ დაგვაბრუნონ, გამუდმებით გავრბივართ, გავრბივართ... მდგომარეობა, იქნებ, არც ისე საშიშია, როგორც ასურათხატებ?“

„ამ სახრჩობელების შემხედვარეს, რომელთაგან ერთი სხორცედ თქვენს თარგზეა „გამოჭრილი“, რაღა დასურათხატება სჭირდება?“

„კი, კი, წესით არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ..“

„არა-მეთქი, უკვე მოგახსენეთ!“

* * *

მამფი: – სტილი და ენა კი მოუწონეთ, ბატონო ნიკა, მაგრამ სხვა „ენაც“ რომ არა ჰქონიდა, საჩივრის შემოქმედს, უკეთესი არ იქნებოდა?.. კაი გამარჯობა, ჯემალ!.. ფანჩატურში არ შემოგვივლი? ადრიანად წამოსულხარ დედაქალაქიდან!

ვახტანგი: – რა ხდება იქით, აბა, დაგვაყარე ცხელ-ცხელი ამბები!

ჯემალი: – მეც, ახლა, კარგის მაცნე არ ვიყო!

ნიკა: – რა მოხდა, ეგეთი?

ჯემალი: – პროკურორმა სასჯელის უმალლესი ზომა მოითხოვა.

ვახტანგი: – თვითმფრინავის ბიჭების?

ჯემალი: – ჰო, ხალხი თავის ჭკუაზე აღარ არის.

დემნა: – რაო, რა თქვა?

ნიკა: – პროკურორმა დახვრეტა მოითხოვა!

მამფი – პროკურორმა კი არა, ხელისუფლებამ... პარტიის დაკვეთაა, ალბათ!

ჯემალი: – რა თქმა უნდა, საბჭოთა სასამართლოში ხომ ხელისუფალია დამხვრეტიც და შემწყალებელიც...

ექიმი: – როგორ, ხალხის აზრს ანგარიშს არ გაუწევენ?

მამფი: – მგონი, არ იზამენ... სსრკ-დან ყოველდღე ვიღაც გარბის, ხან ფეხით, ხან თვითმფრინავით, ხან ტანკით... უფრო მეტი, ოცნების ხალ-

იჩით... არავინ დაუხვრეტიათ და მაინცდამაინც ამ ბავშვებს განირავენ?

ჯემალი: – შევა განცხადებები მთავრობაში, თხოვნით...

ლადო: – თუ პირველმა არ მოინდომა, ამოსვამენ იმ თხოვნებს ერთ ადგილას.

ვახტანგი: – მაინც არ მგონია, ამდენი ახალგაზრდა განირობა...

ექიმი: – ისე, ჩვენთვის ვთქვათ და, იმათაც არ უნდა ექნათ... აბა, ჩვენ და ჩვენი ოჯახის წევრები წარმოვიდგინოთ, მაგ დროს, თვითმფრინავში...

ლადო: – ახალგაზრდებმა ზოგჯერ იციან გაუცნობიერებლად მოუზომავი ბოროტი ხუმრობა.

მამფი: – ვინ ამართლებს მაგათ საქციელს, მაგრამ არ უნდა შექმნა ისეთი სახელმწიფო, რომ შენს მოქალაქეებს გაქცევა მოანდომო!

ექიმი: – მაგრამ ამ ფორმით?! წადი, დალოცვილო, ტურისტულ მოგზაურობაში და დარჩი!

მამფი: – ახალგაზრდული სითამამით მოუვიდათ, პროტესტი ასე გამოხატეს, კარის გაჯახუნება მოინდომეს!

ჯემალი: – ხვალ ისევ ვბრუნდები თბილისში, ჩვენი განცხადებაც ხომ არ შევიტანოთ კანცელარიაში, პატიების თაობაზე?

მამფი: – უეჭველად, მაგას კითხვა უნდა?

ჯემალი: – მაშინ, ერთი რამეც მინდა გთხ-



მხატვარი სოფიო ჭელიძე





ოვოთ – შევკრიბოთ დანარჩენებიც, ასაკით უფროსები, რა თქმა უნდა! დავურიგოთ ფურცლები და ამ ჩემს ძვირფას ქუდში „კენჭები“ ჩავყაროთ, რომელებზეც ეწერება „ჰო“ ან „არა“.

ლადო: – რა „ჰო“ ან „არა“?

ჯემალი: – გავიგებთ, ვინმე თუ ეთანხმება პროცესორის მოთხოვნას.

ვახტანგი: – კი ბატონო, მაგრამ ვინ არ იქნება დახვრეტის წინააღმდეგი... ზედმეტი მგონია ეგ პროცედურა!

ნიკა: – ვცადოთ, მაინც... ნამდვილად საინტერესოა!

სხვებსაც დავუძახეთ, დავანაწილეთ ფურცლის ნაკუნძები, ჩავატარეთ „ხმის“ მიცემის პროცედურა და ჯემალის სვანური ქუდი ლამის ავავსეთ „კენჭებით“. ჯემალმა აიღო ქუდი და წასვლა დააპირა.

მამფი: – სად მიგაქვს, არ დავთვალოთ, არ გავიგოთ შედეგი?

ჯემალი: – მაგაზე არ შეგანუხებთ, მე დავთვლი და შედეგებს ნასაფილევს მოგახსენებთ!

ჯემალი არც სადილზე და არც ვახშამზე არ გამოჩენილა. უკვე მთვლემდა, ფანჯარაზე რომ მომიკაუნა, თუ კაცი ხარ, ცოტა ხანს გამოიხდეო.

მეც გავიხედე.

ჯემალი: – ხომ იცი, სიგარეტის მოწევას ორი კვირაა, თავი დავანებე...

მე: – მერე, ისევ რატომ დაიწყე, მოხდა რამე?

ჯემალი: – კი, მოხდა!

მე: – რა ქენი, ხმები დაითვალე?

ჯემალი: – დათვლა რომ დავიწყე, პირველივე „კენჭი“ პროცესორის მოთხოვნას ეთანხმებოდა...

მე: – დანარჩენები?

ჯემალი: – დანარჩენები აღარ ვნახე, გაზეთში გავახვივ და დავწვი... შემშენდა, ასეთები სხვებიც არ აღმოჩენილიყო!.. და, კიდევ უფრო უარესი – ახლა ფოსტიდან ამოვედი...

მე: – ამ შეუძლამისას?

ჯემალი: – ჰო, მეუღლეს ველაპარაკე... კრემლიდან დასტურია — ბიჭებს ველარანაირი შუამდგომლობა ვეღარ იხსნით.

ახსოვს ფანჩატურს ეს ყველაფერი. სხვა ბევრი რამეც. მერე ისეთი დრო დადგა, ვიღას უკვირდა ან დახვრეტა ან ქვეყნიდან გაქცევ-გამოქცევა.

„ორთოდოქსმა“ კომუნისტებმა ჯერ ცხრა აპრილი და რუსთაველის სამარცხვინო ომი შემოგვძლებეს, ვითომ იმპერიის გადსარჩენად, მაგრამ მალე თვითონ დაიწყეს იმ საკეტების მსხვერვა, რასაც „თვითმფრინავის ბიჭები“ და კიდევ სხვა მრავალი შეენირა; ნათელი მომავლისკენ „მიმავლებმა“ გვირაბში მიგვატოვეს,

უცებ იცვალეს ორიენტაცია, გეზი და შუა ევროპაში გაწოლილ დრაკონს – ბერლინის კედელს – თავისი ხელით დააცალეს „ებილები“.

მაშინ კი, მაშინ „მწერფონდის“ მორღვეული ლობებით შემოსაზღვრული აგარაკი, ხშირად სამეზობლოს ღორებით, საქონლით, ქათმებით აკლებული, თავისი კოტეჯებით, საძინებელი კორპუსით, სასადილოთი, ბიბლიოთეკით, მემორიალური სახლით, ჯერ კიდევ მაინც ხალისიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. ფანჩატურში, როგორც კი ფილარმონიის მსახიობი, ახესალომგ. გამოჩენდებოდა, დიდ-პატარა მაშინვე მის გარეშემო იკრიბებოდა. იმიტატორი, ანეკდოტების შემდეგ, სერიოზულ თემებზეც გადადიოდა:

— იცით, აქაურობას რა ხალხი ახსოვს? მთავარი გზიდან, როგორც კი ეტლები გადმოუხვევდნენ, მოყურადე მომსახურე ბიჭი მაშინვე აიმ ცაცხვზე ავარდებოდა ხოლმე, ხელს მოიჩრდილებდა და დაბლა მყოფებს გადმოსახებდა, კი, ბატონები ნამდვილად უკვე მოდიანო.

რა იცი, რომ ბატონები მობრძანდებიანო, ასძახებდა ვიღაც. მაგას რა ცოდნა უნდა, აბა ჩემნაირ გლახაკებს ისეთ ფაეტონებს ვინ მიაშავებსო და ატყდებოდა, მაგრამ რა ატყდებოდა!

სტუმრებიც, თითქოს განგებ, მასპინძლებისთვის რომ ეცლიათ, დრო მიეცათ მოსამზადებლად, ნელა შემოუყვებოდნენ ცაცხვების ხეივანს...

„წყაროსთან შეჩერდნენ, ისვენებენ და ასვენებენ ცხენებს“ – გადმოსცემდა ცხელ-ცხელ ინფორმაციას ხელმოჩერდილებული ბიჭი და ვიდრე ხიდან ჩამოვიდოდა, უკვე ინაკვერჩხლებოდა სამწვადე ნახშირი, ცეცხლზე ალმაცერად მიდგმულ კეცებზე, ტაფებზე, იბრაწებოდნენ ვარიკები, ცხვებოდა მჭადი, ხაჭაპური... აქ, აბესალომის მონაკოლზე, ფაფით და წყალწყალა სუფეულით გაბეზრებულ დამსვენებლებს ღრმად და საფუძვლიანად ამოაკვენესებდათ ხოლმე.

ხედებოდა ახესალომი შეკრებილების „მუცლის გვრემას“ და ემოციას უფრო აძლიერებდა – მაშინდელი მოშიშხინე მწვადის სურნელის გამოძახილს, თუ ჰავერს ღრმად ჩავისუნთქავთ, ახლაც კი იგრძნობთო.

დამსვენებლები, შელოცვილივით თვალი-ლულულები გაირინდებოდნენ.

ნეტავ, სადილად რა გვენებაო, იკითხავდა რომელიმე ნირვანადან ნააღრევად გამოსული.

— ყიფიანების ტაბაკები!

— ეგეთ თემებზე არ უნდა იხუმროთ!.. – „გაუწყრებოდა“ ვიღაც.

— მერე ვინ ხუმრობს? აგერ, ჩამობრძანებულა ჩვენი მამა-მარჩენალი, მწერფონდის დირექტორი და დასასვენებელი სახლის „ნომენკლატურა“, როგორ ფიქრობთ, თავს არ მოიქაჩლებს?! სანაშენე დედალ-მამალს აღარ





დატოვებენ!.. გამარჯობათ, ბატონო გერონტი!.. დაბრძანდით, ა, აქეთ, ჩრდილია...

— მე კიდევ ჩრდილში მინდა ჯდომა? – იხუმრებდა ბატონი გერონტი და დაცვარულ შუბლს ხელისგულზე ბრტყელად გადაშლილი ცხვირსახოცით მოიმშრალებდა – როგორ ხართ, ხალხო, როგორ ისვენებთ?

— კარგად, ღვთის წყალობით!

— მაშ, მე არაფერი მიკეთებია, ასე ფიქრობ, ხომ აძესალომ?.. მერმის საგზურისთვის ნუდარ შემაწუხებ, ღვთის წყალობას დაელოდე!

ფანჩატურში პატარა გოგო-ბიჭს ხელჩაკიდებული, გალიმებული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა.

მონინებით მოიკითხა ბატონი გერონტი:

— როგორ ბრძანდებით!.. როგორი მადლობელი ვარ, რომ იცოდეთ, მოითქვეს სული ბავშვებმაც და ჩვენც.

გერონტიმ უემონციოდ მიიღო სამადლობელი.

პირიქით, კოპები შეკრა და წარბებქვემოდან გამოხედა.

— მაშ, მოგწონთ, ხომ? მთელი ოჯახი კმაყოფილია, არა?.. გგონია, ჩემო ავთო, ძალიან გამახარე მაგ სიტყვებით?

— რატომ, ბატონო გერონტი, რა ვთქვი ისეთი, მადლობა გითხარით... – გადმოგვხედა დაბნეულმა ავთომ, რა ვაწყენინე ამ კაცს!

— გაგიკირდა, ხომ? – დაუკაკუნა თითი მაგიდას, – არ გამახარა შენმა მადლობამ, ჩემო ავთანდილ, იმიტომ რომ, აძესალომივით ვიცი, მომავალ წელს ისევ მომადგები ღვთის გლახასავით.

— რატომ კადრულობთ, ბატონ!.. – აპილ-პილდა ავთო.

— იმიტომ ვკადრულობ, რომ დადგება ზაფხული და მისკდება თავი, ვინ გამოვუშვა, სად გამოვუშვა, ვის გვერდით ნებავს ცხოვრება... კი, კი, ეგეთი პრეტენზიებითაც მოდიან. ზოგს საპირფარებო არ მოსწონს, ზოგს შპალერი... ჩემო კარგო, ზოგს სექტემბრამდე ფეხის მოცვლა არ უნდა... აქვთ „დაზანიატებული“ მთელი ორი თვით ოთახები... აქაურობა თქვენი ხომ არ გვით?

— აბა, ვისია, ბატონო...

— ჩემია, ჩემი! – დამუშტული მარჯვენით მკერდი ჩაიმჯიდა, მსუბუქად, რა თქმა უნდა.

— შე ფრანგო, ნამეტანი შეგვიბერე, მესიტყვებს! – ჩაერია მამფი, – იყოს შენი, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, მაგრამ ზაფხულობით გვათხოვე, სულის „ინჟინებს“ და დანარჩენი დრო, მთელი ცხრა თვე, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს...

— ვინ გაცლის, მერე, ჩემო მამფი, ვინ? ეტყობა საქართველოში სხვა საქმე აღარ არსებობს, ყველამ კალამს მოჰკიდა ხელი!..

— სარფიანი საქმეა და იმიტომ... ახლა, რომ ბრძანე, აქაურობა ჩემიაო, გაქვს ეგზარქოსის „პარში“ გამტარებელი სათაყვანო კაცისგან სამემკვიდრეო ფურცელი? – არ ეშვებოდა მამფი.

— რომ არ მქონდეს, ისე ვინ გამაჩერებდა!

— გვაჩვენე და, აკი გითხარი, მშვიდობაში მოგახმაროს-მეთქი.

— გაჩვენებთ კი არა, გავამრავლებ და ყველა თახმში გავაკრავ!

— მთლად უკეთესი... ოლონდ, იცოდე, ის საბუთი კომუნისტების ნამამაძალლარი არ იყოს...

— ამაშიც უილბლო ყოფილა, ცხონებული დიმიტრი, – ამოიოხრა ვითომ დიდად დამწუხერებულმა ვახტანგმა.

— აბა, აბა, თვითონ როგორი გულგაშლილი, ხელგაშლილი და, ამ დროს, ასეთი კაცის ადგილ-მამულებში, ვინ ბაირამობს!..

— ვინ და ძუნნი, ხელმოჭერილი მწერფონდის დირექტორი!

— იხუმრეთ, იხუმრეთ, ხუმრობას კაცი არ მოუკლავს, – გაეცინა გერონტისაც, – მაგრამ გეპატიებათ, პახმელიაზე იქნებით!

— კი ვართ, მაგრამ არ გამოგვიჩნდა პატრონი... მაგაზე გამახსენდა, გერონტი ბატონო, უორუკა ხომ იცი, ექიმი... ლალიძის წყლებთან რომ აპირუავებს, ძმაკაცებთან ერთად...

— რაის ექიმი, ლოთია მაგი, ლოთი...

— ლოთი კი არა, კაი პურისმჭამელი, კაი ღვინისმსმელია, – დააზუსტა და აუნია საჩვენებელი თითი მამფიმ.

— რას დაარქმევ, რა მნიშვნელობა აქვს... მერე?

— როგორ, ახლა შენ ბიკენტი-მეთქი, რომ დაგიძახო, არა აქვს მნიშვნელობა, მოიხედები?.. არა, ხომ?.. ჰოდა, ამასწინათ, გამთენისას, გარეთ ჯერ კაცი რომ არ ჭაჭანებს, მიდის ეს ჩვენი იაშვილი უორუკა რუსთაველზე... დილის ხუთ საათზე აქვს თამადობა მოთავებული და, ხომ იცით, რა დღეშიც იქნება... მოაბიჯებს, შენ ხარ ჩემი ბატონი, ზედ შუა პროსპექტზე, სარქენად თავდაღუნული ხარივით, რომ უცებ მის გვერდით, შავი, გაზიმზიმებული, სამთავრობო „ვოლგა“ დამუხრუჭდა... ჩაინია დაბურულმა ფანჯრის შუშამ და გადმოყო თავი უორუკას გადიდეკაცებულმა თანაკლასელმა, თვალი მატყუებს, თუ ნამდვილად იაშვილი ხარო!

თვალი არ გატყუებსო, თანაც, ის იაშვილი ვარ, ვისგანაც მათემატიკის საკონტროლოს ინერდი ხოლმეო.

მერე რამ წამოგაყენა, ასე ადრიანად, თბილი ლოგინიდან, რა გაგჭირვებია, უთენია, საით გაგიწევიაო.

კაცი გამწარებულია, გამშრალი ყელიდან





ნაბახუსევის ოხშივარი ამოსდის, ხაში და ასი გრამი მდიდარი საცოლის მზითეეს ურჩევნია და ახლა ამასთან „დადავი“, კითხვა-პასუხი, პოლემიკა უნდა?!

საით გამიწევია, ჩემო იმანო და, ვერ დამ-ემართა კარგი ამბავი, რადიო გამითუჭდა, გაი-თიშა და ლენინის მოედანზე მივდივარ, სსრკ-ის ჰიმნის მოსასმენად!.. წუხანდელ ნაქეიფარს, რა გამიტირდებოდა, ძნელი მისახვედრია?

— იმან რაო, — დაინტერესდა გერონტი.

— ყველა შენსავით ძუნი კი არ არის, გაიკრა თურმე ჯიბეზე ხელი და, ილიჩის თავით დამშვენებული, ოთხი ცოდახუთიანი „დაუადა“, ამით პახმელიაზეც გამოხვალ და რადიოც მო-გივა, ამხელა გზაზე, ყოველ დილა-საღამოს რომ არ ირბინო ჰიმნის მოსასმენადო.

— ყოჩალ, იმასაც ჰიმნია იუმორი.

— აბა არ ექნებოდა, უორუკიასთან ერთად უჯდა „პარტა“ სრული თერთმეტი წელიწადი!

— მაშ, მეტი უნდა გადაეხადა, „სროკი“ ერ-თად მოუხდიათ.

— იქაც გამოერევიან ხოლმე ისეთები, რა, ხასიათს რომ გაგისწორებენ... თქვენ რას იტყვით, ბატონო ნიკა? — ჩაერია საუბარში იმი-ტატორი.

— რას გეტყვით, იცით, ჩემი მოკლე ჭკუით, ყველას მოსაწონი წყობა და ხელისუფლება არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ კარგი და ცუდი ადამიანები... ძველ რომს ბრძენი ავრელიუსიც მართავდა და სისხლისმსმელი კალიგულაც...

— მინდა დაგეთანხმო, მაგრამ ასეც ხომ ხდება: კარგი ხარ, სისტემას კი ისე ჰყავხარ ჩაბლუჯული, გასაქანს არ გაძლევს!

— ბატონმა გერონტიმ მკლავებით ჰაერი მობოჭა და გულხელდაკრეფილმა მკერდში ჩაიხუტა.

— ადრე თუ გვიან, სისტემა უკან დაიხევს, გასაქანსაც მოგვცემს და მარწუხებსაც მოუშვებს... აგერ, აქვე, შუა ქართლში, ერთმა რაიკომის პირველმა მდივანმა, თითქმის მთლიანად დაცეული, ქალაქის მთავარი სალოცავი აღადგინა: თავიდან ააშენა სამრეკლო, ქვის კედლით შემოლობა, მოაპირკეთა ეზო...

— მერე, სადაა ახლა ის კაცი, გაუყინეს ციმბირის გზას? — იკითხა ბატონმა გერონტიმ.

— ჯერჯერობით, ისევ თავის ადგილზეა... არა, ხო გაბედა, ხო დადო სასწორზე თავისი კეთილდღეობა!..

— კი, დადო, მაგრამ, რა იცი, როდის გაუხსენებენ!

— იქნებ, მანამ იმათ გაუხსენონ...

— რა ვქნა, ძუნიო, ხელმოჭერილიო, რა აღარ მეძახეთ და, რაც ამ სამოთხეში ჰაერზე გამოგიშვით, როგორ მოგძალებიათ თავისუფალი, საშიში აზრები!.. თქვენ რატომ არაფერს

ბრძანებთ, ბატონო დემნა, ბატონო ექიმო, ხომ ხართ აქაურობით კამაყოფილი?

— ეჭ, კმაყოფილი მაშინ ვიყავი, ამ ხელს რომ შევყოფდი და ტკიცინა ათიანები და ოც-დახუთიანები გამომქონდა.

— ახლაც შეყავით, ვინ გიშლით? — „ნება დართო“ აბესალომმა.

— შენ შეყავი ძაღლის ნაცში! დავბერდი, რაღა დროს ჩემი...

— აგერ, ქალები დგანან, ამათ მაინც მოერიდეთ, — ორივე დაანამუსა გერონტიმ.

— თვითონ მერიდებოდნენ, გაჩაჩულები რომ მიწვენ ხოლმე გინეკოლოგის მაგიდაზე?

იმიტატორმა სასადილოდან გამოსულ მიმტანზე განაიშნა:

— ამ ჩვენს ოფიციანტ ანოსა, ნეტავ ვინ „დაუანონესა?“

— რაზე შეატყვე?

— ვერ ხედავ? ფეხმძიმედ არის!

— გათხოვდებოდა.

— რა სჯობია თქვენთან ჭუკჭუკს, მა-გრამ ჩავალ კოტეჯში, ცოტა თვალს მოვატყუ-ებ... ბუღია, ბუღი, იწვის თბილისი... თქვენ რა გიჭირთ, ხართ ბედნიერად ცაცხვების ნიავის ქიქინში...

— ამ ბოლო ხანებში, ტაშისკარისკენ უფრო უკეთესად უბერავს!

— კი, კი, მოღის ინფორმაცია, მდინარისპი-რა რესტორანს რა სჯობია... ამბობენ, ჩემო აბე-სალომ, დღეს არ აცდენსო!

— გეკადრებათ, ბატონო გერონტი?!

— არც იმას მაღავენ, სხვებიც აიყოლიაო...

— ამხნის ხალხს, რა აყოლიება უნდათ, სუ-ფრასთან დროსტარებაში აქვთ ჭიპი მოჭრილი!

— მერე, რესტორანს რომ მოილევენ, და-სასვენებელი სახლის ტერიტორიაზე აგრძელე-ბენ, ძილის საშუალებას არ გვაძლევენ!.. აქ ქალები, ბავშვები, მოხუცები სულის მოსათქმე-ლად ჩამოვიდნენ და გამუდმებით ღრეობა და მიდიო-მოდი, ვითომ ივარგებს? — არ ცხრებოდა ბატონი გერონტი.

— მთლად ეგრე მძიმედ არ უნდა იყოს საქმე, მაგრამ მაინც ვეცდებით, გამოვსწორდეთ!

— ჩაერია მამფი.

— შენც კარგი ჩიტი ხარ, კარგად გიცნობ!

ა, არ ვარ მართალი, — მოუბრუნდა აბესალომს,

— აგერ შენი მოსახელე მხატვარი ათლიტრიანს მოარბენინებს და გამოსწორდებით თუ გადას-წორდებით, ვნახავ მაგასაც! — ხელს ჩაიქნევს და ფანჩატურის ბოძს ჩაჭიდებული, მძიმე-მძიმედ წამოდგება, — სადაცაა, ზარსაც დარეკავენ... და-ვისვენებ და სასადილოში შემოგირთდებით!

იმიტატორი ხელკავით კოტეჯამდე ჩააც-ილებს, მობრუნებული გაულიმებს მაგიდაზე შემოდგმულ ბოცას და, ახლა, თუ ნებას დამრ-





თავთ, ერთ პატარა ნაწყვეტს წაგიკითხავთ, ჩემი ახალი საკონცერტო პროგრამიდან.

— წაიკითხე, სადილამდე მაინც მეტი რა საქმე გვაქვს, — ნარდი ხმაურით დახურა ექიმმა.

— მოქმედება მეორე მსოფლიო ომის მიწურულს ესპანეთის სამხედრო ბანაკში, საველე სასამართლოში ხდება! — აქ აბესალომმა ჩაახველა, ორივე ხელისგული მკერდზე მიიბჯინა და ხმის ტონი შეცვალა:

— ალვარო დიას, ბრალი გედებათ, მდინარე ესპანიოლას გადალახვის დროს, ფაშისტებთან გმირულად დაღუპული, მეცხრე მოტომსროლელთა ბრიგადის კაპრალის, ალვარო სანჩეს ორიენტეს ხორხე სანტიაგო ალფონსო დიასის სახელის მითვისებაში... მიუხედავად ჩვენი და კავკასიელი ბასკების სავარაუდო წარმომავლობითი გენეტიკურ-ნათესაური კავშირისა, ამ სახელთან და გვართან არავითარი შეხება არა გაქვთ და ბედის უკუმართობით, საბჭოთა საიდუმლო სამსახურების მიერ, პირენეიზე გადმოსროლილი შაქრო ღელელუტაშვილი ბრძანდებით, ქაშხეთის შვიდწლიანი სკოლის ყოფილი უცხო ენის მასნავლებელი, დილით, ბავშვებისთვის ღუმელის ასანთებად მოსული დამლაგებლის 6. კა-ძის გაუბატიურების მცდელობისთვის ჩამოშორებული პედაგოგიურ მოღვაწეობას...

ბრალდებულმა ააგდო ქვა და თავი შეუშვირა...

— აუჰ, ეგ ვინ ყოფილა, კაცო! — მუხლისთავი გამოითქვითა მამფიმ, — მცდელობა რა უბედურება! თუ დაინწყე, უნდა გახვიდე კიდეც ბოლოში, ასე არ არის, ბატონი ექიმო?

— ქალმა არ ქნა, ეტყობა, მამფი, თორემ ღელელუტაშვილი ისეთი მაკვარანცხი ჩანს, ცდას არ დააკლებდა!

— არა, მე ჩვენი ფხიზელი უშიშროებისა მიკვირს — კაცმა ერთი ქალი ვერ დაიმორჩილა და თავის რიგებში რატომ მიიღო?!

ვილას ახსოვდა ნაწყენი, გაბუტული ბავშვივით გვერდზე გამდგარი იმიტატორი!

ქაშხეთში თუ ღელელუტაშვილები ცხოვრობდნენ, არ ვიცოდითო.

თუ ნამდვილი ამბავია, ისტორიის განაჩენს ჩვენ ხომ ვერ შევცვლით და, თუ მოგონილია, რეალური სოფლის დასახელება რაღა საჭიროა!

— განაჩენს არ დაველოდოთ, რა მოხდა, რა დასკვნა დადო საველე სასამართლომ? — იკითხა მამფიმ და ზარიც დარეკეს, გვიხმეს სასადილოს დიდ დარბაზში, სამ მწკრივად ჩარიგებული მაგიდების დასალაშქრად.

ზარის მომლოდინე, მოშიებული დამსვენებლები, როგორც სახადიანს, ეგრე უცეპ შემოეცალნენ სკეტჩის განბილებულ ავტორს.

— იცი, რას გეტყვი, აბესალომ, გსმენია ან შესწრებიხარ მაძლრების, ბედის ნებიერების

მოწყობილ რევოლუციას? მშიერი, ძმაო, მშიერი, ოლონდ კუჭი ამოიტენოს და, ზამთრის სასახლეში კი არა, პირდაღებულ ლომის ხახაში შევარდება... ამათაც, რა ეღელელუტაშვილებათ ან ეალვაროდიასებათ, დონ კიხოტიც რომ შემოაჯირითო თავის საჭურველმტვირთველით, იმას არ მიხედავენ, ნაბიჯს არ შეანელებენ, ვიდრე მუცელს არ ამოიყორავენ... ისე, შე ფრანგო, შენა, მართლაც რა დროს ეგენია, როცა ბოცაში ღვთაებრივ „ჩინურს“ ქარვისფერი ნათელი გადასდის და ივედრება, რაღას ელოდებით, არ გამათბოთ, დროულად დამლიეთ და შემირგეთო...

ნასადილევს დასასვენებელი სახლის თანამეინახენი კვლავ მთავარ ფანჩატურთან მოვგროვდით.

ხელმოჩრდილულმა მამფიმ ისე მოგვათვალიერა, თითქოს საბრძოლველად ქუდზე კაცს გვიხმობდა.

— აბა, ვახსენოთ ღმერთი და ეს „მზეთუნახავი“ ციმციმ ჩავაბრძანოთ ცაცხვებში, მაგიდასათან... მე თუ მკითხავ, ჩემო აბესალომ, შენ და საველე სასამართლო ტყუილად ეყომარებით საბჭოთა აგენტს გამოსატეხად... გეტყვით, როგორ უნდა მოიქცეთ — ჩვენი მზარეულის მომზადებული, კაი პირმოდგმული მათლაფა ფაფა ჩაახეთქონ ერთი-ორჯერ და ჩემი ცოდვით სავსე ღელელუტაშვილი თავისით ჩამოფქვავს ყველაფერს!

— კარგი, ეგრე ვიზამთ! — „ჩინურის“ ხათორით, როგორც იქნა შუბლი გახსნა იმიტატორმა.

იმ დასიცხულ ღამეს ცაცხვებში მაინც სულს მოითქვამდა კაცი.

მამფის, როგორც სჩვეოდა, დინჯად, იუმორით მიჰყავდა სუფრის მდინარება. ქართველი კაცი როცა ადღეგრძელა, მისი მრავალმხრივი ნიჭიერება და მოხერხებულობა შეამკო. სხვათა შორის, ცოცხალ მაგალითად, ჩემდა გასაკვირად, „უორა-პანიც“ ახსენა და დააყოლა: ეს ბატონი, აქედან არცთუ ძალიან დაშორებულ „ბოსტან-ქალაქიდან“ გახლავთ, სადაც ტოლუპოვარი მეფენი, ბელადები და მსხვილკალიბრიანი აფიორების შემოქმედ-შემსრულებლები იბადებიანო.

— რაც ჩამოხვედი, მაგ აფერისტის „საგმირო“ თავგადასავლებს გვიყვები. გეტყობა, კიდევ დაგრჩა რაღაც სათქმელი.

— სათქმელი იმდენია, რა დალევს ან ვინ გამოლევს!.. ხომ გახსოვთ, საბჭოთა ავიაციის სიამაყე „ილ-62“-ში, მგზავრებით გაძეგილ სალონში, ებრაელს მოსკოვში ქრთამად წალებული „ფარა“ რომ შეანერა?.. პოდა, ზის ეს ჩვენი გამტკნარებული ისაკა და უცეპ არტისტულად თავი ისე დაიარხეინა, ვითომ, სხვათა შორის, ამბობს:





— ისაკას, დაგენაცვლე, მოსკოვში ერთი თავზეხელაღებული, „ბეზატყაზნი“ ნაციხარი ჰყავს; შეუკვეთავს და ათას მანეთად კაცის თავი მოაქვს... დილით თუ „დაუადებ მაყუთს“, მოჭრილ თავს საღამომდე შემოგიგორებს, საზამთროსავით, საღამოს მიართმევ და...

— ფუჰ, ეგ რა მითხარი, ისაკ, ხილში ერთი საზამთრო მიყვარდა და ისიც შემაძულე!.. ნეტა, ფეხი მომტეხოდა და ტრაპზე არ შემომედგა...

— ნეტა! — გულწრფელად ინატრა ებრაელმაც.

— ისე, ეგ შენი ქილერი, ნამეტანი მეძვირე ყოფილა... ათასი მანეთი, რა, ბრმაყრუბაა? ხე-ებს კი არ ასხია, ადვილი საშოვნელია?.. საიდუმლოდ გაგიმხელ და, მეც მყავს ეგეთი „ბეზატყაზნი“... მოსკოვში, რა თქმა უნდა — კაცის თავი ერთ ბოთლ არაყად მოაქვს!.. დილით დაუადებ, საღამოს მოიტანს, საღამოს მიართმევ და... აბა, სად ათასი მანეთი და, სად — ნახევარი ლიტრი არაყი!.. თანაც, რაც მთავარია, თუ ვერ ამოვიცანი, რა პრობლემაა, მეორეს შემოაგორებს, როგორც ბრძანე, საზამთროსავით...

— რა თქვი, ეგ თაღლითი სადაურიაო? — ჰკითხა ნიკამ.

გაუმეორა, ბელადებისა და „კრუპნი“ აფერისატების სამჭედლო როა, იმ ქალაქიდან.

— პირადად თუ ხარ შენახვედრი?

— ბელადს?

— ნუ ციგნობ!.. იქნებ, ბევრ რამეს უგონებენ და იარლიყივით აწებებენ... ვიღრე ჩვენამდე მოაღწევენ, მავანთა ამბები და თავგადასავლები, ხშირად სხვადასხვა გადამყიდველის ხელში გამოვლილ-გაძვირებულ საქონელს ემსგავსებიან... ამიტომ ვიკითხე, თვითონ აქვს შენთან ეგ ყველაფერი მონაყოლი-მეთქე?! პირადად თუ არ იცნობ, სხვების გადმოცემულს, როგორ ვერწმუნოთ.

— თქვენ და თქვენს ჭალარას, იცით, როგორ პატივს ვცემ, მაგრამ მეც მინდა გკითხოთ: იცნობდით ან შენახვედრი ხართ სერვანტეს მიგელ დე საავედრას, თითქოს სულ გვერდით ეჯექითო, სულმოუთქმელად წასაკითხი ბიოგრაფიული რომანი რომ მიუძღვენით?! სხვა-თა შერის, ბატონო ნიკა, სასკოლო გამოსაშვებ გამოცდაზე, როცა ჰკითხეს, ვინ არის თქვენი საყვარელი ლიტერატურული გმირიო, ამ ჩვენმა მეგობარმა, შინაურობაში გიორგიმ და კავკასიის იქით „ურად“ რომ იცნობენ, თურმე დონ-კიხოტი დაასახელა...

— იმ სასკოლო გამოცდებს ერთად ხომ არ აბარებდით?

— არა, ბატონო, გურამ გვარამისგან ვიცი.

— იმ გვარამისგან, მანქანის შესაძენი ფული რომ დასცინცლა და შეუჭამა?

— იმან კი არ შეუჭამა, ამან შეაჭამა, ძალით.

— გესმით, ხალხო, კაცმა, რომელმაც გა-

მოჩენილი ლიტერატორი, მთარგმნელი და მეცნიერი არ დაინდო, მიმტკიცებს, ფრთიანი ანგელოზიაო!

— გეეადრებათ, ბატონო ნიკა?! ანგელოზები არც ჩვენ შორის მეგულება და, მითუმეტეს, არც „ურა-პანის“ სამყაროში!.. ჩვენთვის რომ ვთქვათ, რას აშავებს, ხიდებს აფეთქებს, ბანკებს აყაჩალებს, ქარის ნისქვილებს ებრძის, თანამდებობისთვის იქაჩება, მერე ხალხი რომ გაატყაოს თუ კაპლანის ქალივით მოსაკლავად პროლეტარიატის ბელადს უსაფრდება?.. როცა ციხეში არ არის მოყუჩებული, ამ ჩვენს უკიდეგანო სამშობლოში, ფულის მშოვნელ ბრიყვებს ასულელებს... რომ წარმოიდგინოთ, რაც ქვეყანაში ფული იღუნება, თავზარი დაგეცემათ!.. პოდა, აქ გაიფურჩენა „ურა-პანის“ ნიჭიერება

— არმად ნაშოვნს ათვისება არ უნდა?! თუ ცოტა სისხლი არ გამოუშვა, შეღავათი არ მისცა, მუქ-თად მოხვეჭილით გულმოყირჭებულებს, რა ეშველებათ? მოსწყდებათ თრომბი და, ბასტა!..

— მოკლედ, ისეთ დახასიათებას აძლევ, მიკვირს, ფულზე რატომ არ ახატავენ, — გაეცინა ვიღაცას სუფრის ბოლოში.

ნასადილევს გამოძინებული ბატონი გერონტი დალმართზე ჩამოქაქნდა.

— აქ ხართ, ხომ? ფანჩატურიდან გადმოინაცვლეთ! უღალატეთ, ზურგი აქციეთ, მდინარისპირა რესტორნის გაკოტრება გადაწყვიტეთ?.. კარგია, კარგი... ოღონდ, ზომიერად ყველაფერი, რა თქმა უნდა!.. მამფი არ მოგაწყენთ, ეს ჩვენი აბესალომიც... ერთი დამკვრელები გაკლიათ!

— ეჭ, ბატონო გერონტი, ჩვენ კი ვიცით, ზოგადად, ქართველებს რაც გვაკლია, მაგრამ ვინ მოგვაშავებს ლანგრით!

— კარგი ერთი, ვახტანგ, როცა „მოგვაშავეს“, შევიფერეთ, შევირგეთ ახდენილი ქართველის „ჩუმის ნატვრა?!“

— ვინ გვაცალა, რომ შეგვეფერებინა, მითუმეტეს, რომ შეგვერგო!

— იმან არ გაცალა, სახელს რომ არ ვიტყვი, მაგრამ შენ სასიკეთოდ რა ჰქენი, რა იღონისძიე? ანდა, ახლავე რომ წავიდეს, ჩაკეტოს დარიალი, არც შენ გაგახედოს თავისკენ, არც თვითონ შეგანუხოს აქეთ, როგორ მოიხმარ ახდენილ ნატვრას-მეთქე!, გეკითხები! როგორც გვჩვევია, ისევ არ გავთითოკაცდებით და დავერევით ერთმანეთს?

— ნაკლი ყველა ერს აქვს; ღირსეული, თავდადებული შვილები ქვეყანას გამოაფხიზებენ და საერთო ნაკლი, რაც თქვენ ბრძანეთ, გადაფარავენ.

— რას ამბობ, ვახტანგ, ილიამ და მისმა დიდმა თანამებრძოლებმა ვერ გადაფარეს და ახლა ვინ გეგულება ეგეთი?





— ამ სახლის პატრონს სტავროპოლში გაუხეთქეს თავი... ილიას წინამურთან მოუღეს ბოლო... — ამოიოხერა ბატონმა ნიკამ.

— მერე, ვინ მოუღო?

— დაქირავებულმა თანამემამულე არაკ-აცებმა!

— გამარჯობა, შენი! თავისუფლების ღირსი მაშინ ვიქნებით, ასეთ არაკაც შემსრულებლებს ჩვენ შორის როცა ვერ აღმოაჩენენ... უნდა ითქვას სიმართლე — თავისუფლება ყველას გვინდა, მაგრამ, თან, ვერც ველევით დამბყრობელს, მოგვენონს ზურგსა და ფეხისგულებს რომ გვფხანს... რატომ თუ იცი? რათა არც გვეძინოს, არც გვეღვიძოს, ვიყოთ გაუთავებელ ძილ-ბურანში! თვალს ხუჭის, წყალობასავით გვაძლებს ქურდობის, მექრთამეობის, აფერისტობის, თავის ქალებთან მრუშობის უფლებას... კიდევ, რა ჩამოვალო?!

— მაშ, ის ნატვრა აღარ არსებობს, ერს ფეხზე რომ დააყენებს და აიყოლიებს?

— ილია რომ მოკლეს, „ნატვრას“ რაღა დაემართებოდა!..

— ძალიან პესიმისტური დასკვნა დადე, — გაეცინა ბატონ ნიკას, — ეტყობა, კარგად ვერ გამოიძინე.

— ნუ დარდობ, წავალ და, როგორც საჭიროა, ძილს დავისრულებ, მაგრამ ამით „ნატვრას“ მაინც არაფერი ეშველება! — კენესითა და ვაი-ვიშით გაიმართა, მომკლა ამ წელიავმაო, და ისევ ჩოჩიალით აუყვა თავის კოტეჯისკენ მიმავალ აღმართს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

გელოდებითო, შეახსენეს თამადას თანამეინახეებმა.

— თქვე ფრანგებო, გამიმრუდეთ სუფრის გენერალური ხაზი, ამომაგდეთ „ლიანდაგიდან“ და აღარ ვიცი, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ!“

— არ დაგვზაფრა მწერფონდის დირექტორ-მა?! რატომ არ შეეკითხეთ, ვინ არის ბატონი გერონტის საყვარელი ლიტერატურული გმირი? — იკითხეს ისევ ბოლოდან და იქვე გასცეს პასუხი, ალბათ, მექი ვაშაკიძეო.

— ეჲ, ახალგაზრდებო, ალბათ, ვერ მოვესწრები, მაგრამ, ადრე თუ გვიან, ეს „ჭაობიც“ დაშრება და ის ვიკითხოთ, — მერე რა იქნება, მერე!

— მადლობა, ბატონო ნიკა, — თავი მოუხარა მამფიმ, — ესეც სადლეგოძელო — მოდით, ამ ყველაფრის მერე რომ იქნება, იმ საქართველოს გაუმარჯოს!

2.

„მართალია, ეკვატორის სიახლოეს, ზეთისხილის ქარსაცავი ზოლების გარემოცვა-ში ვსახლობთ, მაგრამ ჩვენი ძველი სანათესაო

აქეთ, ბესტაეთშია.“

„შეხედეთ, რა ამბავში არიან? როგორ უღრენენ და კბენენ ერთმანეთს? თქვენს ადგილას მე, პირადად, ამათი ნათესაობით, მაინცდამაინც დიდად არ ვიამაყებდი!“

„ვინც უნდა იყვნენ, მეხსიერების ჯაჭვი მაინც გენევა შენი მივიწყებული სისხლთაგანისკენ.“

„როლებად დაშლილ-დაწყვეტილი ჯაჭვით ნაგაზის ვერ დააბამ!“

„თუ ნაგაზი უჯაჭვოდაც ხელებში შემომყურე და ერთგულია?“

„ჩვენ ხომ მართლა ქოფაკის დასაბმელ ჯაჭვზე არ ვმასლალათობთ...“

„მესმის, თომა, და უნდა დაგიფასო გამჭრიახი ლოგიკა — იმ ჯაჭვმა ერის იღბალი და სამომავლო დღევანდელობა უნდა მართოს, თავი რომ არ აიშვას... მაგრამ, რაც შენ ბრძანე, ეგ ხომ მხოლოდ ბესტაეთს არა სჭირს — ადამიანთა მოდგმა, რაც უფრო სცილდება თავისი არსებობის გულუბრყვილო, კამაკამა, ცინცხალ სათავეს, მით უფრო მიიღორიება ცოდვებისკენ, იმღვრევა, ბინძურდება, ბლანტდება...“

„როგორც მდინარე!“

„დიახ, მაგრამ ვაი რომ ადამიანის სულის კალაპოტი უფრო ძნელი დასახვეტია...“

„მერე, მაინც იმედიანობთ, რომ „ნათესაობა“ ტაშის ცემით, როგორც მხსნელს, ისე შეგვეძებათ?“

„არც პირნათელი შეუწყნარებიათ თავის მამულში... მოსახდენი მაინც მოხდება!“

„არ მოხდება, თუ ამ გზიდან ცოტათი გადავუხვევთ და მშვიდობიან ბილიკზეც არ გვიყელებს?“

„ჩვენ ჩვენი ვეცადოთ-მეთქი — ვაცალოთ, ცოტათი მაინც განედეს, შიშველი ფეხებით ნუ შევვარდებით ქაფქაფა ნაკვერჩხლებზე!.. აგე, ცრუ-პირველი მოინელეს და წითელ ხალიჩაზე ცრუ-მეორეს მოაბრძანებენ!“

„განა არ იციან, როგორც ძველი, ახალიც თავისი კუდის ამწევებისთვის რომ მოდის და ბესტაეთელთ თავად არაფერი მიეხახვებათ?“

„იციან, მაგრამ ბორჯლიან სიმართლეს, ამოსატლეკი, მურაბიანი ქვაბის ძირივით სიცრუუ ურჩევნიათ“. „მაშ, მურაბა ქვაბიდან უკვე ამოხაპულია?“

„დიახ, ბატონო, ამოხაპული და ამოტვ-ლებილიც!.. აი, ის ჯეელი, მბრძანებელს მხარს რომ უმშვენებს, ნესით უნდა გეცნოთ...“

„აბა, უზანგებზე ავინიო და ხელიც მოვიჩრდილო... რა თვალი გაქვს, თომა, ეგ ხომ ხოსე ქედმაღალის ხაზინადარის მარჯვენა ხელია,





შემოწირულობების ქურდი და განძეულის საცავის ვირთხა... საიდან სადაო, ამ ჩვენს უმსგავს წუთისოფელში ვის აღარ გადაეყრები!.. წვერ-ულვაში დალაქთან დაუტოვია, მხრებზე გულუხვად დაყრილი თმის ფაფარიც, შესამოსელიც სმოეინგით ჩაუნაცვლებია, მაგრამ მაცაცერა, ცბიერი თვალებისთვის, ხარბი პირის გემოსთვის ვერაფერი მოუხერხებია, ვერც წანვეტებული ცხვირი და ყვრიმალზე ბუზის ნასკორივით ხალის დეკორაცია შეუცვლია...“

„ხარბი პირის გემო რომ ამოიცანით, ეგ მიკვირს, თორემ ჩემს ყროყინას, თუნდაც მხოლოდ თავყბა კი არა, სათქმელად უხერხული ადგილებიც რომ გამოპარსო, ათიათას სახედარში მაინც გამოვარჩევ... ვის არ სმენია, მაგის ამბავი – მთელი სალამანკა ქოქოლას აყრიდა... ნეტავ, ახლა რას საქმიანობს?“

„მაგნაირების მოდგმა თავისთავს არ ღალატობს – თავი გამუდმებით იქ დასუნსულებს, საიდანაც მოხალული ნიგვზის სუნი სცემს... ასეთებს თვალი პირველობისკენ არ გაურბით, ურჩევნიათ ყოვლის შემძლე მფარველის ჩრდილში აკნაწუნონ ნიგოზი, ანუ ხაზინის ესკუდოს ჩერიალში ხელი აფათურონ“. „რამდენჯერ უნდა ახსენოთ, ბატონო, ნიგოზი, ჩემს ისედაც ამბოხებულ სტომაქს კიდევ აფორიაქება უნდა?“

„მაშ, შენც გიყვარს, თანაც მოხალული?“

„უარს არც მოუხალავზე ვიტყოდი“. „თუ ასეა, ბესტაეთის მომავალ მბრძანებელს შენც მეორე მხრიდან ამოუდექი!.. ოჟ, ეს სულის ნამწყმედავი „ნიგოზი“ რომ არა, რა იქნებოდა ჩვენი ყოფა, ადამიანი რამდენ სიხარბეს, ომებს, სისხლისღვრას და ღვთისშვილთა კვლას გადაურჩებოდა“. „რა იქნებოდა, ჩემო ბატონო და, დაჩუტული ჯვალოს ტომარა!.. უფალი, ამ უძლომელა გამომძალველის, კუჭის გარეშე, თავის ხატად ჩაფიქრებულ ქმნილებას ფეხზე ვერ დააყენებდა!“

„ჭეშმარიტებას ისე ახლოს მიუცუცქდი, რომ გული ძალიან მწყდება, ნამგლის ამარა რატომ დარჩი და „ხორხე დიდებულის“ კეთილშობილთა კოლეჯში არ განისწავლე?“

„ჯერ ერთი, კეთილშობილებისა არაფერი მეცხო, მობრძანდითო, ფიანდაზები რომ დაეგოთ, მეორეც – „განსნაცვლის“ ნაცვლად თავი იმათი ყბედობის მოსმენით გამომელაყებინა და სამუდამოდ დამეღუპა? რაც ვიცოდი, ისიც დამვინწნოდა? რა ვქნა, ბატონო, ნუ მიწყენთ და თქვენი კეთილი გულით მოძღვნილი სურვილ-სინაწული უნდა დავინუნო!“

„მაშ კოლეჯს სიცხით გაფიცხებულ ყანაში ნამგლის ტრიალს ამჯობინებ?“

„ბესტაეთი, მგონი, მაგანაც დალუპა, ნამგა-

ლი რომ გადააგდო და უმწიფარი „გოგრა“ ყველამ კოლეჯში სტუცა!“

„აპა, მოვკაკვე თითო, თომა!.. რომ ვუფიქრდები, მგონი, არ უნდა ტყურდე... ათასი ნამდინანი იმდენ ზიანს ვერ მოიტანს, რამდენსაც თუნდაც სალამანკას სახელგანმთქმული უნივერსიტეტის ერთი დიპლომიანი ბრიყვი“. „დღევანდელ გაუგონარ ბრმა-ყრუობაში, ბესტაეთშიც, უპირველესად, ღირსებასა და სინდისს გაუჭირდა... ჩემი მოჯამაგირების დროს, რჩეულთა საბჭომ ამ სიტყვების ლექსიკონიდან ამოღებაც კი დააპირა!“

„სიგიურ და უგეთი?! სინდისს ყველა დროში, ათადან-ბაბამდე, მეტ-ნაკლებად უჭირდა... ჯერ კიდევ ალექსანდრე დიდის დროს ღაფავდა სულს და, როგორც კი ფილიბეს ძე მიიცვალა, ისიც, მასთან ერთად, ჩააკვდათ ხელებში... თუ სინდისზე და ღირსებაზე უარი თქვეს, მაშ, დროულად მოუსწროთ ბესტაეთელებს „ქედმალალის“ ხაზინადრის მარჯვენა ხელმა... ამიერიდან, ყალბი და ნამდვილი ოქროს გარჩევა არ გაუჭირდებათ და „ნიგოზსაც“ ნირვას გამოუყანენ!“

„მერე იმ ნიგოზთან, სურნელოვანთან, ხშირად მისატყუებელი ხაფანგიც რომ დგას?“

„ხაფანგს თუ მაღლიდან შენი მფარველი, დიდი მტაცებელი მართავს, რაღა საშიშია!“

„ალბათ, ეგრე იქნება, ოლონდ მიუშვი და, ყუათიანი საძოვრის არჩევა, ამ ჩემს დიდყურასაც კარგად ეხერხება“. „იქნებ, სცადოს ბედი და „ნიგოზთან“ მაგასაც მიასუნიონ?“

„სცდიდა, მაგრამ გამოუსწორებელი ნაკლი აქვს – ზედმეტად პატიოსანია და, აქედან გამოდინარე, მოჭარბებულ სინდისსაც არ ემდურის!“

„პოო!.. აბა, ურჩევნია, ისევ შენს თვინიერ უკანალს ემსახუროს!.. როგორც ზემოთ „ბრძანე“, თურმე, ბეჭედს ვინ ჩივის, მეგვიდრეებს დიდვაჭარი, ხსენებითაც არ უხსენებიათ, ვისი მონაგარიც იყო სასახლეები, ოქრო-ეგრცხლით პირმოდგმული ზანდუები, შენი საქონლის სანებვე ბაკივით, ჭამადითა და სმადით უხვად გამოტენილი სარდაფები...“

„უჟ, ბაკი რად გამახსენეთ, უკვე იქიდან მონაბერი „სურნელით“ ვტკბები!“

„მაშ, მოუშვეს ქამრები, მისდგნენ სათქვლე-ფად და იმ უბედურ დიდვაჭარს კი მჭლე მადლობის თქმაც დაამადლეს?“

„რად გიკვირთ, ბატონო, კუჭსა და შვიდმეტრიან ნაწლავებში მონელებული ვილას ახსოვს? ჩაიარა და გაიარა!“

„ეტყობა, ამაგი ფურთხის ფასიც აღარ ყოილა! გაცვეთილი კუპიურასავით, ეგეც ამოვილოთ მიმოქცევიდან, მეტყველებიდან, ლექსიკონებიდან!“





„ამოვილოთ, განა მე ნინააღმდეგი ვარ?! თემთა პალატაში ორივე ხელს ავწევ და ამ ჩემი პატიოსნის აცქვეტილ ყურებსაც დავამატებ, მაგრამ, ჩემი მბრძანებელო, რაც თქვენმა, ხელის-გულზე ნაგოგმანებმა გომბიო მემკვიდრეებმა იყადრეს, გვირგვინზე ლაფი დაგასხეს და მთელ სამეფოში უკანასკნელ მანანნალად გაქციეს, სხვათა უმადურობა როგორლა გიკვირთ?!”

„მაგრამ ის ლაფი ოდნავადაც არ მიჰყარებია ჩემს მეფურ ღირსებას“.

„რომ ვუფიქრდები, ეტყობა, არც ეგ სიტყვაა ლექსიკონში გასაჩერებელი! თქვენი ღირსება ხომ იქ დასამარდა, შვილებმა კარი ცხვირწინ რომ მოგიჯახუნეს და არა მარტო მოგიჯახუნეს!..“

„მაგ მნარე-მნარეებისთვის გაჩენის დღეს განანებდი, მაგრამ სიმართლისთვის როგორ დაგსაჯო!“

„მეც, თქვენი თანდაყოლილი კეთილშობილების იმედი რომ არ მქონდეს, სარაინდო რომანების კითხვამაც რომ ვერ გაანიორწყალა, ვიდრე რაიმეს თქმას შემოგზედავდით, ასიოდე იარდით მაინც უკან გავქუსლავდი“.

„ისევ პირველ სიტყვაზე მოვიდეთ – მაშ, აღარაფერი გამაჩნია: აღარც სამეფო, აღარც ქვეშევრდომთა პატივი და პირმოთნეობა, აღარც ღირსება?! მხოლოდ ეს უმაქნისი, ლაფიანი, ცარიელ-ტარიელი გვირგვინი?!“

„განაჩენი თქვენ თავს თვითონვე გამოუტანეთ!“

„შემოგწყვებოდი, მაგრამ... ორნი მაინც არ ვიყოთ, ხმის გამცემი ხომ მინდა, ცხვირის დაცემინებისას, ხეირის თქმა რომ შემომაგებოს“.

„გაჭრები ხომ არა ვართ, „ხეირს სიცოცხლე“ სჯობს!“

„სიცოცხლე“, ჯერჯერობით, თავზე საყრელადა გვაქვს. „ხეირილა“ გვაკლია, ცოტა, თუნდაც, ერთი მუქა, ხელისგულის ნაპრალები მაინც რომ ამოავსოს“.

„აბა, რას ბრძანებთ! თოხისტარითა და ნამდის ტრიალით ჩახრამულ, ხარბი გლეხეცაცის ნაპრალებს ერთი მუქა „ხეირი“ როგორ ამოავსებს!.. თანაც, მე იქნებ ვიქმარო კიდევაც, მაგრამ გამუდმებით გაჭირვებაზე მოწუნუნე ჩემი თანამეცხედრე, ნურას უკაცრავად, არ დაგვთანხმდება, იცოტავებს..“. „გაჭირვების მიზეზით, ხშირად ქალებს თვალი სხვებისკენ გაურბით“.

„აი, მაგ საკითხში კი წელგამართული გახლავართ – ერთად-ერთი, რაც ჩემს დედაკაცს არ დაეწუნება, ერთგულებაა“.

„ნუ მაცინებ, თომა! თვალიც რომ გაექცეს, განა მაგ მარგალიცს, შენს გარდა, კიდევ ვინდეინდომებს?! მაპატიე, ხომ იცი, პირდაპირობა მიყვარს!“

„ჰოდა, მაგიტომაც, თქვენს შუბლს, მუშტსა და კომბალს, სულ პირდაპირ უხათქუნებდნენ!.. ეჱ, რა დროს ეგენიაო, კუჭი ისე შემომწკმუტუნებს, ყეფა თუ დავიწყე არ გაგიკვირდეთ“.

„ბესტაეთელთა უთავბოლო საფიხნოს, ერთხელაც შემოვუჯირითოთ და, თუ ტობოს ასული ამ ჯამაათში ვერ დავლანდეთ, მაშინ შინ მივახაროთ ჩვენი სტუმრობა... ჩვენს მომლოდინეს უხვად ექნება გამზადებული ჭამადი, სმადი“.

„მე და ჩემს თავჩაღუნულ ერთგულს მაგის იმედითლა გვიდგას სული“.

„მაგას რადა ნებავს?“

„რაც თქვენს, გმირი სიდის ბაბიეკას ტოლ-სწორ იორდას – სავსე თოფრა ქარვისფერი ქერით ან შვრით“.

„მიიღებს, თომა, ეგეც მიიღებს და, ვგონებ, შენს უკანალზე გადაცრეცილ შარვალსაც ვუსაშველოთ...“

„არა, ბატონო, ეს საცოდავი, უკვე იმდენ-ჯერ არის „ნამკურნალევი“, რომ ხელში ჩაგვა-კვდება – ნემსსა და საკერებელს ველარ აიტანს!“

„იქამდე მივაღწიოთ და, საკერებელს ვინ გაკადრებს, შესაფერისად გამოგცაზმავენ... აბა, ასე აბრანძულს ხომ არ წამოგიყვანენ ჯვრისწერაზე?“

„თქვენს პირს შაქარი, ჩემს ვირს – მარცვალი!“

* * *

ცივი, გათოშილი, უსინათლო (კიდევ რა დავამატო? ჰო, ერთმანეთთან ფიზიკური ანგარიშსწორების) ოთხმოცდაათიანის ერთ დღეს, დარეკეს, „მთავარი“ ევროპაში მოგზაურობიდან დაბრუნდა (ოფიციალურად „მესიტყვეთა საზოგადოების“ თავმჯდომარე „მთავარი“ თავად დაირქვა) და თათბირზე გინვევთო.

თბილი, მოვლილი, დაპურებული, მომლი-მარი ევროპიდან დაბრუნებული კაცის სანახავად არ მივიდოდი?!

ღვთის წყალობა „მთავარს“ არც წასვლამდე აკლდა, მაგრამ საყვარელ შამპანურს, გაურკვევ-ელი მომავლით გაოგნებულ ნაომარ ქალაქში ჩაარაკრაკებ თუ ეიფელის კოშკის რომელილაც სართულზე დაგემოვნებ, მგონი, მთლად სულ-ერთიაო, ვერ ვიტყვით.

თანაც სიმთვრალეში ისეთი მოუთოკავი ფანტაზიის მქონე გახლდათ, ყველაზე შეუხედავი ოფიციანტი ქალბატონიც კი პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან მოცეკვავე ესმერალ-დად, მოწარუნე, მაღალფეხება ფუქერებით და ჩაცივებული ბოთლებით დატვირთული, მისი საგორაო მაგიდა კი – ლამაზმანს ადევნებულ მოკინე თხად მოეჩვენებოდა.

შემაგვიანდა.



„მთავარს“ აქამდე გამოკეტილ, გაყინულ, ვეებურთელა კაბინეტში, ირგვლივ შემოესხა სიცივით ცინგლმორეული მოადგილე, მრჩევლები, ბიბლიოთეკისა და კანცელარიის თანამშრომლები... თვენაზევრის უნახავ მრევლთან, როგორც სჩვენდა, ეფექტური უესტიკულაციით ასურათხატავდა მონათხობს.

ჰყვებოდა, როგორ იმგზავრა, როგორ მონახულა გერმანიასა და საფრანგეთში მცხოვრები, გაევროპებული შვილები, შვილიშვილები – ჩვენი თავი ვიდარდოთ, ჩემო მეგობრებო, თორემ, იმათ რა უჭირთო – ზრდილობისთვის თავისი თავიც ჩაიყოლა, ამათ მარაქაში ჩაეწერა, ვითომ თავადაც უმწეობის საერთო ქვაბში იხარშებოდა; არადა, ნაპატიები სახე, გამომეტყველება, მოდური ჩაცმულობა, სულ სხვაზე მეტყველებდა! როგორც პომპეზური, სამსახურეობრივი სავარძლის ბატონ- პატრონ, პატივმოყვარე კაცებს სჩვევიათ, ერთხანს ხომ თავშეკვებით ილაპარაკა, მერე ცდუნებას ვერ გაუძლო, ამოალაგა ნანახ-განცდილის „სამგზავრო ზურგჩანთა“, მაგიდაზე „მოალავა“ ყოველი დღე, საათი, წუთი... ძმათამკვლელი იმით ჯერ კიდევ ჭრილობებმოუშუშებელ დედაქალაქს გარიდებული — რას იქმოდა, ვის ხვდებოდა, ქართულ-ფრანგულ სუფრაზე, პარიზში მიღებულ და პრესტიულ ოჯახში ვისთან ქეიფობდა; როგორ იყარა მუცელლერთა, ქვევრისაბია დიუმა-მამის ჯავრი და ზურგზე (ალბათ, მაგიდაზე!) დადო პურისმჭამელი ევროპელი გრანდები... ახლა რას მიირთმევდა, იმის ჩამოთვლა რომ დაიწყო (ფრანგული კერძები რომ დავაგემოვნე, ჩვენს სამზარეულოზე ცოტა გული გამიტყდაო, ვითომ იუმორში გაატარა!), თვალმილულულმა თანამშრომლებმა, მონაყოლიდან მონაბერი უცხო სურნელებით გაჯერებული ჰაერი მორიდებით მოყნოსეს და ცისარტყელად გადმოღუნული, საცობმოხდილი ბოთლიდან გადმოფრქვეულ შამპანურის ქაფის წვეთებს, ლამის ენის წვერით, დასაჭერად მიეტანენ. მერე ყველაფერ ამას, ჰაეროვანი ფრანგული ნამცხვრების ვანილით ამსუბუქებული სურნელი დააყოლეს და... დამთავრდა დაუჯერებელი ზღაპარი!.. ახლა თქვენ მითხარით, აქეთ რა ხდებაო, ერთმანეთში ჩახლართული, ნაპატიები თითები გაატყაცუნა „მთავარმა“ და ევროპულ ტკბილ სიზმარში მყოფები უცებ ჩამოცვივდით ჩვენს დამთრგუნველ რეალობაში.

„მთავარო“, რას გევრჩოდით, რატომ აგვიშალე ნორმალური, ადამიანური ცხოვრების საღერღელი!“ – დავიორთქლე თითები.

„გცივათ? აბა რა გეგონათ, როდემდე გაგვებოდათ ცეცხლწაკიდებული პარტბილეთების კოცონის სითბო... ჩაქრა, ჩაინაცრა და აპა, მივიღეთ ის, რაც უნდა მიგველო,“ – ისევ თავისი თავიც ჩააყოლა ჩვენს საერთო გასაჭირში.

„იმ კოცონს ერთი მუგუზალი, ანუ ის „ბილეთი“ აკლდა, რომ ამოიღეთ, დაგვანახეთ და მერე უკან, გულისჯიბები ჩაიბრუნეთ, ამას მე ვიცი, სადაც დავდებო!“

„აბა რა უნდა მექნა, მთელი სიცოცხლე ძუძუ მანვივა მშობელ დედასავით და დასაწვავად ვერ გავიმეტე, გულიდან ვერ მოვიწყვიტე!“

„რომ გაგემეტებინათ, იქნებ, რამე გვშველებოდა!“

„მეტი რაღა შველა გინდა, ესეც, ნანატრი თავისუფლება!.. ოღონდაც, ჩვენი თავი ჩვენვე „გვეყუდნეს“ და არც ჭამა გვინდა, არც სმა, არც ჩაცმა, არც დენი და გაზი, რომ არ ვიცოდით, საიდან, ვისგან და რატომ მოგვდიოდა... ახლა, დანაყრდით და გათბით „მონაბოგარით...“ რაო, პლატონის ცხენივით, ნამეტანი მჭლე გვერდები გამოადგა ნანადირევ (ნაინანატრ!) თავისუფლებას?!“

გავჩუმდი, უფრო სწორად, სიმართლეს თუ ვალიარებ, ხმა არც აქამდე ამომიღია – „მთავართან“ დიალოგი, შეპაერების მცდელობა, ჩემს ფიქრებში გაიმართა, ვიდრე ისევ „მთავარის“ თითების კაუნმა არ დამაბრუნა სათათბირო მაგიდასთან!

— რა ხდება აქეთ-მეთქი, ვიკითხე! – თვალი მოგვავლო და მზერა კანცელარიის გამგეზე შეაჩერა.

— ყველაფერი ძველებურად გახლავთ, როგორც თქვენ წასვლამდე... ჯერჯერობით, გვპირდება...

— ვინ და რას გპირდებათ?

— ის, პირველი! – ცერა თითი ჭერისკენ აიქნია გამგემ, – ცოტაც მოითმინეთ და, სამ წელიწადში ახალ შვეიცარიაში გაცხოვრებთო!

— მართლა ასე თქვაო? – ირონიული გაკვირვებით გადმოგვხედა კაბინეტის პატრონმა დანარჩენებს.

ჩვენ, რა თქმა უნდა, გამგეს დავემოწმეთ, ყველა რადიონტერვიუს მაგით იწყებს და მაგით ამთავრებს მარჩენალიო.

— ჰოო! – ისევ ჩაახლართა ატკაცუნებული თითები და სახე, რაც შეეძლო, დაისერიოზულა, – სიტყვის კაცია, თუ თქვა, შეასრულებს კიდევაც!

„მთავარმა“ საათს დახედა, ღიაზე ძლივს შემოწვდენილი, დათბილული ქურთუკის ელვა-შესაკრავი ვერცხლისფერი ხელიკივით ასრიალდა ქვემოდან ზემოთ და წამოდგა, დანარჩენი მერეო. მერე რაღა უნდა ეთქვა, რაღა დარჩა მოსაყოლად ღირებული, ალბათ, „მომდევნო ლექციაზე“ დაუსწრებლად გვამოგზაურებდა ლუვრსა და დრეზდენის მუზეუმებში ან ცალი თვალით მაინც შეგვაჭყიტებდა ვერსალის მრავალისმნახელი სასახლის იდუმალებით მოცულ ბუდუარებში. მგონი, არც იმას დაგვიმალავდა, როგორ





ახერხებდა ჩვენი წამქეზებელი ევროპა, საბჭოთა, ვითომ დანგრეული მონსტრის გავეშებულ რუსულ დინგს მხოლოდ ჩვენი ულონო საზღვრების ღობები მიენგრ-მოენგრია, მეოცე საუკუნის ბოლოს ისევ შემის ღუმელებსა და ნავთის აღრჩოლებულ „კერძისინკებზე“ დავესვით და, თავად, „გაზპრომის“ ნაწყალობევი, არც გაზი მოჰკულებოდა და არც ელექტროენერგია. ამასაც კითხვა-პასუხის რეზიმში გვეტყოდა, მაგრამ ოხერი, სწრაფმავალი დრო სადაც მიაჩქარებდა, „მერეო“, იმედი მაშველი რგოლივით მოგვიგდო, კარი გაიჯახუნა და, როგორც ხომალდის ფერდებზე ჯაჭვებით მიპმული მეხოფები, კაბინეტში დაგვტოვა, სადაც აღარც სასმელ-საჭმელის სურნელი იდგა და არც აქაფქაფებული შამპანურის ფიფქები დაფარფატებდნენ.

— ევროპიდან ჩამოტანილი რაღაც, რამდენიმე, ერთი მუჭა კანფეტი მაინც... ოჯახში მოსულმა სტუმარმა ძიებმა რომ იცოდნენ ხოლმე ჩვენს ბავშვობაში, უაზროდ დიდ, ცარიელ მაგიდაზე, ხელუკულმა რომ დაეყარა, არ შეიძლებოდა?! — იკითხა ასაკოვანმა ბიბლიოთეკარმა ქალბატონმა.

— არა! — გამოეპასუხნენ ოპერატიულად.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მეორე ჩამოსვლაზე ნუგბარს აღარ იკმარებ და ახლა „ბლანმანუეს“ მოსთხოვ, მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი...

— თხოვნით რა დაშავდება!

— ძვირფასო ფოტინე, კურდლელი რომ მოსუქდა, მოლონიერდა და თავად მგელს მიეტანა გასაუპატიურებლად, იცი, ხომ?.. ძალიან კარგი, ახლა ჩავიდეთ სარდაფში და გავაგრძელოთ წიგნების აღწერა! — მოუწოდა ბიბლიოთეკის გამგებ.

— ლამის ყველაზე მნიშვნელოვანი გამომრჩა — „მთავარმა“ წასვლამდე ისიც ბრძანა, რომ გაიგეს ჩვენი საზოგადოების წევრების რაოდენობა, ძალიან გაუკეირდათ, ამდენი მესიტყვე მთელ ევროპას არ მოექვება და, ალბათ, ნობელიანტებიც ჩვენზე მეტი გეყოლებათ!

— დაგვცინეს? — ჰკითხა მოადგილემ.

— გამოიცანი!.. საერთაშორისო გაერთიანებაში გასაწევრიანებლად რომ მიგვიწვიონ, რა ვქნათ, ამხელა ბალასტით როგორ შევიდეთ, დაგვავიწყდა ვისი ქვეყანა ვართ?!

— ნეტავი ეგ გამაგებინა და მერე, თუ გინდა, სული ამომძვრეს!

— ინატრა ბიბლიოთეკარმა.

— თქვენ ჯვარი გენეროთ და, გეტყვით, ქალბატონო ფოტინე, — რუსთაველის!

ეგ ხომ, კაი ხანია, ვიცით, თქვენ სხვა გვითხარითო, ხელი ჩაიქნია იმედგაცრუებულმა ფოტინემ.

— მოკლედ, ალბათ, ახალ მესიტყვეთა

მიღებისგან კომისიამ, ჯერჯერობით, თავი უნდა შეიკავოს და ურიგო არ იქნება, თუ „საზოგადოებას“ უნიჭო და გაბერნებული შემოქმედებისგანაც გამოხშირავს, გაანახევრებს ან სულაც გაამტასამედებს...

— თუ დღევანდელი ხელისუფლებისთვის არასაიმედოებსაც მივაყოლებთ, იმდენი დავრჩებით, შეიძლება ხელახალი „როტაციაც“ დაგვტირდეს, — გაეცინა „მთავარის“ მრჩეველს, რომელსაც შემოსული განცხადებების გაჩხრეკა-დახარისხება, მიმსვლელ-მოსვლელის დახვედრა, საქმიან ქაღალდებში ქექვა და, დღის ბოლოს, „შთაბეჭდილებების“ უფროსის ყურში ჩაჩურჩულება-გაზიარება ევალებოდა.

ბატონი ჩემო, არ არის ეგ მთლად იოლი საქმეო, შეცივნული ხელები იღლიებში შემალა კანცელარიის გამგემ.

მეც ასე ვფიქრობ, ამოლერლა მისმა მოადგილემაც.

, „მთავარი“ ჩაფიქრდა, შუბლზე ქუდის კეპივით მიიღო ხელი და დივანის კუთხეში, თათბირზე შემოსწრებულ, ფეხიფეხს გადადებულ მამფის მიაჩრდა, განმარტოებული, უცხო გარემოში შემთხვევით მოხვედრილივით, ხმას რომ არ იღებდა.

— შენ არაფერს იტყვი?

— რა უნდა ვთქვა, გამოსახშირთა სიას რომ შეადგენთ, პირველი მე ჩამწერეთ!

— ხუმროპ?

— თუ თქვენ ხუმრობთ, მაშინ მეც ვხუმრობ, თუ არადა, ვთქვი, მე ჩემი სათქმელი!.. ვითომ დავიჯერო, ევროპა ნიჭიერს და უნიჭოს გადაგვითვლის და მერე გადაწყვეტს — მიგვიღოს თუ არა? საზოგადოების წევრებაში, გარდა ფარატინა წიგნაკისა, რა ყრია ისეთი, რომ ამის ჩამორთმევასაც აპირებთ?.. თქვენ ფრანგებო, დრო ისედაც დაუნდობლად გვხშირავს და მიქელ გაბრიელს კიდევ ჩვენი წაეჭიბა, ხელის წაკვრა-წაშველება უნდა? ვაცალოთ და ფალიაშვილის „თაო ჩემოთი“ წაგვაბრძანებს ნელ-ნელა...

— კეთილი, ვაცალოთ, ჯერჯერობით ეგრე იყოს! — ხელების ანევით მოიღო მოწყალება „მთავარმა“.

ყველამ შვებით ამოისუნთქა, თითიდან გამოწყილი თავსატეხი რომ აიცილეს.

ნინამძღოლის წასვლის შემდეგ კაბინეტში რაღა უნდა გვეკეთებინა — დავიშალეთ. „მესიტყვეთა საზოგადოების“ მძიმე რკინის კარი ზურგსუკან ხმაურით დაიხურა.

მამფიმ ხელკავი გამომდო.

— რა ხვითოც არის „მთავარი“, განა არ ვიცი, მაგრამ მაინც რამ ათქმევინა... ოცდაჩვიდმეტში, მანამდეც და მერეც, ნინასწარ შედგენილი გეგმით რომ ხშირავდნენ ადამიანებს, არ გვეყო?! მეგონა, გვეშველა-მეთქი და, ახლა,





დემოკრატიის მექამოვლილი ჩვენი „პატრონი“, ასეთი რა დავალებით დაბრუნდა, „საზოგადოების“ გამესამედება რომ მოინდომა!

— რა ვიცით, ეგებ ეგ აზრი ევროპაში კი არა, სულაც აქვე, ასიოდე მეტრში, მთავრობის კანცელარიაში დაიბადა!

— ვითომ?.. ახალ ხელისუფლებას, მაინცდამაინც, გულზე არ ვეხატებით, შეიძლება „მთავარიც“ აიყოლის და გამოხშირვის გეგმა ერთობლივი ნამამაძალლარია... ისე, რა მაგარი სიტყვაა, თავი რომ იმართლო, მე არაფერ შუაში ვარო, იმათ კი აგიყოლის, მაგრამ შენ რატომ „აეყოლე“, ბიძია, თუ მათნაირი „გამომხშირავი“ არა ხარ, ჰა? კაცობის, სინდისის, ზნეობის მუხრუჭი ბოლომდე მოშლილი გქონდა?.. ახლა ნახე, მრჩეველმა, როგორი „სატოპე“ აუნია? დიდ ლიტერატურას სწორედ მთავრობებისთვის „არა-საიმედოები“ ქმნიდნენ... გაგიგონია, უკვდავთა პანთეონში ხელისუფლების მედროვე-მეხოტბე „საიმედო“ შესულიყოს?.. ამ მეტოვეს იცნობ? რაც თავი მახსოვს მთავარ გამზირზე „მოღვაწეობს“, ჭიქაცა გვაქვს ერთად აწეული, — დამანახა ყვითელ ხიფათანიანი ჭალარა კაცი, ცოცხით ქუჩის ტროტუარს რომ მიუყვებოდა, — გალუსტ, გამარჯობა, გალუსტ! მეტოვემ მოხედა, დააკვირდა და ხმა არ გასცა, გზა გააგრძელა.

— რა იყო, შე ფრანგო, ვერ მიცანი?

— როგორ ვერ გიცანი!

— მერე, ამდენი ხანი ერთმანეთი არ გვინახავს, ან სალამი თქვი, ან როგორა ხარ!

— როგორ უნდა ვიყო, აქაურობის შემხედვარე!.. ავივლი — ვტირი, ჩავივლი — ვტირი... ვაი, ვაი, ვაი! — შუბლზე გამეტებით მიირტყა გაშლილი ხელი, — ეს რა ჩაიდინეთ, თქვენ მაგივრად მე მრცვენია!

— კრემლი მაგნაირებს გვიზამს?!

— კარგი, რა, თუ ძმა ხარ!.. კრემლი, კრემლი... შენ „ბაშკა“ არ გიმუშავებდეს, კრემლს დააბრალე!.. — ცოცხის ტარი ისევ ჩაბლუჯა და აოხრებულ ქუჩას ჩოჩიალით დაუყვა.

მამფიმ ხმა ველარ ამოილო, პირველად ვნახე, რომ გააჩუმეს! ისეთი სახე გაუხდა, როგორც ჭირისუფალს, მომხდარით თავზარდაცემული, ენაჩავარდნილი, მხოლოდ უმწეოდ ხელებს რომ ასაგავებს.

თუმცა რა, ნინ მკვდარი არ გვედო? თვალსაწიერზე, სადამდეც მზერა მიგვიწვდებოდა, დაჩეხილი ქვეყნის მთავარი გამზირი გულდამნვარი „პატრიოტების“ ხელით გაჭრილ სარკოფაგში იწვა, ჯერ კიდევ „აულაგებელი“, მკერდზე მიყრილ-მოყრილი მუხლუხებით ამოკბეჩილი ასფალტის ნაფლეთებით, დაცლილი მასრებით, ჰილზებით, არტილერიის ნაბუჯნებით, ტყვებით ჩამოხლეჩილი ჭადრის ტოტებით და ნაღმტყორცნების გრიალით გულგახეთქილი

ბელურებით...

შორიახლო ზარს ჩამოჰკრეს. ერთხელ, მეორედ, მესამედ...

ველარ გავინძერი — მიცვალებულ ქუჩაზე გავლა არ შემეძლო.

ჩემმა თანამგზავრმა, სიტყვის უთქმელად ისევ ხელკავი გამომდო და უკან გამოვბრუნდით.

უცებ ჩაილაპარაკა:

— ბედნიერი გურამ გვარამი!

— ჰო, აქ რომ პირველი ტყვია გავარდა, ის „ლეჩიკომბინატში“ კვდებოდა.

— იცი, ჩვენი ძმობის ამბავი — პალატაში თავზე ვადექი... სულის ამოსვლამდე რამდენიმე წუთით ადრე, ხელი ხელზე მომიჭირა, თავი ჩემ-კენ გადმოაბრუნა და ისეთი თვალებით ამომხედა, თითქოს თავისთავი კი არა, მე ვებრალებოდი, ამ აღვირახსნილ გაუგებრობაში რომ მტოვებ-და... „გამოვხშიროთო“, გურამი ადამიანებს კი არა, ჭიანჭველებსაც არ აკადრებდა... არა, ბიძია, ტყუილად არ გვედავებიან მტერ-მოყვარე მეზობლები — მართლა არა ვართ „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელები! სამოცდათხუთმეტი წლის ბერიკაცს მოლაშქრები დავუმალეთ, პირისპირ შევატოვეთ კაცთმოძულე საჭურისს... სამაგი-ეროდ, როცა გარდაიცვალა, თელავის სასახლი-დან, მცხეთისკენ ოცი ათასი შეიარაღებული ვა-ჟყაცი მოაცილებდა... კი, კი, დატირება მაგარი ვიცით, გაგაკვირვებთ მსოფლიოს... მოვკალით და, დღემდე ილიას კუბოს თავს ვუხათქუნებთ!.. ხედავ, რა თქვა უცხოტომელმა მეეზოვემ, მთელი სიცოცხლე მაღლა რომ არ აუხედია, ცოცხ-სა და მოხეტილ ნაგაეს რომ დაჰყურებს... თქვენ მაგივრად მე მრცხვენიაო!.. მერჩივნა მინა გამსკდომოდა... როგორც ხმელი ფოთოლი მოფშვიტო, ეგრე მოგვსპო და გაგავანადგურა!.. გონია, მართლა ანუხებს ვინმეს ექვსასი წევრი რას ჩალიჩიბს კალამ-ფურცელთან?! აქაც ანგა-რიშიწორების ცოფი არ ასვენებთ... ერთმანეთის სისხლი ხომ დავლევარეთ? არ ეყოთ, ახლა ბოლ-მა უნდათ ამოანთხიონ, გაინმინდონ გულგვამი!.. არა, რომ ვუფიქრდები, მართალია, ასეთი წამპა-ლი, ჩათლახური სისტემა იყო, მაგრამ კულტურ-აც, ავად თუ კარგად, მოვლილი გვერდი და პიროვნებაც — დაფასებული. ამ ჩვენს საამაყო გამზირზე დიდი არტისტები, დიდი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები დაბიჯებდნენ. ხალხი იდგა და, როგორც ცოცხალი ძეგლების გამოფე-ნას, ეგრე უყურებდა, ტკბებოდა... მოედანთან მიწისქვეშა გადასასვლელში, ახლა შარდის სუ-ნად რომ ყარს, ერთადერთი მათხოვარი იდგა ხოლმე; ჰონორარს როცა ავიღებდი, ვიცოდი, ჩემს გასამრჯელოში მისი ნილიც იდო! უეჭვე-ლად უნდა გამომევლო და განმეკითხა.

— ახლა ხელგაშვერილები ისე მომრავლდნენ...



— ჯერ სადა ხარ! იმდენი იქნებიან, მოწყვლების გამლებებს გადააჭარბებენ... ასე რომ, ხარკი, რომელიც მაშინ ნებაყოფილობით დავიკისრე, დღესდღეობით, ნამეტანი დამძიმდა, ველარ ვიზდი და გადასასვლელში აღარ ჩავდივარ, ვაითუ, ძველ „მევალეს“ გადავაწყდე...

ყოფილ ქალაქის საბჭოს გავცდით და ერთი უხსესნებელი, მთანმინდიდან „ჩამოსახლებული“, მგზნებარე რევოლუციონერის სახელობის ქუჩას ავუყვით.

— შე ფრანგო, საითკენაც მინდა, იქით რომ მომდევ ბოჩოლასავით, არ უნდა მკითხო, სად მიგყავარო?

— კაცს, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი, როგორ ვაკადრო და ვკითხო, სად მიმაბრძანებ-მეთქი?!

გაეცინა:

— სიტყვით ისეთი გულის მოფხანა იცი, საახალწლო ტახიც კი თავისით დაგინვება და დასაკლავად კისერს გადაგიგდებს... ტახზე გამახსენდა — „დაისის“ შესავალივით, ლორის დაკვლის უვერტიურა მიყვარს, გალუდლუდებულ ნაკვერჩხლებზე თბილ-თბილ ელენთას რომ მიაგდებენ, მალევე მარილმოყრილი „სუკის“ შამფურებსაც მიუმარჯვებენ და ქონის ცრემლები წალამზე აშიშხინდება... მერე რაც ხდება, ის „ოპერა“ მაინცდამაინც აღარ მაინტერესებს; უფრო ღვინოს გავუმიჯნურდები ხოლმე და ნითელი პომიდვრის მწნილს, ტუჩების შეხებამდე რომ გადაიპობა და ჩანივრულ-ჩანიახურებულ წვენსა და სურნელს ამოაფრქვევს.

— შემიძრალეთ, არ გეცოდებით? — მუცელზე მოვისვი ხელი.

— შენ შემიძრალე, ამ აღმართზე ლამის სული გამძვრეს, ისე მიმარტენინდება?!

შევჩერდით. სადარბაზოდან ტროტუარზე ჩამომავალი კიბის მოაჯირს იდაყვით დაეყრდნო და გაირინდა. გურამ გვარამი და, რამდენიმე წლის წინანდელი, ჩრდილოეთის დედაქალაქი გამახსენდა:

ლიტერატორთა სახლში, ილიას საიუბილეო საღამოს შემდეგ, ბანკეტზე, ლამის, მთელი პოლიტიკურო მობრძანდა.

ვინძე შაუროს, რომელიც დედამინის ერთი მეექვსედის მრავალეროვან კულტურას კურირებდა, ცოტა შეაგვიანდა; ჩვენც, მისი მოსვლის შემდეგ, მიგვინვის სუფრასთან და მაგიდას რომ მივუსხედით, გვერდით მჯდომარ გვარამი მა იხუმრა, აპა, გავიყიდეთ ორ „შაუროთო“. პურობის დამთავრებისას კი, ცხონებულმა თვალი ჩამიკრა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთო.

ასეც მოვიქეცით, მაგიდის ერთ კუთხეში მოვყერდით. მსოფლიოს დიდი პოეზიის „იმპერიას“ გაუმარჯოს, ტერიტორიებს კი არა, ადამიანთა გულებს რომ იპყრობს! — ბრძანა ფეხზე

ამდგარმა გურამმა და მისი მჭევრმეტყველებით მოხიბლული რესტორნის პერსონალი ჩვენ ირგვლივ მოქუჩდა.

რაკი მსმენელი დაიგულა, რაღა გააჩერებდა! ისეც აღავლინა პოეზიის სადიდებელი, რუსულ, ფრანგულ, სპარსულ, ქართულ ენებზე ჩამოარაკავა ლექსები და გარეთ აღფრთოვანებულ მსმენელთა ტაშის გრიალმა გამოგვაცილა.

საელჩობის ქუჩაზე გამოვედით. როგორი იყო, ხომ არ შეგარცხვინეო. ცერი ავუნიე, მაგარი-მეთქი.

საელჩო უცხო ქვეყნის მინი-სახელმწიფოა.

საელჩოს შესასვლელთან აყუდებულ დაცვის ჯიხურთან მიახლოებაც კი არ შეიძლებოდა, ვაითუ, შევარდნილიყავი და „რეინის ფარდის“ მიღმელთათვის ყელი გამოგენია, მიშველეთ, ვიხრჩობი, ამ ჯოჯოხეთიდან ამომიყვანეთ და თავშესაფარი მომეცითო.

ამიტომ ფხიზლობდა მაშინდელი სანიმუშო უშიშროება — ჯიხურებში მუდამ საიმედო, განსაკუთრებულად შუბლშეკრული თანამშრომლები ჰყავდა ქოფაკებივით დაბმული.

ახლა მინდა გაჩვენო, ამ სახიფათო ქუჩაზე ნასვამ მდგომარეობაში, როგორ მოიქცეოდა ჩემი გარდაცვლილი მეგობარი, კინო-რეჟისორი თემურ ელიავაო, თქვა და ჯიხურზე მიაკაუნა.

რა გნებავთ, ამხანაგოო, სარკმლის განათებულმა შუბამ მკაცრი, ნითური, ოთხკუთხედი სახე აირეკლა.

თუ შეიძლება, გამობრძანდითო. გამობრძანდა.

ვიდრე ჩვენი სითავხედით გაკვირვებული მასპინძელი ხმას ამოილებდა, გურამმა დაასწრო, ისედაც ახოვანი და წელში გამართული, კიდევ უფრო გაიჯგიმა და შუბლთან მხედრულად ხელმიტანილმა უპატაკა:

— მინდა წარმოგიდგეთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამხედრო კათედრაგავლილი და ერთწლიან სავალდებულო სამსახურმოხდილი თადარიგის ოფიცერი, უმცროსი ლეიტენანტი გურამ გვარამი!

ეს ყველაფერი ისეთი არტისტიზმით, სერიოზული ხუმრობით, „ჩამოურასკაზა“, რომ იმასაც გაეცინა და თავადაც ხელი აუღო, რა ნებავს უმცროს ლეიტენანტს.

ჩვენ, ახლა, ნაბანკეტარ-ნაქეიფრები, ქართველი ერის მამის — ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოდან მოვდივართო.

ძალიან სასიამოვნოა, მსმენია მის შესახებო.

ეს ის პიროვნებაა, ვინც ჭაბუკ ჯულაშვილს ლექსები გამოუქვეყნა და ვისზეც ბესარიონოვიჩი ბრძანა, მსოფლიოს პრეზიდენტობა შეეფერებოდა... ბელადს, შეიძლება, რაღაც შეეშალა, მაგრამ ეპოქალური ადამიანების შეფასებაში





შეუმცდარი იყო... იგივე გამეორდა კიდევ ორ საელჩოსთან, ნაცნობი ტექსტი, მოკლე, „სალექციო“ კურსი ილიაზე და სამივეგან ერთნაირი რეაქცია, ხელის ჩამორთმევა და გულითადი დამშვიდობება. საელჩოთა მცველების შემხედვარემ, გავითქმირე, თუ არაკაცობის ბაცილას ხელოვნურად, ძალით არ შევყრით ადამიანებს, კეთილშობილების საწყისი, უფრო მეტად იმძლავრებს-მეთქი. თემური ძალიან ნიჭიერი იყო – ამათ არა მარტო გამოიყვანდა თავისი ბუდრუგანებიდან, ერთი-ორსაც აცეკვებდა და ამღრებდა კიდევაც... ეს, ამნაირები ჩაგვიდენა სტუდენტობაში, – მივდიოდით სასტუმრო „როსიასკენ“ და ამოჩემებულად ყვებოდა და ყვებოდა თავის მეგობარზე ახალ-ახალ ამბებს.

— აი, კიდევ როგორი ბიჭი იყო:

უკურნებელი სენით დაავადებულმა ჩვენმა საერთო ძმაკაცმა გარდაცვალებამდე მეუღლეს დაუბარა, თემურისა ამდენი და, ამდენი მმართებს, თვითონ არ გეტყვით და გადაუხადეთ, მაგ ჯავრს საფლავში ნუ ჩამაყოლებთო.

ორმოცის მერე, ოჯახში შინაურები რომ დავრჩით, თემურს გადასცეს მიცვალებულის დანაბარები და დაპირეს კონვერტით ვალი დაებრუნებინათ.

ამან შეიცხადა, რა ვალი, რის ვალი!.. ხომ გახსოვთ, – მოგვიბრუნდა ჩვენ, – მთელი სიცოცხლე, სკოლის მერხიდან მოყოლებული, სულ ჩემს „შაყირში“ იყო... გზამართალს დაადგა და იქიდანაც არ მასვენებს!

ამოისუნთქა ოჯახმა, უხუმრიაო.

მოკლედ, ვალი ხომ არ დაიბრუნა, თანაც, ეს ისე დელიკატურად გააკეთა, ჭირისუფლებს მთელი ცხოვრება უხერხულად, დავალებულად რომ არ ეგრძნოთ თავი.

ერთხელ, არ ვიცი, რა ეშმაკმა დამრია ხელი, ლოგინად ჩავარდნილს ვკითხე იმ ვალის შესახებ და... პირველ ჩვენებას მაინც არ უღალატა, იხუმრა, მორჩა და გათავდაო...

უფალი გვაფრთხილებს, არ არის საიდუმლო, რომელიც ადრე თუ გვიან არ გაცხადდებაო, მაგრამ აპა, სიმართლეს, იმ ჩვენი ძმაკაცის ოჯახი ხომ ვერასოდეს გაიგებს?!

— აუხსნელი, დაფარული და გაუგებარი მისთვის რომ არაფერი დარჩება, უფრო ეს იგულისხმა უფალმა, თორემ არ უთქვამს, ადამიანებს, ყველა საიდუმლოში აკვალანგებით გაყურყუმელავებთო!

— საინტერესოა, ბიბლია და აკვალანგი!

— ნაფაზდარტყმულ სიგარეტს თვალი მოუკუუა და მხარზე ხელი მომითათუნა, – აქამდე მეგონა, რადგან თავის სახედ შემქმნა, იმას, რაც უფალმა იცის, ადრე თუ გვიან, არც მე დამიმალავს-მეთქი... ან რა საჭიროა იმაზე მეტის ცოდნა, რომლის გადახარშვაც შენს ძალებს აღე-

მატება?! ისეთ კვიცს არ უნდა მოახტე, რომელ-საც ვერ გახედნი... პეპელაზე მსუბუქი ფრთები ჰქონდათ ევროპის შუასაუკუნელ, მოხეტიალე პოეტ-მუსიკოსებს... ორპირივით ანიავებდნენ მაშინდელ რუტინულ, აუტანელ ყოფას... ასე-თი მენესტრელები ჩვენცა გვყავდნენ... მათგან გამორჩეულია იეთიმ-გურჯი. აბა მოუსმინე! – შემართა მაღლა საჩვენებელი თითი, – „სიყვარულის მგოსანი ვარ, ვალამაზებ „დედა ენას“ – ჰა, როგორია, რამდენ უნიჭოთა ტომეულებს გადაწყვეტილის!.. ისე ლაპარაკობდა, როგორც ნას-ვამს სჩვეოდა, ხუმრობასა და სერიოზულობას შორის ზღვარს რომ ვერ გაავლებდი...

სასტუმროში, ლიფტიდან გამოსულები, იქვე კედელთან მიდგმულ საკაზზე ჩამოესხედით – ამ ღერს დავამთავრებ და დავიშალოთო, მითხრა, მაგრამ ვინ გიშვებს, ერთ ღერს მეორე მიაყოლა, მეორეს – მესამე...

უცებ ლიფტის კარი გაიღო და, უკვე არცთუახლგაზრდა, მაგრამ თავშენაზული, მოვლილი ქალბატონი გამობრძანდა. გურამი დააკვირდა და, თვალი რომ არ მოუცილებია, ისე ჩამილაპარკა, აბა, თუ გამოიცნობ, ეს ლამაზმანი, უფლისა და კაცისთვის რა საიდუმლოს დაფარვას ცდილობს.

პასუხს აღარ დაელოდა, ნამწვი ურნაში ჩააგდო და განზე ხელებგაშლილი, ქალბატონს წინ გადაუდგა.

ნასვამი კაცის დანახვაზე ქალმა უკან დაიხია. თვალები მოვხუჭე, მეგონა, წარბშეკრული მანდილოსანი უხეშად რამეს აკადრებდა, მაგრამ, ჩემდა გასაკირად, ამას ვის ვხედავო, გურამს კისერზე ჩამოეკიდა.

როგორც იქნა, მოათავეს სალამ-ქალამი.

გურამმა წელზე ხელშემოხვეული ქალი ჩემთან მოანარნარა და, ვიდრე გამაცნობდა, უთხრა, აბა, ამ ჩემ მეგობარს ჰკითხე, სასტუმროში მოსვლამდე, მთელი გზა ვისზე საუბრობდით-თქი.

იმანაც მკითხა და მეც ვუპასუხე, თემურ ელიავაზე-მეთქი. ქალს სახე გაუნათდა, მერე დაუსევდიანდა, თავი სინანულით გადააქნია და, ტკაცუნით გახსნილი ხელჩანთიდან, სუნამონა-პურები ცხვირსახოცი ამოიღო.

— არ არის საოცრება, მაინცდამაინც ახლა, თემურიზე ამდენი საუბრის შემდეგ, მისი გულისსწორი რომ გამოგვეცხადა?

— გადაისახა პირჯვარი გურამმა, – გაიცანი, დიდი თეატრის ყოფილი ბალერინა...

— ოღონდ, არა პლისეცკაია!

— არა, მაგრამ, სამაგიეროდ, შენ რომ კაცს უყვარდი, ისეთი პლისეცკაიას არც დაესიზმრება!.. გამოტყდი, თხუთმეტი წელიწადი მაინც ხომ გაცეკვა ხელისგულზე!.. შენს პრემიერებზე, ფილმის გადალებების ან სხვა გამოუვალი მდგო-





მარეობის გამო, ჩამოსვლას თუ ვერ ახერხებდა, დარბაზიდან, „პაკლონზე“ გამოსულისკენ მოსალოცად ხომ მაინც მოყელელაობდნენ მაღალი, ტანქერწეტა, თბილისური წითელი ვარდები!

— თეგურის გამოგზავნილი! — თქვა სამორიგოდ სამსახურში მოპრანებულმა, ცრემლებით თვალებგაბრწყინებულმა ქალმა.

მეორე დილით გურამმა თავის ნომერში მიხმა.

სტუმარს უნდა შევხვდე და მინდა შენც ჩემთან ერთად იყოო, ვესტიბიულში ჩავიდა, მალე ბელა ამოიყვანა და ორი ბოთლი შამპანურიც მოაყოლა.

პოეტესამ ერთმანეთს მიტყუპებული, მოშვებული თხელი თითები, როგორც ბარათი საფოსტო ყუთში, მუჯჭი ჩამიცურა და ჩემ წინ, დაბალი მაგიდის მეორე მხარეს მოდგმულ სავარძელში ჩაიკარგა.

ყვითელზოლიან მოსაცმელში გალიის ხარიხაზე დასკუპებულ, მოლაპარაკე თუთიყუშს ჰგავდა.

გურამმა შამპანურის დაორთქლილი ბოთლი დააქუხა. სტუმარი სადღეგრძელოს არ დაელოდა, ცალფეზე შემდგარი ფუჟერი მოსვა და, კარგიაო, თქვა ნასიამოგნებმა.

შამპანური უყვარსო, თვალი ჩამიკრა გურამმა, ვითომ სხვა სასმელებზე უარს ამბობდა!

მერე ჩემი თავი წარუდგინა:

— ამ ახალგაზრდა კაცმა უკვე დაწერა ეს სტრიქონები: „იდგა ქუჩაში ბრმა მუსიკოსი მებამრიდივით აწვდილი ხემით…“

ბელას აღმოსავლურად დაცერებული, უემოციო თვალების ჭრილი კიდევ უფრო განზე გაექცა და თავი ოდნავ დახარა.

მეტი არაფერი...

— „საზოგადოებაში“ რომ მივდიოდი, ქუჩაში, ვილაცამ, ახმადულინას თეთრყდიანი წიგნი შემომაძლია, სამი მანეთი მომეცი, ძალიან მჭირდება და, შენ რა ფასადაც გინდა, გაასუხარეო, — ვეუბნები მამფიის.

— როგორ შეგატყო, რომ წიგნებით ვაჭრობდი, — გაეცინა და გზა განვაგრძეთ, — ისე, ამ ხალხს გაჭირვებამ როგორი ვირეშმაკული სულები ასწავლა, მე ჩემი სამი მანეთი დამიადე და ნებას გაძლევ, ამ წიგნს, როგორც გინდა, ისე მოექეცი, უფრო ძვირად გაყიდე, მაყუთი მოიგე და იბაირამე... თავისი ჭკუით წაგაქეზა... ლოთი იქნებოდა, სამი მანეთი ბოთლი არაყია... წიგნს ვინ იყიდის! ვისაც პურიც აქვს, არაყიც, კარაქი და ყველის ნაჭერიც, იმას პოეზია რაღად უნდა, „თოხლია“ დღეს პროზაც და პოეზიაც... მაგდენს ბელას ერთ სტრიქონში უხდიდნენ, თუ მეტს არა... ახლა, მთელი წიგნი... ასეთი კატასტროფული გაუფასურება გაგონილა?! დამთრგუნველი უფრო იცი რა არის? როცა რა-

ლაცას იქ არ ეძებ, სადაც დევს... თანაც, შოკის მომგვრელია, რომ ეს შენც იცი და იმანაც, ვინც ამ უნაყოფო ძიებას გაიძულებს... ამიტომ ძილისწინ ვევედრები ხოლმე ჩემს ანგელოზს, მოდი, მომხედე, ეშმაქს არ დაანებო ჩემი თავი-მეთქი... ვევედრები, მაგრამ სად არის, ერთხელ მაინც დამენახოს ან ჩემი გალიის ჩიტივით, მძინარეს ლოყაზე ჰაეროვანი ფრთა მომილამუნოს, თორემ ამოვიდა ყელში სულ ერთი და იგივე ანტურა-ზი, ერთი და იგივე სპექტაკლი... აბა დააკვირდი, როგორ მომრავლდნენ, თავის თავთან მოლაპარაკე ადამიანები — გიუები რომ გაიპარონ საგიუეთიდან, გარეგნული ნიშნებით, ველარც ამოიცნობენ, რადგან აღარც საზოგადოებაა სრულ ჭუაზე... როდის ყოფილა, ქალები კურტანს რომ დაათრევდნენ, კაცები კიდევ... ამას წინათ, მეყვავილე ქალბატონს, მანქანის სათავსოდან ყუთის ამოღებაში მივეხმარე, იმან კიდევ ქალალდშემოხვეული ნარცისები შემომაჩერა, მეუღლეს წაუღეო... მეც წავუღე... ის შემოხვეული ფურცელი გავშალე და ძველი უურნალის კროსვორდიანი გარეკანი გამოდგა.

ავიღე ფანქარი და ამოსახსნელად ჩავუჯექი.

თითქმის შევაგსე, მხოლოდ „ჩუქჩების ქონბა“ გამჭედა, ჩამჭრა. ვინანე, სსრკ რომ არ დანგრეულიყო, დასახელება ხომ მეცოდინებოდა-მეთქი.

აბა, განა ეს ნორმალურია? მაშ, არ მოგვერია სიგიჟის საყოველთაო ვირუსი? მოდი და ამოიცანი, ამ ჯამაათში ვინ გამოიპარა სულით ავადყოფთა დაწესებულებიდან, ადვილია?

— გახსოვთ, ქაშებეთში, მანიფაფას რომ ვიწუნებდით?

— რა სჭირდა სერგოს მომზადებულ ფაფას დასაწუნი!

— ხაშიც ხომ იცოდა, კარგი!

— მშვენიერი!

— საქონლის ლურთებიც, დილის არაყზე როგორ მიდიოდა!

— დიდებულად...

ზღვისპირეთში, „მესიტყვეთა საზოგადოების“ გამსვლელი შეკრებიდან გამოიპარულები „ინტურისტის“ კაფეში, გურამ გვარამთან ერთად რომ „ჩავუსხედით“, ისიც მოვიგონე.

— ჰო, ჰო, ცოტა იმ ტიპმა აგვირია, კრემლის დიქტატორის სადღეგრძელოს რომ გვაძლებდა, მაგრამ მერე ივარგა, არც გაგვაგებინა, ჩვენი დანახარჯი ისე გადაიხადა.

ვსხედვართ კაფეში წინა ღამის ნაბანკეტარები და ვწრუპავთ, სასმელს ნელ-ნელა ვეპარებით.

ვართ, როგორც მამფი ბრძანებს ხოლმე, ტკბილ ჭუკუჭეში, რომ ჩვენ გადასწროვ, უკვე შემთვრალ-შეუიუნებული სუფრიდან, გალიცლიცებული, განსხვავებული სასმისით, თამადა მობარბაცდა, მაპატიეთ, მყუდროებას რომ გირ-





ღვევთ, მაგრამ ბელადის სადლეგრძელოს ვსვამთ და გვინდა, შემოგვიერთდეთო.

— რომელი ბელადის, იმდენი გვყავდა, თქვენ რომელის სადლეგრძელოს გვთავაზობთო, — იკითხა მამფიტ.

— მეგობარო, — დაუქნია მოსულმა მკაცრად თითო, — ეგ შეკითხვა მამულიშვილ ქართველს არ ეკადრება... რომელს და, ვისთანაც მოსკოვის დიდი თეატრის დირექტორმა, მომღერალი უტიოსოვი რომ დაასმინა, თავს გაუვიდა, გაორმაგებულ ხელფასს ითხოვსო.

უთხრა და გაყუჩდა, ელოდება, ბელადი მაგიდას მუშტს როდის დაპკრავს და კრემლის კედლებს ზანზარს დააწყებინებს... დიახ, მომღერალს თუ არ დახვრეტს, ციმბირს მაინც უკან დაატოვებინებს!.. ამ მოლოდინშია დამსმენი და, როდის-როდის დაარღვია ბელადმა სიჩუმე — მერე, რას აპირებთო.

დაიბნა, ხმა ჩაუწყდა მოსაუბრეს, რა უთხრას, აღარ იცის.

— მაშ, ითხოვსო, არა? — გაუმეორა.

— ეგრე გახლავთო, — ძლივს ამოისუნთქა დირექტორმა. დავუშვათ, ამისთვის დავსაჯეთ, მოვკვეთეთ თეატრს, კოლექტივს, გყავთ მეორე, ვინც უტიოსოვს შეცვლის და რეპერტუარი არ ჩაგივარდებათ?

არაო, როგორც მომღერალს, ვინ შეედრება, მაგრამ... მაშინ, სხვა გამოსავალი არა გვაქს, რამდენსაც ითხოვს უნდა მივცეთო.

— ბრავო, ბელადო!.. აი, კაცი!.. აი, ვერდიქტი!.. გაუმართლა შალიაბინს! — ტაში შემოჰკრა გურამმა.

— უტიოსოვი-მეთქი! — შებლვირა დაუპატიუებელმა სტუმარმა.

— ვინც იყო, რა მნიშვნელობა აქვს, ეტყობა, სამყაროს მბრძანებელი, კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა.

— ვენაცვალე ჯიგარში! — განსხვავებული სასმისი მხრების სიმაღლეზე შემართა მოსულმა.

— ნამეტანი მოგდით, ჯიგარი სად ჰქონდა!

— აბა, აბა, ახლა აჩიმახებ!.. აიღე და დალიე ბელადის სადლეგრძელო! — გაუშინაურდა უცებ.

— ვერა! ხელფასი უტიოსოვს გაუორმაგა და სადლეგრძელო მე დავლიო? — განზე გასწია გურამმა ჭიქა.

— რატომ? — განცვიფრებისგან თვალები კეფაზე გადაუცოცდა.

— მამაჩემი დახვრიტა და იმიტომ!

„ვერდალევის“ მიზეზმა დამძალებელს წარბივერ შეახრევინა:

— როგორ, ამდენი ტყუილად ვიყბედე?! აიღე-მეთქი! — და განეული ჭიქა ისევ გურამისკენ მოაცურა.

მდგომარეობა დაიძაბა.

დროებით ჩამოვარდნილი სიჩუმე „სამეგო-

ბრო“ სუფრიდან მუქარაგარეულმა ძახილმა დაარღვია, რა ხდება, მანდეთ, სიყვარულოვიჩ, რამე პრობლემა ხომ არ არისო.

ვიდრე „სიყვარულოვიჩი“ პასუხს გასცემდა, ამ სადლეგრძელოს არც მე დავლევო, მამფიმაც ჭიქა სუფრის შუაგულში გადადგა. თამადას გაკვირვებისგან ხელახლა დაეჭყიტა თვალები და ძლივს ამოღერლა, თქვენ რატომლა არა სვამთო.

იმიტომ, რომ დედაჩემის მოლალატე მამაჩემი არ დახვრიტაო!

საბედნიეროდ, ამ ჩვენს ძალად მაცხონეს, იუმორის გრძნობა აღმოაჩნდა, სიტყვის უთქმელად თავისი მაგიდისკენ გაბრუნდა და შუა გზაზე ისეთი სიცილი აუტყდა, სათამადო „საკარცხულამდე“ ძლივს მიაღწია.

რაც ჩვენთან მოხდა, ახლა იმათ რომ მოუყვა, იქაც მთელი სუფრა ახარხარდა, დაძაბულობის თასმა მოეშვა და სულ ჰაეროვანი კოცნები გვიგზავნება.

— ხომ გახსოვს, არ გამოდგა ის „სიყვარულოვიჩი“ ცუდი ყმაწვილი, — გამიმეორა მამფიმ, — ნეტავ მამამისს ნამდვილი სახელი რა ერქვა?

სოლოლაკში, ვიდრე წყნეთის აღმართს დავადგებოდით, ხელმარჯვნივ დავუხვიეთ და ხებში ჩაკარგულ, ქუდჩამოფხატული კაცივით სახურავდაშვებულ პატარა ბელეტაჟს მივადექით. დაკაკუნება არ დაგვჭირდა, შეუზეთავ, მოხრჭიალე ანჯამებზე დაკონწიალებული კარი მასპინძელმა, ოთო მეზურნიშვილმა მაშინვე გაგვიღოდა.

სიდედრებს ჰყვარებითხართო, ჩია კაცი, ფეხაკრეფილი ცუხცუხით შეგვიძლვა მყუდრო სამზარეულოში, სადაც ოჯახური „რეკვიზიტიდან“ ამოღებულ, ახალგამორთულ ნავთქურაზე, მოზრდილი თუჯის ქვაბი ჯერ კიდევ თუხთუხებდა.

ოთახში დანაყილი ნივრის მძაფრი სუნი იდგა.

ოთომ მაგიდას ტილო გადმოუსვა და დონჯშემოყრილმა, ორივე რიგრიგობით აგვათვალ-ჩაგვათვალიერა:

— აბა, რას იტყვით, როგორა ხარ?

— მშიერი, ყველამშრალი ქვეყნის შვილები როგორ ვიქნებით?!

— დაუბრუნა კითხვა მამფიმ.

— ახლავე ყველაფერი იქნება!.. დილის ხაში, ზედ ლავაშიო, ნათქვამია. ნაშუადლევის ხაშს ვითომ რა დაეწუნება?

— არც არაფერი, პირიქით...

— მაგრამ მთლად ჩემებური ვერ არის.

— რატომ, არ მოიხარშა?

— მოხარშით ისეთია, ჩილიქს თითებს ჩაყოლებ, მაგრამ რე აკლია, შემოვირბინე ახლო-მახლო, სადაც კი მეგულებოდა, და ვერ ვიშოვე.





— სად იშოვიდი, შე ფრანგო, ჩამოწველილ საქართველოს, ეგრე აქეს ჯიქნები გამოლეჭილი, წვეთს ვერ გამოადენ... შენ დარდი გაუშვი, დედის ძუძუს რომ მომწყვიტეს, მას შემდეგ რქეს მანიფაფსათან „კონტექსტში“ თუ შემომაპარებენ, თორემ...

ოთომ ორთქლავარდნილი მათლაფები დაგვიდგა.

— აგე, მარილი, აგე, ნიორი... ესეც არაყი — ხომ არ დაგავიწყდათ, კენტი უნდა დაილიოს, სამ-სამი...

— რათა შე ფრანგო, სამი თუ კენტია, ხუთი წყვილია?! ორი ინტრიგული კითხვა მა-ქეს, ძვირფასო ოთო, თუ მეზურნიშვილი ხარ, დუდუზე რატომ უკრავ და, პატიოსნებაზე რომ თავსა სდებ, ამ ძნელ დროში ხაში საიდან?!

— ზურნა სამეზობლოდან თუ უფრო შორი-დან მოვიდა, ჭყვიტინით უურები გამოგვიჭედა და დამპყრობელივით ჩარჩა, ალარ წავიდა. აი, დუდუკი კი ჩვენია, ქალაქური, თან ქართული... ხაში კიდევ, უბანში ერთი წესიერი კაცი გარდა-აგვეცვალა, გავაპატიოსნეთ და მე და მედოლე აპეს მისმა შვილებმა მოგვიკითხეს...

— თვალთ ხომ არ დაგაკლდა, არ მახსოვს ჭამის დროს სათვალე გკეთებოდა.

— ეხლა დაგიწყე... როცა სათოხლავი ცო-ტაა, გავიკეთებ და საჭმელი ბევრდება.

— კუჭს ატყუებ?

— რა ვქნა, აბა სხვა ვინ მოვატყუო!.. ის-ეთი მგლების ხახაში ჩავვარდით, საჭმელ-სა-მელი სათვალით კი არა, მგონი, დურბინდითაც ვეღარ დავინახოთ!.. ჩემი მეზობელი ბუმბულა გახსოვს? ერთხელაც, მთავარ ქუჩაზე ჯერ კიდევ ცხელი სისხლის ოხშივარი დგას და, მო-ვარდა გახარებული, რადიოში გადმოსცეს, ის მოდის, პენსიაზე გაშვებული კრემლის მინისტრი და, გვეშველებაო... რომ გვეშველება, საიდან დაასკვენი-მეთქი... ჭკვიანი და პატიოსანია!.. გაიგეთ, ხალხო ან ზღაპარში ან ცხოვრებაში, „მელას“ პატიოსნება გაგონილა?! მოკლედ, შევ-ჯავახდით და, პატიოსანი ერთი დედაშენი ბაბულიაა და მეორე... იწყინა, დედაჩემს რას ერჩი, დაუკრეფავში რად გადადიხარო... პატიოსანი რომ იყოს, შენ არ გაგაჩენდა-მეთქი... მოკლედ, სულ ცეცხლი წაიკიდა; ძან არ მომეწონა იმის ბაზარი და კარი გამოვალე, ახლა აქედან დაით-ეს და კოჭი გააგორე-მეთქი. უსიტყვილ წავიდა და მართლა არ „გააგორა?“ — ხელი ხელს გაჰკრა მასპინძელმა.

— გააგორა? — გამიკვირდა მე.

— ჰო, მოკვდა, ორ დღეში დაიბრიდა!

— რას ამბობ, — შეიცხადა მამფიმ, — მაშ, ბუმბულა ალარ არის?

— ქვეყანა ალარ არის და, ბუმბულა რომ ალარ იყოს, გასაკვირია?.. მეორე ჭიქა წასულებისაა,

ვისაც ხაში უყვარდა, ვისთანაც ჭიქა აგვიწევია და ალარ არიან, ყველას მოსაგონარი იყოს...

— მერე თუ ეგეთი მაგარი ხარ, ბუმბულას რას ერჩოდი, გაგეშვა, საიქიოში ვინც გასაშვე-ბი იყო, კოჭის გასაგორებლად და, ჩვენს თავს დატეხილ, ამ სამარცხვინო გაუგებრობას ხომ ავიცილებდით.

— ეჱ, ეგეთებს რა გამოლევს!.. შენ აბეს ამ-ბავი არ გაგიგია, გეტყობა... ბიჭი ხო პრეზიდენ-ტის დაცვაში ჰყავდა.

— ჰო, ვიცი.

— ბუნკერიდან ამოსვლის წინა ღამეს, ბიჭი ალყას გამოეპარა, ოჯახში ამოვიდა, ცოლ-შვილს გამოვეთხოვებით... თურმე, ფეხდაფეხ მოჰყვნენ — „მხედრობს გეგმიური“ შემოვლა ჰქონდა... არაყმა თუ ოთოს მონაყოლმა, უფრო ორივემ ერთად, საფეთქლები გამიხურა, ვეღარ გავინძე-რი, ვერც სული მოვითქვი, საკუთარი ხერხემლის გვირაბში გავიჭედე.

მგონი, უსამართლობის ზეიმს თუ კარტის „გაჩიოთას“ ვესწრები (ასე ამბობდნენ, როცა ხე-ლმარჯვე შულერი, ენაზე დასველებული ცერა და საჩვენებელი თითებით კარტს ნელ-ნელა ხსნიდა).

ახლაც რაღაც ამდაგვარი ხდებოდა, ნაც-ნობ-უცნობი, დიაფილმის კადრებივით მიყ-ოლებული, ყელში ამოსული სახეების „ცვეტი“ იჩიობოდა და, რაც უფრო მრავლდებოდნენ, „შულერის“ მოწურული თვალებიდან თავგასუ-ლი აზარტის შხამი წვეთავდა.

„უფალო მოსამართლევ, ნუთუ კეთილგო-ნიერება აქეთ ალარასოდეს ჩამოივლის?! გააჩე-რეთ ჩაქუჩი, ვეღარ უძლებს ჩემი გავარვარებუ-ლი ხერხემალი...“

მდევრები აბეს სახლის კიბეზე ჯგროდ ამოხ-როვდნენ თურმე, — გვიყვება ოთო, — გააღეთო, კარს ზოგმა იარალის ტარი, ზოგმაც მუშტი დაუ-შინა.

ბიჭმა, გავალ, თორემ ოჯახს დააწიოკებენ!

პირველად ხომ არ მოდიან, მე გავხედავო, არ გაუშვა მუშლებმა, აბეს რძალმა.

გავიდა.

როგორც სჩვეოდათ, მოძალადეები უცებ არ შეცვენილან, პარმალზე გამოსულ, მკერდზე პლედში გახვეულ, ჩვილმიხუტებულ ქალს მია-ჩერდნენ.

მეწინავემ, გაბანჯგლული ნიკაპი რევოლ-ვერის ტუჩით მოიქექა და ამოღერლა: „რძე კარ-გად მოგდით, ქალბატონო?“

ქალმა გაკვირვებით შეხედა.

„ჰო, ვერ გაიგე, რა გკითხე, მამასა და შვილს ორივეს ყოფნის?“ მაღალმა, წვერიანმა მუჯლუ-გუნი წაჲრა, რას მიედ-მოედებიო.

„მაცალე, თუ ძმა ხარ, ვიცი, რასაც ვამ-ბობ!“ — ქალის მხარზემოთ გადატარებული ხელი





ნალესაცვენილ კედელს მიაყრდნო.

კაცს ძირში მოწყვეტილი საჩვენებელი თითო აკლდა. მწვანე, ამობურცული ხელის ნები, ცივ ბეტონზე, მსხვერპლის მომლოდინე, ჭაობის გომბეშოსაკით თრთოდა. ისედაც მქრქალი, დამცინავი ლიმილი, ტუჩის კიდეებში სარკის ნატეხებიგით დაეკიდნენ.

„აბა, ქალბატონო, რამდენჯერ უნდა გამოგვეცხადო უცოდველი ღვთისმშობელივით, ახლაც არ დაგიბრუნდა ქმარი?“

პირგამშრალმა ქალმა მკერდზე გადაწვენილ ბავშვს აუნანავა: მერე ღვთისმშობელს ასე ხვდებით, „მართლმადიდებელონ ქართველებო?“

— „პუნკერს“ რომ გაემარჯვა, ისინი სხვანაირად შეცვდებოდნენ ჩვენს შინდარჩენილ „ღვთისმშობლებს“, ჰა? — კედელზე მიტყებებული „გომბეშო ჩამოხტა“ და ქამარში გარჭობილ იარაღს მიეტანა, — ამ გნიასში ბავშვს არ გაეღვიძა? ძუძუ მაინც არ მოუნდა, ხმას რატომ არ იღებს?“

„მოეშვი, წავიდეთ!“ — მხარში ხელი ჩაავლო წვერიანმა.

„სად წავიდეთ? — უყვირა სახეშეშლილმა, — კამუფლიაჟია, ქმარს გვიმალავს ძალიშვილი!.. არ გჯერათ? — უცებ ქალს მკერდზე მიხუტებული ბავშვი გამოსტაცა, ჰაერში ააგდონ და ნაგანი დაახალა.

თვალებზე ხელებაფარებულ მომხდურებს გაურკვეველი ბგერები ამოხდათ და ერთმანეთს მიაწყდნენ.

„ჰა? არ ვიყავი მართალი?!“

პარმალის ფილაქანზე, მუხლისკვერებზე დაცემული, ატირებული ქალის წინ, სახვევშემოცლილ, ტყვიით გახვრეტილ მუთაქაში ბამბა ბოლავდა.

ერთ-ერთი ქალს წამოდგომაში მიეხმარა.

„აკი გითხარით, სახლშია-მეთქი!“

„ოპერაცია დამთავრდა, წავედით, ბიჭებო!“
— თქვა მალალმა.

„როგორ, დათვი ბუნაგშია და... მაშინ შენ გაეცი პასუხი იმას, ვინც აქ გამოგვეგვანა!“ — გამოსცრა თითნაკლულმა და კიბეზე პირველი დაეშვა.

— იმ ლამეს აბეს წნევამ დაარტყა და მას შემდეგ მარჯვენა ფეხს ნათხოვარივით დაათრევს, სამი თვის ფეხმძიმე რძალს კიდევ მუცელი მოეშალა... ძლივს გადაარჩინეს, — ამოიხხრა მასპინძელმა, — მადლობა ღმერთს, მედოლე კაცს ხელი არ დამიდამბლავდაო... რა ქნას, აბე თავს ინუგეშებს...“

— ვინ იყო, ის, ის... — ხმა ჩაეხრინნა მამფის, — ოთხთითა!..

— გაიგებ? რამდენი მატლი და ძალლთა-პირი აირია... ერთი ამათთაგანი სხვაც ქვემოთ, კორპუსში ცხოვრობდა, მშვიდობიანობაში იდგა

თურმე აივანზე და მეზობელი ბინის ფანჯრებში დურბინით იჭვრიტებოდა, საძინებელში გახდილ ან შილიფად ჩაცმულ ქალებს უთვალთვალებდა და როგორც მეზობლები ამბობდნენ, ინდივიდიალურად თავს იკავოფილებდა.

— ინდივიდიალურად რა უბედურებაა!
— ონანიზმს ენეოდა, უფრო გასაგებად რომ ვთქვა.

— რაც არ მინახავარ, ეს რა საინტერესო სიტყვები გისნავლია! — თვალი გაუშტერდა მამფის.

— მერე ეს ქალების მოთვალთვალეც გამოგვეცხადებოდა ხოლმე შუალამით და ავტომატს რომ დააგრიალებდა, ბავშვებს გულს უხეთქავდა.

— ღმერთო, რას არ გაიგებ! — პირჯვარი გადაისახა მამფიმ, — კოლო საკბენად ლამით გამოდის.

— კოლოს კიდევ რა უშავს... ეგეც და დანარჩენებიც ძაან ელოდებოდნენ იმის ჩამობრძანებას.

— ახია იმათზე, ვისაც „მეორედ“ მოსვლის არ სჯეროდა... ეგონათ, სამუდამოდ მოვიცილეთო და აპა...“

— თუ დააცალეს, მეოთხედაც მოვა...

— მაშ, ბედნიერი არ არის გურამ გვარამი, რომ გაასწრო? არაკაცი ვიყო, თუ არ მშურდეს!.. ამ ხაშის მათლაფას ბოლომდე ვინ ამოაშრობს!.. ადე, ყამიშს სული ჩაბერე, ყელი ჩაუწმინდე, იქ იაღლიში არ მოუვიდეს!.. წავიდეთ, გვარამის მოსაგონარი საფლავზე ვთქვათ...“

პანთეონთან რომ მივედით, უკვე ბნელდებოდა.

გასაღებების აცმის ტრიალით, იმ დროს პოპულარული, სამხედრო ქურთუკიანი ყარაული გამოგვეცხადა, უკვე დაკეტვის დროა და ხვალ მობრძანდითო.

— ხვალ რათა, შე ფრანგო, აქამდე მოსულები უკან როგორ უნდა გაგვაბრუნო... ანდა რატომ კეტავ, დავიჯერო მიცვალებულები გაიპარებიან?! კიდევაც გაიპარონ, ვინ გაიგებს, თვლით ჩაგაბარეს? ვინმე მოისაკლისებთ? უფალს მიბარებული ეს საცოდავი და საამაყო სიცოცხლიდან „გამოხშირულები“, ამ აწიოკებულ ქვეყანაში, თვალში ვის დააკლდებიან!..

— მე რასაც მავალებენ, იმას ვასრულებ, კი არ მეხალისება, დილით გავაღო პანთეონი და ლამით დავკეტო!

— შენც გატყუებენ, შენცა, ვითომ, დიდად სერიოზული საქმე მოგანდეს... აქ, შიგადამიგ, ისეთი ხალხია დაკრძალული, ერთ დღეს საფლავის არტახებიდან რომ ამოითათონ, იმათი დამჭერი ხარ?! აბა, ძმაკაცის საფლავზე ჭიქა წაგვა-ქცევინე და წავალთ... ბევრიც მოვინდომოთ, ვინ დაგვტოვებს!





ვიღაცას გურამ გვარამის ჯერ კიდევ დაუზე-პავი საფლავის ამობურცულ მინაზე ხუთი ცალი, ცერად ყელგადაგდებული ნარცისი ჩაერიგებინა. მოხრილი ლეროები არფის სიმებზე გოგოს გასუ-სულ თითებს ჰგავდნენ.

მუხლებში ჩამჯდარმა მამფიმ გაკრულ ასანთის ლერს მოუმყუდროვა და სანთელი აან-თო.

— საიდანაც დაიწყე, ადრე თუ გვიან, კაცი იქ უნდა დაბრუნდე... ცოცხლები მერე სად გაგ-ამნესებენ, ეგ იმათი ნებაა, მაგრამ, ბოლო-ბო-ლო, ვერც დარაჯის უნგიანი ბოქლომი, ვერც არლინგტონი თუ პერლაშეზი, ან კრემლის კედ-ლის დუღაბი ვერ დაგიჭერს... იმ გამოცანა-კა-ცის სულიც, იმდენი რომ იზავთა, იგრგვინა, მრისხანების კალო დაატრიალა, ეპოქალურ „კონცერტებს“ დირიჟორობდა, მჯერა ისევ ქა-რთლის ერთ პატარა, მტკაველნახევრიანი მდი-ნარის ჭალებში ტრიალებს...

— გისმენდი და შემეშინდა, როცა წარ-მოვიდგინე, რამდენი სხვათა ოში დახარჯული, ჩვენი სისხლით ხელდაბანილი, მოღალატე ქა-რთველის უკანასკნელი თავშესაფარია მათგან ნაოხარი სამშობლო!

— რას იზამ, ეგრეა, მედოლე აბეს ოჯახ-ის ამნიოკებელ მყრალ სულს, სხვა ვინ მიიღებს, ვინც შობა, სავაგლახოდ, ისევ ის დაბრუნებს!

— აბეს რა მოასვენებდა, ეცადა, გაერკვია „ოთხთითას“ ვინაობა... რაღაც მეტსახელით ცნობილი მაგარი „ბოევიკი“ ყოფილა, მაგრამ გარჩევა არ იცის, მტერს და მოყვარეს ერთნაირად აწიოკებსო... პირველი ტყვია რომ გავარდა და უცხო და შინაური ერთმანეთს დაერია, მას მერე ბევრის ცოდვა დაიდო... ამით თავი მოსწონდა... ავკაცობის დასტურად, ჯიბით თურმე ცხ-ვირსახოცები გადახვეული, ადამიანების ყურები დაჲქონდა.

— რას ამბობ, კაცო, ყურები?! — ხაში, არაყი, ღვინო, რაც ვჭამე და დავლიე, ყვე-ლაფერი ყელში მომანვა.

ძლიერს გავასწარი, პანთეონს ღობედ ჩაყ-ოლებული კედლის ბოლოში მიხვეტილ ნაგავზე ლამის პირქვე წავემხე.

— აზიზო! — მხრებზე ხელი მომხვია მამ-ფიმ, — რასაც ადამიანი არ იყადრებს, ის გაგიკ-ვირდეს, ჩემო ძმა... ალუდამ მტერს მარჯვენა არ მოჭრა, თემის დადგენილ კანონს უღალატა... ესენი კიდევ, ფული!... ყურებს აჭრიან, ეგებ სხვა რამესაც და საჩვენებლად დააქვთ...

— მახსოვს, იქ, ქაშეთში, ცაცხვებქვეშ, თქვენი სადლეგრძელო, ამის მერე რომ იქნება, იმ საქართველოს გაუმარჯოსო!.. ქალებზე იარაღით იწევენ, კაცებს ადამბლავებენ და, ჯერ რომ არ იციან, პლედში ბავშვია გახვეული თუ მუთაქა, ტყვიას ახლიან...

— სიტყვაზე მიჭერ? რა ვქნა, მაშინ იმ ცუდზე უარესი არაფერი მეგონა... ალბათ, ესეც გადაივლის, ადრე თუ გვიან... ჩემი დალოცვი-ლი, ის კარგი საქართველო ჯერ კიდევ გზაშია და უსათუოდ მოვა!.. — პირჯვარი გადაინერა, მარმარილოზე გურამის სურათს ხელი გადაუსვა და ჭიქა ახლოს მიუტანა, — ნათელში გამყოფოს, გამჩენმა!..

დუდუკის ხმამ სიჩუმეში ჩიტივით შეიფრთხილა, აქეთ-იქით მიაწყდა, პანთეონის დუმილი გამოაღვიძა და სიბნელეში თავშემალულ ფი-ჭვებს მაღლა-მაღლა აუყვა.

ბოლო ბგერა ბოლო წვეთივით ჩამოვარდა.

თითო ჭიქა შესანდობარი ჩვენცა ვთქვით, დანაკლულებული ბოთლი ჭიშკართან მომლო-დინე ყარაულს დავუტოვეთ, ოთოს მხარზე მოწონებით ხელი რომ დაჲკრა, დუდუკი აატირე და მეც ამაცრემლეო.

— უსასრულო კი არ არის არიადნეს გორ-გალი, ვიდრე გაგითავდება, უნდა მოასწორ და, საიდანაც დაიწყე, იქითკენ გაეშურო... ბებერმა ქოფამაც კი იცის, დრო რომ მოუვა, თავისი აღსასრულისკენ თვითონ გარბის. კაცი, მითუ-მეტეს, თავად უნდა ეახლოს და, როგორც მონა-ტრებულ დედას, სიკვდილს თავი კალთაში ჩაუ-დოს...

— მერე მაგას როგორ მიხვდები, მოვდივა-რო, რომ არ გაფრთხილებს მიქელ-გაბრელელი?

— ყამიშს ძველებურად რომ ვერ ჩაბერავ, უნდა იგუმანო, რომ შენი წილი მზე სიცოცხლის შუადლიდან, ნელ-ნელა დაისისკენ, ანუ ჩასას-ლელად იხრება.

— ჰო, თუ ნელ-ნელა, მაშინ კიდევ არაუშავს...

მამფიმ, ოთხმოცდათიანის დასასრულს, ახ-ალი საუკუნის დადგომამდე, დამირეკა: ბავშვობა-ში, მეზობლად კათოლიკე ქართველების ოჯახი ცხოვრობდა. ჩემი ტოლი ბიჭი ჰყავდათ, ვამსანა-გობდით, რატომლაც ძალიან სწყინდა, გამობრა-ზებით „შე ფრანგოს“ რომ ვეძახდი... რა ბევრი გასართობი ჩვენ გვქონდა, უბნელები მდინარეზე ხიდიდან წყალში ხტომაში ვეჯიბრებოდით ხოლმე... ერთ დღესაც ხმა ჩაეხრინნა, ჩახველა და, როგორც იქნა, ცრემლნარევი ხმით ამოაყ-ოლა, — ჰოდა, იმას ვამბობდი, დინებას, თურმე ბეტონის ჯებირი ჩამოექცია, წყალში არ ჩანდა... მოუვიდა რიგი, ხელებგაშლილი გადააფრინდა მოაჯირს ეს „ფრანგი“ და... თავგაჩეხილი წაიღო დინებამ... ახლახანს სიზმარში ვნახე, როგორ გა-მახარე, რომ მინახულეო, მითხრა!.. არ მკითხა, მე გამეხარდა თუ არა მისი ნახვა და ჩახუტება, — დააყოლა ჩვეული იუმორით, — ეტყობა, დროა — თქვენი ნებართვით, გაუყვება, არიადნეს ძაფს „თეზევსი“ უკან, რაღა აქვს აქეთ საბრძოლი და სადავიდარაბო!..





წყვეტილი ზუმერის მრავალწერტილმა დაასრულა ჩვენი დიალოგი.

დავრეკე, მაგრამ აღარ მიპასუხა.

მას შემდეგ წავიდა და წავიდა, ქალაქიდან გადახვეწილი მალე, „საიდანაც დაიწყო“ – თავისი ბავშვობის სახლში აღესრულა.

მანამდე ხშირად ხიდზე ხედავდნენ, მოაჯირზე დაყრდნობილი მდინარეს რომ გადაჰყურებდა თურმე. ვერავინ შეესწრო, უკანასკნელ წუთებში რა მოიმოქმედა, რა თქვა, რა დაიპარა, მამაპაპულ აივანზე როგორ ჩაუდო სიკვდილს თავი კალთაში.

* * *

„ბევრჯერ მითქვამს, თუ კაცი ხარ, ყველას გადმოგდებული, დამადლებული ლუკმა არ უნდა მიიღო“.

„კეთილი, ბატონო, დაგივერეთ, არ მივიღე, მაგრამ აგერ, სხვამ დასტაცა პირი და მე მშერი დავრჩი!“

„იმან სული წაინყმიდა“.

„როგორც წმინდა მამები გვიქადაგებენ, თუ სულის წანყმედას იმქვეყნად ვიგრძნობთ, სამაგიეროდ, მშერი კუჭი სააქაოში მიგვასიკვდილებს და ქვეყანაზე მხოლოდ ისინი იძოვინებენ, ვინც ძვლიან ჩიჩიას ღრანჭი მოუქნიერს“.

„ნუ შეგშურდება იმათი, თომა, თავის თავს იშენებენ და უნდათ ქვეყნის აშენებად შემოგვასალონ... აგერ, ბესტაეთი, მხამიან საკენეს შეექცევიან, თან იფ-იფს იძახიან, რადგან მონბის წუმბეში დგანან და მათ ირგვლივ განუკითხობის წკარამი, უკუნია ჩამოწოლილი“.

„ეგ წკარამი და უკუნი კუჭიდან მოდის თუ გონებიდან?“

„იქიდან, რომ ყველას თავი მართალი ჰგონია... გამაგებინე, შეიძლება მთელ ბესტაეთს ანგელოზის ფრთების ამოსასვლელად ბეჭები ექავებოდეს და ერთი მტყუანიც არ ჰყავდეს?! შეხედე, თომა, ადამიანმა რამდენნაირი „საზომი“ დაამზადა

— ტემპერატურის, წნევის, შაქრის... მარტო გონების საზომი არ გამოიგონა... რატომ, თუ იცი? გონია, ეცადა და ვერ გამოუვიდა?! მერე რა ქნას მოძალადე უმეცრებამ, დიაგნოზს რომ უცებ დაუსვამენ და ტახტთან, რომელსაც ეპოტინება, ახლოსაც არ მიასუნინებენ?“

„მაგრამ, ბატონო, საკითხს მეორე მხრიდანაც შევხედოთ. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი წუთისოფელი, როგორც ბრძანეთ, სულ ფრთიანი ანგელოზებით არის დასახლებული... ზღვარგადასული წესიერებით, უბინება-უმანკოებით, თავაზიანობით, მონიწებით, ცალ ლოყაში სილასაც კი არავინ გაგანნავს, უფლის შეგონება რომ აღასრულო და მეორე მიუშვირო... მოკლედ, ერთმანეთზე მზრუნველობით სავსე გულებით... წარმოვიდგინეთ?“

„წარმოვიდგინე!“

„ცვივა ზემოდან ცის მანანა და რა გენაღვლება, გადაიდე ფეხი ფეხზე, ჭამე, სვი, იკოტრიალე, წამოწექი მხარ-თეძოზე... არც შემოსეული მტერი, არც ბუზღუნა ცოლი, არც შურიანი მეზობელი... წარმომიდგინეთ?“

„ჰო, წარმოვიდგინე და დავიღალე, გავძეხი, მომყირჭდა, აღარ მინდა!“

„დიდხანს რომ გაგრძელდეს იდილია, მოწყენილობისგან და მთქნარებისაგან, შესაძლოა, სულიც ამოგძვრეთ!“

„არც ეგ იქნება გასაკვირი“.

„პირნათელი ავაზაკთან ერთად შევიდა სასუფეველში...“

„მიგიხვდი, რისი თქმაც ვინდა – ქალაქს თუ ქვეყანას ყველა სჭირდება, მათ შორის, მწიგნობარიც და ჯალათიც“.

„დიახ, მაგრამ რატომ მხოლოდ მწიგნობარი და ჯალათი?“

„დანარჩენები, ზოგი ერთის მიმდევარია, ზოგიც – მეორის!“

„ჯალათი მაინც მეტისმეტია!“

„აბა, განაჩენი ვინ უნდა აღასრულოს?!“

„მაგრამ ეშაფოტზე შედგომამდე და, ღმერთო, შენ დაგვიფარე, საჯალათო კუნძაზე თავის დადებამდე, ხომ მთელი ჯაჭვია კანონშემოქმედების, სასამართლოს მაღალი და დაბალი რანგის „ჭანჭიკების, „ბრალმდებლების, დამცველების და ციხეების ავანჩავანის... განა ესენიც ჯალათების კოპორტაში უნდა ჩავწეროთ?!“

„რა თქმა უნდა... ეს ჯამაათი ხომ, პროფესიოდან გამომდინარე, შეხმატებილებულად, სულ იმის მცდელობაშია, ნებისმიერ ჩვენგანში დამნაშავე გამოჩერიეოს და, თუ არ არის, გამოიგონოს! როცა თიბავ ლორთქო, ცოცხალ ბალახს, განა ძირს დაფენილი ღერები ამისთვის ნამგლისპირს უნდა დაემდურონ?! არა – იმას, ვინც გამოკვერა, აღესა, გააფხავა... ცხადია, არც მხოლოდ ნაჯახი ტყუის, შეშის ნაცვლად, კისრის ძეალს რომ ანაკუნებინებენ“.

„გამოდის, რომ ორივე ჯალათია, ვინც განაჩენი გამოიტანა და, ისიც, ვინც აღასრულა!“

„მაგას კიდევ კითხვა უნდა?! მაგრამ ადამიანი, თავის ცხოვრების წესს, მაინც ვერც ერთ „საქმაზს“ ვერ მოაკლებს... ამიტომ ვთქვი, ქვეყანას ყველა სჭირდება-მეთქი... გაჭიმულ თოკზე ისე უნდა გაიარო, ფეხი არ აგიცდეს!“

„მაშ, ჩვენი ყოფა ჯამბაზობა ყოფილა, მეტი არაფერი“.

„მეტი რაღა გინდა, რომ იყოს? მარადისობას დრო ქმნის და არა ადამიანი. მეტატიანე-მთხზელთა ღვანწლის გარეშე, როგორ ვიგრძნობდით იავარქმნილი ტროასა და კართაგენის მტერად-ქცეულ დიდებას, ანდა ვარდის წყალნაპკურები,





მშვენიერი ელენეს სხივილა თმების სურნელს? მაშინდელი ღვთის რჩეულების ბენვის ხიდზე ტორტმანი ხომ უკვალოდ ჩაიფარცხებოდა?! ასე რომ, დამდგარ, დაჭაობებულ წყალზე უფრო უარესი, ამაზრზენი არაფერია. კაცობრიობის დიდი გამარჯვებები და ტრაგედიები გვაცოცხლებს, გვაჯანმრთელებს, გვაფხიზლებს, თორემ უზრუნველობით გამტყვრალ და გამძლარ ადამიანს სალაფავის გობზე ჩამოეძინება!.. უმნიშვნელო, თვალით შეუმჩნეველი ნაკადული, ხანგრძლივი დინებით, გადამხმარ, უნაყოფო ველებს აპოხერებს... ადამიანი დღიდან გაჩენისა, იბრძვის, მრომობს, იღვნის, მაგრამ, როგორც კი დასაუფლებლად წაეტანება აღთქმული ბენიერების ტოტი და ნაყოფი, მაშინვე უსხლტება ხელიდან“.

„ეტყობა, სიზიფეს ტანჯვას დასრულება არ უწერია!“

„როგორც კი დასრულდება, კაცობრიობა სამუდამოდ გულხელს დაიკრეფს!“

„უამი ჩვენგან მსხვერპლს მოითხოვს, სანაცვლოდ კი არაფერს გვაძლევს“. „თომა, დავაზუსტოთ, თითქმის არაფერს, გარდა იმედისა: რაც აქ არ მოგვეცა, იქ, ზეცაში უხვად გვექნება!“

„არა, ბატონო, მირჩევნია, ისევ აქ მამყოფოს, ჩემს ერთგულ, შარვალგამოხეულ სილარიბესთან, მთელი სიცოცხლე გვერდიდან რომ არ მომცილებია – ის მაცოცხლებლა და ჯამბაზის თოვზე წონასწორობას მანარჩუნებინებდა... ციური კოშკიც რომ დამიდგან, განა ადვილია მასთან განმორება, განა მექნება ძალა – ღირსეულად გამოვიტირო?“

„სილარიბე?“

„დიახ, ბატონო! სილარიბეს კიდევ რაღაცა ეშველება, ტყუილზე აშენებულ ოჯახსა და ქვეყანას კი – არაფერი!“

„სადმე ამოიკითხე ან მოისმინე თუ შენით მიხვდი?“

„ამას მაინც თქვენ ვერ დაგაბრალებთ – ჩემით, ბატონო!“

„მაგრამ არის ტყუილის სახეობა, რომლის ავტორიც ხშირად ძალიანაც ხეირობს... დიდი „თევზები“ უფრო პატარებს ანკესზე ნამოგებული მოლუსკებით იტყუებენ, ესენიც გონზე მოსვლას და „საჩუქარის“ დაგემოვნებას ვიდრე მოასწრებენ, ლაყუჩებში გაყრილი ანკესი უკვე თავის ნებაზე მიათრევთ...“

„მაშ, ბესტაეთს, „დიდი თევზები“ აქეთ-იქით რომ ენევიან და ლამის შუაზე გაგლიჯონ, ორი ნემსკავი ჰქონია გაყრილი“.

„მეტიც... ესენი თუ მოეშვნენ, სხვები დგანან რიგში“.

„საშველი?“

„მე ხომ პირნათელი არა ვარ, კაცთათვის დაფარული ვიცოდე და გიპასუხო!“

„არცოდნა ბევრს ხელს სულაც არ უშლის, ფარას მაინც თავში მოექცეს და უფსკრულისკენ გაუძლვეს“.

„რა ჰქვია იმ კაცს, რომელიც მხოლოდ იღებს და თავად არაფერს გასცემს? გაუმაძლარია ასეთების ბუნება, თომა, ხაპავენ, ხაპავენ და რაოდენ საოცარი და გაუგებარიც უნდა იყოს, კიდევ უფრო მეტი უნდათ... ავიღო თუ არაო, განა უზღვავი ფულისა და სარჩო-საბადებლის პატრონს არ გაქცევია თვალი მათხოვრის ხელისგულიდან გადავარდნილი, წუმპეში გაგორებული პესოსკენ?“

„თქვენ რატომ არ გაგექცათ ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა თუ სამხრეთ-დასავლეთის მცყრობელს, მინისზედა და მინაში დამარხული სიმდიდრის პატრონს?!“

„ჩემთვის უსარგებლო სინდისი გაგორებულ გროშის წერიალზე ვერ დავახურდავე“.

„სინდისი და პატიოსნება სატარებლად მძიმეა, გამძლე ზურგი სჭირდება და სახეირო ამ „გოდრებში“ ბევრი არაფერი ყრია, პირიქით... ვისაც სინდისი აქვს, იმას ცოლ-შვილი მშიერი და ჩაუცმელი დაუდის“.

„აქ უსმელი იქ დარწყულდება!“

„ალბათ, ალბათ, მაგრამ, ერთიც ვნახოთ და... ღმერთო, არ მიწყინო!.. აქ მნიურვალი იქაც მნიურვალი დარჩეს?!“

„ნუ სცოდავ, თომა, სააქაოში სულნაწყმედილმა იცის – კუპრის ქვაბი ვისთვისაც თუხთუხებს და ეშმაკს მიყიდული, ცდილობს არც ანგელოზის ნდობა დაკარგოს.... ვიდრე კაცი ფეხზე დგას, არ აკლია გუნდრუკის მკეველნი... ამიტომაც, ძალიანაც ნუ ვენდობით ჩევნს მეხოტებებს, მათი რა მიდის, თუ კეთილგან-წყობას გამოგტყუებენ და ყველას გასაგონად გათქმევინებენ: „აი, კაცი!“. მოკლედ, მაქებრებს უფრო უნდა უფრთხილდე, ვიდრე – შენი ნაკლის მჩხრეკავებს“. „

„ეეჲ, ჩემთ ბატონო, ეგ უხსოვარი დროიდან ვიცით, მაგრამ მაინც შხამში ამოვლებული ტკბილი სიტყვა უფრო გვაცდუნებს... აი, საშობაო ქუცუნაც, მოფერებით, ღაბაძს ან მუცელს რომ მოვფხან, დავუყვავებ, მორჩილად დაწვება ხოლმე ჩემი სტომაქის სიამოვნებისთვის თავის შესანირად“.

დასასრული შემდეგ ნომერში





ელგუჯა ციბგროვილი

დარდების გამყიფველი

როგორც ყოველთვის, ახლაც ისევ მარტო დავდივარ,
მირაჟის გზები, ოაზისთან არასდროს მიდის...
მერე, „მშრალ ხიდთან,“ ფეხათრევით, ტანჯვით გავდივარ
და ძველმანების ბაზრობაზე ჩემს დარდებს ვყიდი.

მქონდა ღიმილიც, ოცნებებიც, ყვავილი სულის...
ზოგი მომპარეს, უშურველად ბევრიც გავეცი,
დარდებილაა საზღაური ჩემი წარსულის,
ფეხზე დგომის ფასს მაშინ იგებ, თუკი დაეცი.

ნიკალასავით, დახლთან დგომა, მაკრთობს და მზარავს,
არც ბაგეს მიმკობს, დახლიდარის ღიმილი ქლესა...
დავხუჭავ თვალებს, ამ ჩემს დარდებს ან ვინ მომპარავს,
ყელს ებჯინება ფორიაქი და გულის კვნესა.

ძნელად გავყიდი ჩემს „საქონელს,“ არა ვარ მარტო,
ჩემს გვერდით, სხვებსაც უხვადა აქვთ დარდების გროვა,
გავაჩუქებდი... მაგრამ დარდი ვის მივუმატო,
ჯიუტად ვდგევარ, ვიცი, ჩემის მყიდველიც მოვა.

ნუთუ არავინ ალარ დარჩა მუშტარი დარდის?
ნუთუ ბოლომდე დაიცალა იმედის თასი?
ნიკალასავით მეც მინდოდა მირთმევა ვარდის...
თუმცა ვევდები, რომ ჩემს ვარდს მისთვის არა აქვს ფასი.

სხვა არაფერი გასაყიდი არ მაბადია,
სულილა შემრჩა, მაგრამ არის უფლის ტარიგი...
იმას, არავის არ მივყიდი, ცხადზე ცხადია,
მხოლოდ უფალმა იცის მისი „ყიდვის“ თარიღი!

P. S.

მქონდა ღიმილიც, ოცნებებიც, ყვავილი სულის...
ზოგი მომპარეს, უშურველად ბევრიც გავეცი,
დარდებილაა საზღაური ჩემი წარსულის,
ფეხზე დგომის ფასს ვერ გაიგებ, თუ არ დაეცი!





ეცთავან
ათუაშვილი

תְּלִימָדֵי תְּלִימָדֵי

დაქვერის ქრონი, დაქვერის ქრონი,
უზოდელი და უფიფრანი,
ნიგის, კიგის, ყაფების მისთევაშის,
ყველგან შეხსნა სახლის კრონი.

დატვრის ქარი, — კუჭიანი,
ჟორიკანი, ჟორიანი,
ნუ იქნები, ქარო, მეტრი
მორიოფი და შეკრიანი!

၂၀၁၃

విల్సన్‌కో...
1

მე, სიყვარული ვიცი – უზომო,
და: მოფერება ყველა ყვავილის,
მე, სიყვარული ვიცი ისეთი,
სულს შეგიძრავს და გულში გაგივლის!

მე, სიყვარული ვიცი – უენო,
თვალებით ვამბობ სათქმელს გულისას,
სიყვარულს ძალით ვერაფრით ჰპოვებ,
უნდა მიენდო ბედს და გულისთქმას!

მიუკალერსებ ხის ყველა ფოთოლს,
ანკარა წყაროს, ბალახს, ნამიანს,
ლამაზ გვირილებს, — გვირგვინად დაწნულს,
ყოჩივარდებს და ვარდებს, — ვნებიან!

მოვეფერები მტრედებს ღულუნას,
მერცხლის ბუდეში ჭყიპინა ბარტყებს,
თეთრად დათოვლილ ალუბლის ხეებს,
და ვართისულერში გახვეულ ატმებს!

ჩემი გრძნობები ისე ღრმა არის,
ისე წრფელი და... ისე უძირო,
მე, სიძულვილი არ შემიძლია,
რომ... ულირსობას შევტიბო გუმზირო!

მე, სიყვარული ვიცი – უენო,
თვალებით თქმა კი, ერთობ, ძნელია,
მე, ვერ გითხარი ჩემი სათქმელი
და... მაპატიი, თუ, შეგიძლოა!...

ମୁଦ୍ରଣ

ქარი ქრის და ქარი ანცობს,
აღმა-დაღმა დანავარდობს..
არეა საკითხები... არეა საჭიროება.

არავისზე, არცა დარდობს!

რა სული აქვს, რა გული აქვს,
სიყვარულით, რომ არ ხარობს,
მზეს და წვიმას ეპრძვის მუდამ,
თვის საქართველოს როდე ნანობს!

დაპერის ქარი, დაპერის ქარი,
უზრდელი და უტიფარი,
წივის, კივის, უსტვენს მოსთქვამს,
ყველგან შესხნა სახლის კარი.

დაპქრის ქარი, – კუდიანი,
ჭორიკანა, ჭორიანი,
ნუ იქნები, ქარო, მაცრი
ბოროტი და შერიანი!

ଓঁৱা - কান্দজন্ম!..

დედა – საოცრება,
დედა – სიხარული,
დედა – სალოცავი,
დედა – სახლის ბურჯი!

დედა – აღმაფრენა,
დედა – სანუკვარი,
დედა – უფლის ძალა,
დედა – გულის კარი!

დედა – ღვთის მშობელი,
დედა – უფლის მადლი,
დედა – სათაყვანო,
დედა – შვილზე დარცი!

დედა – საოცნებო,
დედა – ერთადერთი,
დედა – ალერსია,
დედა – ჩიმთვის ლიმერთი!

დედა – იმედია,
დედა – მოფერება,
დედა – მშობელია,
დედა – გათენება!

დედა – უტკბილესი,
დედა – მონატრება,
დედა – ძვირფასია,
დედა – მადლი ზენა!



დედა – სასწაული,
დედა – ჩემი სევდა,
დედა – სიცოცხლეა,
დედა – სიხარული.

დედა – სანატრელი,
დედა – სიყვარული,
დედა – ჩემი მზეა,
დედა – ჩემი გული!..

პეთევან ათუაშვილი

37



მომძალებია...

მომძალებია ნოსტალგია ახალგაზრდობის,
მომძალებია, ო, რა ძლიერ მომძალებია,
და, ფრთებშესხმული, ისევ, დავქრი, მე, ცის ლაჟვარდში,
მოგონებები, ასე, ძლიერ, არ მყვარებია!
დამფარფატებენ თავზე, მუდამ, მუქი ფიქრები,
ვერ მოვიშორე და ჩემს დარდებს ვერ დავემალე,
სად არ დაფრინავს ოცნებების ჩემი მერანი,
სულ მენატრება სიხარულის მზიანი ღამე!
და, თუ, სიყვარულს გავიხსენებ მზისა და მთვარის,
ჩუმი დუმილით უჩინარი ზღაპრებს მიამბობს,
სულის სიღრმეში, მე, იმ სულით, ისევა ვცოცხლობ,
გული გაფრენილ წელიწადებს უზომოდ დარდობს?

საქართველო

მედარდები საყვარელო, ომებს ძლივს გადაურჩი,
ამაყო და, თან, პატარავ, სულ, იყავი მტრის ურჩი!
დაგასვენონ, იქნებ, გინდა შენც სიახლის შენება,
მტრებს კი უნდათ შენი გენის, მოვლა – გადაშენება!

დაიღალე გენაცვალე? გაგლეჯ-გამოგლეჯილო,
არ იდარდო, აყვავდება – ვარდებიც და ღილილოც,
დაიღალე საყვარელო? ნაკუნ-ნაკუნ გაქციეს,
თვალთმაქცობას არ აქვს ზღვარი და ბოროტა საქციელს...

საქართველო! – შე, ბედერულო, მნახველი ხარ ავისა,
ვინ დაგწყევლა, ვინ გაგთვალა, და ვინ გაგთავისა!
ყველასი ხარ, ჩემი კარგო, და ვინც მძლავრობს ძალითა,
იმათ ღმერთი შეაჩვენებს, ქრისტეს რჯულის დარითა!

ნეტავ, როდის დაისვენებ, დარდით ვამბობ ამასო,
ჩემო, დაღლილ-დაქანცულო, ფიქრმა ცრემლით ამავსო,
ღვთისმშობელო! დაგვეხმარე, პპოვე, კარგი საჩინო,
გევედრები, რომ წილხვედრი, ერი გადაარჩინო!..

ოლქ, №5, 2022






მოგონებებს ქარგავს

ყველაფერი სიცოცხლეში უფლის ძალით ხდება,
სასწაულის – უნდა გითხრათ მჯერა, თან, არ მჯერა!
ვიცი – აღარ ათრთოლდება, ნეტარებით, გული,
ვიცი – აღარ გაივლება სიყვარულის ხნული!
ვიცი, აღარ აცეკვდება, გაზაფხულის დარად,
გრძნობა გულში ჩამარხული, სიბერე რომ მალავს!
ვიცი, უკვე, არ მიამბობს ლამაზ ზღაპრებს მთვარე,
ვიცი, უკვე, ვერ დავითვლი ვარსკვლავთ მოელვარეს!
ვიცი, ყველა სიყმანვილეს გულში გულით ნატრობს,
ვერ მოვუსმენ, უკვე, გრძნობით, ბულბული რომ გალობს!
ნეტავ, როდის დასრულდება ფიქრი ფიქრთა ზღვაში,
და, ოცნება, სიყვარულით, აფრასავით გაშლის!
მე, კი, ახლა, სევდიანად დაუყვები დაღმართს,
სიყვარულის აღმაფრენა, თითქოს, სადღაც გაქრა!
სიბერე კი, კვლავ, ჯახირობს, ობობა ქსელს, აბამს,
და... გარდასულ დღეთა ხიბლში მოგონებებს ქარგავს.

მერე რა რომ...

მე, იმ, განვლილი სიყვარულით, ისევ, მიყვარხარ,
და, თუმცა, წლებმა დამინისლა სული და გული,
წარსულ დღეებში, კვლავ, დავეძებ ლამაზ და წმინდას,
რომ, კვლავ, შევიგრძნო სასწაულად შენი სურნელი!..
დრო კი გავიდა... ფერთა გამას, სულ, ველარ ვითვლი,
და, შემომაკლდა თვალის ჩინი, სმენა მგალობლის,
მაგრამ... არ გაქრა, ვერ გაფრინდა, ვერსად წავიდა,
გრძნობა ფაქიზი და სურვილი ახალგაზრდობის!
და... მერე, რა, რომ... ნაოჭები გამიჩნდა ბევრი,
და... მერე, რა, რომ... სანთლის ფერი გამიხდა სახე,
და... მერე, რა, რომ... ძველებურად, აღარა ბრნყინავს
თვალები ჩემი, ჩემი სულის უცვლელი სარკე!
მე, ისევ, მიყვარს გათენება და მზის ამოსვლა,
მე, ისევ, მიყვარს მოლოდინით დალლილი ღამე,
გულს ვერ უბრძანებ, ინახება გულის კუნჭულში,
გრძნობა, რომელიც, აქნობამდე, შემოვინახე!...



ელგუჯა თავპერიძე

სილიონის შემთხვევაში

- არა ყოფილა, არა, საჭველი! — არ ეშვეროდა.
- არი, რავა არ არი, ანგარიშია, ხალხი, ანგარიშია უზოვრება.
- სილიონის ფიცან ამოლემული წყალი რომ მორჩებოდა, ისევ ჟაში აქხამდა.
- რას შვერი, კაჯო, სად ახხამ? — მრაზობრდა მეტიკო.
- ხომ არა გჭირდება?
- მერე სად ახხამ?!
- ჟაში, ამოურნყავი კი არაა.

ე. თავპერიძე

39



დვირანა

საშუალოზე დაბალი, კისერჩამყნილი, სიმსუნესთან შედარებით ცქვიტი სილიონი გრძელ წვერ-ულვაშმიც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. სკოლაში მივდიოდით თუ მოვდიოდით, ჭიშკართან იჯდა, „პრიმას“ აბოლებდა, გაათავებდა ერთ ღერს, გავიდოდა ათი, ჰა და ჰა, თხუთმეტი წუთი, ამოილებდა მეორეს.

უცებ წამოხტებოდა, იქით-აქეთ გაიხედავდა, ისევ ჩამოჯდებოდა.

ვესალმებოდით.

— გამარჯობა, სილიონ ბიძია! — შევძახებდით ერთხმად. ცეცხლმოკიდებულივით წამოხტებოდა, ხელებს ზევით აიშვერდა:

— გამეიხედე, მედიკო, აქეთ! — მობრუნდებოდა, პირგახეული გვეტყოდა:

— შეუბერეთ საგელათოსკენ!

სკოლაში მიმავალ-მომავლები სილიონის ეზოს ორი მხრიდან ვუვლიდით გვერდს. ზორვეთიდან საზანოში გამოთხოვილი მაღალი, ჟღალთვალწარბა, უკნიდან — პიონერი, წინიდან პენსიონერი მედიკო მეორე მხარეს, მსხლის, ბლის, ვაშლის, ბის, ატმისა თუ, მოკლედ, ხეხილიანი ეზოს ღობეზე გადმოდგებოდა, მასაც ვესალმებოდით, გაგიმარჯოთო, გვილიმოდა, თან ლოყებშენითლებული მინას ჩაჩერებოდა. რა მიხედრა უნდოდა, ცოლს იმისთვის ეძახდა, ხელისთვის ხილი არ გაგვეყოლებინა, მაგრამ, შეუბერეთ საგელათოსკენო, რატომ გვეუბნებოდა, ვერ ვხვდებოდით. არადა, ავლისას თუ ჩამოვლისას ყოველთვის ამას იძახდა. ერთხელ დავუდარაჯდი, წინ ყარამანიჩი მიდიოდა.

— გამარჯობა, სილიონ! — ისე ხმამაღლა დაუძახა, თითქოს ყურს კლებოდა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — დაუბრუნა პასუხი.

გავიარეთ ჩვენ.

— გამეიხედე, მედიკო, აქეთ! — გასძახა მეუღლეს, შემოტრიალდა და — შეუბერეთ საგელათოსკენ!

სილიონის, გრძელი მევლუდასა და მოკლე გილანას მამას, მეტსახელად ძვირანას ეძახდნენ, იმის იჯახიდან ძვირად გამოიტან რამესო — ჩაიცინებდნენ. ძვირანასთან ნუ გამიშვებ და რაც გინდა, დამავალეო, იცოდნენ ქორწილისა თუ გასვენების მოთავდარი-გებმა თქმა.

საგელათო იქით იყო, ჩვენ აქეთ მივდიოდით, — რატომ უნდა შეგვებერა იქითკენ, საითაც არ მივდიოდით? — ვკითხე ერთხელ ყარამანიჩის.

— რა ვიცი, — გადააქნია თავი, — უცნაური თავ-ბოლოს კაცია. მამაზეციერი ვერ მიხვდება, სილიონი რას იზამს, შეიძლება, ყველას დაწუნებული მოინონოს, ყველასგან მონანებული დაინუნოს.

სილიონი ღვინოს ყიდდა აფხაზეთში. სეილარას სატვირთოზე დააწყობდა ერთი წლის მოსავალს, ნახევარი-ნახევარზე გაკეთებული ღვინით სავსე კასრებს და ჩახრიგინდებოდა ზღვისპირეთში. იქ მყიდველები ბლომად ჰყავდა. ვიღაცები ეხვეწებოდნენ, წავიღებთ, გაგიყიდითო, სილიონი არავის ენდობოდა. გაცლილი კასრი ლამის ნახევარ საათს ეჭირა ხელში, სათლზე აგროვებდა წვეთებს. ჩამოწვეთავდა ერთი, ორი, ათი, მაინც თავდამხობილი ეჭირა, უცდიდა, ბოლომდე როდის ჩამოწირიტებოდა. ან ხელი არ გელლება ან ნერვები არ გეშლებაო, აქაც უუბნებოდნენ, აფხაზეთშიც. აქაურებსაც, იქაურებსაც არაფერს პასუხობდა და პირიქით, უფრო დიდხანს იჭირდა თავდამხობილ კასრს. ჩადიოდა აფხაზეთში ღვინიანი, ჩამოდიოდა ფულიანი. ქურდობა როდის არ იყო, ეშ-





ინოდა, ლვინოში აღებული ფული არავის წაერთმია. ნავაჭრს მედიკოს დიდ თავშალში ახვევდა, წელზე ლვედივით შემოისალტავდა, იყო იმედიანად, ეგონა, ასე ვერავინ წაართმევდა. გზაში ვინძემ ჩხუბი რომ ამიტებოს, ტანსაცმელი შემომახიოს, თავშალი შემომაფხრინოს, ფულები გადმოცვივდება, — რაღაც ეშმაკად იფიქრა ერთხელ. წამოსვლისას ტომსიკაში ჩაყარა თავშალში მოქუჩებულები და მანქანაზე აქეთ-იქიდან საგანგებოდ გამაგრებულ ცარიელ კასრში ჩააგდო. გარეშეთათვის ყველა კასრი ერთნაირი იყო. თვითონ თვალებახვეული მიაგნებდა ათიდან იმ ერთს. აქედან იქით ჩაკითხული სეილარას სატვირთოთი მოახრიგინებდა ცარიელ კასრებს. მერკვილაძის დალმართზე ჩამოდიოდნენ და რას ხედავს?! მაინცდამაინც ის კასრი გადაგორდა, გადაგორდა, კიდევ გადაგორდა და დაეშვა ჩოლაბურისკენ. წვიმს, ხოშკაკალას ურევს. გააჩერებინა მანქანა, გადმოხტა, დაეკრა მდინარისკენ. გაეკიდა სეილარა, თან მისდევს, თან ყვირის — ერთი გადმოვარდა, ერთი გადმოვარდა, ბიჭო, სხვები არც განძრეულანო.

ირბინეს ჩოლაბურამდე. გასწრებულს ვინ დაწევია, სილიონი რომ დაწეოდა. უჩვეულოდ მოდიდებულ მდინარეშიც შეტოპა, მაგრამ კასრი ჩოლაბურმა ისე გააქანა, თვალიც ვერ მოერა.

ნუ ჯავრობ, ერთი კასრისთვის რავა იკლავ, შე კაცო, თავს, ხუთი მიგდია სახლში, მაგათი გასავსები ლვინო კაი ხანია არ მომსვლია, არ გაზარალებ, ჩემი ხელით გადმოგიტან ხვალ დილასო, — უთხრა.

— ეს რა დამემართა, ღმერთო, ეს რა დამემართა! — იშენდა თავში მუშტებს.

— რა იყო, შე კაცო, ათივე რომ გადაგორებულიყო, მაშინ რას იზამდი?!

— ეს რა დამემართა!

— დაწყნარდი, სილიონ, ერთი კასრის გულისთვის რავა იკლავ თავს...

— ეს რა დამემართა, ღმერთო, ეს რა დამემართა!

მეორე წელს ისევ დააყენა ნახევარი ნახევარზე ლვინო. ჩაასხა კასრებში და სეილარას სატვირთოთი ისევ დაადგა აფხაზეთის გზას. სამეგრელოში ერთი კასრი ყუმბარასავით გასკდა. შეშინებულებმა გააჩერეს მანქანა, ძარაზე სილიონის აბობლებისთანავე მეორე კასრმაც ბეთქა, ათიდან რვა კასრის ლვინო გაყიდა, მოგებით ვერაფერი მოიგო, ქვითიქვითზე გამოუვიდა ის წელიწადი. არ იყო მადლიერი, ყურძნის შაქრიანობამ დამლუბაო, — იძახდა. ცოტას მაგიერ, ბევრი მომივიდა



შაქარი სოფიო ჭელიძე

შაქარი ყურძნის წვენჭაჭაწყალში, დიდი გაზი დებულვა, დამიხეთქა კასრებიო.

— კიდე კაი, თავი რომ არ წაგაცალა, თვალი რომ არ დაგიფსო... — აშვიდებდა მე-დიკო.

— თვალი მაშინ დამეფსო, შენ რომ მოგიყვანე...

— შაქარი არ დააკლო, შაქარი არ დააკლო, ვინ მებუზლუნებოდა?!

— შენი და ეშმაკის ხელი ერთნაირია!

— ღმერთს მადლობა უთხარი, ან თავი რომ არ გაგიტეხა, ან თვალი არ დაგიფსო.

— სანამ მართლა გაგიტეხავდე მაგ თავს, შემეშვი! — აყვირდა.

იმ დღეებში იმდენი ინერვიულა, ორჯერ გადაყვინცილდა.

აჩიკომ სარკე მიადო ტუჩებზე, არ დაიორთქლა. ღრმა ამოოხერისთვის შემზადებულმა გადააქნია თავი, მაგრამ სახტად დარჩა: ძვირანამ უცებ ამოიხროტინა და რამდენიმე წუთში გონზეც მოვიდა. დაშალნენ მოვიშვიშე მეზობლები. მეორე გადაყვინცილებისას სილიონის ეზოში ნახევარი სოფელი შეიყარა, აჩიკომ ბარე ოთხჯერ მიუტანა სარკე ტუჩებთან, ორთქლის ნატამალი არ გაჩენილა მოვერცხლილ მინაზე. წამოდგა, მომკივან მედიკოს შეხედა. მეხუთედ სასხვათაშორისოდ მიადო სარკე ტუჩებზე, გახედა და ჰოი, საოცრება, დაიორთქლა.



– ისეთი დამწვარია, იქაც არ ღებულობს გამჩენი, – აპუტუნდნენ მეზობლები.

ელვაში მოხვედრილ თხასავით თვალებდაბლეტილი ძვირანა აღებაში, იცოცხლე-თქვა, მაგარი იყო, გაცემისას მთელი სხეული უკანკალებდა. ფულს სახლში ინახავდა, ობი უჩნდებოდა ჩანთებში ჩადებულ თუმნიანებს თუ ოცდახუთმანეთიანებს, მაგრამ შემნახველ სალაროს მაინც ვერ უხსენებდო.

ძვირანამ ფული რომ გასესხოს, თუ არ გააუთოვე, ვერ მიხვდები, ათმანეთიანები მოგცა თუ ოცდახუთმანეთიანები, გაუსვამ უთოს, მოშორდება ობი, გამოჩნდება, რამდენიანიცაა, თვითონ არას-დროს შეშლია, ობშიც ხედავს, მიწის ქვეშაც იყურება ოჯახაშენებულიო, – ამბობდნენ.

ბირჟაზე იშვიათად ჩნდებოდა სილიონი. თუ ფეხი წაუცდებოდა, პირველი იმას იტყოდა, ორივე სოფელში ნამყოფს ყველაფერი დამეჯერებაო და დაიწყებდა ძვირანულ შეგონებებს: ძროხა მაშინ ვარგა, ცოტას რომ ჭამს, ბევრს რომ ინველება, ხარი გამომდგარია, ერთ წელინადში ორი წლის სარჩის რომ მოგაგუმგრავებიებს სახლში, ძალლი მაშინაა კაი, ხმელა პურს რო გჯერდება, ცხიმიანს, აბა, ჩვენი თავმჯდომარეც არ იწუნებს, იწუნებს კი არა, ნადირივით ებძგვნება, ქეც მიტომ აქ ლოყები ტელევიზორის ანტენა-სავით გადაფენილი მხრებზე, კატის საქმე ჯერ ოჯახის, მერე მეზობლების თავგებზე ნადირობაა, საჭმლისათვის თუ შემოგკნავლა, არაა სახლში გასაჩერებელიო.

– ცხოველები გევიგეთ, ფრინველებზე გადადი! – შელიმილებდა მისი კბილა გიუურა.

– დღემეხვალიე კვერცხის მადებარი დედალი დროზეა დასაკლავი, მარტიდან გვიან შემოდგომამდე ქათამი, ჯობია, გარეთ ჭამდეს, სახლში კვერცხს დებდეს. ბატი და ინდაური ლორივით ნოქავს, ქათამზე მეტ საკენეს თუ დოუყრის იმათ დედაკაცი, ოჯახის დაქცევა დომებია.

– ქალებზე ლაზლანდარობით ბუს კვერცხებს მოიგებ, ჩეინჭვე ჯიბებში და იარე ეზოს ბოლოში! – არ ეპუებოდა შეხუმრებული.

– ცოლმა თუ პირის ზომა არ იცის, არც ხელის, არც ფეხის ზომა ეცოდინება. უზომო ხელი ოჯახს დააქცევს, უზომოდ გამცემი ზომაზეც ვერ მიიღებსო, – ხო გაგიგონიათ, უზომოდ აშვერილი ფეხით ბლომად ბოვშებს



ელგუჯა თავპერიძე

გააჩენს, იცოცხლე, კაია, თუ რჩენის თავი გაქ, მარა, წელ-მოწყვეტილი ქალი იმ დრომდეც ვერ მიიყვანს ბალნებს, თვითონ რომ ირჩიონ თავი.

– აღარ ყოფილა, აბა, საშველი! – არ ეშვებოდა.

– არი, რავა არ არი, ანგარიშია, ხალხო, ანგარიშია ცხოვრება.

სილიონს ჭიდან ამოღებული წყალი რომ მორჩებოდა, ისევ ჭაში ასხამდა.

– რას შვები, კაცო, სად ასხამ? – ბრაზიობდა მედიკო.

– ხომ აღარ გჭირდება?

– მერე სად ასხამ?

– ჭაში, ამოურნყავი კი არაა.

– ხომ გითხრეს, ქვემ მდინარე გაედინება.

– მდინარეს რო არაფერი ემატებოდეს, ღელე დარჩებოდა.

– შენ გაქრი, სილიკო, ერთ დღეს! – კაპასობდა მედიკო და წყალი სულაც რომ არ ნდომებოდა, მაინც ეუბნებოდა, მჭირდება, ამოილეო.

– ერთი ვედრო თუ ნახევარიც გეყოფა?

– სრული სერიოზულობით ეკითხებოდა.

– ნახევარი ვედრო და ნახევარი ლიტრი – ხუმრობის ხასიათზე დგებოდა მედიკო.

– გეცინე, გეცინე, ჭაც, წყაროც, მდინარეც შრება, თუ არ გჯერა, ჩეიხედე გიჟურას ჭაში.

– ამეილე, ბევრს ნუ ლაპარაკობ!

– ერთი თუ ნახევარი?

მანამ არ მოისვენებდა, სანამ მედიკო იდენობას არ დაუზუსტებდა.

– იყოს ნახევარი, ჯანდაბას შენი თავი.

* * *

ივლისის პაპანაქებაა. შეუსვენებლად ჭრიჭინებენ ჭრიჭინობელები. სახლში ცხელა, გარეთ იხრუკება ყველაფერი. ლამის ორ საათამდე დეიდაჩემთან, შედარებით უფანჯრებო ოთახში ძლივს გავძელით. წამოსასვლელები ვართ, ზოვრეთიდან საზანომდე კაი ოთხი კილომეტრი ფეხით გვაქვს გასავლელი. აგრილებას ველოდით, არ აგრილდა, დღის ხვატს ლამის ხვატი დაემატა, უფრო შეცხელდა, შებლანტდა ჰაერი.

დავადექით მე და ლევანა გზას, ტანად ის დიდია, მე – პატარა, ასაკით ტოლები, მე – უკვე სტუდენტი, ის – სტუდენტობაზე მოფიქრალი.

კაი ხანს ვიჭოჭმანეთ, მოასფალტებულ





შარას გავყოლოდით თუ ვიწრო ბილიკს. დღესავით ლამეა, გზანვრილზეც არ დაგვებნეოდა კვალი, მაგრამ ფართო ქუჩა იმის იმედით ვარჩიეთ, თამარის ხიდს რომ გადმოვივლით, საზანოს გზაზე იქნებ ვინმე მანქანიანი წამოგვეოდა.

— თუ არ აგრილდებოდა, დღე წამოვსულიყავით, გავყვებოდით ავტობუსს, დროზე ვიქნებოდით სახლში... — ჩავიბუზლუნე.

— ვის ეგონა, თუ არ აგრილდებოდა, სიცხით დალამდა, ხვატიანი დილა გათენდება მალე. — დიდი კაცივით გაამზილა სახვალიო პროგნოზი.

— ხვალ მართლა უარესი იქნება... — ჩავილაპარაკე.

— ხვალეა უკვე. — ჩაიდუდუნა და გულმოსულმა წაბიჯს აუჩქარა.

ამ ლაპარაკ-ლაპარაკში თამარის ხიდს მოვადექით, იქიდან ჩოლაბურში გადახედვა ჩვევად გვქონდა. ავირბენდით ხიდის კუზამდე, შევჩერდებოდით, ჩავირბენდით, ახლა იქიდან გადავიხედავდით. ავედით წვერზე, გადავიხედეთ, შევკრთით, აქ შუალამის პაპანაქებაში ვიღაც ბანაობდა მდინარეში.

— ეშმაკია?! — წაიკნავლა ლევანამ.

— ეშმაკი?! — შიშით ველარაფერი ვთქვი, რას ვიტყოდი, არასდროს მინახავს, ბებიაჩემი რომ ამბობდა, ეშმაკებმა გაიტყუეს სახლიდანო, — მეცინებოდა. ახლა ხიდიდან დავცქეროდით. განზე, ერთი ნაპირიდან მეორისკენ მიცურავ-მოცურავდა, თან რაღაცას ღილინებდა. უფრო შევშინდით: ისეთს დაამლერებენ, დაგავიწყებენ, ეშმაკი როა, გაგიტყუებე-

ნო — ისევ ბებიაჩემის ნათქვამი მომაგონდა. სიტყვებიც გავარჩიე — შენ დამლუპე, ჩოლაბურო, — დაიღიღინებდა იმ ნაპირისკენ მიმცურავი, შენ დამლუპე, ჩოლაბურო, — ღიღინებდა იქიდან აქით მომცურავიც.

არ ვიცი, ლევანას რა ძალა მიეცა, უცებისე ხმამაღლა შესძახა, კინალამ ჩოლაბურში მოვადინე ზღართანი.

— გამარჯობა!

— შეუბერეთ საგელათოსკენ!

— ძვირანა ხარ?

— შენ დამლუპე, ჩოლაბურო! — უფრო წერიალა ხმით წაიმლერა.

მაშინ მივხვდი, სკოლისკენ მიმავლები, გინდ მომავლები, საგელათოსკენ თუ მოვუხვევდით, სილიონის თქმით, შევუბერავდით, მის ხეხილიან ეზოს გვერდს ავუქცევდით, მედიკოსაც აღარ დაჭირდებოდა ღობეზე გადმოდგომა. აი, რაში ყოფილა საქმე-მეთქი, — სიმწრით გამეცინა.

შინ რომ მივბანდალდით, დედაჩემს ტანსაცმლის სუნი არ მოეწონა, გარეთ დაგვაყრევინა.

ფანჯარას გავხედე, თენდებოდა.

სილიონის ტოლებიდან ახლა აღარავინაა ცოცხალი. ამას წინათ შვილიშვილს ჭის ამბავი ვკითხე.

— ჩვენი კი არა, იმ მხარეზე ყველას ჭადაშრა.

— ალბათ წყალს არ აბრუნებდნენ შიგნით.

მომაშტერდა, ვერაფერი გაიგო.



მარიამ ძამუქაშვილი

მარიამ ძამუქაშვილი

მთისის უკანასკნელი ფორა. ზაფხულამდე ნამისილა იჩება. წაზუ ერთადერთი ლრუბელი ჰქიდია, მზესთან მიახ-ლოებასაგ კი ვერ შედავს. ვინ იწის, სად დაფუნილა მისი პანია ჩრდილი, ასე რომ მჭირდება ახლა.

მ. ძამუქაშვილი

43

ოლორი მოსახურებულის მუზეუმი

დღეს ჩემი დღეა!..

ჩაქრუშულ-ჩასევდიანებულა გარემო...

ავბედითად დაკიდებულა სინოტივით გაედენ-თილი ტყვიისფერ-შავი მძიმე ღრუბლები, რომელთა უკან თქები იმალება. ცა კუმტად იმზირება, ულმობელს და გულქვას ხდის მიდამოს. წვიმისა და მეხ-თატების მოლოდინში განაბულა არემარე.

მიყვარს ასეთ ამინდში უმიზნოდ ხეტიალი. დღეს ჩემი დღეა...

სოფელი სადღაც შორს მოჩანს. ხანდახან წამ-ოყეფებული, მოწყენილი ძალის ხმა თუ აღწევს



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ყურთასმენას. რაღაც ავისმომასწავებელი ტრი-ალებს. ეს, სულ არ ანალვებს ბოლოქანქალას (ჩემს ბავშვობაში, რატომდაც, წყალწყალას ვეძახ-დით), ზის ქვაზე და კუდს აქანქალებს. დროდადრო სწრაფი ნაბიჯით მიმოდის, თუმცა თვალს არ აც-ილებს ყვავილის ნექტრის სურნელებით გაბრუებულ პანია, ჭრელ პეპელას.

უსიამო ფიქრი იცრიცება, თითქოს სიბერე ეპ-არება და ღრუბლის ქათქათა მარმაშივით დწება სივრცეში. სიცოცხლეს მონატრუბული პეიზაჟი არაფერია, გარდა ხაესისა და დროისგან შეჭ-მული ლოდებისა. საუკუნოვანი ფესვების გა-ბზარულ იმედად შემონაბულა მაყვლის ხმელ, ჩახლართულ ბარდში, რამდენიმე წვენჩამდ-გარი ყლორტი.

თვალს არ ვუკერებ, უსიცოცხლო, ეპ-ლანი ლეროების შუაგულში მოჩანს ტყემალი, რომელსაც აქა-იქ ტოტები აქვს შემხმარი. ბუნებას ესეც არ უკმარებია, ერთი ტოტი ჩამოჩენილა და ჩიტის მოტეხილი ფრთასავ-ით დაკიდებულა, თუმცა სიცოცხლის ძარღვი აქაც ფეთქავს. გაზაფხულის მწვანე ჯადო-ქარი საბრალო მცენარესაც დაპატრონებია. მან რა იცის უბედურების და ბედნიერების, სიღარიბის და სიმდიდრის, იმედის პანია ნა-პერნკალი ყველასათვის მოეძებნება.

მკვდარი მკვდარს აეკიდაო და შუატანზე წვიმისგან გამავებული, ალაგ-ალაგ კედლებ-შენგრეული, ძველისძველი ბუდე მოჩანს. ქა-რის ყოველ წამობერვაზე ისე ქანაობს, ყოველ წამში შეიძლება ჩამოიშალოს. ეტყობა, პა-ტრონს დიდი ხნის წინ მიუტოვებია.

სიჩუმეს მხოლოდ ხმელ ბალახზე დაბი-ჯებული, ჩემი, ფეხის ხმა არღვევს. ირგვლივ სიძველის იდუმალება გამეფებულა, რომლის სასწაულებრივი ანდამატი თავისი წიაღის თა-ნამოზიარედ მხდას.

ვცდილობ, მივუახლოვდე ამ ცოდვის





სახილებელს. უღონო მცენარეები ტანსაცმელზე მეჭიდება, ხელებში ეკლები მესობა, სისხლი მდის...

...ხე კი არა, მის გადანაჭერზე ამოსული საბრალო ტოტი აღმოჩნდა...

ცის თალში მრისხანება მატულობს. ღრუბლების უფსკრულიდან ამომხტარ დაგრაგნილ ელვის ნათებას თითქოს უცდის ყრუ ქუხილი, რომელმაც საოცარი სისწრაფით გადაირბინა და სადღაც, თვალსაწინერის იქით ჩაინთქა.

წვიმის უზარმაზარი სვეტები მთების იქით ჩაშეცებულა. წვეთის პატარა, მოცეკვავე კაცუნამ, ჩემს გვერდით, კირგადაკრულ, ძველისძველ, ქვაზე მოადინა ტყაპანი, ასადგომად აიზიდა, მაგრამ ნახევარი



მარია პამუკაშვილი

სხეულიც ვერ აიტანა, ბედს დამორჩილებული უხეიროდ გაიდლაბნა ზედაპირზე.

ცივი, ნესტინი და ქინძლარის სუნით გაჯერებული ჰაერი ნესტობში შემიძვრა.

დედამიწა, თითქოს, ცას შეუერთდა და შავ ღრუბლად გადაიქცა. ჩანს, წარღვნა გარდაუცალია...

სიმშვიდე არ მტოვებს, ნელი ნაბიჯით ვპრუნდები. თავს ქარშერეული, კოკისპირული წვიმა მესხმის... სწრაფად გადაიარა, ახლა მხოლოდ ცრის, აგვირგვინებს წინამორბედის დაწყებულს.

ჯიბეში კალამი და კიდეებდანოტივებული ქალალდი მოსვენებას არ მაძლევს, უნდა ვწერო... დღეს ხომ ჩემი დღეა...

ქარი

კარის გაღება არც უცდია... გვიანი გაზაფხულის სურნელებაშერეულმა თავხედურად შემოგლივა ლია ფანჯარა, კარგა ხანს ფარდაში გახლართულმა იპორიალა. დაალწია თავი თუ არა, ზღუდედ აღმართულ სიფრიფანა საბურველს, გარეული ნადირივით დაესხა თავს პედანტური სიზუსტით დალაგებულ ნაწერ თუ სუფთა თაბახის ფურცლებს, პარტი დაატრიალა და იატაკზე ფართატით მიმოფანტა. ლარნაკში სათუთად ჩალაგებულ, ახალმოკრეფილ ყვავილებს შეუპრალებლად შემოაცალა გვირგვინის ფურცლები, აიტაცა და სახეზე მომაყარა. დრო იხელთა, ყურში რალაც ჩამჩურნეულა, თითქოს სხვაც გაიგებდა მისას (მნახა თავისი ჭვევისა), თუნდაც მილეთის ხალხს მოყენა აქ თავი. პასუხისმარებელის არც დაუცდია, სტვენა-სტვენით მოუსვა ცხაურიდან, შემოსვლისასაც რომ არ ჩათვალა ყურადღების ღირსად.

ბოლო არ უჩანს მის თავხედობას...

გარეთ მელოდება თუ ამასაც ლოდინი ჰქვია. ერთ ადგილზე რა გააჩერებს, ეზოს ყველა კუთხე-კუნჭულს ძირისძირობამდე ქექავს, ცხვირს ყველგან ჰყოფს. მოსვენებას არ აძლევს სიბერის-გან ნახევრადგამხმარ ხეს (თავისიც ჰყოფნის), სხვა რომ არაფერი აბადია, გარდა სეტყვისგან დაკენებილი რამდენიმე შემრეშილი ალუბლისა, ბავშვობაში გადამწიფებულს რომ ვეძახდით.

გამოსვლისთანავე ფერხულში მიწვევს. ხან წინ გამასწრებს, ხან უკან ჩამომრჩება, თავბრუ დამახვია.

დაკეტილ ჭიშკარს დაეძერა, ვერ დაიმორჩილა გასალებად. მოუთმენლად დამინყო ლოდინი. გაღებისთანავე კარი ხელიდან გამომგლივა და საშინელი ჯახანით ღირბის კედელს მიახეთქა. ანჯამები თავ-

განწირვით აჭრიალდა.

გამოსვლას არ მაცდის. გაჭირვებით გამოვეტიერივე. თავისუფლებით გამოწვეული სიხარული იმით გამოხატა, რომ გზიდან ახვეტილი მტვერი ზედ შემომაყარა. თავანყვეტით გაიჭრა ნინ, უკან აღარც კი მოუხედავს.

სასიამოგნო განცდაა, როდესაც შენს თავს ეკუთვნი მხოლოდ. ფიქრის საგანს კი ერთადერთი შეადგენს, – აისრულო თუნდაც ყველაზე მარტივი სურვილი, დატკე მიღებული ემოციით. ეს ხომ სუნთქვაა თავისუფალი ცხოვრებისა, რომელიც იქ იწყება, სადაც ადამიანი არ ბატონობს ბუნებაზე, არ არის მისი მბრძანებელი.

მძლავრად სჩექფს სიცოცხლე, მაგრამ მაინც საკვირველია, როგორ მოძებნა სიპ ქვაზე ადგილი, თავისი მწვანე ფუნჯით სიცოცხლის ნაყში რომ გამოყენა. თუმცა, მოიცადეთ, ეს პატარა სიმწვანე სწრაფად გადასრიალდა, ბალახებსა და ლოდებს შორის მოძებნა ციხესიმაგრე, სადაც უშიშრად გრძნობს თავს. თურმე, ნუ იტყვით, იგი მზის გულზე გასათბობად განოლილი ხვლიკი აღმოჩნდა, აღბათ ცნობისმოყვარე თვალს რომ არ მაცილებდა, სანამ ჩემი მზერა არ დაიტირა.

მაისის უკანასკნელი დღეა. ზაფხულამდე ნაბიჯილა რჩება. კაზე ერთადერთი ღრუბელი ჰკიდია, მზესთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავს. ვინ იცის, სად დაფენილა მისი პანია ჩრდილი, ასე რომ მჭირდება ახლა.

კეთილმოსურნეს რა გამოლევს, მხსნელად დახუნძლული ჭერმის ხე მევლნება. სასიამოვნო მასპინძელია. ხელგაშლით მთავაზობს ყველაზე საუკეთესოს, რაც გააჩნია ზაფხულის სიცხისთვის. ეს მუქი, ტენით და ყვავილების სურნელით გაუდენ-





თილი ჩრდილია. მეც სიამოვნებით ვსარგებლობ სატუმრის სტატუსით. მყუდროდ მოკალათებული მის გადაბარდნილ ტოტებქვეშ, წვიმაც რომ ძლივს ატანს, ვუცქერ სასწაულს ჩემს თვალთა წინ რომ გადაშლილა. ბუნება ხელოვანია, უბრალო ელემენტებისგან ქმნის ზღაპრულ პეიზაჟებს. არ ძალმიძს და არც მსურს მზერა მოვწყვიტო. არამიწიერი სიმშვიდე მეუფლება. სუფთა, დაწმენდილ გონებაში ერთადერთი აზრი გაჩერილა, – განცდა, რომლითაც შეცყრობილი მაქვს სული და სხეული, მარადისობას შეერწყას.

უმეტესი ნაწილი კი არა, თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება მჭიდრო კონტაქტში მიედინება ბუნებას-თან. მას, მარტოდმარტო, იმ საზომით არ განვიხილავ, როგორც უმეტესობა ადამიანებისა. ხორბლის ყანა მხოლოდ პურისთვის არ მიხარია, წვიმა – მოსავალი გვაღვამ რომ არ გაანადგუროს, ქარი – ზაფხულის ხვატი სიგრილით რომ გააზავოს...

ჭერმის მუწუკებდაყრილი ნაყოფი მტკვინეულად მეცემა ხელზე – ეს ჩემი ნაცნობი ქარის ონებია. ცდილობს ყურადღება მიიპყროს.

სადღაც მიეჩქარება... მექაჩება, მგონი რაღაცის ჩვენებას ცდილობს. მაღალ ბალაში რწევა-რწევით გაიშლიგინა, ხეებს ტოტებშუა გაუძვრა და მიაშურა ხელისგულივით გადაშლილ მინდორს, მირაჟივით რომ თრთის მზის მხურვალე სხივებში.

ნაზად მიელამუნა, ქერის თავთავების სურ-

ნელით გაჯერებულ ჰაერს შეერწყა, ურჯოლად დაუარა ახლად შეღერებულ ყანას.

მზეებაბანი’ – საოცარი და ულამაზესი სიტყვა. ამოუხსნელია გრძნობა, რომელიც ბუნების ამ სასწაულებრივი ქმნილების დანახვაზე მეუფლება ხოლმე. ჩამავალი მზის ფონზე ნარინჯგარეულ მწვანედ ლივლივებს, ჯერ, დაუსრულებელი თავთავების ზღვა. ღელავს, სუნთქავს. ყანა რის ყანაა ყაყაჩობის გარეშე და ისინიც მსუბუქი შრიალით მიჰყვებიან მდინარებას, მორცხვად ისწორებენ ნამოხდილ კაბებს. ჯერ კიდევ გაუშლელი კოკრები თავთავებს ეხეთქებინ.

საურმეზე დარაჯივით დაყუდებულა ტანდაკორძებული, საუკუნოვანი ხე აკაკისა. სტიქიის რამდენ შემოტევას გამკლავებია მედგრად. ახლა კი უიმედოდ გადმოუფენია დალლილი ტოტები. მისი უზარმაზარი ჩრდილი ზანტად ირწევა ყანის თავზე.


მუქი ყვითელი, მკვდრის მზის ფერს რომ ეძახან, სიმკვეთრეს მატებს ბუნების საოცარ შოუს.

მომაკვდავი დღე ქურდულად იპარება...

ყველაფერი ფართო ეკრანს ნააგავს, რომელზეც ნელ-ნელა ქრება პანორამა. ღამე წვება ბორცვებმონეული პატარა ველის მიღმა. სიბნელიდან სუსტი ხმებილა ისმის...

ვილაცას არ ეძინება... ფანჯრის მინებს სულ უფრო მეტად აწვება.

ვინ იცის, იქნებ ხვალაც დამიყოლიოს...



მხატვარი ბეჭან ბოტკოველი



თამარ კოლეგიალი

46



الآن، يُمكنك إنشاء ملخصات ملحوظة وذكاء اصطناعي بسيطة في Python.

Ճա, մանե՞ս, ուզո, մենո եղան զար,
 մենո յշոցայնուն, գառջուն մցործացուլո,
 հիմո և սամյառո, հիմո լոյերուն եճ,
 հիմո ոյբոցուն լոյսուքո պրոնցուլո.
 Ռացոն մ առ բարունոր, մպատին, գամուցա,
 Ռացոն մ զոնդա, կայունո համեցու,
 մոնդա ոյբոցուն բառու ազուրու,
 Զոյսուն կուգուան ցագմոցեցու.

က. ပုဂ္ဂန်လျှော့ခြားမှု

დაგვილოცე დედები, ღვთისმშობელო, მარიამ,
თვითონაც, ხომ, დედა ხარ, სხივი კრთება თვალებზე,
ჩვენი ყოფა-ცხოვრება, თითქოსდა, სიზმარია, –
ფრთამოტებილ ჩიტის ვგავართ, ქვეყნად, დედის გარეშე.
შვილის გულში სიკეთის თესვა ჩვენი ვალია,
როგორ არის აღზრდილი, ყველას, უმაღლ, ეტყყობა,
მეცოდება ის ქალი, ვინც გზა ფუჭად გალია,
ვისაც არ ლირსებია ეს მისია – დედობა.
დედის – ერთი ღიმილიც ლხენის ნაპერნკალია,
ქვეყნად, სულ, არ ვიქნებით, დრო გადის და... ვბერდებით,
ნუ იტყვით, რომ საჯემ გაქვთ, ნუ იტყვით, არ გვცალია,
გირჩევთ, ხშირად, სათუთად, ჩაიხუტოთ დედები.
თორემ, უცებ, ზამთარი მოვა, – ჩამი ნაბიჯით,
მერე, დედის ნატვრაში, ვხედავთ გულის თვალებით,
სულეთიდან ჩაგვესმის: შვილო, აბა, რა გიჭირს?..
არავერზე იდარდო, შენ კი გენისკვალები...

შენი ნეკანი ვარ...

მე, თუ, ნამდვილად, შენი ნეკნი ვარ,
შენი სხეულის – მცირე ნანილი,
მოგდევ წარსულის ანარეკლიდან,
არა მცირდება დრო და მანძილი.
მე, თუ, ნამდვილად, ასე დამბადა,
განგების ძალამ, დიდმა გამჩენმა,
ვერ დამარტიქა დროის ზამთარმა,
არ მინანია ქვეყნად გაჩენა.
და, მაინც, თუკი, შენი ნეკნი ვარ,
შენი ცოდვების, დარდის მტვირთველ
ჩემი სამყარო, ჩემი ღმერთი ხარ,
ჩემი ოცნების ლურჯი ფრინველი.
რატომ არ ცდილობ, მუდამ, დამიცვა



რატომ არ გინდა, სულში ჩამხედო,
მინდა ოცნებით ცაში ავიჭრა,
ზეცის კიდიდან გადმოგახედო.
მაგრამ... ხანდახან, სულ, გავიწყდები,
შენი სხეულის ნეკნი, – პატარა,
არ გენალვლება, თუ, შეუძლია,
ამდენი დარღის, წყენის ატანა.
კვალი დატოვა: დრომ და ავდარმა,
ადამიანი ჭირში – იწრთობა,
მე ვცოცხლობ, სანამ, მწუხრი დამდგარა...
და... კართან იცდის – მარადისობა...



47

თამარ კოლელიშვილი



ის, ახალგაზრდული, ზმანება
წავიდა...

ცხოვრებას ფეხდაფეხ მივდევდი, – თავიდან,
მაგრამ... სულ სხვა მხარეს აღმოვჩნდი, – დაღლილი,
ის, ახალგაზრდული, ზმანება წავიდა,
მივხვდი, რომ არ იყო „იქ“ ჩემი ადგილი.
თითქოსდა, ტყვედ ვყავდი ცხოვრების ლაბირინთს...
და, როცა გამოჩნდა ცა, – მრუმე ნისლიდან,
ჩემი ორეული, ჩემი მე, – ნამდვილი,
კარებთან დალლილი იჯდა და... მიცდიდა...

ფერის წვალება

მოგვხედე, უფალო, შენი მლოცველი ვართ,
ღვთისმშობლის წყალობას, ყოველთვის, ველით...
გვასწავლე მოყვასს დანდობა, გატანა,
რომ ერთურთს შევაშველოთ – ხელი.
გულში არ ჩავიდოთ: შუღლი, ბოროტება,
ქართველს სიყვარული შვენის,
ვხედავ, სხვა დრო დგება... უფლისკენ მოვბრუნდეთ,
ურთიერთ სიკეთე და რწმენა გვშველის...

ოჯენის ახლენის დროა...

თურმე, არაფერი, არ არის – გვიან,
ისევ, აყვავდება სარკმელთან – ნუში,
ქარს სველი ფოთლები მოაქვს და მიაქვს,
ვგრძნობ, რომ დაილექა წუხილი გულში.
ყური არ დაუგდო უგულოდ ნათქვამს,
მჯერა, გაზაფხული, უთუოდ, მოვა...
და, თუ, მონატრება ტკივილად დაგრჩა,
ნუ ნუსარ, ოცნების ახდენის დროა...





ლანგ
მანველი

დანით ხელში, ლუქს სახლში მოვარდის სკრნა გაას-
ტრიდა და აკანკალება. ის ლამზე სულიერი თუ ფიზიკუ-
რი ტეივილებისგან გახევებულმა მელანიმ საარაზანოში
ჩაყელილმა გაატარო. სიმზრისგან დაკრძნილი ტექირებისან
სისხლი სდიოდა და წრემლებთან ერთად ყლობებოდა.
დიღამმდე ჭანათანის სახელს ჩაირჩილებდა. სანდოახან
ძილი ერეოდა და ძილ-ღვიძებში საკუთარ თავს წერის
ეზოში ხედავდა: ახე, ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა. წვიმდა.
ეზოს კარს ალებდა და გრძელ გადიოდა. მინა ატარახებუ-
ლიყო. განმარტოებთ მდგომ ქრისაგის ხესათ მიღიოდა.
მის სველ ცაბს, სისველისგან დამძიმებულ, ჰევუით დახ-
რილ ფოთლებს აკვირდებოდა და გული სტერილ.

ମୁଦ୍ରଣ ପାତା ୧୦

Il est où le bonheur

სად არის გედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლქ“ №4, 5, 2021 წელი,
„ოლქ“ №1, 2, 3, 4, 2022 წელი

Château Merlin, 1989 Saint-Emilion Grand Cru

შარლოტა სახლში უზომოდ დაღლილი დაბრუნდა. სიცხისგან სული ეხუთებოდა. ჯინსი ბარძაყებზე ისე მიჰკვროდა, ძლიერ გაიძრო. ზოლებიანი მოკლე კაბა გადა-იცვა. სარკეში ჩახედვისას გაეღიმა. ჯერ კიდევ ორი წლის ჰყავდა მელანი, ეს კაბა რომ იყიდა. ისე დაემთხვა, მის რამდენიმე დაბადების დღეზეც ამ კაბის ჩაცმა მოუწია. სპეციალურად კი არა, რატომდაც ასე ემთხ-ვეოდა. ეს, წლების შემდეგ, მაშინ შენიშ-ნა საგულდაგულოდ რომ ათვალიერებდა ფოტო ალბომებს.

მისთვის ყველა ფოტოს ორმაგი ისტო-
რია ჰქონდა. ის, რაც კადრში ჩანდა და ის,
რაც კადრს მიღმა, მის მეხსირებაში იყო
აღბეჭდილი. თავისი გულსატკენი თუ სასიხ-
არულო შტრიჩებით.

...მარილმოყრილი ორაგულის ორი პატარა ნაჭერი კარგად გაცხელებულ ტაფაზე დაღო და ნაკლული ღვინის ბოთლი მაცივრიდან გამოდგა. თევზი მალევე მომზადდა. ერთი ნაჭერი მელანისთვის ტაფაში ჩატოვა, მეორე კი ხმელი ოხრახუშით

და ლიმონის წვენით შეანელა. პომიდორი
თეფშზევე დაჭრა. ცოტა მარილი, მწვანე
რეჟანი, ბაზილიკო და ზეითუნის ზეთი
მოასხა. მცირე ხნით ჩამოჯდა. მალევე ადგა
და სიმინდის მარცვლებიანად გამომცხვარ
პურს ორი ნაჭერი ჩამოაჭრა. ისევ დაჯ-
და. ხელში ღვინის ბოთლი აიღო და სევდი-
ანად შეათვალიერა, – Château Merlin, 1989
Saint-Emilion Grand Cru...

ბორდოული ღვინის ეს ბოთლი ეტიენმა აჩუქა. ჯერ ინახავდა. გასახსნელად არ ემეტებოდა. მერე... მერე კი მისი „ნაკვალევის“ წასაშლელად ყველაფრის თავიდან მოშორება და დაიწყო.

…ეტიენი მოენატრა, უფრო კი მისი
დადებითი მხარეები: თბილი ღიმილი, შეყვა-
რებული და წყლიანი თვალებით რომ იცოდა
ყურება, თითქოს სადაც არის ატირდებაო,
ზრუნვა, ყურადღება და კიდევ მასთან ერ-
თად ხელჩაკიდებული სიარული.

მისი ხასითის უეცარი ცვალებადობის გახსენებაზე გააქრძოლა. გულს სტკენდა და ეჯავრებოდა მისი უხეში ლაპარაკი, დაყ-გიდრებები!

კიდევ, შარლოტასთვის ყველაზე გულ-
სატკენი, ეიტენის და მელანის მოურიგე-
ბლობა და ჩუმი ომი იყო!

Connard...* – წამოიძახა და მეორე ბოკა-ლიკ გამოკვლა. თანდათან თავი უმიღიმდე-

* ნაგავი – (გადატანითი მნიშვნელობის ფრანგულიდან).

ბოდა. საათს შეხედა, ათი საათი დაწყებულიყო. მელანი ისევ არ ჩანდა. წამოაცხუნა. შვილის ღამით გარეთ ყოფნა სძულდა. მაგიდა აალაგა, მაგრამ ჭურჭლის გარეცხვა ვეღარ შეძლო. თავტრუ ეხვეოდა. სამზარეულოში სინათლე ჩააქრო და მელანის მოსვლამდე ლოგინში კაბითვე ჩაწვა.



ლანა მანველი

მპირა დღეები

ფერდაკარგული მელანი ცრემლებით დასველებულ ლოგინში იწვა და სიკვდილს ნატრობდა. ახლა მას არც ჯონათანის გლოვა შეეძლო და არც თავის დაცვა. მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ გამოძიება მალე დასრულებულიყო და სტრასბურგიდან რაც შეიძლება შორს გადაკარგულიყო. შარლოტას და ლუის ჩხუბისგან გული ჰქონდა გადალეული. დადგებოდნენ მისი საწოლის აქეთ-იქით და ერთდროულად იწყებდნენ ჭკუის დარიგებას თუ მწარე სიტყვების ფრქვევას.

შარლოტა და ლუი ამ ტრაგედიამ შეარიგა, დაატკბო და ახლა ორივესთვის განტევების ვაცი მელანი გამხდარიყო.

ბლეიზისგან და ანეტისგან არაფერი ისმოდა. მას ხომ ყოველთვის აკლდა მამისგან სითბო, ყურადღება, ზრუნვა... და ყველაზე მთავარი – დაცვა. დაცვა ყველასგან და ყველაფრისგან. რაც ყველაზე მეტად ახლა სჭირდებოდა.

თავზე ცაჩამოქცეული, სასოწარკვეთილი მელანი ამ ქვეყნად სრულიად მარტოდ დარჩენილიყო...

დანით ხელში, ლუის სახლში მოვარდნის სცენა გაახსენდა და აკანკალდა. ის ლამე სულიერი თუ ფიზიკური ტკივილებისგან გახევებულმა მელანიმ სააბაზანოში ჩაკეტილმა გაატარა. სიმწრისგან დაკბენილი ტუჩებიდან სისხლი სდიოდა და ცრემლებთან ერთად ეყლაპებოდა. დილამდე ჯონათანის სახელს ჩურჩულებდა. ხანდახან ძილი ერეოდა და ძილ-ღვიძილში საკუთარ თავს ბების ეზოში ხედავდა: ასე, ხუთი-ექვსი წლის იქნებოდა. წვიმდა. ეზოს კარს აღებდა და გარეთ გადიოდა. მიწა ატალახებულიყო. განმარტოებით მდგომ ქლიავის ხესთან მიდიოდა. მის სველ ტანს, სისველისგან დამძიმებულ, ქვევით

დახრილ ფოთლებს აკვირდებოდა და გული სტკიოდა. ხის ძირში მოტეხილი ტოტი ეგდო. ტოტიც არ ეთქმოდა. უფრო ღერო, მასზე ამოსული შვიდი-რვა ფოთლით. ტალახში ამოსვრილს ხელში იღებდა და სათითაოდ აცლიდა ფოთლებს...

ვინმესთან ლაპარაკი უნდოდა, ისეთთან, მის გვერდით რომ დადგებოდა და გაუგებდა. ბოლო პერიოდში ფრედოც ალარსად ჩანდა. მარამ რომც ყოფილყო, შარლოტა და ლუი ახლა მას მელანისთან არც მოუშებდნენ.

ბევრი გულისტკივილი ახსოვდა, მაგრამ არასდროს ყოფილა ახლობლებისგან ასე განირული...

მის გულში, ჯონათანის ადგილს თანდათან მტკივნეული სიცარიელე იკავებდა. ამას ძალიან ცხადად გრძნობდა და სული უტიროდა. ლუისგან და შარლოტასგან გალანძლული მკვდარი ჯონათანი სამუდამოდ ტოვებდა მელანის გულს, გონებას. ისევე, როგორც ერთ დროს, მისი ყოველდღიურობიდან გააქრეს ერთადერთი სულიერი საყრდენი და ნავსაყუდელი, ელიასი რომ ერქვა სახელად.

გლეიზის გარდაცვალება

უზომოდ გამხდარი და დასევდიანებული ბლეიზი უხმაუროდ ჩავიდა ქვემოთა ეზოში. ნელა აბიჯებდა, თავს უცნაურად გრძნობდა. ყველაფერი ეუცხოვებოდა. ნლების წინ, კიბეც და მოაჯირიც მისი განახლებული იყო. ძალაგამოცლილ ხელებს დახედა და ძონის სამაჯურის ქვები სათითაოდ გადამარცვლა. ხელისგულის მომჭკნარ კანზე კიდევ უფრო ბევრი ხაზი გასჩენოდა. ის დრო გაახსენდა ქირომანტით გატაცებული დებორა რომ უთვალიერებდა ხოლმე. სიცოცხლის ხაზს თითო გააყოლა. რამდენიმე ადგილას წყდებოდა, რაღაც რომბივით ფიგურის შემდეგ ისევ გრძელდებოდა. ისევ წყდებოდა...

ნერვიულად მოისრისა ხელისგულები და უღლონოდ ჩაიცინა. აღარაფრის თავი არ ჰქონდა. გონებაც დაღლოდა და სხეულიც. სადღაც გამქრალიყო ხალისი, ცხოვრების





მხატვარი სოფიო ჭელიძე

გაგრძელების სურვილი. ველარ გძნობდა იმ ძალას, რამაც რამდენიმე წლის წინ თავიდან დააწყებინა ცხოვრება...

ანეტს გალავანთან დაელაგებინა, გააფ-
თრებული ლუის მიერ დამტვრეული სკამე-
ბი. გული ბურუსიანი სიცივით აევსო. თავის
ქალის შიგნით ტვინის უცნაური მოძრაო-
ბა იგრძნო. კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.
არა, კი არ ჩამოჯდა, უფრო დაცა. თავ-
ისი სიცოცხლის სამოცდახუთი წლის გან-
მავლობაში თითქმის ყოველთვის პოულობ-
და რაიმე მიზანს, მიზეზს... ბოლო წლებში
კი ერთადერთი რამ, რაც ამ ქვეყნად ახ-
არებდა, საკუთარი შვილები იყვნენ. გულ-
ში მათით სულ ამაყობდა. თქმით არასად-
როს უთქვამს მათთვის, მაგრამ ეს ასე იყო.
ახლა კი ორივემ შეულახეს თავმოყვარეო-
ბა. ლუიმ არაფრად ჩათვლა მამა-შვილო-
ბის რიდი, უფროსის მიმართ პატივისცემა
და მას შემდეგ, რაც მათ ცნობილ აივანზე
ქალაქში უცბად გავარდნილი ამბავი მოი-
ტანეს, ოთახში შეუვარდა და ჩხუბი აუტეხა.
მელანის სახელს გაჰყვირდა და დედამისის
მზითებში მოყოლილ ავეჯს ლენავდა. ანე-
ტის სიმწრით ასავსავებული ხელები გაახ-
სენდა და უზომოდ შერცხვა. პირველ რიგში
საკუთარი თავის შერცხვა. დედის ჩუმად

მოწმენდილმა ცრემლებმა ერთიანად დაა-
ბეჩავეს და გაანადგურეს. ამქვეყნად უკვე
აღარაფერი აღარ უნდოდა. იცოდა სცე-
ნაზეც ველარ დადგებოდა...

წამოდგა და სარდაფისკენ წავიდა. კარი
ხმაურით გაიღო. სიბნელე და სიგრილე
შეიგრძნო და ოდნავ შვებით ამოისუნთქა. ბავშვობაში ძალიან უყვარდა აქ დამალ-
ვა, ყველასგან განმარტოვება. იჯდა სიბ-
ნელეში და ოცნებებში ხან ინდიელი იყო,
ხან მსახიობი და ხანაც ჰიბი. ბოლოს ისევ
მსახიობობა გადასწონიდა და სამალავიდან
უკვე საკუთარი თავის ნდობით გამოდიო-
და.

ახლა ძალიან სიამოვნებდა აქ ყოფ-
ნა. მინის იატაკს ერთ ადგილზე ტკებიდა
და თან იმ სტრიქონების გახსენებას ცდი-
ლობდა, რომლის წარმოთქმაც რიტუალად
ექცა მაშინ, ბავშვობაში. ერთხელ პას-
კალმა დაუყვირა, რანაირად იქცევი, შენ
ამ ქვეყნის არ ხარო?! – მაშინვე გაიქცა,
ცრემლების ყლაპვით შეიყუშა სამალავში
და ჯიუტად, უკვე მერამდენედ იმეორებდა
მისთვის გადარჩენის ტოლფას ფრაზებს:

Je viens d'un autre monde, oui !

Dans ce monde, tous les rêves sont élevés
comme des enfants.

Ils sont les seuls à rendre violet le village
crépusculaire !

Et les vents du désir disparaissent !..*

დამტვერილი ბოთლები ულონოდ მის-
წი-მოსწია და გადაყვითლებული გაზეთების
ქვეშ ხელი ფრთხილად შეაცურა. მისმა
თითებმა ყოველგვარი ძალდატანების გა-
რეშე მოძებნეს ის, რასაც მთელი თავისი
სიცოცხლის მანძილზე სათუთად ინახავდა.
ეს თვითმფრინავის ის ბილეთი იყო, რომ-
ლის გამოყენებაც ვერ გაბედა:

AirINTER \ PARIS – ORLY , 19h55, sale 03, IT
5602 16 février 1967 M

ბილეთს საკონტროლო ველი, ისევ
მოუხეველი ჰქონდა...

მას შემდეგ, რაც დებორას პარიზში გა-
დასვლის ამბავი შეიტყო, მალევე შეიძინა

* მე სხვა სამყაროდან მოვდივარ, დიახ!

იმ სამყაროში ყველა ოცნებას ბავშვოვით ზრდიან.

შხოლოდ ისანი ბიზისისფერ სოფელს ისფერს ხდიან!

და უიმისოდ მონატრების ქარები ქრიან!.. — (ავტორი და
მთარგმნ. ლანა მანველი)



ეს ბილეთი, მაგრამ მასთან წასვლა და პატიების თხოვნა ვეღარ გაპედა...

ამ ქვეყნად უმცირეს დეტალსაც კი თავისი ისტორია აქვს. ეს პატარა ქალალდის ნაგლეჯი ინახავდა ბლეიზის და დეპორას წარსულს, ცრემლებს, მონატრებას, იმედს, სასონარკვეთას, სიყვარულს...

ბლეიზი სარდაფიდან თავისით ვეღარ ამოვიდა. ლუიმ ის უკვე გაციებული ნახა. თავი მკერდზე ჰქონდა ჩამოვარდნილი, ხელში კი დებორასთან წასასვლელი ბილეთი და ძონის სამაჯური ეჭირა.

ibrairie de Goepp*

დრო გადიოდა, მელანი კი ვერსადაც ვერ მიდიოდა. ისევ იმ გაუსაძლის, აუტანელ გარემოში უწევდა ცხოვრება. მამის უცნაურმა გარდაცვალებამ ხომ ისედაც ნატკენი გული, კიდევ უფრო უარესად ჩაწყვიტა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მის სხეულში მოკვდა რაღაც და სამუდამო ტკივილად იქვე დარჩა.

ცრემლგამშრალმა ანეტმა თავის უჯრაში შეინახა ბლეიზის უკანასკნელი ნივთები. მოხუცს არავის დანახვა აღარ უნდოდა. საათობით იჯდა ეზოში ჩუმად, სახლისკენ ზურგშექცევით და ცას გაჰყურებდა.

მელანიმ როგორც კი ცოტა ძალა მოიკრიბა, სამუშაოს ძებნა დაიწყო. სტრასბურგიდან წასასვლელად ფული იყო საჭირო. შინაგანად უაღრესად დასუსტებულმა და განადგურებულმა, უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე ფიქრიც ვერ შეძლო. დედისგან, ძმისგან ელოდა თუნდაც სულ მცირეოდენ სტიმულს, მაგრამ ამაოდ. მათ თვალში მელანი სრულ არარაობად ქცეულიყო.

...სექტემბრის შუა რიცხვები იყო, Grand rue**-ზე მდებარე წიგნის მაღაზიაში რომ მოეწყო სტაუიორად. მაღაზია ცოლქმარს, ტიერ და ჯენიფერ გოეპებს ეკუთვნოდათ. მელანი დანიშნულ საათზე ადრე მივიდა. გისოსები ჯერ კიდევ არ გაეხსნათ. მოპირდაპირედ მდებარე ღია კაფეში ჩამოჯდა და ლოდინი დაიწყო. ფიქრებში ჩაძირულმა ვერ შენიშნა ვინ და როდის გახსნა მაღაზია. ვიღაც გოგოს ვიტრინების

წინ გორგოლაჭებიანი მაგიდებით მეორადი წიგნები გამოჰქონდა. წამოდგა. შესვლამდე კარის წინ გამოფენილი, პარიზული ყოფის ამსახველი გასაყიდი მისალოცი ფოტო-ბარათები შეათვალიერა.

ანაელი, მაღაზიაში მომუშავე გოგონა გაეცნო და უთხრა, რომ ორშაბათობით პატრონები ისვენებდნენ და მარტოს მოუწევდათ საღამოს შვიდ საათამდე მუშაობა. შესვენება არ ექნებოდათ, რადგანაც ამ დღეს ისედაც დღის ორ საათზე იხსნებოდნენ. მაღაზია ორი სართულისგან და საწყობისგან შედგებოდა. პირადი ნივთები სამზარეულოს მსგავს პატარა ოთახში დატოვა და იქაურობის გაცნობას შეუდგა. პირველ სართულზე საკანცელარიო ნივთები და ახალი წიგნები იყიდებოდა. ცალ-ცალკე განყოფილებებად იყო დაყოფილი თაროები: ბავშვებისთვის, მოზარდებისთვის, პროზა, პოეზია, წიგნები ელზასურ დიალექტზე, ილუსტრირებული ალბომები, ფრანგული, უცხოური ლიტერატურა და ა. შ. მინებიან კარადაში გასაყიდი ფოტოაპარატები დაელაგებინათ.

ზედა სართულზე მეორადი წიგნები იყიდებოდა. ისტორიული წიგნები, სათავგადასავლო, დეტექტიური, ფრანგული კლასიკა, უცხოური კლასიკა, უცხოური წიგნები ინგლისურ და გერმანულ ენებზე. ფანჯრებთან სარწეველა სავარძელი და ძველებური, ზინგერის მარკის საკერავი მანქანა იდგა, რომლის მაგიდაზეც ასევე, წიგნები შემოეწყოთ. შუაში საბავშვო, ოდნავ დაზიანებული წიგნების განყოფილება იყო, რომლის ზევითაც, ჭერში ფერად-ფერადი ბურთები დაეკიდათ.

მელანი ყურადღებით უსმენდა ახალ გაცნობილ თანამშრომელს, ცდილობდა ყველაფერი დაეხსომებინა. ანაელმა ასევე ასწავლა წიგნების დარეგისტრირება და ფასების მიწებება. უცბად ყველაფერი მაინც ვერ დაიხსომა და ხშირად უწევდა, კლიენტის მოთხოვნის შესასრულებლად კოლეგისგან დახმარება.

დღის ბოლოს, დაღლილობისგან ფეხზე ძლივს იდგა. შარლოტა სახლში არ დახვდა. ალბათ, სპექტაკლი აქვსო გაიფიქრა. მაცივრიდან მზა რაღაცები შეჭამა, მოწესრიგდა და მკვდარივით დაიძინა.



* გოეპების წიგნის მაღაზია – (თარგმან. ფრანგულიდან)

** დიდი, მთავარი ქუჩა – (თარგმან. ფრანგულიდან)



Cafés du Monde*

მეორე დღე უფრო ხანგრძლივი და დამ-ლელი აღმოჩნდა. მაღაზიაში ათი საათისთვის მივიდა. პატრონები უკვე მისულები დახვდნენ. ტიერი ფურგონიდან წიგნებით სავსე ყუთებს იღებდა და სალაროსთან ახლოს აწყობდა, ჯენიფერს მოზრდილი დავთები დაედო წინ და ფეხზე მდგომი საქმიანად რაღაც ჩანაწერებს აკეთებდა. მელანის ყუთების გახსნა და მიღებული წიგნების ფაქტურებთან ერთად მოსულ სიებთან შედარება დაავალეს. იმ დღეს ორი სხვა თანამშრომელიც მოვიდა. როგორც გაირკვა სულ ექვსნი იქნებოდნენ. ისინი კვირის სხვადასხვა დღეებში იმუშავებდნენ, მელანის კი, როგორც სტაუიორს ყოველდღე მოუწევდა იქ ყოფნა.

თორმეტ საათზე ერთსაათიანი შესვენების უფლება მისცეს. შენობიდან გამოვიდა და ახლო-მახლოდ მდებარე საფუნთუშის ძებნას შეუდგა. ქუჩაზე უამრავი ტურისტი

ირეოდა. თავდაჯერებული და ხმამაღლა მოსაუბრე ინგლისელები მაშინვე ყველას ყურადღებას იპყრობდნენ.

მელანიმ ორი კრუასანი იყიდა და ყავის დასალევად Cafés du Monde-ში, გარეთ დადგმულ მაგიდებიდან ერთ-ერთთან ჩამოჯდა. პატარა, ოთხკუთხედ მაგიდებზე ყავის ტომრები გადაეფარებინათ. სკამები ისეთი ახლოს დაედგათ, სხვა მაგიდისკენ მიმავალს რომ გაევლო, უკვე მჯდომი ფეხზე უნდა ამდგარიყო და ისე გაეტარებინა. მელანიმ ორმაგი მექსიკური ყავა შეუკვეთა და მოზრდილ მცენარესთან მდგომ მაგიდასთან დაჯდა. ვიდრე შეკვეთას მოუტანდნენ კრუასანები შეჭამა და ქუჩაში მოსიარულე უცხოელები შეათვალიერა.

ყავასთან ერთად ციტრუსის არომატის მქონე წყალიც მოუტანეს. მელანიმ ყავისფერი შაქრის პატარა პაკეტის ნახევარი ფინჯანში ჩაყარა და ის იყო უნდა მოერია, რომ მის მაგიდას ვიღაც დაეჯახა და ყავა დაუღვარა.

* მსოფლიოს ყავები – (თარგმან. ფრანგულიდან).



თინათინ სიყმაშვილი

საქართველოს კულტურული და სამართლებრივი მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

ციხელა

ძიძანთუბნელი ბიჭები არც სხვაზე მაგარ-მაგრები იყვნენ და მაინცადამაინც არც შნოიანობით გამოირჩეოდნენ. მაგრამ ხევისუბნელებსა და ახორებს თავს რაღაცით კი ამეტებდნენ. ბურთაობა იყო, ჭიდავისა თუ ქამრაობა, რისი წესი და რისი რიგი, ერთი რომ განვერავდნენ მუშტსა და მარჯვნივ-მარცხნივ სეტყვასავით წაუშენდნენ, არც წიხლს ითაკილებდნენ...

მოწინააღმდეგეს თავ-ყბასა და წვივებს დაულილავებდნენ, თავისას გაიტანდნენ. მერმე თვალდახელშუა დაუსხლტებოდნენ, ხევის პირას აყუდებულ მთის კალთას გაეკვროდნენ და მიეფარებოდნენ... ფერდობზე წამომართულ ციხეს რომ მიაღწევდნენ, კედლებს შეეტოტებოდნენ, შეაფოფებდოდნენ, ქონგურებს გადაალაჯებდნენ... სამშვიდონოს გაღწეულები მაინც ვერ დაშიშმინდებოდნენ, დადევნებულებს გზადაგზა წამოკრეფილ, ხელსმოყოლილ ქვებს დააყრიდნენ, თან უწმაწურ სიტყვებსაც მიაყოლებდნენ და მურდლად პიურჭყებოდნენ...

ისინიც ფიცხლად გაეკიდებოდნენ, კარგა მანძილზე აიაღმართებდნენ, მუშტებმოლერებულები იმუქრებოდნენ და იქადებოდნენ, მაგრამ ციხიდან ნასროლი ქვები ყურებთან რომ ჩაუზუბუნებდათ და ერთი ორი კიდევაც ემნვავებოდათ, მეტი რა ჩარა ჰქონდათ, დაბოლმილები, მხრებჩამოყრილები პირს იბრუნებდნენ, ისევ ჩამოიაღმართებდნენ, თადარიგს სახვალიოდ და სახვალისხვალიოდ დაიჭერდნენ. მოსეირებისა და ერთმანეთისა ერცხვინებოდათ და ხმას ვერ იღებდნენ, თორემ გუნებაში კი იმართლებდნენ თავს, იმათა, ციხე ააქტ და იმიტომა დიდგულობენ, აბა, ჩვენა რააო...

რომ ასალამოვდებოდა და ქვემოთელებისაგანაც საფრთხე გაილიდა, დამჯაბნელები სათითაოდ ჩამოლაგდებოდნენ კედლებიდან და უბანში გაყინ-ჩულები გაივლ-გამოივლიდნენ, ვითომ, ეგ არი და, ჩვენა ვაართ, ვინცა ვაართოო...

ეგრე იყო.

იმ ციხით, შიგნით, ჰა და ჰა, ოც-ოცდაათ ხი-

— რაა და... ეს წიხე მარტო ძიძანთ უბანს იწვდა, მთელ ქვეყნის კი არა... ძიძანთ წიხეურ იმიტომა ქვით, კაროლ... გარეუ? — წაუმტერა ერთმა, ხელჭობზე ჩამოლ-ცენთილმა.

— რაა, რაა?! ძიძანო?! მეტრე და, ეს წიხე ამ უბანს რო იწვდა, ეს უბანი რაა, ამ ხოფლისა ააიყო? ეს ერთი უბანი რო მაგრანი იქნებოდა, ხოფელივ და ქვეყნის იმედინად არ იქნებოდა? — ანუზუნ-და მტკნერჩამოფიუქული შერიყაფი, მაგრამ იმას არავინ არაფერის ეკითხებოდა და იმისი წატევამიურ საფარის უბანი არ გაუკონია. ვითომ არ გაუკონია.

თ. სიყმაშვილი





მხატვარი სოფიო ჭელიძე

— ესა... საუბონ ციხეა, მაგას არავითარი სტრატეგიული დანიშნულება არ ექნებოდა... ამ რუკაზეც იმიტომ არ არის მითითებული. არც ნომერი აქვს და არც დაფა... — ავტორიტეტულად განუცხადა დირექტორმა თავის მხლებლებსა და შორიახლოს სამბოდ მოქუჩებულ ძიძანთუბნელებს. მერე მრავალმნიშვნელოვნად გახედა სასოფლო გზას. — ააგე, რამსიმორეზეა შოშიაგზისაგან!..

ჰომოვო, თავი დაუქნია სამხედროს მასწავლებელმა.

— წარწერა... არსად არავითარი წარწერა არ ჩანს... არც ძველი და არც ახალი. — ცეცხლზე წყალი დაასხა რაღაცაზე ამრეზილმა ქართულის მასწავლებელმა.

ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლებმაც ურწმუნოდ აიპრუნეს შეღებილი ტუჩები, მაგრამ, ეტყობა, დირექტორის შიშითა და რიდით, გაჩუმება არჩიეს.

მარტო პიონერხელმძღვანელმა ანკიპა გარიკრიკებული წარბები და კუკლუცად იკითხა: — ნეტავ რა ჰქვია... სახელი არა აქვს ამ ციხეს?

ამათ წაუბარზე რამდენიმე მექომური წამოდგანინ.

— რაო, რაო?! როგორ თქვაა? სტრატე... სტრატეგიული არ ყოფილაორო... მა რა ყოფილაო, ჰაა?!

— რაა და... ეს ციხე მარტო ძიძანთ უბანს იცავდა, მთელ ქვეყანას კი არა... ძიძანთ ციხეც იმიტომა ქვიან, კაცოლი... გაიგეე? — წაუმლერა ერთმა, ხელჯოხზე ჩამოლვენთილმა.

— რაო, რაო?! საუბნორ?! მემრე და, ეს ციხე

ამ უბანს რო იცავდა, ეს უბანი რაა, ამ სოფლისა არ იყო? ეს ერთი უბანი რო მაგარი იქნებოდა, სოფელიცა და ქვეყანაც იმედიანად არ იქნებოდა? — აბუზლუნდა ომაწვერჩამოფიფქული ბერიკაცი, მაგრამ იმას არავინ არაფერს ეკითხებოდა და იმისი ნათქვამიც სათვალავში არ ჩაუგდიათ, ვითომ არც გაუგონიათ.

— ძიძანთი კი არადა... ამასა, მე თუ მკითხამთ, აფხაზიანთ ციხეს ეძახიან... აი კოხტა აფხაზი რო იყო... ილია ჭავჭავაძის სიძე... — გამოენთო მეორე, იმაზე არანაკლებ წელში მოკავული.

ამის გაგონებაზე დირექტორს თვალები შუბლზე აუვიდა, მაგრამ რატომდაც შერცხვა გლეხებისა და დუმილს ოქროს ფასი დაადო.

— ისინი... თავადები... თავიანთ შვილებს ამ უბნის გლეხებში აძიძავებდნენ... ძიძანთუბანი და ძიძანთ ციხეც იქიდან მოდის... მაშა?! — კისერი წაიგრძელა, არავინ დამასწროსო, სათქმელი ერთბაშად წამოყარა და ხმა ჩაიკმინდა რომელილაცამ, იმანაც, არამკითხე მოამბებ.

— ერთი ეხლა მეცა მკითხეთ დაა?! ისა... ილია... თავის დასა... ნინოსა და სიძესა... კოსტასა... სტუმრად რო ენვეოდა ხოლმე... ამ ციხი ძირას, აემ ლოდზე ჩამოჯდებოდა და ქვეყნი ამბებ გვიყვებოდა... ისაა... ერთი ინგლისელი მწერლი წიგნსაც აქ გვიყითხავდა და თან გვიქართულებდა კიდევაცა...

— ჩაიჩიტჩითა ლამისაა მიწამდე ცხვირდაბჯენილმა ყრანტმა და, თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად, ტარ და წვერ განვრილებული ჯოხი დასცხო ლოდს.

— აი ისაა... ერთ ჩემისთანა ბერიკაცზე იყო ის წიგნი... ლირი თუ რაღაცა ერქვა იმასა... მეფე კი იყო... მეფე... — თავი ახლა სხვამ მოინონა და თავისი ცოდნით გათამამებულმა ისე გაიღრიჭა, პირი ყურებამდე მოიხია და თამბაქოსაგან ჩაუმულ-ჩაუანგული ცხრავე კბილი გამოაჩინა.

— თამროსა და გაბროს წიგნიც აქ წაგვიყითხა ილიამა... იმათი ამბავი აქ გაიგო დაა... კაკო ყაჩალიცა... თითონა... აბა, ჩვენ კითხვა საიდან ვიცოდით, რომელი თავადიშვილები ჩვენ ვიყავით რო... — თქვა კიდევ ერთმა და სხვებს ისე გადახედა, ვითომ, სადაც თქვენი თქვაათ, იქ ჩემიც არ დაგავინყდეთოო...

— გლახის ნააბიბი... — დროულად მიაწოდა საქამრები წიგნებარჭობილმა ყმანვილმა.

ჰომოვო, ეგრე იყო, მა რააო, დასტური მისცეს სხვებმაც, აშკარად ნირნამხდარებმა, აქაოდა, ამ მეტირებმა რატომ დაგვასწრესო... ჩვენ რა, კამეჩის რქაში კი არ გვეძინაო...

ყველამ რაღაც თქვა, რაც იცოდა, გულში არაფერი დაიტოვა...

მარტო ჯეილობამოთავებული, ოჯახური ულლისაგან კისერ გადახეხილი ციხელა იდგა უბრად, არც პო დასცდენია, არც — არა. თითქოს ის ყაყანი და ჭაჭყანი იმის სამეზობლოსა და საახლობლოს კი არა, ცხრამთისიქითურს ედებოდა, ეწვნებოდა და ეხუჭუჭებოდა.

ეგრე იყო თუ იგრე, ბოლოს, დირექტორსა და



იმის ამალას თავიანთი სკოლა რომ გაახსენდათ და დაღმართიზე დაეშვნენ, ძიძანებიც დაიშალნენ, ყველა წავიდ-წამოვიდა.

მარტო ციხე დარჩა რაღაც გაურკვევლის მოლოდინში...

მაშ არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არა ჰქონიაომ...

უნომრო, უდაფო და უწარწეროაომ...

თურმე ამის გაგონება და გაგებაღაღა უჭირდათ ძიძანუბნელებს და აკი გაიგონეს და კიდევაც გაიგეს...

ის დღე იყო და, ნაჩხუბარი, ხევისუბნელ და ახოელ მდევარს თავდაწეული ყოჩალი ბიჭები გზა-დაგზა, ხელსმოყოლილი ქვებით ამოვსებული უბებით როდილა იმძიმებდნენ ფეხს. არც ეზოებსა და ორლობებში წინასწარ საბრძოლო მასალების მოგროვებით იწყვეტდნენ წელს. ციხის ქონგურებს მოევლებოდნენ და ქვებიც იქ არ იყო? თანაც რიყისა... ოღონდ ხელებისთვის უნდა დაეტანებინათ ძალა და შიგადაშიგ სხვა რაღაც-რაღაცეებიც წაეშველებინათ.

ეგ იქით და, გოგო-ბიჭები, დაჭერაობასა და დამაღლობანას თამაშში რომ გაერთობოდნენ, რამე ისეთს დაისაჭირებდნენ და შინ გაქცევა დაეზარებოდათ, ციხეს მიადგებოდნენ. ზოგი შიგნით, ზოგიც იქვე, კედელთან...

შიგნით კი, ზოგჯერ, თურმე, სხვა რაღაც-რაღაცეებიც ხდებოდა.

ზოგი, ხნიერი თუ ჯერ უხანო, იქით, იმ ციხისაკენ გავლასაც ერიდებოდა უკვე. როცა მაინც გაივლიდნენ, რომ მოუახლოვდებოდნენ, ცხვირ-პირზე ხელს მიიჭრდნენ და ნაბიჯს აუჩქარებდნენ.

ერთი სიტყვით, ძიძანთ თუ აფხაზიანთ ციხე, მანამადე მთელ ქვეყანას თუ არა, იმ უბანს მაინც რომ იცავდა, ახლა თვითონ გამხდარიყო მისახედი და დასაცავი.

მაგრამ ლეეკანობა გადავარდნილიყო, შიშიანობასაც ჩაილურის წყალი დაელია და ერთი საუბნო თუ საეზოგარემო ციხე ვიღას ახსოვდა, ან იმისთვის ვიღას ეცალა...

ვიღაც-ვიღაცეებს კი თურმე კიდევაც ახსოვდათ და კიდევაც იცლიდნენ იმისთვის...

ზოგჯერ, ღამლამობით, იმ მხრიდან წერაქვისა და ძალაყინის კაუნი და ხათქახუთქიც ისმოდა.

მერე და მერე კი დღისით-მზისითაც აღარავის და არაფერს ერიდებოდნენ...

ან რა უნდა ექნათ, კომლი იზრდებოდა, მრავლდებოდა, ერთ ჭერქვეშ ვეღარ ეტეოდა. ახლის ასაგებად ხევიდან იმ კუნწუხზე ქვის ამოზიდვა არც იგრე იოლი იყო. იქვე ახლოს კი ციხე თუ ნაციხარი დაყუდებულიყო, რომელსაც იმდენი რიყის ქვა ეყარა როო...



თინათინ სიყმაშვილი

ძიძანებიც შორს აღარ მიდიოდნენ...

ციხე კი ჯერ მაგრად იდგა. ეგ იყო, ზემოდან თანდათან დაბლდებოდა...

კაუნი და ხათქუნი ეგრე არ უნდაო და ერთ დღეს ციხელამაც მოიცალა. დილაუთენია თავს დაადგა ლოგინში ჩამძრალ თავის ერთას. ბიჭი, ეტყობა, გვიან დამემდე კითხულობდა, წიგნი ბალიშქვეშ ამოედო და ტებილ ძილს მისცემოდა.

— აბა, ჩემო ვაშკაცო... ჩემო კოკროჭინავ... გაიღვიძე. — ყვრიმალთან ხელი მოუთათუნა, მაგრამ რომ ვერ გამოაგონა, მოუთმენლად შეანჯლრია. — ჰაა-მეთქი. შე ძილისგუდავ შენა... რა ქუში დაგანვა... წუხელ შინ არ იყავ?

— აარა... მამიი... — როგორც იყო, გამოფხიზლდა ძილისგუდა. — წუხელა... დიდგორზე... დავით მეფებმ ურჯულო დამარცხა... მეც იქ, იმასთან ვიყავ. უუჰ... რა დავცხეთ?! დავითფერულს ივრე ვიქნევდი როო... აქედან და იქიდან... აეგრე, აი!

— ჰოო? კარქი გიქინა, შევილო... ეხლა წამოხტი შენებურად. სკოლაში ხვალე წადი, არაუშავრა... ეგ წიგნიც მემრე წაიკითხე. დღეს მომეხმარე. ვიდრე კარგი ამინდებია... რა ვქნა, ქვა მჭირდება. სახლი უნდა ავაშენო. შენთვის მინდა, თორემაა... მე ამ კუნაოთაშიც ვეტევი...

ბიჭი ზანტად წამოდგა. ჩაიცვა და მამას აედევნა.

კაცმა დაგულებული წერაქვი და ძალაყინი ამოილლივავა, გაიბილიკა, საურმე გზას შეუყვა და ციხეს მიადგა.

— ნახე, რა ქვა აყრია... სუ რიყისაა... ხელით არჩეული... მე მოვანგრევ, შენ გაიტანე და კიბის გვერდზე დაალაგე. — თქვა და წერაქვი ლონივრად მოიქნია.

რიყის ქვაზე ავად აზრიალდა ლითონი. მოშორებით, ხიდან, დამფრთხალი ბელურა აფრინდა და ციხეს გადაევლო, იქაურიბას გაეცალა.

უბანმა გაიღვიძა.

მზე ამომზევდა... ნება-ნება კიდევაც წამოიმალა.

— ეგ რა დაგმართნია, ციხელაავ... შენმა წინაპრებმა ეგ ციხე ააშენეს, მემრე დარაჯობდნენ, ამაგრებდნენ და ელოლიავებოდნენ... შენ კიდენა, ანგრევ, კაცო?! რა ვქნა, აღარც წინ იყურები და აღარც უკანა? ლმერთი გაგნურომია და ეგ არია!

ცხრაქბილა იყო. ერთი კინკილა კბილილა შემორჩენდა და ისიც ციხელას გაჰკრა.

— შენა... მარტო მე დამინახე? სხვები რა, ცხვირზევით იცილებენ? ტაჭკებით გაზიდეს... ის ქვა ციდან კი არ ჩამოცვიდა... — ხელი არ გაუჩერებია, ისე გაეპასუხა ციხელა.



– შენმა ყველაყისამა... შენთვის გეუბნები, ცოდვას რო იდებ კისერზედა... თორე მე რაა... – ჩაილულლულა ცხრაპილამ, მაგრამ ყური არავინ ათხოვა და იმანაც ფეხი აითრია.

– ტკინი გამოლევია და სხვას ასწავლის ჭკვასა... – შებრძებ ჩამონქურურებული ოფლო სახელოთი მოინურა ციხელამ და თვალი მოავლო მონგრეულსა და მოსანგრევს. – ეგრე არაფერი გამოგვივა, შვილო... საცაა, შუადღე წამოვა... ხო ხედავ, მარტო ვერაფერს ვხდები... შენც გაატოკე ხელი... წერაქვი გამომართვი. მე ამ ძალაყინით... მიდი... მიდი... ნუ გეზარება. შენი ტოლები ვენაშმიც ქმარებიან მშობლებსა... ჰოო... ჯერ აქედან დაკა... მემრე იქიდან... აეგრე, აი! ფრთხილად... ფეხში არ მაირტყა... შენ მაინდან, მე კიდენა აქედან... აბა, მიდიია.

ბიჭი უნდომლად დასწვდა წერაქვს. აიღო. მოიქნია.

– ნუ ენაზები... ცოტა მაგრა... აი, ემაგრეე... ყოჩაბა... შენგან კაცი დადგება, კაცი!...

კოკროჭინა ქებამ შეაგულიანა. ხელი ინაცვლა. გამეტებით დასცხო.

ამასობაში კიდევაც მოშუადლევდა.

მზე თითქოს შეცბა. შეკრთა. სხივების ერთი დაწამწამება კიდევაც შეყოვნდა ცარგვალზე. დედამინის იმ ერთ წერტილს დააშტერდა, ვითომ, ეს რა ხდება მანდაო. მემრე ისევ მედიდურად ეწია თავის გზა-სავალს...

ბილიკა და საურმე გზაზე სულიერი არ ჭაჭანებდა. ბურთი და მოედანი იყო თუ წერაქვი და ძალაყინი, მამა-შვილ დარჩენდა.

ისინიც გამალებული ირჯებოდნენ.

მაგრამ ჩაკირულ-ჩადულაბებული ქვები ადვილად არ წებდებოდა. თითო-ოროლა ცვიოდა...

ერთი, შედარებით მოზრდილი, ნახმლევ-ნახან-ჯლი ქვა მაინც მაგრად იჯდა ბუდეში.

ძალს ესენი იყენენ, ძალს – ის.

– აი, ეს რიგიცა და მემრე ცოტა დავისცენოთ.

– ამოიქმინა კაცმა და გახელებულმა შემოჰკრა ძალაყინი. მაგრამ ძვრაც ვერ უყო. – ეს უპატრონო ესა... რა კერკეტა რამეა, კაცოო... ნეტავ რა ჩაატანეს და ჩააშენეს შიგ ამისთანა... უუკ, მე ამისი... – ახლა ზემოდან და ქვემოდან შემოუხათქუნა.

სადღაც თითქოს ვიღაცამ დაიკვნესა.

ციხელამ კიდევ გაუმეორა.

იმანაც, იმ ვიღაცამაც.

ქვა შეინძრა. მოყანყალდა. კაცმა ხელი მიაშველა. ქვას ნაშალი მოჰყვა. ფოსომ პირი დააღო.

– ვაიმე, მამიი... – ახლა სულ ახლოს, ზედ ყურთან გაისმა.

– რა იყო, შვილო, ფეხში ხო არ მაირტყი... შენც ზედ რას მიადექი... შორიდან დაკა!..

ბიჭმა გაიკვრვა, მაგრამ არაფერი თქვა.

– მტკივა, მამიი...

– შორიდან, შორიდან-მეთქი!.. რამდენჯერ უნდა გითხრა, დაყრულდი?!

– მე... მე მეუბნები, მამიი?

– ჰოო... შენა... აბა მა ვისა... მტკივა, მამიი,

შენ არ იყავი?

– არა, მამიი... მე არა! აბა, როდის... კრინტიც არ დამიძრავს...

– აბა მა ვინა... ვიღაცა კი ტირის დაა... ბიჭის ხმაა... კინალამ შენ მეგონე... ნეტავ ვისია, რომ-ლისაა... რა ვენა, ან დედა არა ჰყავ, ან მამა? რა ატირებს, რო აღარ მორჩა თავის სატირალსა?!

– მტკივა, მამიი... – გულისმომწყვლელად ჩიოდა ვიღაც.

კაცი გაოგნდა. ვერ გაეგო, რა ხდებოდა. კვენე-სა-ტირილი ქვაზე კაკუნსა და ხათქახუთეს ენაცვ-ლებოდა. დაკერავდნენ – აკვნესდებოდა ვიღაც. ზე-დაც, მტკივა, მამიი, მოაყოლებდა. გაჩერდებოდნენ

– ისიც დადუმდებოდა. სადღაც, დასაკარგავში კი არა, სულ რაღაც ერთი წერაქვის შემოქნევასა თუ ძალაყინის შემოხათქუნებაზე.

ციხელა ციხის კედელს აეკრა. ყური ფოსოს მიადო და გაინაბა. სმენად იქცა. წყალი არ გაუვიდოდა, ხმა შიგნიდან, კედლის წიალიდან აღწევდა.

მხრები აიჩეჩა. ძალაყინი დააგდო. მიდგა-მოდგა. მერმე, თითქოს ვინმემ უბიძგაო, ფოსოში შეიჭყიტა. ხელიც შეყო. მოაფათურა. რაღაც მოედო. დაეჯაჯგურა და თავისკენ მოსწია...

ძლივ-ძლივ დააძრო.

ძვალი იყო.

ნეტავ რის ძვალიაო, თვალებით ზედ დააკვდა და დააკვირდა, რამდენჯერმე შეატრიალ-შემოატრიალა.

რა დიდი დაკვირვება იმას უნდოდა, წვივის ძვალი იყო, ჯერ უშინიფარისა და ზრდაუსრულისა.

– ადამიანისაა... ნეტავ აქ საიდან... როგო მოხვდა... ჰაა? – რაღაც იქჭვა. თითქოს კიდევაც იაზრა. უნებურად თვალით თავის ერთას წვივს მიაზომა და მიატოლა... არც მეტი, არც ნაკლები, იმისკბილასი იქნებოდა...

დაყორავებულ რიყის ქვებზე გაბოტილი ბიჭი გამწარებული იქნევდა წერაქვს...

– აქ სხვა ძვლებიც იქნება. – თავისთვის ჩაილაპარაკა შეფიქრიანებულმა ციხელამ. ძვალი ძირს ციმ-ციმ დაასვენა და ისევ ძალაყინი მომარჯვა. ახლა ფრთხილად დაჭკრა, თითქოს ეშინოდა, ვინმეს არ ვატკინოო...

– ვაიმე, მტკივა, მამიი...

უცბად რაღაც შეინძრა. შეირყა.

კაცმა უმალ იგუმანა, რაც მოხდა. მოასწრო, გვერდზე გადახტა და იხავლა: – კე... კედელს მო... მოშორდი!

გვიანდა იყო. ყურთასმენისწამლებმა გრუხუნმა გააყრუა იქურიბა.

მყისვე ჩამობნელდა. ავარდნილმა მტკვერმა და ბუქმა ირგვლივ ყოველი დაფარა.

როცა გადაიკარა და დაწმინდა, ყველაფერი თავის ადგილზე იყო: ცაც, მზეც, ფოთლებაცახ-ცახებული ხეებიც... ოლონდ აღარც ციხის კედლები ილანდებოდა სადმე და აღარც ის კოკროჭინა ბიჭი.

თავზარდაცემული ციხელა ნანგრევებს გარს ურბენდა და ძალაყინს უაზროდ იქნევდა...



გიორგი შარვაშიძე

საქართველოს მთავრობის მინისტრის მიხედვით, გიორგი შარვაშიძე განკუთრებული მინისტრი იყო.

ნიმუში

კისისხევის თავში, ტყის სილრმეში არის პატარა გუბე, რომელსაც ლეგენდის მიხედვით, ხალხმა წითელი გუბე შეარქვა.

შემოდგომის ის დილა ჩვეულებრივ გათენდა. ნიკა ფერდობს შეუყვა და ტყის პირას მდგარი ეკლესიისაკენ აიღო გეზი, რომლის ჩამოშლის პირამდე მისულ ქვის კედლებს ახლად ამონვერილი მზის სხივები დასთამაშებდა. წინანდლის კლდიდან ხევის აყოლებით გაექცა მზერა, საიდანაც დილის გრილი წიავი უბერავდა. შორს, თეთრაანის მთებს ჰკიდა თვალი და ტანში უსიამოდ გააურჟოლა. ეკლესიაში სანთლები დაანთო, პირჯვარი გამოისახა და სვიმონის მიერ მიცემული დავალების შესრულებას შეუდგა – ორგანიზაციის წევრების დასახვედრად აქაურობა უნდა მიელაგ-მოელაგებინა. ამ ბოლო დროს, შინსახომის გააქტიურების და გახშირებული რეპრესიების გამო, ისინი ხშირად იცვლიდნენ ადგილმდებარეობას კრების მოსახურებად და გადახუცვიტეს დღეს აქ შეკრებილიყვნენ, რადგან ტყის განაპირას მდგარი ეკლესია უფრო უსაფრთხო და საიმედო ადგილს წარმოადგენდა. ნიკამ მალე მოათავა თავისი საქმე, სკამებად ეკლესიის კედლებიდან ჩამოყრილი დიდი ქვები დაალაგა და ტყის განაპირას მდგარი ხის ქვეშ ჩამოჯდა, უბიდან თავისი განუყრელი იარაღი ამოაძვრინა და შემოწმებას შეუდგა. თუმცა რევოლვერს ამ ბოლო დროს იშვიათად ხმარობდა, მაგრამ ვაზნები, რომლითაც ორგანიზაციის წევრები ამარაგებდნენ თბილისიდან, შეცოტავებო-

კარგა ხანს იგერიებდნენ მტერს, სანამ ტყიერი სულ არ გამოელიათ. სკომინიშ დაინახა როგორ მოხვდა ტყია მის გვერდით მყოფს, რომელიც სიმრისაგან პირდაპირ გუბეში გადატრიალდა. პარკურა თავს იწვდა, ერთს მტრის ტყია პირდაპირ კუჭაში მოხვედრობა და სახით გუბეში იყო ჩამხმილი. სკომინმა მხარში ტყივილი იგრძნო და მიხვდა, დატრიალიუმ, მაგრამ მაინუ არ ნებდებოდა. თვითონ რომ გამოელია ტყიერი, ფანჯრალას შაშხანის გადახნვდა.

გ. შარვაშიძე

57



№5, 2022

და. შემდეგ იარაღი კვლავ საგულდაგულოდ შეინახა და ახლა გულიკოს მიერ მოწერილი წერილი ამოილო, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა. კიდევ ერთხელ გადაიკითხა და გულიკოს უბედობაზე გულამომჯდარმა წერილიც გულის უბეში შეინახა., ტყის სილრმეში შევიდა და სხვა ეკლესია მოინახულა. ახლა ეს ეკლესიები სრულიად მიტოვებულები, კედლებმორყეულები შემოდგომის ფოთლებშემოძარცვული ხეების ფონზე, მნახველზე რაღაც მისტიკურ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ნიკამ ეკლესიის წინ, ფოთლებდაფენილ ხალიჩაზე გაიარა და ვინწრო კარში შეაბიჯა. შიგნიდან სიცივე და სიბრძე შემოეფეთა, რასაც მალე შეაჩვია თვალი და პირჯვარი გადაიწერა. ღვთის მადლით, მალულად მლოცველების მიერ დატოვებული სანთლები მოძებნა, რამოდენიმე ცალი აანთო და შავ კედელზე მიამაგრა. ყოველი სანთლის ანთებისას ვინმეს სახელს ჩაუთქვამდა და მასზე ლოცულობდა გონებაში, რადგან ხმამაღლა საუბარი არ უყვარდა. უფრო მეტად კი გულიკოს იხსენებდა, მასზე იწერდა პირჯვარს და ღმერთს შესთხოვდა გადასახლებიდან გაეთავისუფლებინა და სახლში, საქართველოში დროზე ადრე დაებრუნებინა.

ეკლესიიდან გამოსულმა შეხედა ტაძარს, სადაც ერთ დროს რელიგიური თუ კულტურული ცხოვრება დუღდა, სადაც ბერების მიერ დიდის რუდუნებით იწერებოდა ისტორია ერისა, ბერისა, ქვეყნისა, ბრალიანი თუ უბრალო ხალხისა და გადაეცემოდა თაო-





მხატვარი სოფიო ჭელიძე

ბიდან თაობებს, საუკუნიდან საუკუნებს, რათა გაერღვია ყველა ის ჯებირი, რითაც თავისუფლებას ართმევდნენ და უსპობდნენ, თრგუნავდნენ და ანადგურებდნენ თავისუფლების მოყვარე ერს და მოელწია დღე-განდელობამდის, რათა კვლავ აღმდგარიყო სფინქსივით და კვლავ გაგრძელებულიყო ქვეყნის აღმშენებლობითი წინსვლა.

აგურით გამოყვანილი გუმბათიდან, რომელსაც გაეძლო მრავალსაუკუნოვანი მტერთა შემოსევებისთვის, თუ ქარტეხილებისთვის, მზერა დაბლა გადმოიტანა, პირჯვარი დაინერა და ტყის პირას მდგარი ეკლესიისაკენ გამობრუნდა, სადაც მათი ორგანიზაციის რამოდენიმე წევრი სვიმონისთან და მის მეგობარ პანაკანასთან ერთად უკვე მოსულები დახვდნენ. სვიმონიმ მისალმების შემდეგ უთხრა წიეას, რომ ცხენები ტყეში დაება. ტყიდან გამოსულს ეტლი დახვდა, რითაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები მოსულიყვნენ დედაქალაქიდან, რომელთა შორის სეროსაც მოჰკრა თვალი, ვისაც შორიდანვე მიესალმა და ეტლი ტყის სიღრმეში შემავალ საურმე გზაზე შეიყვანეს. იქიდან წიკა მარტო გამობრუნდა. მეტლემ ცხენებს მივხედავო და იქავე დარჩა. ბიჭები უკვე ქვებზე ჩამომსხდარიყვნენ და უსმენდნენ ცენტრალური საორგანიზაციო

კომიტეტის მიერ მოვლენილი თავმჯდომარის – ფანცქალას შესავალ სიტყვას. წიკამ შეამჩნია, უმრავლესობას იარაღი მუხლზე ჰქონდა დაყუდებული. წიკამ მათ შორის ვერ დაინახა თავისზე რამოდენიმე წლით უფროსი, მეზობელი სოფლიდან პროკლამაციების ერთ-ერთი გამავრცელებელი მეტ-სახელად მონახა, რაც, ცოტა არ იყოს ეუცხოვა, რადგან იგი არასდროს არ აცდენდა ამდაგვარ შეკრებებს. წიკა კართანვე დარჩა და იქიდან დაუგდო ყური ფანცქალას სიტყვას.

ფანცქალა თანდათან აზარტში შედიოდა და სიტყვებს მგზნებარებით წარმოთქვამდა, – შეხედეთ ამ ეკლესიას, მის ჩამონგრეულ კედლებს. თუ ეს ულელი არ მოვიშორეთ და მტერი არ გაყყარეთ აქედან, ჩვენც ასე მოგვშლიან და გაგვანადგურებენ. ამ ყორე-სავით ნაცარტუტად აქცევენ ჩვენს სახლ-კარს, ჩვენს ქვეყანას. ამიტომ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ ჩვენი მიზნისკენ, რომელსაც თავისუფლება ჰქვია და ამას აუცილებლად მივალნევთ, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, რომელთა უმრავლესობაც ენ-ირებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლას.

ფანცქალას შემდეგ სხვები გამოვიდნენ სიტყვით, რომლებმაც ასევე ისაუბრეს საქართველოს განთავისუფლებაზე, მის მნიშვნელობაზე. რომ საქართველოს თუ დროზე არ მოშორდა რუსული ჩექმა, შეიძლება დიდხანს მოგვინიოს მისი ქუსლის ქვეშ თელვა და გმინვა. რომ ევროპის პროგრესული საზოგადოება და დემოკრატიული სახელმწიფოები ჩვენ გვერდით დგანან და ეძებენ გზებს რუსული ულლიდან ჩვენნაირი ბედის ქვეშ მყოფი ერების გასათავისუფლებლად.

ორატორთა ამ ომახიან და დამუხტულ გამოსვლებში, რომელთაც წიკა დაძაბული უსმენდა და მათი მუხტი მასაც ედებოდა და სულიან-ხორციანად აღავგზნებდა, საღამომ როგორ მოალნია ვერ გაიგო. მზე ნელ-ნელა ჩაეშვა ცივ-გომბორის მთების მიღმა და საღამოს მწუხრი მოეფინა არე-მარეს. წიკა სეროს გამოსვლას უგდებდა ყურს, როცა ტყის მხრიდან რაღაც ხმაური მოესმა და მაღლე იქიდან გამოვარდნილი მეეტლე შენიშნა, რომელიც ხელების ქნევითა და ყვირილით მათკენ მორბოდა.

– ბიჭებოო!!!. შინსახკომელების ალყაში ვართ!!!..

წიკამ ნორმალურად ვერც მოასწრო



გააზრება, თუ რა ხდებოდა, რომ მეტლე მის ფეხებთან მოცელ-ილივით დაეცა. ნიკა დაიხარა, რომ დახმარებოდა მეტლეს, რომელმაც ორი სიტყვის თქმალა მოახერხა.

— ფეხი დამიცურდა, — მერე პირიდან სისხლი გადმოუვიდა და სული განუტევა.

სვიმონმა ნიკას მხარზე მოქაჩა და ეკლესის შეაფარა. ნიკამ რევოლუციი ინსტიქტურად ამოიღო დ იარაღმომარჯვებულ ამხანაგებს გვერდში ამოუდგა, მომხდურებს საპასუხო ცეცხლი

გაუხსნეს. გარედან სროლის ხმები უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ეკლესის სარკ-მელთან ჩამჯდარი ნიკა უმისამართოდ ის-როდა, რადგან ისედაც ხეებში შემალული თავდამსხმელების, სალამოს ბინდში, გარჩევა შეუძლებელი იყო. სვიმონმა შეუძახა.

— გაიქცი ნიკა, სანამ გვიან არ არის!!!!..

მაგრამ ნიკა ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა და მეგობრების მხარდამხარ აგრძელებდა სროლას.

— სანამ ტყვია-წამალი არ გავთავებია, გაქცევით უნდა ვუშველოთ თავს! — სვიმონის ფანცქალამაც აუბა მხარი.

— სროლით უნდა გავიკაფოთ გზა! — სე-რომაც უკან დახევა ამჯობინა, — სხვანაირად ამ ულმერთოებს თავს ვერ დავაღწევთ!

— ჯერ ახალგაზრდები გადით! — ფანცქალამ ნიკას და სვიმონის მიმართა, — ჩვენ აქედან დაგიცავთ!

— ან ყველა ერთად გავალთ, ან ყველა ერთად დავიხოცებით! — ჯიუტად თქვა ნიკამ, რამაც თანამებრძოლები გააოცა.

— კარგით მაშინ, — სეროს მოენონა ნიკას ნათქვამი, — ყველა ერთად გავიდეთ, ოღონდ დავიფანტოთ და ისე დავაღწიოთ თავი!

სერო პირველი გაიჭრა თოფის სროლით და ბიჭები შეაგულიანა.

— მომყევით! — და ტყის სიღრმეს მისცა თავი.

მას სვიმონი მიჰყვა, რომელმაც ნიკას მკლავში ჩაავლო ხელი და თან გაიყოლია.

— რაც არ უნდა მოხდეს, არ გაჩერდე, ირბინე ბოლომდე! — შეუყვირა ნიკას, რომელიც რევოლუცის თავდამსხმელებისკენ ისროდა.

მათ სხვებიც აედევნენ და ტყები გაფან-



გიორგი
შარვაშიძე

ტულები უმისამართოდ აგრძელებდნენ სროლას.

მარტოდ დარჩენილი ნიკა, რომელმაც ვერ გაიგო სვიმონი როდის ჩამორჩა, სიბნელეშიც ადვილად იგნებდა გზას, რადგან ბავშვობიდან კარგად იცნობდა ამ ბილიკებს და მალიქას დაღმართს ჩაუყვა იმ მიზნით, რომ კონდამიანის მონასტრისთვის შეეფარებინა თავი. იფიქრა, სხვებიც აქეთ წამოვიდოდნენ. სროლის ხმა კანტიკუნტადლა ისმოდა, როცა ვიღა-

ცამ ჩუმი ხმით დაუძახა. იცნო სეროს ხმა და გაუხარდა, რადგან მარტობის შიში აღარ ექნებოდა და მასთან ერთად, გადმოქცეული ნიფლის ხის უკან ჩაიმალნენ იმ იმედით, რომ სვიმონიც და სხვა თანამებრძოლებიც მალე წამოენეოდნენ. რამდენიმე მეგობარი მართლაც შემოუერთდათ, მაგრამ მათ შორის არც სვიმონი, არც ფანცქალა და არც პანაკანა არ იყვნენ. ცოტა ხნის ლოდინის შემდეგ, სერომ შესთავაზათ, ასულიყვნენ კონდამიანზე და დანარჩენი წევრების გამოჩენამდე იქ მოეცადათ.

ჩამორჩენილი სვიმონი, პანაკანა, ფანცქალა და მათი ორი ამხანაგი მალიქას დაღმართის ნაცვლად, პირდაპირ აუყვნენ ვიწრო ბილიკს. კარგა მანძილით რომ ასცდნენ შემთხვევის ადგილს, იფიქრეს, უკვე სამშვიდობოს იყვნენ და ტყის ერთ ჩაღრმავებულ ადგილს შეაფარეს თავი. მათ თვალი ჰკიდეს წყლის პატარა გუბეს, სადაც ახლად ამოსული მთვარე ჩაძირულიყო. საოცარი სიჩუმე ჩამონილილიყო ფოთლებშემოძარცვულ ტყები. დაღლილი სვიმონი მიწის სიღრმიდან ამონადენი ნაური წყლისკენ გადაფოფხდა და ტუჩები დაისველა. მერე ზურგზე გადმობრუნდა და ხის წვერზე ჩამოკიდებულ ნამგალა მთვარეს გაუსწორა თვალი. ნიკაზე გაკერა გულში დარდა. „სხვა ბიჭებთან ერთად, ალბათ ხევისკენ დაეშვაო,“ დაიმედა თავი. ფანცქალას გადახედა, რომელსაც ძილი მორეოდა და თავს უძალიანდებოდა. დანარჩენებსაც იარაღჩახუტებულებს თვალები მიელულათ. თვითონაც ის-ის იყო ჩათვლიმა, რომ ხმაურმა გამოაღვიძა და ფეხზე წამოახტუნა, მაგრამ უკვე გამოფხილებულმა პანაკანამ ხელი სტაცა და კვლავ





მიწაზე დააწვინა.

— კვალზე მოგვდიეს, — ჩასჩურჩულა, — ალყაში ვართ.

— ჰმმ!.. — მწარედ დაიგმინა სვიმონმა, — ჩვენს შორის ვიღაცა მოღალატეა.

პანაკანასთვის პასუხის გაცემა ვერ მოასწრო, რომ შინსახკომელის ხმა გაისმა.

— დაგვნებდიო!.. ალყაში ხართ!..

— არავითარ შემთხვევაში!.. — გასძახა სვიმონმა და თან გასროლა მიაყოლა იმ მხარეს, საიდანაც ხმა მოისმა.

წუთიერ სიჩუმეს ხანდახან შინსახკომელების ხიდან ხემდე გადაადგილების ხმები თუ არღვევდა.

— წინააღმდეგობის გაწევას აზრი არა აქვს! — კვლავ მოისმა შინსახკომელის ულტიმატუმი, — დაგვნებდიო და სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ!..

— თქვენს ხელში უპატიოსნო სიცოცხლეს, გმირულად სიკვდილი ჯობია!.. — სვიმონის პასუხი შეუვალი იყო, — თუ ვინმეს ჩაბარების სურვილი გაქვთ, — მიუტრიალდა დაბალი ხმით თავისიანებს, — შეგიძლიათ ჩაბარდეთ.

— არასოდეს! — მიიღო მეგობრების პასუხი სვიმონმა.

— სჯობს თავისუფლებაში სიკვდილი მათ ხელში ჩავარდნას! — დაამატა პანაკანამ.

— ხუთ წუთს გაძლევთ მოსაფიქრებლად!.. — შინსახკომელმა ხმას უფრო უმატა, — შემდეგ თქვენს თავებს დააბრალეთ!..

პანაკანამ ხმის მიმართულებით გაისროლა, რაზეც შინსახკომელებმაც სროლითვე უპასუხეს.

— ბიჭებო!.. ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე!.. — პანაკანას ფანცქალამაც აუბა მხარი და მომხდურებს ცეცხლი გაუხსნა.


ორმხრივი სროლა გაჩალდა. უპირატესობას ვერც ერთი მხარე ვერ ეუფლებოდა. სვიმონი და მისი მეგობრები ისე იყვნენ ჩაღრმავებულ ადგილას განლაგებულები, რომ თავდამსხმელები მიახლოვებას ვერ ბედავდ-

ნენ. ნახევარ საათიანი ბრძოლის შედეგად ტყვია-წამალი შეუცოტავდათ და ვაზნების დასაზოგად სროლა შეწყვიტეს.

სვიმონიმ მთვარის შუქით განათებულ სიბნელეში თვალი მოჰკრა ხეებს შორის მათკენ მალულად მომავალ ლანდს, რომელ-საც დამიზნებით ესროლა. გაისმა გმინვა და მიწაზე დანარცხების ხმა. შინსახკომელები შეტევაზე გადმოვიდნენ. დამხვდურებმაც სროლით უპასუხეს და მტერი კვლავ უკუაგდეს, მაგრამ დაუცველი უკანა მხრიდან მომხდურების მცირე რაზმმა შემოუტიათ. უცებ, სვიმონის გვერდით ფანცქალამ დაიკვნესა, თვალები გადაატრიალა და სული განუტევა.

კარგა ხანს იგერიებდნენ მტერს, სანამ ტყვიები სულ არ გამოელიათ. სვიმონიმ დაინახა როგორ მოხვდა ტყვია მის გვერდით მყოფს, რომელიც სიმწრისაგან პირდაპირ გუბეში გადატრიალდა. პანაკანა თავს იცავდა, ერთს ტყვია პირდაპირ კეფაში მოხვედროდა და სახით გუბეში იყო ჩამხობილი. სვიმონმა მხარში ტკივილი იგრძნო და მიხვდა, დაჭრილიყო, მაგრამ მაინც არ ნებდებოდა. თვითონ რომ გამოელია ტყვიები, ფანცქალას შაშხანას გადასწვდა.

სვიმონმა ატორტმანებულ გუბეს მოჰკრა თვალი და მიხვდა, მისი მეგობარი პანაკანაც გულგანგმირული დაცემულიყო დანარჩენების გვერდით. გამხეცებული ფეხზე სროლით ნამოიჭრა, მაგრამ გულში მოხვედრილმა ტყვიამ უკან გადააგდო, იარალი ხელიდან გაუვარდა და სიმწრით ნეშომპალა მობლუჯა. მერე პირდალმა გადმოტრიალდა და გუბეში მთვარე დაინახა, რომელიც ცაზე ნებივრობდა და ტრაგედიის უნებლიერ მოწმე გამხდარიყო. მთვარე წყალში მოქანვე შეიარაღებული ადამიანების ჩრდილებმა დაფარეს. გაისმა სროლის ხმა, სვიმონიმ საშინელი ტკივილი იგრძნო და თავით წითლად აელვარებულ, სისხლისფერ გუბეში ჩაენარცხა.



ეს, ჩემი გული, შენ გულზე,
ნეცავი, მყდარ ერთა,
ვნაცლობ, არასაფონს აეძია,
მარტო, შენში გრძნობს – შვერთა.
ნეცავ, თვალებში მიყურო,
თვალები გატყვის ქრძა.


ଓ. ১৩৫৮০২১৭৪৩৩

ଓଡ଼ିଆ



ମନ୍ତ୍ରେକ୍ସିକ୍ୟୁନ ଫ୍ରେଣ୍ଟେନ୍‌ରେ ପାଇଁଲୀଏର

მთებისკენ ცქერით ვალამებ,
შენ, ჩემი გულის ლხენა ხარ,
მთას აქეთ, მარტო, მე დავრჩი,
მთას იქით, მარტო, შენა ხარ.
მჯერა, უძილოდ, ათენებ,
ჩემზე ოცნებით ღამესა,
წერო დაჯდება თუშეთში,
ჩემზე გიამბობს რამესა.



ଓଡିଆରେ ପିତ୍ତୁର୍କଣ୍ଠ

ଓଡ଼ିଆ
କୃତ୍ତବ୍ୟାଙ୍ଗାଶ୍ଵର

ამოანათე მთვარეო,
და მომაძორე წყვდიადი,
რომ დავინახო თუშეთი
და მისი მთები ზეიადი.
ჰე, მთებო, თქვენი დანახვით,
მე გავიხსენებ წარსულსა,
როცა, პირველად, ულექსე
თქვენს მთებში გაზრდილ ასულსა.

၁၁၃

ჩემ ხელით გახსნილი ნახო
მკერდზე საკინძე და ღილი,
იქნება, გაჩერდებოდა –
გულში, დარდების დუღილი.
ეგ, შენი, შავი თვალები
შენსკენ დამინებებს ზიდილსა,
ხან, მომინდება ტირილი,
ხან კი, დავინებ სიცილსა.
რას შეგადარო, არ ვიცი,
მაგ სილმაზის ჭირიმე,
რომ დაგინახავ ვმუნჯდები,
ნეტავ, არ მქონდეს პირი მე.





გადავირიე შენ ცქერით,
როდის მომიყვან გონადა,
როდის იქნები შენ ჩემი,
როდემდის გყავდე მონადა.

ნეტავი

შენზე ოცნებამ გამტანჯოს,
ნეტავი, გავხდე ავადა,
მოსული გნახო, ქალაო,
შენ, ჩემსა სანახავადა...
როცა მოვკვდები, ნეტავი,
ჩემთვის ჩაიცვა შავადა.

მოვა და შემომანათებს

წავედი, მოვინახულე
ჩვენი შეხვედრის ჭადარი,
ვუცდი და რად იგვიანებს
ნეტავ, აქამდის სად არი?!..
მოვა და... შემომანათებს, –
მზისა და მთვარის სადარი,
პირი დავიწვა – ჭაბუკმა, –
მისი ტუჩების ღადარით.

შენზე ოუნერით

ეგ, სილამაზის ისარი,
სხვისთვის გესროლა, რაღა მე?!..
შენზე ოცნებით, ქალაო,
რომ ვათენე და ვაღამე...

* * *

ნეტავი, არწივი ვიყო,
მთის მწვერვალებზე მყეფარი,
და... შენ კი – ჩანჩქერი იყო, –
სალის კლდეებზე მჩქეფარი.

ქალოო

მინდორში გნახე, ქალაო,
ნეტავ, გადვიქცე წვიმადა...
ჩამოვისანო ლოყები,
გაგხადო ჩემსა წილადა,
ან, მარგალიტად გადვიქცე, –
ყელზე დამკიდო მძივადა...

მოერო

მთებო, რა ლამაზები სართ,
თქვენზე ლამაზი ვინ არი?!.
თქვენს მკერდზე სიმღერა ისმის,
ქვაც კი არ არის მძინარი.
თქვენ გამიზარდეთ შავთვალა,
მუდამ რომ მიმზერს მცინარი.

ნეტავი გამაგებინა

შენ, უფრო, ლამაზი გნახე, –
მდინარის პირზე მძინარე,
ნეტავი, გამაგებინა
რას გიამბობდა მდინარე?..
სატრფოს ამბავს თუ, მოგიყვა,
ძილში რომ იყავ მლიმარე.

ნეტავი

ნეტავი, თუშეთის მთებში
მაცხოვრებელი ვხდებოდე,
ამოთენებას ვაჯობო,
ძროხის საწველად ვდგებოდე...
და, მთებში, ჩემო ოჯახო,
ბალლებით ახყავდებოდე,
ჩემი ოცნების ქალასთან
ნეტავი, დაგბერდებოდე...



ბავშვებისთვის საკითხებავი

გივი
ჩილაძე

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

აზალი ნელი ტყევანი

ერთ მოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირნი:

შაშვი, კურდლელი, მელა, შველი, ტურა,
ჩხიკვი, ჩხართვი, ბელურები, ციყვი, ზღარბი,
კოდალა, მგელი, დათვი, ბუ, ირემი....

(ნისლდაუნილ ტყეში ხვავრიელად თოვს,
დიდი წიფლის ახლოს მდგარ პატარა ნაძვის ხეს
გარეული ფრინველები და ცხოველები რთავენ,
წიფლის ძირას კი მყუდროში სუფრას შლიან,
გვერდით ცოტა ამაღლებულ ადგილას სცენაა
მოწყობილი)

ციყვი – მთელი დღე ამ ნაძვის ხის მორთვაში გავატარე, ახალ წელს ცხოველები და ფრინველები ერთად უნდა შეეცვდეთ, დიდი ზეიმი გვექნება. ნეტავ სად არიან აქამდე, ნაძვის ხის მორთვაში მომექმარონ, სუფრასაც უნდა მიუუმატოთ რამე. ჩვენს გაბლენძილ დათვს რა უჭირს, მოვა, ერთ ქილა თაფლს მოიტანს და თამადობას დაიწყებს, ახლა ალბათ სძინავს ისევ. არა, დათვი, მგელი და მელა რას მომექმარებიან, მაგრამ სხვები სად არიან? ეჲ, მაგათი მოცდა არ გამომადგება, სჯობს, საქმე გავაგრძელო... (აგრძელებს ნაძვის ხის მორთვას, თან მლერის)

ამ ნაძვის ხეს მოვქარგავ
სხივებით და თხილებით
და ახალ წელს შეეხვდები
ჩემი ცელქეშ შვილებით,
თოვლიანი ხეები
სიმღერებით გავათბე,
მოდით, თეთრო ფიქქებო,
თქვენი ცეკვით გაგვართეთ.
რა კარგია ჩვენი ტყე,
რა ფაფუკი თოვლია,
დათვი, ძალვი, კოდალა –

ହୁଏଇ ଫାଟୁଥିଲା ମାତ୍ର, କୁଣ୍ଡଳ ପାଇଁ କାହାର କାହାର
ହୁଏଇ ଫାଟୁଥିଲା ମାତ୍ର, ତମିଙ୍କା ବେଳ ଗୁଣିନ୍ଦା, କୁଣ ଏଇ ଗୁଣିନ୍ଦା-
ନିଲା? କାଳୋଇନ ଏଗୁଣିନ୍ଦାଇ...

8. ክიግዥበናዳግ



ყველა აქეთ მოდიან,
კურდღელი და მელია
ლამაზ ზეიმს ელიან...
(ამ დროს კოდალა გამოჩნდება, ნაძვის ხი-
საკუნ მოფრინავს)

კოდალა – გამარჯობა, ციყვუნიავ, რა ადრე დაგინცია ამ ნაძვის ხის მორთვა, რა გეჩ-ქარებოდა, სხვები არ მოსულან? კარგი ადგილი კი შევარჩიეთ ახალი წლის შესახვედრად, აბა, მომაწოდე რამე, ამ ტოტზეც დავკიდო.

ცოყვი – გამარჯობა, ჩემო ხეკაკუნა, ჰა, ეს
ლამაზი თხილები დაკიდე, ოღონდ ის მანათო-
ბელი მძივები არ ჩამოგიცვივდეს. კიდევ კარ-
გი, შენ მაინც მოხვედი. ადრეო, რაღა ადრეა,
ახალი წელი კარზეა მომდგარი. აი, კურდლელი
და შაშვიც გამოჩდნენ, ოპო, რა დატვირთულე-
ბი მოდიან!..

კოდალა – კურდლელს სტაფილო მოაქეს, შაშვს წითელი ძახველის აკიდოები გაუკეთებია. მართლა ძალიან დამშვენდება ჩვენი ნაძვის ხე.

შაშვი – გამარჯობა, მეზობლებო, ყოჩალ, უკვე მოგირთიათ თითქმის ნაძვის ხე, ცი- ყვუნიავ, ეს ჩამოკიდე საფეხ, ვნახოთ, როგორ მოუხდება. მგელმა და მელაკუდამ დამაბარეს, თუ დაგვაგვიანდეს, ზეიმი უჩვენოდ არ დაი- წყოთო, ის ძილისგუდა დათვი ხომ არ გაგილ- გიძებიათ?..

(მდევრის)

მძინარაა, ჩვენი დათო,
შრომაც უყვარს სასიკეთო,
თუმცა რომ არ დაიძინოს,
ამ ზამთარში რა აკეთოს?
საამური ცხოვრება აქვს,
ბუნაგში წევს, განა ათოვს,
უნდა ვნახოთ, ამდენ ძილში





არაფერი დაემართოს.
ვინმებ თუ არ გააღვიძა,
არ გაახელს თვითონ თვალებს,
ამ ლამაზ დღეს ვინ დაეძებს,
მთელ წელს ძილში გაატარებს...

კურდლელი – დათვი მე გავაღვიძე. ბევრი იქოჭმანა, საჩუქრად რა წამოგილოთო, მერე თქვა, იქნებ ფულუროდან თაფლი გამოვილო და ხელი დავიმშვენო, ხელცარიელი ხომ არ მოვალო. ვნახოთ, რას მოახერხებს... ჩემო კოდალა, აჲა, ეს სტაფილოც ჩამოკიდე მაგ ნაძვის ხეზე, მე მგონი, ძალიან დაშვენდება, მე ამ სუფრას მივუმატებ რამეს... უი, უი, მგელი და მელა მოდიან, უნდა დავიმალო!..

ციყვი – სად უნდა დაიმალო? ხელს ვერ გახლებენ, აქ მოდი და მაგათი არ შეგეშინდეს. ახალი წელი მოდის, რა დროს შულლი და მტრობაა?!.

მგელი – სალამი, მეზობლებო!.. ყურცქვითავ, ნუ გეშინია, ოი, სუფრა უკვე გაგიშლიათ, მაგრამ რა არის ამდენი თხილი, წაბლი და წინიბო... ან ძახველს და შქერის მარცვლებს როდის ვჭამდი? არ ჯობდა, ერთი ცხვარი მოგეტანათ ჩემთვის, ერთი დედალი კი ამ ჩვენი ეშმაკი მელაკუდასთვის? კარგი, კარგი, ვხუმრობ, მოდით სუფრას შემოუსხდეთ, მალე ახალი წელი შემოაბიჯებს ჩვენს ლამაზ ტყემი.

მელა – მეზობლებო, სუფრაზე მობრძანდით, სადაა ჩვენი დათუჩა ძია, თამადა ხომ გვინდა, ჯერ არ გამოჩენილა? ძალიან აგვიანებს...

(ყველანი თანდათან სუფრასთან სხდებიან. მალე დათვიც გამოჩნდება)

დათვი – აქა ვარ, მეზობლებო! მოვდივარ, მელაკუდა, ნუ ხარ სულსწრაფი, უჩემოდ ინყებდით ზეიმს? უჩემოდ ხომ ახალი წელი არ მოვიდოდა. აი, მეც მოვედი და ახალმა წელმაც შემოაბიჯა. ფეხზე წამომდგარი შევხვდეთ ყველანი. მელაკუდა, ყანწი მომანოდე!..

მელაკუდა – აჲა, ბატონო დათუჩა, მიირთვი, დაგვლოცე... (აწვდის ყანწი)

დათვი –

კარგი წელი დადგომოდეს,
მეგობრებო ამ ჩვენს ტყე-ველს,
ცოტა კი დამაგვიანდა,
იმედია, მომიტევებთ.
ყველა ჯანმრთელად მეყოლეთ,
როგორც ჩემი სამი ბელი,
აჲა, თაფლი მოგიტანეთ,
ასე ტკბილად დამიბერდით.
თქვნითან ლხენას და სიხარულს,
მეზობლებო, აბა, რა სჯობს? –
იცოცხლეთ და გაძლიერდით,

იხარეთ და გაგიმარჯოთ!..

(მოფრინავს დაგვიანებული ჩხიკვი, ხმაურით, ქაქანით მიუახლოვდება სუფრას)

ჩხიკვი – სალამი და გამარჯვება, მეზობლებო, ბეგნიერი ახალი წელი დაგდგომოდეთ. ოჲ, როგორ დამაგვიანდა, როგორ დამაგვიანდა!.. კაცო, მაინცდამაინც ახლა ჩამძინებია, არადა რა ძილის მოყვარული მე ვარ, მეც ზოგიერთივით (დათვისკენ აპარებს მზერას) მთელ ზამთარს ძილში არ ვატარებდე. აჲა, თქვენ, ძალიან მეჩქარებოდა და მეტი ვერაფერი წამოვილე, ეს რკო და კაკალი შეირგეთ, ასე ტკბილად დამიბერდით, ჲი, ჲი, ჲი...

მელა – (მიუახლოვნდება ჩხიკვს) აბა, აბა, დაგვცინი, შე ეშმაკო, არა? შენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე, რკოს გვირიგებს და ასე ტკბილად დამიბერდითო, გესმით, მეზობლებო?.. მწარე რკო ტკბილად წარმოგვიდგინა. ვითომ გვლოცავს და სინამდვილეში წყევლა გამოუდის. არა, რატომ ხმას არ იღებთ, მე უნდა გამოვიცნო ყველას ეშმაკობა?.. ჩხიკვო, ჭკვიანად იყავი თორემ...

ზღარბი – (ახლად მოსული და სუფრის ბოლოში თითქმის უჩინრად მიმჯდარი, თავისთვის ჩაიბუზუნებს) ეშმაკი ხარ და ეშმაკობის გამოცნობაში ვინ გაჯობებს? დღეს დატკები ცოტა თორემ კარგად ვიცით, რა ოხერიცა ხარ, გასულ კვირაში არ იყო, შესაჭმელად რომ მეტაცე?.. ხომ დაგახევინე ეკლებზე ეგ მსუნავი ცხვირი, ეგრე მოგიხდება...

ჩხიკვი – (ტოტზე აფრინდება და მელას ჩამოსძახებს) კარგი ერთი, შენი შიშით ვეღარაფერი უნდა ვთქვა? რკო და კაკალი არ მოსწონს ვაჟაბატონს, შენ რა მოიტანე? კარგად ვიცი, რისი მომტანიცა ხარ...

შველი – სალამი მშვიდობისა, მეზობლებო, გილოცავთ ახალ წელს, მგონი მეც დამაგვიანდა, ძლივს ამოვალნი იმ ხევიდან, არადა იქ თბილი ადგილი მაქეს მონახული. თქვენთანაც კი თბილა, მაგრამ ეს რა ხმაურია, ჩხუბობთ თუ ზეიმობთ?.. მელაკუდა, ჩხიკვო, დამშვიდდით, ერთი დღე მაინც გავატაროთ მშვიდობიანად...

ტურა – (მოჩანჩალდება ფეხნატკენი) ვაი, ვაი, დავიღალე, გული ამომივარდა, გამარჯობა, კეთილო მეზობლებო, გილოცავთ ახალ წელს, ეჲ, ჩემთვის აღარც ახალი წელია და აღარც მოსვენება. ვაი, ფეხი, ფეხი...

ყველა – რა მოგივიდა, სად იტკინე ფეხი ტურიკელა? (ისმის ხმები აქეთ-იქიდან).

ტურა – ჯანდაბა იმ ხაფანგის დამგებს, ცუდი დღე დამაზდგა, ცუდი. გუშინ სალამოს სოფლისკენ ჩავისეირნე, ვიფიქრე, იქნებ ან საქათმეში შევყო თავი, ან საბატეში, ან ცხვრის



კრავი დავიმარტოხელო, იქაც ხომ ახალი წლის სამზადისში არიან, იქნებ რომელიმე კარი ღია დარჩათ-მეთქი. ეჱ, აბა, რას იშოვი, მეზობლებო, ძალლებითაა სავსე სოფელი. მაინც ერთ ეზოში მოვახ-ერხე შეპარვა. წუწკი ძალლი ჰყავთ და ეტყობა სამზადში პატრონს მისჩერებოდა და შემწვარი გოჭის დანახვაზე ნერწყვსა ყლაპავდა... ეჱ, გარეთაც ისეთი მადის აღმდ-ვრელი სუნი გამოდიოდა, კინაღამ მეც სამზადისაკენ გავემართე...



გივი ჩილვიძეპა

მგელი – მისულიყავ, ტურიკე-ლა, მშვენიერ სუფრას გაგიშლიდნენ, სულ მე-კითხებიან, რატომ არ გვსტუმრობს, რად გვე-მდურისო...

ტურა – ეჱ, შენი თავი გაამასხრე. ჰოდა, შევედი ეზოში და საბატესაკენ გავემართე, ვხე-დავ, კარები ღია დარჩენიათ. მივუახლოვდი და წკაპ!.. ვაი, ფეხო-მეთქი, ვიყვირე გამნარე-ბულმა, ხაფანგში არ გავები, კაცო!.. გამოქა-ნდა ჩემს ხმაზე ის წუწკი მურია, პატრონიც გამოჰყვა, ძალლი კუდში მეცა, პატრონმა კეტი მომცხო წელზე, ბევრი მცემეს და მათრიეს... ბოლოს, როგორც იქნა, ამოვაძრე ფეხი ხაფან-გიდან და დავუძვერი ხელიდან იმ ოხრებს. ხე-დავთ, ფეხი მტკივა, გვერდები კეტის ცემით მაქვს დაჟეჟილი, კუდი კიდევ თითქმის მომაბ-დლვნა იმ ქეციანმა ძალლმა... ვაი, ვაი, იქნებ დამსვათ სადმე (კურდლელი უთმობს ადგილს), ვაი, შენ გაიხარე, ყურცევიტავ, იქნებ მაჭამოთ რამე, სული მძვრება შიმშილით...

კურდლელი – (ჩემად) გადაგყვები თან, შენი სამსახურილა მაკლია...

დათვი – აპა, ყანნი დაიჭი, ტურიკელა, დაგვლოცე და ტკივილიც გაგივლის...

ტურა – არა, ბატონო დათიკო, არა ჩემო ძმაო და მეგობარო, მე ღვინის დამლევი ვარ? ძლივსლა ვსუნთქავ, თქვენთვის წავედი სოფელ-ში, იქნებ მეც შევმატო რამე საახალწლო სუ-ფრას-მეთქი, ეჱ, ასე კი მომივიდა...

(მობინდების შემდეგ წიფლის დიდ ტოტზე ბებერი ბუ გამოჩნდება)

ბუ – გილოცავთ, მეზობლებო, ბედნიერი ახალი წელი დაგვდგომოდეს, მუდამ მშვიდად გვიფარავდეს ჩვენი მშობელი ტყე და ჩვენც მუდამ ვაფასებდეთ მის სითბოს, სიმდიდრეს და სიმყუდროვეს...

(სულ ბოლოს ირემი მოდის, რქებზე ჭყო-რის, შქერისა და სუროს მწვანე ტოტების ჯილა ადგას, რომელსაც სუფრის შუაგულში დებს, მას-ში ცირცელისა და სხვა კენკროვნების წითლად

დახუნძლული ტოტებიც ურევია)

ირემი – საღამო მშვიდო-ბისა, ძვირფასო მეზობლებო, გილოცავთ ახალ წელს, ბედნ-იერი, ხვავრიელი და მშვიდობი-ანი დაგვდგომოდეს, ჩვენ ტყეს დაგვეფარეთ ადამიანებისგან, მათი ამოცნობაც შეგვეძლოს, როცა აქ შემოდიან, მათში კეთილნიც ხომ არიან, რომ-ლებიც არაფერს გვიმავებენ... ახლა კი ტრადიციული შეჯაბრი დავიწყოთ, ყველამ უნდა თქვას ტყის ცოდნის, თავისი გარეგო-

65



ბის ან ცხოვრების ამსახველი ლექსი, გამოცანა ან რამე ამბავი. გამარჯვებულებს გადაეცემათ ტყის საყვარელი მკვიდრის წოდება და საჩუქრე-ბი, მერე ვიმღერებთ და ვიცეკვებთ. შიგადაშიგ დათვი სადლეგრძელოებს გვეტყვის... მსურ-ველები ნაძვის ხის წინ სცენაზე გამოვიდნენ... ვე, ვინ დაიწყებს, მეზობლებო?..

(გამოდის ჩეიკვი)

ჩეიკვი –

შემიფარებს ამ ზამთარში
მუხა, რცხილა, წიფელი...
ყავისფერი თუ მაქვს ზურგი,
სად მემჩნევა ცისფერი?..

შველი – ფრთებზე, ჩეიკვო, სწორედ მაგიტომ მომწონხარ, ისე კი ზოგჯერ აბეზარი ხარ...

ირემი – შველმა გამოიცნო, ჩაინერე კოდა-ლა-ბატონო...

(გამოდის კურდლელი)

კურდლელი –

სირბილში მიჯობს ალმართი,
ზოგჯერ არ ვწუნობ ვაკეს,
დღეს თუ ძილისთვის ვიყენებ,
როდის დავეძებ საკვებს?

მგელი – მაგ ყველამ ვიცით, ყურცექვიტავ, ლამით ნადირობ უმეტესად... კომბოსტოსა და სტაფილოზე... ეგეც თუ ნადირობაა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

(გამოდის მელა)

მელა –

ამ ჩვენს ტყეში რომელი ვართ,
მარჯვე ქცევით ქებული,
ანუ ერთი სიტყვით რომ ვთქვა –
უფრო მოხერხებული?..

ჩეიკვი – მოხერხებული ბევრი ვართ, მელაკუდა, შენ კი ეშმაკი ხარ, ჩვენ ვერაფერს გიშვებით, მაგრამ ერთხელ შენც გაებმები ტუ-რასავით სოფელში ნადირობისათვის... ყველანი იცინიან, მელა თითქოს გაბრაზებულია...

№5, 2022





მხატვარი სოფიო ჭელიძე

(გამოდის შაშვი)

შაშვი –

თუ სიმღერით არ მოგხიბლოთ,
გაქრეს ჩემი ქალობა,
ოღონდ ყველამ მიპასუხეთ,
მოგწონთ ჩემი გალობა?..

ბუ – მოგვწონს, ჩემო მეგობარო, შენ რომ
საღამოს გალობას დაინყებ, მაშინ მე ძილს ვამ-
თავრებ ხოლმე და რომ იცოდე, რა ტკბილად
ჩამესმის ეგ ჰანგები...

(შაშვი ნაძვის წინ დასკუპდება, იწყებს საახ-
ალწლო სიმღერას და ყველანი სულგანაბული
უსმენენ კარგა ხანს, ბოლოს ტაშით აჯილდოე-
ბენ. განსაკუთრებით ბელურები გამოირჩევიან,
ტაშისცემით, სიმღერას უწონებენ მეზობელს...
მის შემდეგ ნაძვის წინ შველი გამოდის)

შველი –

თავშიშველი, ფეხშიშველი,
ტყეში დავსეირნობ შველი,
რამდენჯერ ვთქვი ეს სახელი,
ასე ძალიან რომ მშვენის?

მგელი – სამჯერ თქვი, ტანკენარა, გამოც-
ნობაში რა მერგება?..

შველი – გამოცნობაში, წაბლის ბუძგები
რომ მოიტანა ზღარბმა, იმას გარგუნებთ...

(ყველანი იცინიან, მგელი ნირნამხდარი
ჩუმდება. ნაძვის ხის წინ ჩხართვი გამოდის)

ჩხართვი –

ვუერთდები ზემის ჩხართვი,
იცით, რა მოგართვით ჩანთით?

ფითრის წყალწყალა მარცვლები,
კუნელი და პანტა ვაშლი...
ახლა სხვაზე გეკითხებით –
სად იარა, სად იხტუნა,
სოფელში რომ იფრატუნა,
სად გაება გუშინ ტურა?

დათვი – ხაფანგში გაება ეგ საცოდავი, მა-
გრამ ჩევენი ყურცექვიტა მოარჩენს.

კურდლელი – გადავყვები თან (იცინის)

ჩხიკვი – ძალლი კოჭლობით არ მოკვდებაო,
ნათქვამია, თუმცა ამ შემთხვევაში სწორედ
ძალლმა დააკოჭლა.

(დათვის სადლეგრძელოებს აღარავინ უს-
მენს, მთელი ყურადლება სცენაზეა მიპყრობი-
ლი, სადაც რამდენიმე გარეული ფრინველი და
ცხოველი ერთმანეთს ექსპრომტად ეუბნება ლე-
ქსებს)

ციყვი –

მგელს იქნებ არ გაახსენდეს
ცხვრისა და ღორის ბარკალი,
ამიტომ გამოვიყოლე
თხილი, წაბლი და კაკალი...

კოდალა –

თხილი, წაბლი და კაკალი
ასე რომ არ დაგირჩეთ,
ჩემი მაგარი ნისკარტით
სათითაოდ გაგირჩევთ...

მგელი –

თქვენთან სტუმრობის მიზეზით
შიმშილით ვიწყებ ახალ წელს,
თხილის ჭამას თუ მომისჯით,
გაისამდე ვერ გავალწევ?..

დათვი –

ზამთრის ძილისთვის დამცინით,
არ იცით ჩემი მიზნები,
თქვენთან ლამაზი ქეიფით
იცება ჩემი სიზმრები...

ბუ –

ასი წლის ვარ, თბილ ფუღუროს
ვეფარები ისევ მშვიდად,
ჩვენი ტყის ყოველი მკვიდრი
მიმართა ნამდვილ შვილად...

(ზემით გვიან მთავრდება, ნადირ-ფრინ-
ველები ემშვიდობებიან ერთმანეთს და ყველანი
მიიკვლევენ გზას თავისი ბუდეებისა თუ ბუნაგე-
ბისაკენ. სულ მალე ფიქები უმღერებენ ყველას
ძილისპირულს ნელი შრიალით. დათოვილი ტყე
უფრო მშვიდება ღამეულ თოვაში, იღუმალი
ულრანები საოცარი სიჩუმით ეგებებან ახალ
წელს და მადლიანი დედამინა იწყებს ახალი წრის
შემოვლას მზის გარშემო).

დასასრული



ჯაკომო ლეოპარდი

მოკვდაფოთ ძილი რომ უქასოყლო ან სიერებლის მხ-
გავის იყოს, ყველა სულიფერული შზის სხივებში რომ ნერივ-
რობდეს და არიად ჩანდეს გარსის ნიშტნებალი, არახარი
შრომა და ჭაფა, საძოვრებზე ან ისმოდეს ნახირის მღვიმილი,
არ ცუსტი – ნაფირის ლრიალი, არ ჰქონდეს – ფრინ-
ველების ჟიფილ-ხიფილი, არ ყვავილებით მოქარგულ მინდ-
ორ-ველებში – ფუტერებისა და სხვა მწერების ზოუილი და
მუსიკობრების ან არლეველებს ერთი ჩქამი, ცრულის ცონაშე-
ნის, ქარის ზუზუნისა თუ მეხის გრიალის გარდა, სამყარო,
რა თქმა უნდა, ფუჭი და უზრო იქნებოდა.

ჭ. ლეომარდი

67



გარეული გამლის სიმღერა

ზოგიერთი მოძღვარი და მწერალი ამტ-
კიცებს, რომ ცასა და მიწას შორის, ანდა ასე
ვთქვათ, ნახევრად მიწაზე და და ნახევრად
ცაში ცხოვრობს ერთი ველური მამალი, რო-
მელიც ფეხებით მიწას ეყრდნობა და ბიბი-
ლოთი და ნისკარტით ცას ეხება. ამ მამალს,
როგორც არაერთი ავტორის შემოქმედება
გვამცნობს, განსაკუთრებული გონიერება
ახასიათებს. უფრო სწორად, მისთვის ვიდა-
ცას, არ არის ცნობილი, ვის, თუთიყუშივ-
ით მეტყველება უსწავლებია – ის ადამიან-
ის მიერ ნარმოთქმულ სიტყვებს იმეორებს.
ერთ ძველებურ პერგამენტზე აღმოუჩენიათ
ებრაული ასოებით დაწერილი სიმღერის ტე-
ქსტი, რომლის ენაც რაღაცით ენათესავება
ქალდეველებისა და რაბინების, თარგუმის,
კაბალისა და თალმუდის ენებს. სიმღერას
ეწოდება „Scir detarnegöl bara letzafra“, რაც
ნიშნავს: „გარეული მამლის სიმღერა“. ვის
არ ვეითხე ამის შესახებ – რაბინებს, კაბ-
ალისტებს, იუდეველ ღვთისმეტყველებს,
სჯულის მცოდნებს, ებრაელ ფილოსოფოს-
ებს – და ძლივს მივაღწიე იმ პასუხამდე, რო-
მელსაც ახლა ქვემოთ ნახავთ; მაგრამ ჯერ
კიდევ ვერ გამირკვევია, ამ სიმღერას ეს
მამალი დროდადრო მღერის, ყოველ დილას
თუ მხოლოდ ერთხელ იმღერა თავის სი-
ცოცხლეში? ვინ ისმენს ან ვის მოუსმენია
იგი? და სიმღერის ენა მშობლიური იყო მამ-
ლისთვის თუ სხვა ენიდან თარგმნილი? მე,
ჩემი მხრივ, ყველანაირად ვეცადე, ძალისხ-
მევა არ დამიკლია, რომ თქვენამდე ზუსტად
მომეტანა ის, ამიტომაც პროზად გადმოღე-
ბა უფრო ვამჯობინე, ვიდრე ლექსად, თუმ-
ცა თვით სიმღერის საგანი პოეტურია. მის

არათანაბარ, ზოგჯერ შეწყვეტილ და ზო-
გჯერ გადამეტებულ სტილს მე ნაკლად ნუ
ჩამითვლით. დედნის სტილი ასეთი იყო და
მეც ასე გადმოვიტანე. თავის მხრივ დედან-
იც არაფრით განსხვავდება აღმოსავლური
ენებისა და მით უმეტეს, ამავე მხარის პოეტ-
ების მრავალფეროვანი მეტყველებისგან:

„ჰეი, მოკვდავნო, გაიღვიძეთ! დღე
იძადება, დედამინაზე ჭეშმარიტება ბრუნდე-
ბა. ფუჭი ლანდები და მოჩვენებები სტოვე-
ბენ მას. წამოდექით და მოიგდეთ ცხოვრე-
ბა მხრებზე. გაითავისუფლეთ თავი ყალბი
ცხოვრებისგან, მოიშორეთ მისი ტვირთი და
შეაბიჯეთ ჭეშმარიტების სამყაროში!

ამ დროს ყოველი მათგანი უბრუნდება
თავის ცხოვრებაზე ფიქრს, სული იხრება
სიცოცხლისკენ, თავის მეხსიერებაში იწვევს
წარმოსახვებს, მიზნებსა და აზრებს, გონების
თვალით აკვირდება ახალი დღის მოვლენ-
ებს. ყოველ მათგანს ამოძრავებს სასურველი
მოლოდინის განცდა და სასიამოვნო აზრები.
მაგრამ ძალიან ცოტას თუ უსრულდება ეს
სურვილი. გამოვიძება ყველას მოლოდინს
უცრუებს. უბედური ადამიანი გამოღვიძები-
სთანავე ექცევა თავის მნარე ხვედრის კლან-
ჭებში. მხოლოდ ის ძილია ტკბილი, რომელ-
იც სიხარულითა და იმედით არის მოგვრილი.
ერთიცა და მეორეც უცვლელად ინახება
მომდევნო დღემდე, მაგრამ ახალი დღის მან-
ძილზე ორივე ილევა, დეგრადირდება, ქრება.

მოკვდავთა ძილი რომ უსასრულო ან
სიცოცხლის მსგავსი იყოს, ყველა სულდგ-
მული მზის სხივებში რომ ნებივრობდეს და
არსად ჩანდეს გარჯის ნიშანწყალი, არანაი-
რი შრომა და ჯაფა, საძოვრებზე არ ისმოდეს





ნახირის ბლავილი, არც ტყეში – ნადირის ღრიალი, არც ჰაერში – ფრინველების უივილ-ხივილი, არც ყვავილებით მოქარგულ მინდორ-ველებში – ფუტკრებისა და სხვა მწერების ბზუილი და მყუდროებას არ არღვევდეს ერთი ჩქამი, ტალ-ლის ტლამუნის, ქარის ზუზუნისა თუ მეხის გრიალის გარდა, სამყარო, რა თქმა უნდა, ფუჭი და უაზრო იქნებოდა. მაგრამ ბედნიერება უფრო ნაკლები იქნებოდა და უბედურება – მეტი, ვიდრე დღესაა? შენ გეკითხები, მზეო, სიფხიზლის უფალო და დღის შემოქმედო: შენს ურიცხვ აისს თუ დაისს, უთვალავ ჩასვლას თუ ამოსვლას საუკუნეების მანძილზე, დღევანდელ დღემდე, ერთი ბედნიერი კაცი მაინც თუ უნახავს მოკვდავთა შორის? ამდენ წელში გაწყვეტილ, შრომაში ჩაფლულ ადამიანთაგან, შენ რომ კარგად ხედავ, ერთს მაინც თუ მიუღწევია მიზნისთვის? ერთს მაინც თუ მიზნიერია სიამოვნება საქმის ნამოწყებისას ან დასრულებისას? თუ ხედავ ან საერთოდ, თუ გინახავს ბედნიერება ამ უსასრულო სამყაროში? რომელ მინდორზე ბინადრობს ის, რომელ ტყეში, რომელ მთაზე, რომელ ხევში თუ უდაბნოში, სოფელში თუ ქალაზში? რომელ პლანეტაზე, იმ ურიცხვ ციურ სხეულთაგან, რომელთაც ათბობს და ანათებს შენი შუქი? იქნებ შენს მზერას ემალება და მინის სილრმეს ან ზღვის ფსკერს აფარებს თავს? შენი წყალობით ცხოველური თუ მცენარეული თვისებებით შემკულსა თუ განძარცვულ რომელ არსებას უწევს ძილი მის არსში? და თვითონ შენ? უდრევი გოლიათივით რომ დაპქრი უძილოდ და მოუსვერად, დღისით თუ ღამით, უსასრულოდ, შენ თვითონ ბედნიერი ხარ თუ უტედური?

გაიღვიძეთ, მოკვდავნო, სიცოცხლის ტყვებო! დადგება დრო და ვერავითარი ძალა ველარ გამოგაფხიზლებთ მარადიული და უძლები ძილისგან. თქვენ ჯერჯერობით არა გაქვთ სიკეთოლის უფლება. მხოლოდ დროდადრო, მცირე ხნით შეგიძლიათ განიცადოთ მისი მსგავსი რამ. სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება, ასე ხშირ-ხშირად რომ არ წყდებოდეს. ეს ხანმოკლე და მშფოთვარე ძილი, სასიკეთო საფრთხეა და მარადი-



მხატვარი სოფიო ჭელიძე

ული განსვენების მიზეზია ყოველი სულდგმულისთვის. ცხოვრება თავისას ითხოვს და ვერ გაუძლებთ, თუ ხანდახან მხრებიდან არ მოიხსნით მის მძიმე ტვირთს, თუ სულს არ მოითქვამთ, ძალ-ლონეს არ მოკრებთ და არ ეზიარებით სიკვდილის ლანდსა და ჩრდილს.

ყოველი სულდგმულის არსებობას, როგორც ჩანს, ერთადერთი მიზანი აქვს – სიკვდილი. ის, რაც არ არსებობს, არც მოკვდება, ამიტომ არარსებობიდან იღებს დასაბამს ყოველი არსი. შეუძლებელია ბედნიერება იყოს არსებობის საბოლოო მიზანი, რადგან ამქვეყნად ბედნიერი არავინ და არაფერია. მართალია, ყველა სულდგმული მიზნად ბედნიერების მიღწევას ისახავს, მაგრამ ვერავინ ვერ აღწევს მას და მთელი სიცოცხლის მანძილზე ტანჯვით, წამებით, შრომითა და ვაი-ვაგლახით ყველას გზა ერთი მიმართულებით მიედინება, ყველა ერთისკენ ისწრაფვის – სიკვდილისკენ.

ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი დღის დასაწყისი მოკვდავთათვის უფრო იოლი ასატანია, ვიდრე დღის სხვა დრო. გაღვიძებისას ცოტას თუ ელის რაიმე სასიკეთო და სასიხ-



არულო, თუმცა სული რატომდაც მაინც სავსეა სიხარულით, ალბათ იმიტომ, რომ ამ დროს ყველა მისი განცდა ასე გარდაიქმნება, სასიხარულოდ, საამისო საბაბის გარშეც, ანდა იმიტომ, რომ დღის სხვა დროზე უკეთ შეუძლია აიტანოს უბედურება. სასორბა ადამიანს დაძინების წინ კიდეც რომ ჰქონდეს წარკვეთილი, გაღვიძებისას, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, ის მაინც უბრუნდება. ახალი დღე ახალ იმედს შობს. ნებისმიერი უბედურება, შიში და ძრწილა ამ დროს, ისე დამათრ-

გუნველი აღარ ჩანს, როგორც მანამდე. წინა დღის შფოთი და მღელვარება მეორე დღეს უხერხულობის განცდას და თითქმის სიცილს იწვევს, როგორც მცდარი აზროვნების ნაყოფი. საღამო შეიძლება სიბერეს შევადაროთ, დილა კი სიჭაბუკეს ჰგავს, ნდობითა და თვითრწმენით არის სავსე. საღამოს სიმხნევე დალვრემილი და მოწყენილია. სიჭაბუკე კი, როგორც სიცოცხლე, ხანმოკლეა, უცებ გადის და მწუხრიც მალე ეფინება.

საცოდავია სიჭაბუკე, სიცოცხლის ყველაზე ლამაზი დრო, და იმდენად ხანმოკლეა, რომ ცოცხალი არსება ყველანაირად გრძნობს, უტყუარი ნიშნებით, თუ როგორ უსხლტება ხელიდან და უახლოვდება სიკვდილს, ისე რომ თავისი ძალის შეცნობასაც ვერ ასწრებს.

მოკვდავთა სიცოცხლის უმეტესი ნაწილი მუდმივი ჭვნობა და კვდომაა. ბუნების მიზანი სიკვდილისკენ სწრაფვაა. ასე რომ არ იყოს, სიბერე მოახერხებდა ყველაფრის



**ჯაკომო
ლეოპარდი**

აშკარად დაჩრდილვას მთელ სამყაროში? ის სინამდვილე, რასაც ჩვენ ვხედავთ, საოცარი სისწრაფით მიიღობის სიკვდილისკენ. მხოლოდ ბუნებას არ ეტყობა კვდომის ნიშანი. ის შემოდგომითა და ზამთრით აჩვენებს თავს დასასრულისკენ მიმავლად, მაგრამ ყოველ გაზაფხულს სინორჩე და სიხალისე ისევ უბრუნდება, როგორც მოკვდავთ – ყოველი ახალი დღის დასაწყისში იბრუნებენ მიმქრალ სიჭაბუკეს და მთელი დანარ-

ჩენი დღის მანძილზე ბერდებიან, ქრებიან, ჭკნებიან და საბოლოოდ, მტვრად და ნაცრად იქცევიან. ასეა ბუნებაც, ყოველ გაზაფხულზე იბრუნებს სიცოცხლეს და მთელი დანარჩენი წლის მანძილზე კვდომასა და ქრობას განიცდის.

მოვა დრო და სამყარო, ისევე როგორც ბუნება, ფერფლად იქცევა. აღარსად დარჩება დიდი სახელმწიფოები და სამეფოები, მათი ბრწყინვალება და დიდება უკვალოდ გაქრება. მთელი სამყარო, ყველანაირი ქმნილება, ბედის ნაღმა-უკულმა ტრიალი, ტანჯვა-წამება და უბედურება უკვალოდ ჩაივლის. ყველაფერი გადაგვარდება და დაისადგურებს უწყვეტი დუმილი, უსასრულო სიმშვიდე.

საბოლოოდ, სამყაროს საიდუმლო ისე გაქრება და გაქარწყლდება, რომ მის ამოცნობასა და ახსნას ვერც კი მოვასწრებთ.

**იტალიურიდან თარგმნა
მაია ტურაზელიძემ**



ნინო დარპაისელი- სტრინი

70



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

უკავილები, რალარ საქაფი, წარმატებულობა, წარუცალობა – ჩემთვის და ზოგადად, ქართველი მკიონხველებისთვის ფლემდე გამოწვია, მანქანი, რა მოხდა წისფერყანელებისა და გალაკტიკის შორის ისეთი, რომ სამუდამო მცრად მოყვანენ ერთმანეთს, თანამდებობის ის რალარ არ ერთ მხარეს რომ არასოდეს არაფილობის უთქვამს!

გამონაკლისის გალაკტიკის წერილი ოლიასადმი, სა- ფარ სულ ერთი ფრაზაა, მე და გაფრინდაშვილმა ისეთი რამები ვუთხარით ერთმანეთს, ჩვენი შერიგება ალარ გამოვა.

6. დარპაისელი-სტრინი

ტაბიძეები: ვაზა და თავისეალა

ევროპა თუ აზია, აღმოსავლეთი თუ დასავლეთი, დაპირისპირება თუ სინთეზი... ამ საკითხების შესახებ ქართულ ლიტერატურაში საუკუნები მეტია, უკვე იმდენი დაიწერა, რომ ახალს ადამიანი ვეღარაფერს იტყვის.

ჩავთვალოთ, რომ ყველას ყველაფერი მეტ-ნაკლებად, ისედაც გვახსოვს.

ჟურნალი „ცისფერი ყანწები“ (1916) რომ აღმოსავლურ-დასავლურ ლიტერატურულ მონაპოვართა სინთეზირებას ესწრაფეოდა და ახალი ქართული ხელოვნების დაბადების წინაპირობად სწორედ ეს მიაჩნდა, მგონი, ეს უკვე სასკოლო პროგრამიდანაა. ყოველ შემთხვევაში, „გუგლში“ ცოტა როდი დევს საჩვენებელი გაკვეთილების გეგმები და ვიდეოები, რომელიც სკოლაში სწავლებისთვის „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ მემკვიდრეობას სწორედ ამ კუთხით აშენებს.

დარჩა კი აქ რაიმე სათქმელი? გავიფიქრებდი უმალ თავადვე, ამ წერილის ავტორი კი არა, მკიონხველი რომ ვყოფილიყვავი და მაინც!

მინდა, ტიციან ტაბიძის უცნობილესი ლექსის დასაწყისი გავიხსენოთ ჟურნალ „ცისფერი ყანწებიდან“:

გაფიზის ვარდი მე პრუდომის
ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს.

ძირითადად ეს ტაეპები მოჰყავს ყველას მაგალითად ევრო-აზიური მიმართებების შესახებ მსჯელობისას.

რას ამბობს პოეტი ხომ დიდ გამოცანას არ წარმოადგენს:

გაფიზი /ხაფიზი/ ჰირაზელი – ჟურანის ზეპირად მცოდნე, მეთოთხმეტე საუკუნეში მოღვაწე სპარსი პოეტია, რომლის შემოქმედებაც სპარსული კლასიკური ლირიკის მწვერვალადაა მიჩნეული.

გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ წყალობით, ევროპულმა ლიტერატურამ აზიურის დარად, შეითვისა მისი ლირიკის თემები და მოტივები, მათგან ყველაზე პოპულარული მაინც „ვარდ-ბულბულიანია“, რომელიც საყოველთაოდ მოარულ თემად იქცა, (გავიხსენოთ თავად გოეთეს „ველური ვარდი“, ოსკარ უალდის ზღაპარი „ვარდი და ბულბული“, მანდელშტამის „გაფიზის ვარდი“ (სომხეთზე), ქართული პოეტური ტრადიციაც ხომ არაერთ ნიმუშს შეიცავს ამ თემის დამუშავებისა (თეიმურაზ I-ის „ვარდ-ბულბულიანი“, ბესიკ გაბაშვილის „სტვენს ბულბული“ და სხვა არაერთი ლექსი, ყრმა 6. ბარათაშვილის „ბულბული ვარდზედ“ და ა.შ.)

მოკლედ, საყოველთაო წარმოდგენის გათვალისწინებით რომ ვთქვათ და არ ჩავუღრმავდეთ მისტიკურსა თუ ოკულტისტურ კონცეფციებს, ვარდი – არის სიმბოლო მშვენიერი ქალისა, რომელიც დაცულია ეკლებით, ხოლო ბულბული – მგოსანია, ტრუბადურია მასზე გამიჯნურებული, რომელიც ზოგ ვერსიაში ამ სიყვარულს ენირება. მშვენიერება კი ამ ტრადიციით, წარმავალია, რადგან ვარდი – მიწიერთა, ცოცხალთა დარად, ჭკინობადია.

ამ ზოგადი კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართველისთვის „გაფიზის ვარდი“ – უფრო სხვა რამეა, ვიდრე მაგალითად, რუსისთვის,



რადგან მისი თემა – საუკუნეთა მანძილზე, ლიტერატურულად გვაქვს ათვისებულ-დამუშავებული, უკვე საკუთარი, საუკუნოვანი პოეტური ტრადიციის ნაწილად აღვიქვამთ.

რატომ გაფიზი და არა – ჰაფეზი?

ეს სახელთა: ანთროპონიმთა, ტოპონიმთა და ა.შ გასხვანაირების, გაუცხოურების (და არა – გაუცხოების) საყვარელი ხერხია ცისფერყანწლთათვის და მათი ეპოქის სხვა პოეტებისთვისაც (გავისენოთ გ. ლეონიძე, უცხოური და შემდგომ რუსული ლიტერატურის კვალად, თემურ ლენგის სახელს როგორ წარმოსთებამს ლექსში)

„როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა, სიყვარული ისე დამჯახებია“.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, „გაფიზის ვარდი“ – ქართულ ტრადიციად უნდა გავიაზროთ.

ვიდრე შემდეგ საფეხურზე გადავიდოდეთ, აქ მოკლედ შეგახსენებთ, რომ ცისფერყანწლი – უპირისპირდებოდნენ თავიანთი დროის ეპიგონურ პოეზიას, ზედაპირულად გაგებულ და კოპირებულ შემოქმედებას აკავისი, ილიასი და ა. შ. მათ მიაჩნდათ, რომ რუსთაველი უფრო თანამედროვე იყო, ვიდრე სიმრავლე მათი თანამედროვე ავტორებისა; ასევე ამბობდნენ, რომ ბესიკ გაბაშვილის – აზით ნასაზრდოები ამ პოეტის მერე პოეზიამ განვითარება შეწყვიტა (ბაროკალურობაზე მსჯელობა – მასთან მიმართებაში – მე მაინც ნაკლებ-სარწმუნო მგონია).

ერთიც: ბესიკ გაბაშვილის ბალი – მათი ლიდერის პაოლო იაშვილის „დარიანული დღიურების“ ერთ-ერთი მთავარი ტოპოსი გახდება.

* * *

ახლა ვცადოთ იმის გარკვევა, თუ რას ნიშნავს „პრუდომის ვაზა“. პრუდომი რომ მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი პოეტია, ვიცით. ნუთუ პრუდომის ვაზაში გაფიზის ვარდის ჩადება – მარტივად ნიშნავს ქართული ტრადიციული შინაარსის მოქცევას ევროპულ ფორმაში და მეტს არაფერს?

მეორე სტრიქონით რა გამოდის?

ბესიკის ბალში, როგორც აღმოსავლური კულტურით ნასაზრდოებ ქართულ ნიადაგ-



ნინო დარგაისელი

ში – სათავსში, ფორმაში – ევროპული სათქმელი ირგვება – ბოდლერის „ბოროტების ყვავილები“ (კრებულის სახელწოდება).

ანუ ეს ორი სტრიქონი რომ შევაერთოთ, გამოდის, რომ ტიციან ტაბიძე ამბობს, ქართულ ტრადიციულ სათქმელს – მოვათავსებ ევროპულ ფორმებში, ხოლო ევროპული, კერძოდ ფრანგული პოეზიის მიღწევებს – ტრადიციული ქართული ფორმით გადმოვცემო?

ვითომ ასე მარტივადაა საქმე?

პრუდომი კარგი ფრანგი პოეტი იყო, მაგრამ არც იმ სიღილის ვარსკვლავი, ევროპულ სალექსო ფორმათა მთელი მრავალ-ფეროვნება რომ იტვირთოს მისმა სახელმა.

რა შუაშია პრუდომის ვაზა?

მეტაფორისტმა გაიტაცა ტიციან ტაბიძე?

* * *

ახლა ერთი ფრანგული ლექსის ტექსტს დავდეს. ცხადია, უკვე გამოიცანით რომ მისი ავტორი – სიული, სოულ, თუ რანაირად წარმოსთევამენ ამ სახელს ქართულად, – პრუდომია:

LE VASE BRISÉ

À ALBERT DECRAIS

Le vase où meurt cette verveine
D'un coup d'éventail fut fêlé ;
Le coup dut effleurer à peine :
Aucun bruit ne l'a révélé.

Mais la légère meurtrissure,
Mordant le cristal chaque jour,
D'une marche invisible et sûre
En a fait lentement le tour.

Son eau fraîche a fui goutte à goutte,
Le suc des fleurs s'est épuisé ;
Personne encore ne s'en doute ;
N'y touchez pas, il est brisé.

Souvent aussi la main qu'on aime,
Effleurant le cœur, le meurtrit ;
Puis le cœur se fend de lui-même,
La fleur de son amour pérît ;





Toujours intact aux yeux du monde,
Il sent croître et pleurer tout bas
Sa blessure fine et profonde ;
Il est brisé, n'y touchez pas.

1865

ესეც – ჩემი თარგმანი

სიული პრუდომი

ვაზა გატეხილი

(ციკლიდან „სულის ცხოვრება“)

ვაზაში რომ იდო ვერბენა ლამაზი,
იმ ყვავილს შემთხვევით გამოსდე მარაო.
წამით შეტაკებამ, სხვა რა ვთქვა ამაზე,
ბროლს თითქოს უეცრად შიგ გაუარაო.

არც კი ემჩნეოდა ნაბზარი პატარა,
დღითი დღე გაზრდილა, ყოფილა
რა მალი,
ნეტავი წრიულად რამ შემოატარა,
ნაპრალად ქცეულა იგი იდუმალი.

თურმე განსაცდელი აქ რაოდენია,
უწყალოდ დამჭვნარა მშვენება ამდარი.
ვაზა ამომშრალა, სითხე დასდენია.
ნუ მიეკარები, თავისით გამტყდარა.

როცა შეგვეხება ხელი სანუკვარი,
სავსე სიყვარულით – გული იბზარება,
ჭრილობა პატარა, თითქოს უჩინარი,
ღრმავდება და გვიჭირს ამ
გულით ტარება.

გული იგივეა, მაგრამ ამომშრალა,
მარტოა, გულგრილთა თვალს
მონაფარები,
ტკივილით სავსეა, იდუმლად მტირალი,
ის გატეხილია, – ნუ მიეკარები!

1865

(თარგმანი ნინო დარბაისელისა)

ამ ლექსით ცხადია, რომ პრუდომის
ვაზა – არ არის ტიციან ტაბიძის მიერ შე-
ქმნილი პოეტური სინტაგმა. იგი – მზაა,
ნასესხებია და ნიშნავს ბროლის ვაზასავით
გაბზარულ-გატეხილ გულს, რომელშიც სიყ-

ვარული, მშვენიერება – ყვავილი – „გაფიზის
ვარდი“ – უწყლოდ ჭერება.

ანუ პირველი სტრიქონი შეიძლება გავ-
იგოთ ასე, რომ ტიციანი – პრინციპულად
მოდერნისტულ მიდგომას ავლენს სიყვარ-
ულთან – ამ მარადიულ თემასთან მიმართე-
ბაში, იგი ჭერბადს, წარმავალს და არა –
წარუვალს ასახავს.

აქედან შემდეგი სტრიქონი:

„ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს“ – უკვე ახალი, „არა
მშვენიერი“ ესთეტიკის დამკვიდრებაა,
ტრადიციულ ბალში – მშვენიერების ალაგას.

* * *

ყვავილები, რაღაც საცავი, წარმავალო-
ბა, წარუვალობა... – ჩემთვის და ზოგადად,
ქართველი მეითხველებისთვის დღემდე გა-
მოცანაა, მაინც, რა მოხდა ცისფერყან-
ნელებსა და გალაკტიონს შორის ისეთი, რომ
სამუდამო მტრად მოეკიდნენ ერთმანეთს,
თანაც ის რაღაც არც ერთ მხარეს რომ არა-
სოდეს არავისთვის უთქვამს!

გამონაკლისია გალაკტიონის წერილი
ოლიასადმი, სადაც სულ ერთი ფრაზაა, მე
და გაფრინდაშვილმა ისეთი რამეები ვუთხ-
არით ერთმანეთს, ჩვენი შერიგება აღარ გა-
მოვაო.

ჰო, კიდევ, არის ერთი გალაკტიონისეუ-
ლი ჩანაწერი „ცისფერყანნელთა“ შესახებ,
„ქუთაისიდან რომ გამომაგდეთო“ და ამის
მიუხედავად, მათი ცხოვრებები და შემოქ-
მედებები – შეიძლება ასე ითქვას, ერთმანე-
თისადმი დიალოგური იყო.

და ეს დიალოგურობა ცხადია, მაინც-
დამაინც სიამტკებილობას არ გულისხმობს,
ურთიერთჯიბრობაც, ანტაგონიზმიც – დი-
ალოგის სახეობაა.

არაერთი საამისო მაგალითის დასახელე-
ბა შეიძლება, მაგრამ ამჯერად ერთზე მინ-
და შევაჩეროთ ყურადღება გალაკტიონის
და ზოგადად, მეოცე საუკუნის ქართულ
პოეზის საუკეთესო კრებულს, რომელსაც
შემოკლებით „არტისტულ ყვავილებს“ ვუ-
წოდებთ, სრულ სახელად ეწოდება „Cran Aux
fleurs artistiques“ – „თავის ქალა არტისტული
ყვავილებით“ (1919).

არტისტული – ჩემი აზრით, ნიშნავს არა
„ხელოვნების“ ან „ხელოვნებისმიერს“, არ-
ამედ „ხელოვნურს“, ან ორივეს ერთად და
იქნებ კიდევ რაღაც სხვასაც. ანუ ინტეგრი-
რებულ სიახლეს, როგორც გალაკტიონს სჩ-
ვეოდა, სიმბოლისტურ სახეთა, კონცეპტთა



თუ სინტაგმათა შექმნისას და იგი მიემართება გოეთეს „ფაუსტს“, სადაც ერთ სცენაში, ქალების სიმღერაში ნათქვამია:

„ხელოვნური ყვავილები ნამდვილს სჯობია, რადგან არასოდეს დაჭკნება“.

ანუ ამ სათაურში საუბარია კვდომის შეუძლებლობაზე, უკვდავებაზე, მარადისობაზე, ხოლო თავის ქალა – (გავიხსენოთ ტრადიციული ხელში თავისქალიანი ჰამლეტიც, „ჰამლეტის ქნარიც“) უკვე სიკვდილგადატანილი, ამდენად გამარადიულებული „ვაზაა“, სათავსია ხელოვნური ყვავილების ჩასადებად. ამავე დროს იგი სიცოცხლისმიღმიერი/ყოფისმიღმიერი – გამოცდილების მქონეცაა.

სათაური: „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“, ჩემი ფიქრით, ანტითეზაა გალაკტიონის ალალი ბიძაშვილის ტიციან ტაბიძის სიტყვებისა:

„გაფიზის ვარდი მე პრუდომის ჩავდე ვაზაში“

ანუ აქ თუ ერთ მხარეს – ტიციანთან ფატალურობა და წარმავალობა გვაქვს, გალაკტიონთან – ამის საპირისპიროდ – წარუვალობა და მარადისობა, უკვდავებაა; ისინი მიემართებიან ერთმანეთს, როგორც ყოფა და ყოფიერება. სხვაგვარად, როგორც მოდერნიზმი და სიმბოლიზმი.

ამასთანავე, გალაკტიონის კრებული არც კი მოიაზრება ევროპა-აზიის მიმართებათა კონტექსტში, დაწყებული ფრანგული სათაურით, ამას მიღევნებული სამი ფრანგულივე ეპიგრაფით, უპირ „ევროპულად სუნთქავს“.

მარკეტინგული თვალსაზრისით, არ არის მაინცადამაინც სწორი სვლა, მარტო ამ სიგრძე უცხოენოვანი სათაური რომ წააწერო ყდაზე წიგნს და ქართულად ზედ მხოლოდ შენი სახელი ენეროს (და ბოლოში – „ტფილისი“).


როგორც მახსოვს, წიგნს ტირაჟი ორიათასი ჰქონდა. თუნდაც მეშვებოდეს და ორასი იყოს. ნამდვილად უნდა ნიშნავდეს მარტო შენი სახელი მკითხველისთვის რაღაც დიდს, რომ ასეთყდიანი წიგნი შეიძინოს!

ცისფერყანწელთა ეკლექტიზმს, მე ხომ ასაკოვანი დიასახლისი ვარ, მოდით, ჩემს ენაზე ვიტყვი, მათ რომანტიზმულ-სიმბოლიზმურ-ფუტურიზმულ, ზოგადად მოდერნიზმულ აჯაფსანდალს, რაც უურნალ „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებულ ტიციან ტაბიძის თეორიულ წერილებს ახასიათებდა, (პირველს – მეტად, მეორეში – დალაგება სცადა), სამი წლის მერე გალაკტიონმა თავისი კრებულის გამოცემით დაუპირისპირა სიმბოლიზმით მოგუმბათებული, უმაღლესი რომანტიზმი, რაც იმ დროისთვის, საერთო ევროპული კულტურის განვითარების ფონზე, უკვე არათუ სიახლე, არამედ თავისებური ანაქრონიზმიც კი იყო, მაგრამ სხვადასხვა გარემოებათა გამო, საერთო ევროპული კულტურული პროცესებისგან ჩამორჩენილ ქართულ კულტურაში არსებობდა უზარმაზარი თეთრი ლაქა, რომელიც ამ შედევრთა წიგნით გადაიფარა.

გალაკტიონის არქივში ერთი ჩვენთვის ძველი, მისთვის კი ალბათ სიბერეში, სავარაუდოდ, 50-იან წლებში გამოშვებული სასკოლო რვეულიცაა შემორჩენილი, ყდაზე ხაზები რომაბა და მოწაფემ რომ უნდა შეავსოს. ზედ ანერია:

„გალაკტიონ ტაბიძე, რომანტიზმის სკოლის პირველი კლასის მოსწავლე“.

არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს ცისფერყანწელებს, კერძოდ, მათი ძმობის წინამძღოლს, პაოლო იაშვილს ქართული რომანტიზმის განვითარებაში დამსახურებას ვუკარგავდე და მნიშვნელოვანი წილი არ ედოს. მისი „დარიანული დღიურები“ ამის უტყუარი დასტურია.



რეზო ადამია

მწერალი და მხატვარი

74



საქართველოს აგრარული კულტურა

საქართველოს აგრარული კულტურა

წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ ქვეყნის შზრუნველი სახარება მუდმივ წორბალი, დაუსრულებელი მომავლით.

ადამიანის ყოველ საკუერ მწერალება სახეობებს ის-ეთივე გაფრთხილებრ უნდა, როგორჯ ჩვენი ერის განუ-მეორებელ სიმღიდოებს, უძველეს კუთხე-ცომებს, ხოლო ყოველი მათვანის ბოროტმოქმედებითი დაკარგვა-მოქლა კოსმიური უსასტიუქი დანაშაულით...

რ. ადამია

უმთავრეს, ყოველთა გადამრჩეველი

(წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“)

მრავალმხრივფორმიანი სიყვარული და სიკეთე კოსმიური მაღლია, ზნეობრივ მაღალი მოფერება კი მიწიერი, ორივე სივრცობრივი მოვლენით მიწასთან ახლოს უნდა ვიყოთ მარადის და ის ყოველ ბუნების მიერ მცენარეულ ფასდაუდებელ კულტურას კვლავ უღალატოდ გვიბოძებს. დაუსრულებელია ცივილიზაციათა აღმავლობა და კოსმოსთან სიახლოვე. ასევე მარადიულია მაღლი მიწისა და მისი კეთილშობილი მცენარეული კულტურის მრავალსახეობა, რომელიც ოდითგანვე სჭირდებოდა ადამიანს და მასთან იქნება განუყრელ უსასრულოდ. ამიტომ მიწა, მარჩენალი თავისი მცენარეული სიმდიდრით, ცოცხალ არსებებთან მთლიანობაში ვარსკვლავეთური სასწაულების ტოლია, თანაც თითქოს ჩვეულებრივი. ამითი მინდა სამართლიანად გაუწყოთ, რომ წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ მუდმივი ცოცხალმოქმედი სახარებაა გულლიადებამიწაზე აუცილებელ-გარდაუვალი... ადამიანი ხომ კოსმოსთან და დედამიწასთან უსასრულოდ განუყრელობაა, არასოდეს არ დაგვაპნიოს მოულოდნელეფექტიანმა ცივილიზაციებმა, რადგან მიწა და მისი მცენარეული კულტურა ჯანსაღრძიანი მკვებავი მზისმიერი ძუძუა ჩვენი და ადამის მოდგმა მარად მორჩილი ჩვილია მისი.

ცოცხალ არსებათ სასუნთქი უანგბადი თითქოს დიდი რამეაო, ზოგნი იტყვიან. მზის სხივები? მერე რაო! შუქი ნათელი ჩვეულებრივი მოვლენააო, ბუნების სიმდიდრე აგრარული მცენარეული კულტურა დიდი საქმეაო! არადა, ზემოთ ნახსენებ სიმდიდრეთა გარეშე სიცოცხლე კვდება და ნახშირდება; ყოველგვარი ცივი-

ლიზაციები ათასწლეულების მტვერია, ქარისგან ატაცებული. რა და როგორი დონის ფასი უნდა დაადო შეუდარებელ ხორბლის რამდენიმე უნიკალურ ჯიშს, შერიას, ბრინჯას, ლომს, სიმინდს, სოიას, სხვადასხვა ჯიშის ლობიოს და სოფლის მეურნეობის კიდევ რამდენიმე უნიკალურ საკვებ კულტურას, უიმათოდ, ვინ იცის, ვისი მოსაგონებელი გავხდებით და ყოველთა გამრიგე იტყვის, ახია თქვენზეო. ეს კი არასოდეს მოხდება და არ უნდა მივიდეთ იქამდე... ამიტომ აუცილებელია, ადამიანი უნდა დაუბრუნდეს მშობლიურ მიწას და ყოველმხრივ მართებულია, კვლავ შევიყვაროთ. უთუოდ უნდა იკადროთ, ცივილიზაციათა რაინდებო, კეთილშობილი გედივით დაჟინებით დავცექროდეთ მიწას მარჩენალს და მის სიმდიდრე მცენარეულ კულტურას.

* * *

ათასობით წელია, აგრარულ კულტურათა სახეობანი ზოგიერთი უნიკალური ჯიში წარსულს მიეფარა, მაგრამ უმეტესი შემოგვრჩა, რაც წარსულში მუდმივად ვითარდებოდა მათი სიახლეთა ათვისების მცენარეული ფუნქციები. რათა ადამიანი უფრო ახლო კავშირში იყო უფალ ხელოვნებასთან და მარჩენალ კეთილ მიწასთან. ხოლო ჩვენი ბოლო ორი საუკუნის სწრაფი ცივილიზაციის ავეთქებებითი მოსვლით რატომდაც დაამუხრუჭეს ორივე უმთავრესი. თუმცა ტექნიკური ცივილიზაციის ყოველგვარი მოვლენებიც საჭირო და აუცილებელია, მაგრამ მათი მაღალგონებრივი ურთიერთგათანასწორებაა საჭირო. ჯერჯერობით ეს მტკიცნეული საკითხი ვერ ხე-



თინათინ სატუნიშვილი, ინება მაისაია,
ქეთევან ბატაცაშვილი, შალვა სიხარულიძე,
თამაზ დარჩიძე



საქართველოს სტარული კულტურა

რხდება, ალბათ დროთა ჟამში ჩადგება არსებული სუსხიანი ქარიშხალი. იმავე მდგომარეობაში მოქცა ათასობითთწლოვანი წიგნი უნიკალური. ალბათ მომავალში მაგასაც ეშველება. ბოლოს და ბოლოს, მომავლის პრაქტიკაში ყველაფერმა თავისი ადგილი მტკიცებუნდა შეინარჩუნოს და დაიკავოს.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ჩვენი ქართველი ერის სულის-გონების სიახლეთა მწვერვალი და იშვიათი ნიჭის სრულყოფილი საგანძურია, მართალი მტკიცებულებაა, რომ მათი სახით მსოფლიოში არსებობს გამორჩეული თვითმყოფადი პიროვნებათა ნიჭი... მეტი ადამიანური ყურადღებაა საჭირო მათდამი, თუ გვინდა აზროვნებით, ნათელი ინტელექტითა და მრავალი სიახლით ერი ძლიერი არსებობდეს. ბევრ რამეს ისნავლიან მათგან ჩვენი მთავრობა, ხელისუფლება, პარლამენტი, საზოგადოება თუ ნდობით დაუმეგობრდებიან მათ. ერის გენი და აზროვნება მხოლოდ მათგან უნდა გაძლიერდეს და ალორძინდეს.

* * *

წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ ქვეყნის მზრუნველი სახარებაა მუდმივ ცოცხალი, დაუსრულებელი მომავლით.

ადამიანის ყოველ საკვებ მცენარეთა სახეობებს ისეთივე გაფრთხილება უნდა, როგორც ჩვენი ერის განუმეორებელ სიმდიდრეს, უძველეს კუთხე-ტომებს, ხოლო ყოველი მათგანის ბოროტმოქმედებითი დაკარგვა-მოშლა კოსმიური უსასტიკესი დანაშაულია...

ერთ უცნაურ შედარებით მაგალითსაც გავამხელდი, წარმოვიდგინოთ, თითქოსდა უანგბადის ამონურვისა და გაქრობის საშიშროება ჩამოვარდეს პლანეტაზე და მის მარადიულად აღდგენითობის საკითხს აგვარებდეს ჩვენი უნიჭიერები მეცნიერება, არანაკლები მეცნიერული ღვაწლი და გამარჯვებაა ხორბლის უნიკალური ჯიშების აღდგენა-გადარჩენა და სხვა მრავალი ძვირფასი მცენარეული კულტურებისა. ასევე წარმოიდგინეთ, მეგობრებო, რამხელა საერთო ტრაგედია იქნება მგალობელი ფრინველების გაქრობა, კერძოდ ბულბულისა და მისი კოსმიური ნელთბილი ცრემლის წაშლა საოცარ ჰანგებთან ერთად, რომელიც პლანეტარიუმის სივრცის რეგისტრით მარაგდებიან. იგივე ითქმის შაშვზეც. არა! არა და არა, მათი გაქრობა, მოშლა-წაშლა არ უნდა მოხდეს!..

75



* * *

მილიონობით წლის წინანდელი ველური ქვის ხანის ადამიანი ნადირობით ირჩენდა თავს, რა თქმა უნდა, გარკვეული ველური ბოროტების მეოხებით, დროდადრო ასეულათასობით წლებში მოხეტიალენი მწიფე მცენარეულსაც ეახლებოდა, ზოგჯერ კუჭ-ნაწლავის მოწამვლებით რომ მთავრდებოდა, ამიტომ კეთილ-მარგებელ მცენარეთა შერჩევას ადამიანი თანმიმდევრობით დიდხანს იკვლევდა-ექებდა. მხოლოდ დავთივ კოსმიური ინსტინქტით, ნიჭიერი ტომთ წარმომადგენლები საოცარ შედეგსაც აღწევდნენ და მარგებელ მცენარეულთ თამამად ეტანებოდნენ.

გთხოვთ, ჩემი ნათქვამი დადებითად ჩამითვალოთ: სამხატვრო აკადემიის სტუდენტი რომ ვიყავი, მხოლოდ გამორჩეულ წიგნებს ვეტანებოდი, რათა ჩემი კუთვნილი დრო მთლიანი, ფუნჯსა და ფანქარს ეკუთვნოდა და, რა თქმა უნდა, აკადემიის ხელოვნებათმცოდნების პროგრამას. მახსოვეს, ძალიან საინტერესო წიგნი ჩამივარდა და სიხარულიძების ოჯახიდან და ვკითხულობ: ვინმე პეტერბურგელი ქალბატონი თბილისში ჩამოსულა და ბევრ რამეს საინტერესო მოგონებას წერდა და მივადექი ადგილს, ავტორის გონების სრულ დახსულობას. ქართველებით, ცინიკურად იგონებს, მწვანე ბალაზით იკვებებიანო. მაშინ მე, სტუდენტმა, ასე ვიაზროვნე, რომელ აზრზეც ახლაც ვდგავარ: ადამიანს ამ ბალახეულის (მწვანილების) კეთილვარგისიანობის გამოკვლევა

№5, 2022





მისვლამდე ხომ ათასეული წელი დასჭირდა მხოლოდ ბუნებრივი ინსტინქტ ანკარა ნიჭით.

* * *

ჩვენი სიახლე წიგნ-განძის ლიტერატურულ-მხატვრულ ღირსებას ამ შემთხვევაში არ ვეხები და არც ვიხილავ. ეს ღვთიური მადლი ნანარმოებს წყალქვეშა ჯანსაღ მოაზროვნე ძრავებად აქვს შეყვენებული, რომლებსაც თემა მარადიულ მოძრაობაში აჰყავს. ამის გამგებ-ჩამწვდომი შეგნებული მკითხველი თავისი გაგებითი დონე-ლირსებით მივა და ჩასწვდება...

გააზრებით წონადი, ძირფესვიანად შესწავლილი ქმნილება დაწერილია მაღალმეცნიერული ნაფიქრალით, უმთავრესი თემა გარჩეული და განხილულია ამომწურავად, თან ყველასთვის გასაგები დახვეწილი თხრობით, თავისუფალი მოყოლით თუ სამომავლო დარიგებით. ამ ნანარმოებს შეიძლება ვუწოდოთ კაცობრიობის ფიზიკურად გადარჩენის ცოცხალი კარაბადინი. უნიჭიერეს ქალბატონ აკადემიკოს თინათინ სადუნიშვილის ცოდნითი მოწინაობით განუსაზღვრელი დროით დამრიგებელი სახელმძღვანელოა ყველასთვის და ეს ნანარმოებ-სიმდიდრე მხოლოდ რაიონის-სოფლის გამგებელთა მაგიდაზე კი არ უნდა იდოს, არამედ წებისმიერი მოწვევის პარლამენტის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სრულიად უნდა გაითავისოს დღეის და მომავლის სამოქმედოდ, უყვარს თუ არა თავისი მამული და მისი მცენარეული მარგალიტები, ნანარმოები „საქართველოს აგრარული კულტურა“ ფსალტუნივით ყველა ჩვენგანის თვალწინუნდა ესვენოს. თუ ფიქრობ, ადამიანო, შენთან ერთად პლანეტისა და მამულის გადარჩენაზე...

* * *

წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ უნდა გახდეს მარადიული ყოველდღიური სულიერ-გონებრივი სახელმძღვანელო ქართველი ერის, ნანარმოები ბუნების მესაიდუმლე და გადამრჩენელი, არანაკლებია დედა-ენაზე, იაკობ გოგებაშვილის დედა-ენა ჩვენი სულიერი დროშა იყო სანამ მორალურად ძლიერები ვიყავით, მერმე დროებით მოგვერივნენ და დედაენის ფუნქციების დაკარგვას მიჰყვეს ხელი როგორც სატანა გარეშე მტრებმა, ასევე უნიჭოშიდა, ვითომ სიახლეების მომტანებმა. ხოლო თუ ამ სახარების ტოლი წიგნის გამოყენებას დავი-



რეზო ადამია

წყებთ ყოველდღიურად, ამით უმთავრესი ბუნების კულტურა და კაცთა მოდგმაც გადარჩება თუ არადა უიმისოდ გადაშენება და სიკვდილი ადამის მოდგმისა გარდაუვალია.

ოდითგან თქმულა და იტყვიან, სიმართლეს არაფერი უდგას წინ! არა, ჩემო თანამოაზრევ, ამ შემთხვევაში გაღარიბებაა სივრცობრივ-ადამიანური მართალი აზროვნებისა. უფრო უნდა გამოითქვას: „სიმართლეს მართებულად მხოლოდ სიმართლე უდგას წინ“...

იმედ წიგნში შესანიშნავად, უფრო, გენიალურადაა აღწერილი აგრარული კულტურის ყველა უძვირფასესი სახეობა, გარკვევით აღნიშნულია, თუ რა ჯიშები დაკარგა კაცთა მოდგმის უყურადღებობამ და ზერელობამ. ბევრს ასე ჰგონია, ვითომ არაფერიო, არადა, ყველაფერია ადამიანის გადარჩენისთვის, ცივილიზაციათა გაგრძელება-შექმნისთვის, პურის, მჭადის, ღომისღომის, შერის, ბრინჯისა და კიდევ რამდენიმე აუცილებელი საკვების გარეშე სიკვდილი მეფობს დედამინაზე, წიგნი ყოველთა გადამრჩენი უნდა გახდეს ოფიციალურად სამოქმედო ყველა ქალაქის, რაიონის, სოფლისა თუ ხელოვან-მეცნიერის სამაგიდო წიგნად და შვიდი ლოცვასავით, პრაქტიკულ სიმბოლურ სახარება-ბიბლიად უნდა ვაქციოთ, თუ არადა კოსმოსი და უფალი მათ მსგავსს არაფერსაც არ გამოგვიგზავნიან. ჩვენ ამ ნანარმოების მეოხებითა თუ დახმარებით უნდა გამოვკვებოთ უსასრულოდ მომავალი თაობები და მერმე გზა ნათელი გახსნილია მეცნიერული კოსმოსისკენ. ვიმეორებ, წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ პარლამენტის, ხელისუფლების, პრეზიდენტის გარემოში მარად მოქმედ ეროვნული აღორძინების პროგრამაში უნდა იქნეს ჩართული მხოლოდ ყოველდღიურ-საქმიანი განხორციელებით, ყოველივე ეს, ნახევრად ქუჩაში გაზრდილო ბიჭებო, თქვენი გადარჩენის პროგრამაშიც უნდა ჩატიოთ. თუ არა!..

მახსოვს, ბავშვობაში მამა, ბალ-ვენახის მოყვარული მიხეილ ადამია, სამამულო ომის ინვალიდი, მშობლიური დარიგებით გვეტყოდა ხოლმე, – თქვენ, ბავშვებო, ჯერჯერობით არ იცით პურისა და მჭადის ფასიო. ჩვენ მართლაც ყოველივე საიდანღაც ჰაერიდან ჩვეულებრივი გზავნილი გვეგონა. და საუბარს ფრიად საინტერესო ამბავ-მაგალითოთ დაამთავრებდა: თურმე ამერიკელ მილიარდერს ჰქონია დიდი და უცნაური სეიფი, სადაც ინახებოდა როგორც ფული და ოქრო, ასევე ძვირფასი კოლექცია. ერთ დღეს





პატრონი საქმიანად შებრძანდა სეიფში, სადაც პატარ-პატარა ოთახებ-განყოფილებები იყო. საუბედუროდ, მეპატრონეს სეიფის გასაღები კაბინეტის მაგიდაზე დარჩენია და რკინის მრავალშრიანი კარი თავისით ჩაეკეტა. მის სიახლოეს კაციშვილი არ ჭაჭანებდა. რამდენიმე დღე განმარტოებით, მშერ-მწყურვალი იტანჯებოდა. ჩვენ, ბავშვები, გაოგნებულნი ვუს-მენდით მძაფრშინაარსიან საოცარ მონათხრობს. მერმე მილიარდერი მშერი კვდება და ბოლო წუთებში ამდაგვარი ნაწერი დაუტოვებიაო, ერთ თავ პურზე გავცვლიდი მთელს ჩემს მილიარდებს, ოქროსა და ავლადიდებასო. აი, ბავშვებო, რაა პური და ლუჟმა მარჩენალი კაცისა...

სიახლე უჩვეულოთვისებანი წიგნი დაწერილია გადასარჩენად ჩვენამდე მოღწეული სოფლის მეურნეობის უამრავი კულტურისა, ხოლო იმ დაკარგული ხორბლის ჯიშებს ვინც აღმოჩენს და ისევ დაუბრუნებს მინა ბედნიერს, მას უნდა გადაეცეს აღბათ ყველაზე მაღალი პრემია მეცნიერების დარგში. დავეხმაროთ და გვერდით ამოვუდგეთ უკლებლივ ყველანი ბრძენ აკადემიკოს ქალბატონ თინათინ სადუნიშვილსა და მის წმიდანურ-უნიჭიერეს დაუდალავ მეცნიერთა ჯგუფს – ინეზა მაისაისა, ქეთევან ბაცაცაშვილს, შალვა სიხარულიძესა და თამაზ დარჩიძეს. ამ საქმეში ვერცერთი აღმსარებლობათა ღმერთები ვერ გახდებიან ვერაფერს, მხოლოდ კოსმიური ნიჭისა და უფლის მადლის მქონე ადამიანმა უნდა აღასრულოს თავად ლეთიური საქმე და ადამის მოდგმის მარად გადამრჩენელი გახდება ქმედებით შეუდარებელი ნიჭისა და მადლის პატრონი...

* * *

მინდა გავიხსენო და მოგითხროთ ერთი ფრიად სასიცოცხლო შეხვედრის არსი. ეროვნული მოძრაობის ლიდერი, ბატონი მერაბ კოსტავა და სხვა მრავალი საიდუმლოდ ვთათბირობთ. გარეთ გზააბნეული კომუნისტები მთვრალებივით დაბორიალობენ.

– ბატონი მერაბ, – დავინცე, – მალე ბოლო მოელება ამ რეუიმს, საქართველოს თავისუფლებას უსათუოდ მოვიპოვებთ, ჩვენ ახლად აღდგენილ ქვეყანაში, მაშინვე უნდა შევუდგეთ სოფლის მეურნეობის შენარჩუნებასა და მის გაძლიერებას.

ლიდერი ფიქრებგართული მდუმარე გედივით იატაკს მისჩერებოდა. მაშინვე ერთ-ერთმა ახალგაზრდამ წამოიძახა: – არავითარი სოფლის მეურნეობა! საქართველო ინდუსტრიულ ქვეყნად უნდა ვაქციოთ!

უმაღ უპასუხე: – ინდუსტრია თავისთავადობაა, ახალგაზრდავ, ის ხომ ცივილიზაციის

ფრთაა მუდმივი.

მერმე გავჩერდი და ჩემს ფიქრებს აზრი მივაწოდე. ეს ბიჭი ქუჩას კარგად იცნობს ალბათ. მეგობრებო, როგორადაც არ უნდა დაეუფლოთ მეცნიერებას, ხელოვნებას, კოსმოსს, ისინი თქვენ ერთ საათსაც ვერ გამოგვებავენ. კოსმოს-ლვთისგან დალოცვილი პური, მჭადი და სხვადასხვა პროდუქტები სოფლის მეურნეობიდან, ისევ ვიმეორებ, თუ გადაარჩენს ადამის მოდგმას. თვით საცოდავი ცხოველებიც გადაშენდებიან მათ გარეშე. ასე რომ, კეთილნო, წიგნი ყოველთვის დამრჩენელი ყოველდღიურ ეროვნულ სასიცოცხლო ლოცვად ვაქციოთ და იმით მიწიერად ვიხელმძღვანელოთ მარადის.

* * *

წიგნ-ნათელ ქმნილებას შინაგან ზებუნებრივ ძალასა და დიდ შემოქმედებით ფუნქციებს მატებს, უხილავ ძარღვ-კაპილარებს უმაგრებს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოსის, ბატონი გიორგი კვესიტაძის მთავარი რედაქტორობა, რომელიც მომავალში მრავალმხრივ იმედის მოცემი თანადგომაა...

* * *

მეგობრებო, რატომ არ შეიძლება, მსოფლიოში ერთ-ერთი სანიმუშო აგრარული იშვიათ მცენარეთა მოშენების ექსპერიმენტი ხანგრძლივი დროით დაწესდეს ჩვენსას, საქართველოში და მოეწყოს თითო ათას კვადრატულ მეტრზე (დაახლოებით). ძვირფასი ზოგი მათგანი დავიწყება-გადაშენებას მიმდგარი სამეურნალო თუ საკვები მცენარეული კულტურები აგრე აღირდინდეს, ათასწლეული მცენარეული სიძველე განახლდეს და ახლად აღმოჩენილიც განვავითაროთ. დასახული ბუნებრივი სასწაული მსოფლიოს მნიშვნელობის სიახლე ბალი იქნება და შესაძლებელიცა უძველესი კოლხი მედვეს სამედიცინო ბაღნარებს დაემსგავსოს. გნებავთ, დაერქვას „მედეას სახელობის სამედიცინო იშვიათ სამკურნალო მცენარეთა მწვანე აკადემია“. ხოლო მრავალი, იმ ძვირფას ფართობებში მოყვანილი კულტურულ მცენარეთა ნაყოფით უნიკალური სამედიცინო მედიკამენტები დამზადდეს და სხვადასხვა დანიშნულების მნიშვნელოვან საყიფაცხოვრებო ქსელებშიც გადაიგზავნოს, ასევე სანატორიუმ-საავადმყოფოებში, სამკურნალო თვისების კვების განყოფილებებში. ამდაგვარ შემთხვევაში თანმიმდევრობით მეცნიერულმა ძიება-დაკვირვებებმა, შორეული სიბნელიდან მივიწყებულებმა, მზის შუქზე შემოაღწიოს და ამდაგვარად ჩამოყალიბდება მსოფლიო უმ-





ნიშვნელოვანესი სიახლეთა მეცნიერული კერა ჯანსაღი კაცობრიობის არსებობის ამ ყოვლად აუცილებელ დარგში. ყოველივე რატომ არ შეიძლება შეიქმნას? ამისი კლიმატი და ნიადაგი ჩვენში სრულყოფილად არსებობს. ამდაგვარი საქმიანობა ხომ კოსმოსის ათვისების დონეა – ტოლია, მეტი თუ არა. არადა, კაცთა მოდგმის გადარჩენის ოქროს უდრეულამაზესი სიახლე მუდმივი მაღლასვლის საფეხურები მანდევი იქნება.

მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უნიჭიერეს, გამოცდილ ადამიანებთან ერთად უნდა ჩაერთონ სხვადასხვა სამსახურის რჩეული გონების ადამიანები ხელისუფლებიდან, პარლამენტიდან, ინსტიტუტებიდან, ბიზნესმენებიდან. მეგობრებო, ეს არა მხოლოდ ნატვრა-ფანტაზიაა, პირიქით, აუცილებელი რეალობაა. მილიონობით და ათასობით წლიდან მომავალ პლანეტა მიწის მცენარეული ფასდაუდებელ კულტურათა გაახალგაზრდავება და აუცილებელი გადარჩენით ერთ-ერთი საკვირველი ღია ცისქვეშა მუზეუმი იქნება.

ნინაპართა ისტორიული გადმოცემით, თურმე ძეველი ეგვიპტელები ნივრით ადამიანთა სამოც ავადმყოფობას კურნავდნენ. მეცნიერებისა და ცივილიზაციის ჩარხმა-ბორბალმა სამომავლოდ წალმა უნდა იტრიალოს კვლავ... პროგრესული ადამიანები და დიდი მეცნიერები ამ იდეაზე თანამედროვეობაშიც ალბათ თანახმანი არიან, მხოლოდ მომავლის ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ უნიჭიერესი-მეცადინე, ნოვატორული გონებისა და ერის ყოველმხრივ აღმავლობით წარმმართველნ.

დიახ! ამ სახის აღმამფრენი და ყოველთა გადამრჩენელი იდეა-წინადადება დღევანდელ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასაც შეიძლება ეახლოს ღვთის ნება-წყალობით და მაშინ მოხდება რელიგიური აღმავლობითი სიახლე-საქმე დედამიწის აგრარულ კულტურულ მეცნარეთა აღორძინება-განახლება-გადარჩენისა.

როგორც მწერალი, მხატვარი და, მგონი, ნორმალურად მოაზროვნე, ჩემი ღრმა რწმენით და საზოგადოებაში გარკვეული ნდობის მქონე ადამიანი, ვაცხადებ საქვეყნოდ: წიგნი „საქართველოს აგრარული კულტურა“ იმსახურებს ქვეყნის უმაღლეს – რუსთაველის ან სახელმწიფო – პრემიას; ხოლო ნაწარმოები უცხოურ ენებზე თუ ითარგმნა, სრულიად სხვა დადებით მოვლენებსაც მოველოდეთ...

* * *

სოფლის მეურნეობის თუ ბუნებრივ აგრარულ მცენარეთა ამ მკურნალ კარაბადინ წიგნ-

ში დიდებულადაა განხილული უიშვიათეს კულტურათა მრავალი სახეობა და მათი მნიშვნელობა. შესანიშნავია და მაღალი ქება-შეფასების ღირსია მცენარეთა ჯიშების ფერადი ფოტო-მასალები სრულყოფილი კომპოზიციური დასურათებებით. ვიტყვი თამამად და ალალად – მაღალმხატვრული ფოტონიმუშებია წარმოდგენილი მუდმივი დანიშნულებით. უთუოდ ამდაგვარი, თემატურად სულიერ ფართომასშტაბიანი წიგნი, ბუნების სიმდიდრე მეცნიერული ხედვა, ზუსტი მიწიერ-ზეციური ანალიზით და აზრებით იშვიათობაა დღევანდელ მეცნიერულ სრულიად პრაქტიკულ, სადა ცხოვრებისეულ სივრცეში. რითაც, როგორც უკვე გულწრფელად მოგახსენეთ, უკვდავება მზის სხივივით ყველგან მწვდომი ცოცხალმოქმედია... ჩემთვის ქართლის ცხოვრებაა მაღალკულტურულ მცენარეთა არსებობისა. მჯერა, ამ სიტყვებზე გაგელიმებათ, მაგრამ ღრმად მწამს, ქვეყნიერების გამჩენი ამ შემთხვევაში სერიოზულად დუმს...

* * *

როგორც ხელოვანმა, ჩემი მოკრძალებით ნაფიქრალ-შეფასება მინდა დავამთავრო ფას-დაუდებელ-ბუნებრივ ქმნილებად ქცეულ წიგნ „საქართველოს აგრარული კულტურა“-ზე სრულიად მართალ რწმენად ქცეული თანამდგომი საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ქებათაქებით:

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ქართველი ერის გამორჩეული ღვთივნაბადი ნიჭის, მაღალი აზროვნების, მეცნიერულ სიახლეთა ხედვისა და ძიების სრულყოფილი საგანძურია, მართალი მტკიცებულებაა, რომ მსოფლიოში არსებობს თვითმყოფადი შემოქმედებით-მეცნიერული სიბრძნე... ხელისუფლებისგან, პარლამენტისგან მათდამი მეტი ყურადღებაა საჭირო და ურიგო არ იქნებოდა, ეროვნულ და ხალხის პატრონობის მრავალ საშვილიშვილო საქმეში ამ მხრივ საქვეყნოდ აღიარებულ ბრძნენთაბრძენთ თუ დაუმონაფებებიან: სრულყოფილი სიმართლეა – მხოლოდ დიდი მეცნიერება და ხელოვნება გადაარჩენს კაცობრიობას. უფრო სრულყოფილი სწავლება და ცნობიერების გაღრმავება სხვაგან არ არსებობს. ღვთივმართებული ქართული აზროვნებისა და მაღალ წარმოსახვათა მიმღებთ მორჩილ კეთილად დავუახლოვდეთ... გვჯეროდეს, საღი აზროვნება და ეროვნული თვითმყოფადი გენია მართავს მშრომელ მოცადინე სალხსა და სრულიად საქართველოს...



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

၁၀၂



የሚከተሉት በቻ የሚከተሉት ስም እና ደንብ መመሪያዎች በቅርቡ የሚከተሉት በቻ የሚከተሉት ስም እና ደንብ መመሪያዎች በቅርቡ

აკავი დაუშვილის საყმანვილო წიგნმა „გულთან სატარებელი მიწის ამბავი“ გაიმარჯვა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და „შემოქმედებითი საქართველოს“ კონკურსში – „საბავშვო ლიტერატურის მხარდაჭერა“. გამომცემლობა „მერიდიანმა“ წიგნი გამოსცა კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. გთვავით ზოგი ზაალ ბოლტკოველის წინათქმას.

აუცილებლად აღავრავდეთ...

„ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა,
იმდენად დიდი ხნის წინ, რომ დედამიწის ზურგ-
ზე აღარავის ახსოვეს. იკითხავთ, შენ როგორლა
გაიგეო? ეს ყველაფერი ერთმა მუჭა მიწამ მი-
ამბო. მიწას თუ გულისყურით მოუსმენ, უამრავ
რამეს შეიტყობ. მე კი, რაც ჩემმა მშობლიურმა
მიწამ მიამბო, იმას მოგიყვაბით“.

და ყვება ამ სტრიქონების ავტორი ამ მთისა
და ბარის ამბებს, ყვება სიყვარულითა და სასოე-
ბით სავსე, სევდითა და სინაულით სავსე და
დაკვირვებული მცითხველი ზედმინევნით ზუს-
ტად ამჩნევს, რომ მთხოვბელი მშობელ მიწას
მართლაც რომ გულისყურით უსმენს და ცდი-
ლობს არ გამორჩეს მისი თითოეული ამოსუნთქ-
ვა და ამონაკვნისა...

მთხოვნელი კი აკავი დაუშვილი გახლავთ,
ჩინებული მწერალი და მესაიდუმლე დედაენისა,
თქვენი და ჩემი საესავი დედაენისა, ლაზარედ
ქცეული რომ ინახავს მირიად საიდუმლოს ქრის-
ტესავით ჯვარცმული ქვეყნისა...

აკავი დაუშვილი არაერთი პროზაული კრებულის ავტორია, რომლებშიც სრულად გაცხადდა მისი მნერლური ნიჭიერება, საგნებისა და მოვლენების აღქმის მისეული მანერა, მოყვასის თანადგომისა თუ თანალმობის ძალუმი მზაობა, დამოკიდებულება ქვეყნის დღევანდელობისადმი, იმ პრობლემებისადმი, დამოკლეს მახვილივით რომ ჰკიდია ჩვენი მამულის თავზე...

ამ წიგნის წაკითხვისას არაერთხელ მოგადგინათ თვალზე პრემლი თუნდაც იმიტომ, რომ

ବ୍ୟାକ୍ ଏବାରାମନ୍

გულთან სატარებელი
მინის აგენტი



საქართველოს მთახურობა

აკაცი დაუშვილი ამჩნევს და წერს იმაზე, რაც
ჩვენს მეტისმეტად გაუხეშებულ და გათითო-
კაცებულ სამყაროში ლამის დაცინების საგნად
ქავეთა...

მწერალი წერს სიყვარულზე, სიკეთეზე,
კეთილშობილებაზე, ვაჟავაჯობასა და სათნოება-





ზე, წერს დედაშვილობის მადლსა და ანდამატზე. ასე მაგალითად, მკითხველს თავდაპირველად ახ-ირებადაც კი შეიძლება მოეჩვენოს მოთხოვობა „ნიკას მზის“ მთავარი პერსონაჟის სურვილი, რომ არა-სოდეს ჩადიოდეს მზე და მუდ-მივად ანათებდეს და ათბობდეს დედამინას, მაგრამ როცა ნიკა – ეს ცეროდენა ბიჭი ამ სურვილის მიზეზს გაგვიმხელს (მამამ მითხ-რა, დედა მზესთან გაფრინდა და იმიტომ არის მზე ასე თბილიო. როცა მზე თვალებში გიჭყიტინებს დედა გიცინის, როცა დაგცხება, დედა გეფერება და გულში გიკრავს...), არ შეი-ძლება ვეება გორგალი არ მოგაწვეს ყელში და ცრემლი არ გაყლაპინოს.

აკაკი დაუშვილი გატაცებით წერს 70-იანი წლების თბილისზე, იმ საოცარ სითბოსა და თანადგომაზე, რომლითაც გამოირჩეოდა ჩვენი სათაყვანებელი დედაქალაქი. რა დამაჯერებლად მოგვითხრობს იმ სულიერ კათარზისზე, როდე-საც დილემის წინაშე მდგარი ახალგაზრდა უარს ამბობს ეშმასა და სატანის მსახურებაზე. რა საინტერესოდ ხატავს ავტორი გეგას, მოთხოვობა „ტყავის ქურთუკის“ პერსონაჟს, რომელიც წამიერად გაიღვებს ჩვენს თვალინი და განუკითხ-აობისა და გულცივობის მსხვერპლად იქცევა, მსხვერპლად და... ზნეობრივ ორიენტირად მათ-თვის, ვის სულშიც ჯერ კიდევ არ დამჭკნარა სიკეთისა და სათნოების უმშენეოერესი ყვავილი.

ამ კრებულის ერთ-ერთ მშვენიერ ნოველას წარმოადგენს „უწაური ბიჭი“, რომლის მთავარ პერსონაჟს, მეექვსეკლასელ გელას სულ რაღაც ერთი წლის წინ უფროსი ძმა გარდაცვლია და ახლა დარდად და სევდად ქცეული იმასლა ცდი-ლობს ძმის მსგავსება აღმოაჩინოს სხვებში. სხ-ვათა შორის, ამ მოთხოვობის მიხედვით, საქართ-ველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი.

აკაკი დაუშვილის პიროვნებაში ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმიან მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მას ხომ ნებისმიერი სახლის უფანჯრე-ბო კედელი ზურგმექცეულ ადამიანს აგონებს, გულქვა და ბოროტ, ავისმზრახველ ადამიანს. ამ-იტომაცაა, რომ იგი ათწლეულების განმავლობა-ში გვაძლევს მშობელი ერის უებრო მსახურების ჩინებულ მაგალითს. ყველაფერს რომ თავი და-ვანებოთ, როგორ შეიძლება არ ვთქვათ იმაზე, რომ იგი სულისჩამდგმელია ქრისტიანული პოე-ზის ფესტივალისა „წმინდა ნინოს ჯვარი“ რომ ჰქვია სახელად. ლამის საყოველთაო უღმერთო-



ზაალ პოტკოველი

ბის ჟამს ეს ფესტივალი ოაზისად მოჩანს დღევანდელ საქართველო-ში, როგორც ქართველთა რწმენის ურყევობისა და სიმტკიცის ბალა-ვარი... ამავე დროს, აკაკი დაუშვი-ლის თავდაცებას და ერთგულებას საერო საქმებისადმი საოცრად ესადაგება მისი თავმდაბლობა და მორიდებულობა, მწიფე თავთავის ალეგორიას რომ ახსენებს თა-ნამოკალმეებს.

ისევ იმ სათქმელს მივუბრუნ-

დეთ, რითაც დავიწყეთ ეს წერილი. „გულთან სატარებელი მიწის ამბა-ვი“ ჰქვია იმ ზღაპარს, რომელიც

მშობელი მიწის საგალობელს წააგავს და კიდევ კატეგორიულ გაფრთხილებას იმისა, თუ როგორ უნდა ვუვლიდეთ ჩვენს მთებსა და ველებს, ჩვენს წყალ-ჭალებს, თითოეულგოჯსიმისა, სამშობლოდ რომ აღვიძვამთ ამქვეყნად მოვლინებისთანავე.

„თუ არ დაიზარებთ, მიწას ხელისგულში სიყვარულით მოიქცევთ, სათქმელს მშობლი-ურ ენაზე ეტყვით და გულისყურით მოუსმენთ, აუცილებლად ალაპარაკდება, ოდნავ გასაგონად, სევდიანად და იმედიანად ალაპარაკდება“.

გვაიმედებს ავტორი და ჩვენც მტკიცედ გვინდა ვინამოთ, რომ დიახაც ალაპარაკდება მიწა, ოლონდ ამ ნალაპარაკებს მხოლოდ ისანი გაიგონებენ, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს მშობე-ლი ქვეყანა, მშობელი ხალხი, ვისთვისაც ძვირფა-სია მშობლიური მიწის თითოეული გოროხი, ვი-საც გულწრფელად სწამს, რომ მიწას საკუთარი სული გააჩნია, სული, რომელსაც საგანგებო მოფრთხილება, საგანგებო მოვლა-პატრონობა სჭირდება, რათა არ მიიღოს და არ განქარდეს. მიწამ თავად უნდა იგრძნოს, რომ მისი უპირობო ჭირისუფალი და მეციხოვნე ხარ. და როცა ამას იგრძნობს, მაშინ შენც იგრძნობ მის თანადგომა-სა და გამხნევებას, მხოლოდ მაშინ დაგეხმარება, რომ ორივე ფეხით მყარად იდგე მის სისხლით გაპოხილ ბელტებზე და ნებისმიერი, თუნდაც უთვალავი მტრის შემხედვარემ არ დაჰკარგო მხნებია და შემართება...

ყმანვილებო!

ეს წიგნი თქვენთვისაა განკუთვნილი და მისი გაცნობაც დაგარწმუნებთ, თუ რა დიდი ბედ-ნიერებაა, დაიბადო ქართველად და თანაც საქა-რთველოში, დაიბადო და მკერდით იცავდე, იმ სიწმინდეებს, იმ სილამაზეებს, იმ ლაუვარდებს, რითაც თითქმის უხილავი ძაფებით არსაგამ-რიგესთან ვართ წილნაყარი.





2015 წელს, თელავში, ცნობილი მნერლისა და კინოსცენარისტის,
ზაირა არსენიშვილის მემორიალური დაფა გაიხსნა (ნადიკვრის ქუჩა №27)
ზაირა არსენიშვილი 1933 წლის 30 ნოემბერს თელავში დაიბადა.

